საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№20 (255)
4 – 10 ივნისი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

8 რას მოგვიტანს ნატოს უელსის სამიტი?

2 ნატოში – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე?

10 «ზოგიერთ სასულიერო პირს სახელ-მწიფოებრივად აზროვნება არ შეუძლია»

12 სიმართლე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ

13 მოხალისე ტაშისმკვრელთა რაზმეულები

15 «ეს კანონი მართლმადი-დებლობაში განხეთქილების შესატანად იყო გამიზნული»

ამისთანა «ხალხის რჩეულებს» ხელმოწერებით 18 ვერაფერს შევაგნებინებთ



## დიდი თურქობა ბათუმში — 4

## «გვიშველეთ, მოგვხედეთ, აჭარა იღუპება!»



## «ნაცმოძრაობა» გარდაბანში ეთნოკონფლიქტს ამზადებს 5



„დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ანკესზე არ წამოეგება, თუკი მათ აუხსნიან, რა ხდება, ვინ დგას ამის უკან და რა შეიძლება ამან გამოიწვიოს"

ალექსანდრე ჭაჭია:

## ის, რაც აფხაზეთში მოხდა, რეგიონში თურქული და ამერიკული სპეცსამსახურების გამარჯვებაა 6




## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ინტელექტუალური სახე 14

ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ჯენ ფსაკი, თავისი იდიოტიზმითა და ცინიზმით, ამერიკული ადმინისტრაციის საიდუმლო იარაღია...

ბარაკ ობამას ანგელა მერკელმა კვერი დაუკრა – ნატოში საქართველოს გაწევრებაზე ფიქრი უიმედო საქმეა 2



«ევროკავშირი სიკვდილს უკრაინის სტეპებში ჰპოვებს!» 3

7 ახალი ამერიკული ინსტრუქცია ამბოხების მოსასამზადებლად

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მსოფლიოს 85 ყველაზე მდიდარი ადამიანის ქონება 3,5 მილიარდი ღარიბის ქონების ტოლია

**საერთაშორისო ორგანიზაცია Oxfam International-მა გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც გამაოგნებელი სტატისტიკური მონაცემებია მოყვანილი. მოხსენების ავტორებმა ამ სტატისტიკურ მონაცემებს „უთანასწორობის მზარდი ტალღა“ უწოდეს.** მოხსენებაში ნათქვამია: **1.** ამჟამად მსოფლიოს სიმდიდრის თითქმის ნახევარი მოსახლეობის მხოლოდ ერთ პროცენტს ეკუთვნის. **2.** მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების ერთი პროცენტის ხელში 110 ტრილიონი დოლარის ღირებულების ქონებაა. ეს 65-ჯერ მეტია მსოფლიოს მოსახლეობის უღარიბესი ფენის ქონებაზე. **3.** მსოფლიოს მოსახლეობის 50% იმდენივე ქონებას ფლობს, რამდენსაც 85 უმდიდრესი ადამიანი.





### ირაკლი ღარიბაშვილი:

## «ნაციონალების» არც ერთი ნარჩენი არ უნდა დავტოვოთ!

**საქართველოს პრემიერმინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, ლანჩხუთში, მოსახლეობასთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ, თუ ხალხი „ნაციონალებს“ აირჩევს, „დაღუპულები ვართ“.**

„მე არ ვიცი, ვინ იყო ეს კაცი — ყველას ატყუებდა, რომ შუქის პრობლემა მოაგვარა, გაზის პრობლემა მოაგვარა, სად არის, აბა? ის სულელი კაცი გავაგდეთ. ნოემბრამდე ჯერ კიდევ აქ იყო. თვითმმართველობებში ჯერ კიდევ „ნაციონალები“ იყვნენ, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ არჩევნებში ბოლომდე გაიწმინდოს სიტუაცია. „ნაციონალები“ აღარ იქნებიან, იყრიან კენჭს, მაგრამ ხალხი თუ აირჩევს, დაღუპულები ვართ. „ნაციონალები“ სადღა არიან? საკუთარი ოჯახის წევრებიც კი არ აძლევენ ხმას. მთავარია, ეს არჩევნები გადავაგოროთ კარგად და „ნაციონალების“ არც ერთი ნარჩენი არ უნდა დავტოვოთ — ისინი მატყუარა ხალხია და მაგათ დაანგრიეს ქვეყანა. გასული წელი მართლაც რთული იყო. ეს ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია თუ რაღაც უბედურება იყო და გვიწევდა მუდმივი კინკლაობა. ეს ახლა აღარ არის. ყველა რაიონში უნდა გაიმარჯვოს „ოცნებამ“, საწარმოებს გავხსნით ყველა რეგიონში. წლის ბოლომდე ნახავთ, თუ არ დაიძრას ეკონომიკა“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



## ბარაკ ობამას ანგელა მერკელმა კვერი დაუკრა — ნატოში საქართველოს გაწევრებაზე ფიქრი უიმედო საქმეა

**გასაოცარია, როგორი სიჯიუტით „აბოლებდნენ“ და „აბოლებენ“ საქართველოს წინა და ამჟამინდელი ხელისუფლებები საკუთარ მოსახლეობას მაპითა და მაპზე უკეთესით, ევროკავშირში შესვლითა თუ შენგენის ვიზებით, არადა, თვით აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გვითხრა, რომ „საქართველო და უკრაინა ნატოს გზას არ ადგანან“ და ალიანსში გაწევრებაზე ფიქრი უიმედო საქმეა. შემდეგ ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ განაცხადა, ამ ეტაპზე საქართველოს ევროკავშირის წევრობას ვერ შევთავაზებთ, მაგრამ მაქსიმალურად დაახლოებას (ანუ, სხვა სიტყვებით, მაპზე უკეთესს) ვთავაზობთო. ახლა კი ობამასა და ბაროზუს დაემატა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელიც, რომელმაც გერმანიაში საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ საქართველოსთვის მაპის მინიჭების საკითხი ნატოს შემდეგი სამიტის თემა არ იქნება, საქართველო კი არის კარგი პარტნიორი, მაგრამ მაპის გარდა სხვა შესაძლებლობებიც (ანუ, მაპზე უკეთესი) არსებობს ამის გამოსახატავად.**

„ეს არის ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტი გერმანიაში. ძალიან მიხარია, რომ შემიძლია, მას აქ მივესალმო. ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრეთ საქართველო-გერმანიის ორმხრივ ურთიერთობაზე. ჩვენ კარგი ორმხრივი ურთიერთობა გვაქვს. ძალიან გვიხარია, რომ საქართველო დაადგა ევროკავშირისკენ მიახლოების გზას, რაც გამოიხატება ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერაში. მეორე მხრივ, **ვხედავთ რომ საქართველო დაინტერესებულია, ნაბიჯ-ნაბიჯ განავითაროს ურთიერთობა რუსეთთან — ამ მაგალითზეც ვხედავთ, რომ საქართველო ორივე მიმართულებით მუშაობს. ვფიქრობ, რომ საქართველოსთვის მაპის მინიჭების საკითხი ნატოს შემდეგი სამიტის თემა არ იქნება,** მაგრამ ვხედავთ იმ პროგრესს, რომელიც არის საქართველოში. ჩვენ ვხედავთ საქართველოს ძალისხმევას, მაგალითად, ავღანეთში. ნატოს შემდგომი სამიტისთვის უნდა გადავწყვიტოთ, როგორ გავუსვათ ხაზი იმას, რომ საქართველო არის კარგი პარტნიორი და ვფიქრობ, მაპის გარდა სხვა შესაძლებლობებიც არსებობს ამის გამოსახატავად“, — განაცხადა ანგელა მერკელმა.



## ნატოში — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე?

**ბოლო წლების განმავლობაში რას არ ისმენდა და, ალბათ, მომავალშიც ბევრ გამაოგნებელ „მეგობრულ რჩევას“ მოისმენს მრავალ უბედურებაგამოვლილი ქართველი. ახლახან კი საქართველოსადმი „მეგობრულად“ განწყობილმა ლიტვის თავდაცვის ექსმინისტრმა, ქალბატონმა რასა იუკნევიჩენემ ნატოში გაწევრების სანაცვლოდ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დათმობა შემოგვთავაზა:**

**„ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ზოგიერთი წევრი ჯერაც ფიქრობს, რომ გაუმართლებელია, ნატომ თავის რიგებში მიიღოს ქვეყანა ტერიტორიული პრობლემებით“.** მისივე განმარტებით, ნატოში გაწევრების შემთხვევაშიც კი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვაშინგტონის ხელშეკრულება და მისი მეხუთე მუხლი, რომ ნატოს რომელიმე წევრ ქვეყანაზე თავდასხმა მთელ ალიანსზე თავდასხმად ფასდება, არ გავრცელდება.

„ჯერჯერობით საკითხი ასე დგას — ნატოს ქარტიის მეხუთე მუხლი არ იმოქმედებს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ოკუპირებულია. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ აფხაზეთის ან სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა უნდა ალიაროთ ან ოკუპაციას შეეგუოთ, მაგრამ ალიანსის ზოგიერთი წევრი ჯერაც ფიქრობს, რომ **გაუმართლებელია, ნატომ თავის რიგებში მიიღოს ქვეყანა ტერიტორიული პრობლემებით. მაპის მოპოვებისას რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ — ნატოში გაწევრების შემთხვევაშიც კი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვაშინგტონის ხელშეკრულება არ გავრცელდება,** განსაკუთრებით — მისი მეხუთე მუხლი, რომლის თანახმადაც, ნატოს რომელიმე წევრ ქვეყანაზე თავდასხმა მთელ ალიანსზე თავდასხმად ფასდება. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დრო გადის — დღევანდელი მოცემულობა, ავია ის თუ კარგი, შეიძლება ხვალ აღარ იყოს აქტუალური. **ოკუპირებული ტერიტორიების არ აღიარება, რა თქმა უნდა, ტოპპრიორიტეტია, მაგრამ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, საქართველოს დანარჩენი ნაწილი მაინც იყოს ნატოს შემადგენლობაში, ვიდრე, საერთოდ, ალიანსის მიღმა დარჩეთ“**, — განაცხადა რასა იუკნევიჩენემ ერთ-ერთი ქართული გამოცემისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

**P.S. ლიტველი ქალბატონის ნათქვამიდან კარგად ჩანს, რომ დასავლეთი „სხვისი ხელით ნარის გლეჯის“ პოლიტიკას განაგრძობს. მას არ ანაღვლებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, სულ ფეხებზე ჰკიდია, საქართველო დაიბრუნებს თუ არა დაკარგულ ტერიტორიებს, მისთვის მთავარი საკუთარი ინტერესების დაცვა და უსაფრთხოებაა და კიდევ ის, რომ რუსეთს საქართველოს ხელით დაუპირისპირდეს.**



## «სამხრეთ ოსეთი, შესაძლოა, რუსეთის შემადგენლობაში მალე შევიდეს»

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი არ გამორიცხავს, რომ „რუსეთს თავის შემადგენლობაში მიღების თხოვნით მიმართოს ახალმა პარლამენტმა, რომელსაც 8 ივნისს აირჩევენ“.**

„ჩვენ, სამხრეთ ოსეთში ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნებას სიხარულით შევხვდით. მოხარულები ვართ, რომ ყირიმი როგორც იქნა, სამშობლოს დაუბრუნდა. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას რუსეთთან, ძალიან მჭიდრო კავშირები გვაქვს. გვაქვს ორმხრივი შეთანხმებები სხვადასხვა სფეროში. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფება რუსეთის მე-4 სამხედრო ბაზა, გვაქვს დამხარება რუსეთის მხრიდან. ეს ყველაფერი მეტყველებს სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაციაზე. ინტეგრაცია კი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლისთვის სერიოზული მოსამზადებელი ეტაპია. ეს იდეა თითოეულ ჩვენგანში დევს. პერსპექტივაში, როგორც ადრეც ვთქვი, სამხრეთ ოსეთის ხალხი ერთიანი უნდა იყოს. ეს ისტორიული მომენტი უნდა დადგეს. ჩვენ ამ გზაზე ვართ და რუსეთის შემადგენლობაში შესვლის იდეას კარგი პერსპექტივა აქვს“, — განაცხადა თიბილოვმა.

## პარტიების ლიდერთა კოლოსალური ხელფასები

**საინფორმაციო-ანალიტიკურმა პორტალმა for.ge-მ გამოაქვეყნა საქართველოს პარტიების ლიდერებისა და წევრების 2013 წლის ყოველთვიური ხელფასების მონაცემები, რომლებიც „სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის“ არის მიწოდებული. ეს არის კოლოსალური თანხები, რომლებიც, როგორც განმარტავენ, პარტიებს სხვადასხვა შემოწირულობის(?!) შემდეგ უჩნდებათ.**

**„ეროვნული ფორუმი“** — პარტიაში ყველაზე მაღალი ანაზღაურება აქვს პარტიის თავმჯდომარე **კახა შარტავას**. მისი ყოველთვიური ხელფასი - **21 000 ლარია;**

**„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“** თავმჯდომარე **გიორგი თარგამაძისა** და პარტიის გენერალური მდივნის, **ლევან ვეფხვაძის** ყოველთვიური ხელფასი 30 000 ლარი იყო; მათ 2 500 ლარით ჩამორჩებიან პარტიის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე **მაგდა ანიკაშვილი** და პარტიის რეგიონული სამსახურის უფროსი **გიორგი ახვლედიანი**. მათი ყოველთვიური ხელფასი **27 500 ლარია;**

**„საქართველოს ევროპელი დემოკრატების“** ლიდერის — **პაატა დავითაიას** ყოველთვიური ხელფასი **42.000ლარია;**

**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“** ბუღალტრად **ნინო ბურჯანაძეა** მითითებული, მისი ყოველთვიური ხელფასი **12 500 ლარია;**

**„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“** ლიდერის — **ბაჩუკი ქარდავას** ყოველთვიური ხელფასი **7 500 ლარია;**

პარტია **„თავისუფალი დემოკრატების“** თავმჯდომარე **ირაკლი ქადაგიშვილის** ხელფასი **23 500 ლარია;**

**ლეიბორისტულ პარტიაში** ყველაზე მაღალ ყოველთვიურ ხელფასს — **12 386 ლარს — იოსებ სამხარაძე** იღებს. მისი თანამდებობა არ არის მითითებული;

**„მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“** ლიდერის **სერგო ჯავახაძის** ყოველთვიური ხელფასი **4 000 ლარია;**

პარტია **„საქართველოს გზის“** ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირი თეიმურაზ მურვანიძეა, რომელიც ხელფასს უნაღდო ანგარიშსწორების სახით იღებს 16 750 ლარის ოდენობით;



**საქართველოს კონსერვატიული პარტიის** ხელმძღვანელის — **ზვიად ძიძიგურის** ყოველთვიური ხელფასი **12 750 ლარია;**

**„ქართულ დასში“** ყველაზე მაღალი ანაზღაურება აქვს **თორნიკე ბაღათურიას**, მისი ხელფასი **2 400 ლარია**.

**„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“** ლიდერის — **ზურაბ ტყემალაძის** ყოველთვიური ხელფასი **56 875 ლარია;**

**„ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის“**, თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის — **ეკატერინე ჩიტიაშვილის** ყოველთვიური ხელფასი **19 500 ლარს** შეადგენს;

პარტია **„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“** აღმასრულებელი მდივნის — **არმაზ ახვლედიანის** ყოველთვიური ხელფასი **8 899 ლარია;**

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** ცენტრალური ადმინისტრაციის უფროს **ელენე ჯავახაძის** ყოველთვიური ხელფასი არის **18 000 ლარი;**

**რესპუბლიკურ პარტიაში** ყველაზე მაღალი ანაზღაურება კი **თამარ რომელაშვილს** აქვს, მისი ხელფასი **16 800 ლარია;**

**ამ მონაცემების გაცნობის შემდეგ რთული, ალბათ, არ იქნება, დავასკვნათ — რატომ დუმან ეს ადამიანები, როცა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ხელფასს იმატებენ...**

„რუსებს აქვთ ის, რაც ჩვენ უკვე აღარ გვაქვს. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ სისტემაში, სადაც ადამიანებს იმედი აღარაფრის აქვთ. რა თქმა უნდა, გამოვიმუშავებთ მეტს და ვცხოვრობთ უკეთესად, მაგრამ რუსებს კვლავ გაუჩნდათ ეროვნული სიამაყე. ევროპარლამენტის არჩევნებმა, აჩვენა, რომ ფრანგებს ახლა სწორედ ასეთი სიამაყე სჭირდებათ“.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ემანუელ ტოდი: ევროკავშირი სიკვდილს უკრაინის სტეპებში ჰპოვებს!

**„სსრკ-ის დაშლის შემდეგ ევროკავშირმა კონსოლიდაცია მოახერხა, ახლა კი ევროკავშირი იხრწნება, რუსეთი კი პირიქით — ფეხზე დგება“, — დარწმუნებულია ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი, სოციოლოგი და ეთნოლოგი ემანუელ ტოდი, რომელმაც რადიო France Culture-ს ეთერში ევროკავშირის ექსპანსიური პოლიტიკა შეადარა ზეახალ ვარსკვლავს, რომელიც ჩაქრობის წინ განსაკუთრებით კაშკაშებს.**




ეთნოლოგ ემანუელ ტოდის აზრით, ევროკავშირსა და უკრაინას შორის ირონიული პარალელის გავლება შეიძლება არჩევნების შედეგების მიხედვით. ლაპარაკია დეზინტეგრაციის პროცესში მყოფ ორ სისტემაზე, თუმცა უკრაინა გაცილებით ახლოს დგას მთლიანად დანაწევრებასთან. ექსპერტი ამბობს, რომ 1990-იან წლებში საბჭოური სისტემის დაშლის შემდეგ „მეორე მატჩი“ მიმდინარეობს.

France Culture-ს ეთერში ემანუელ ტოდმა გაიხსენა, როგორ დაიშალა სსრკ, ევროკავშირი კი მაასტრიხტის ხელშეკრულების მეშვეობით გაერთიანდა. მაგრამ დღეს სწორედ ევროკავშირი იხრწნება, რუსეთი კი ფეხზე დგება. რუსეთთან შედარებით, — თქვა მეცნიერმა, — უკრაინა ყოფილი სსრკ-ის იმ ქვეყნებს განეკუთვნება, რომლებმაც ვერ შეძლეს წონასწორობის დაცვა. მისი დეზინტეგრაცია კვლავაც გაგრძელდება, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების მიუხედავად.

**ემანუელ ტოდი დარწმუნებულია, რომ ცეცხლის გაღვივებას უკრაინაში ხელი შეუწყო ზოგიერთმა ევროპელმა, მათ შორის, პოლონეთის, გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ისინი შეგნებულად აქეზებდნენ უკრაინელ ექსტრემისტებსა და რადიკალ მემარჯვენეებს, ამიტომაც პასუხისმგებლობის ტვირთი ამ ევროპელ პოლიტიკოსებს ეკისრებათ.** „უცნაურია, რომ ევროპა, რომელიც დაშლის ნიშნებს ავლენს, განაგრძობს ექსპანსიურ პოლიტიკას. ევროპაში ვგულისხმობ გერმანიას, პოლონეთსა და ნაწილობრივ — შვედეთს. ეს ევროპა ჰგავს ზეახალ ვარსკვლავს, რომელიც, ვიდრე აფეთქდება, ძალიან კაშკაშებს. მაქვს წინათგრძნობა, რომ ევროპა თავის სიკვდილს უკრაინის სტეპებში ჰპოვებს!“

ეთნოლოგის აზრით, ევროპა გლობალიზაციასა და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ პრობლემებს ეროვნული ფასეულობებისკენ დაბრუნებით ებრძვის. გერმანია დიდი, თუმცა ყველაზე წარმატებული, პროექტი არ არის, რადგან ამ ქვეყანაში ძალიან მწვავედ დგას შობადობის საკითხი.

ტოდი აღნიშნავს: **„რუსებს აქვთ ის, რაც ჩვენ უკვე აღარ გვაქვს. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ სისტემაში, სადაც ადამიანებს იმედი აღარაფრის აქვთ. რა თქმა უნდა, გამოვიმუშავებთ მეტს და ვცხოვრობთ უკეთესად, მაგრამ რუსებს კვლავ გაუჩნდათ ეროვნული სიამაყე. ევროპარლამენტის არჩევნებმა აჩვენა, რომ ფრანგებს ახლა სწორედ ასეთი სიამაყე სჭირდებათ**“.

ტოდის თვლის, რომ ფრანგი პოლიტიკოსების პათოლოგიურ რუსოფობიაში დამნაშავე არის გაზეთი „ლე მონდი“ — საფრანგეთის მთავარი გამოცემის მიერ რუსეთში მიმდინარე მოვლენების ცრუ და ცალმხრივი გაშუქების გამო ფრანგებს არ სჯეროდათ, რომ რუსები ფეხზე დადგებოდნენ. ახლა კი რუსეთში, — აღნიშნავს ტოდი, — „შემცირდა ბავშვთა სიკვდილის შემთხვევები, მოიმატა შობადობამ, მიგრაციის ბალანსი დადებითია, მოსახლეობის რაოდენობა აღარ იკლებს, უმუშევრობის დონე 4%-მდე შემცირდა, რუსეთის სოფლის მეურნეობა კი საერთაშორისო ბაზარზე დაბრუნდა, ჩვენ დაბრმავებული ვიყავით ამ სულელური რუსოფობიით, ანუ „პუტინოფობიით“ და ვერ შევნიშნეთ, როგორ დაბრუნდა დიდი მოთამაშე საერთაშორისო და ევროპულ არენაზე. **შტაინმაერმა (გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი — რედ.) და მისმა მომხრეებმა ჯერ ხელი შეუწყეს კიევში ცეცხლის გაჩაღებას და მხოლოდ შემდეგ მიხვდნენ, რომ რუსები თავისას არ დათმობდნენ, რომ მათ უკვე აღარ ეშინიათ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პუტინისგან სამხედრო დახმარების იმედი აღარ ექნებოდათ“;**

უკრაინა, როგორც მეცნიერები ამბობენ, — ეს, უბრალოდ, შეუმდგარი სახელმწიფო კი არა, შეუმდგარი საზოგადოებაა, მისი მოსახლეობა მხოლოდ შემცირდება. **უკრაინა კვლავაც დაიშლება ევროპის გამო. რაც უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებს უკრაინა დასავლეთთან, მით მეტი სპეციალისტი და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული დატოვებს ამ ქვეყანას, უკრაინელები დააკმაყოფილებენ გერმანიის ეკონომიკის მოთხოვნებს კვალიფიციური მუშახელის, აგრეთვე, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ.**

> «უკრაინა კვლავაც დაიშლება ევროპის გამო. რაც უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებს უკრაინა დასავლეთთან, მით მეტი სპეციალისტი და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული დატოვებს ამ ქვეყანას, უკრაინელები დააკმაყოფილებენ გერმანიის ეკონომიკის მოთხოვნებს კვალიფიციური მუშახელის, აგრეთვე, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ»

მსოფლიოში რუსეთის როლზე საუბრისას ემანუელ ტოდმა განაცხადა, რომ რუსეთით, როგორც ძალთა წონასწორობის ფაქტორით, ევროპელები უფრო მოიგებენ. **„ნაციზმს ბოლო სტალინის რუსეთმა მოუღო, ამერიკულ ერთპოლუსიანობას სარგებელი არავისთვის მოაქვს, თვით აშშ-ისთვისაც კი. არ ვისურვებდი რუსეთში ცხოვრებას: ეს არის ავტორიტარული ქვეყანა გათანაბრების პრინციპით, მაგრამ ვხვდები, რომ რუსული სისტემა დადებით როლს თამაშობს საერთაშორისო არენაზე და უზრუნველყოფს ძალების აუცილებელ ბალანსს“.**

# ბილდერბერგის კლუბის კონფერენცია თუ შეთქმულება?



**„კონსპიროლოგებს, შესაძლოა, გაეცინოთ, როდესაც შეიტყობენ, რომ ამა წლის 1 ივნისს დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გამართულ ბილდერბერგის კლუბის კონფერენციაზე, რომელშიც მსოფლიოს გავლენიანი ბანკირები, პოლიტიკოსები და ბიზნესმენები მონაწილეობდნენ, განხილული იყო თემა — „არსებობს თუ არა კერძო ცხოვრება?“ — წერს გაზეთ The Independent-ის ჟურნალისტი ტომ ჰარპერი.**

ტომ ჰარპერის ცნობით, კონფერენციის მონაწილეთა შორის იყვნენ აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების ყოფილი დირექტორი კიტ ალექსანდერი, ბრიტანული სპეცსამსახურის, “მი-6”-ის შეფი სერ ჯონ სოუერსი, დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი ჯორჯ ოსბორნი, საერთაშორისო მინისტრი, ლორდი მენდელსონი, აშშ-ის პოლიტიკური მოღვაწე ჰენრი კისინჯერი, აგრეთვე, ხელმძღვანელები კომპანიებისა: Shell, BP, Airbus, Saab, AXA, Googl, Linkedin, Lazards და Coldman Sachs.

დღის წესრიგში იყო საკითხები: „დემოკრატიის მომავალი და საშუალო კლასის ხაფანგი“, „ახლო აღმოსავლეთის ახალი მოწყობა“ და ამჟამად მთავარი გეოპოლიტიკური კრიზისი: „უკრაინა“ — ნათქვამია The Independent-ის სტატიაში. ბილდერბერგის კლუბის იდუმალებით მოცულმა კონფერენციამ გააჩინა ეჭვი, რომ ამ კლუბის წევრები დემოკრატიული პრინციპების გვერდის ავლით გლობალური პოლიტიკის საკითხებს გეგმავენ.



# კლინტონის ყოფილმა მრჩეველმა ჯორჯ ბუშს ბრალი სამხედრო დანაშაულების ჩადენაში დასდო

**ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი რიჩარდ კლარკი, რომელსაც ამერიკული პრესა „კონტრტერორისტულ მეფეს“ უწოდებს, თვლის, რომ აშშ-ის შეჭრა ერაყში, რაც სანქცირებული იყო ექსპრეზიდენტ ჯორჯ ბუში-უმცროსისა და ყოფილი ვიცეპრეზიდენტის, დიკ ჩეინის მიერ, სამხედრო დანაშაულია.**

პრეზიდენტ ბილ კლინტონის ყოფილმა მრჩეველმა რიჩარდ კლარკმა ტელეპროგრამა Democracy Now-ის ეთერში განაცხადა, რომ ექსპრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უმცროსი) და ყოფილი ვიცეპრეზიდენტის — დიკ ჩეინის მიერ სანქცირებული აშშ-ის შეჭრა ერაყში, სამხედრო დანაშაული იყო.

„ჩემთვის ნათელია, რომ რაღაც-რაღაცები, რასაც ბუშის ადმინისტრაცია აკეთებდა, სამხედრო დანაშაული იყო. და ეს არის ის, რაზეც ჩვენ, ყველამ უნდა ვიმსჯელოთ“, — განაცხადა პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა, რომელმაც ბუშის ადმინისტრაცია 2003 წელს, ერაყში აშშ-ის შეჭრის შემდეგ დატოვა. **კლარკმა ყველას შეახსენა ჰააგაში საერთაშორისო ტრიბუნალის არსებობის შესახებ, სადაც სახელმწიფოს ყოფილი პირველი პირებისთვის წაყენებული ბრალდებების განხილვა შეიძლება.**

2012 წელს სამხედრო დანაშაულების სიმბოლურმა ტრიბუნალმა, რომელიც მალაიზიის ექსპრემიერის — მაჰათხირ მუჰამადის ორგანიზებით მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში ჩატარდა, ბუში და მისი ადმინისტრაციის 7 წევრი ერაყში შეჭრის გამო სამხედრო დამნაშავეებად ცნო.



# გერმანელებმა იაცენიუკს ფაშისტი უწოდეს

**უკრაინის პრემიერმინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებელი არსენი იაცენიუკი ევროკავშირის თავმჯდომარის — ვან რომპეის მიწვევით კარლ დიდის სახელობის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე დასასწრებად გერმანიის ქალაქ აახენში ჩავიდა.**

თუმცა იაცეინუკს ადგილობრივმა მოსახლეობამ საპროტესტო აქცია მოუწყო. აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ ტრანსპარანტები წარწერებით: **„იაცენიუკ, აქ არავის მოუწვევიხარ“** და **„იაცენიუკი — ფაშისტების პარტნიორი“.** მომიტინგეები სკანდირებდნენ: **„იაცენიუკი ტერორისტია!“ „ხელები შორს დონბასისგან!“**

**რეპორტაჟი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოში თურქი თურქს ასაქმებს და ისევ თურქეთს ემსახურება. ქართველ ქალებს მხოლოდ საუნებსა და სასტუმროებში ამუშავებენ. არ ვიცი, ამ უბანში ბავშვები ისე როგორ გავზარდოთ, ამ გარყვნილებას რომ ავაცილოთ“.**

# დიდი თურქობა ბათუმში — «გვიშველეთ, მოგვხედეთ, აჭარა იღუპება!»

**„პატარა თურქეთი“, „სტამბულის პერიფერია“, „ბორდელი“ — ასეთი ეპითეტებით მოიხსენიებენ ძველ ბათუმს ადგილობრივები. აჭარის დედაქალაქიდან რეპორტაჟის მომზადება ძალიან გაგვიჭირდა, რადგან ამ უბანში მცხოვრებნი, გულისტკივილის მიუხედავად, ვინაობის გამხელისგან თავს იკავებენ, მაგრამ მაინც მივაშურეთ ძველ ბათუმს და, როგორც კი ფეხი ქუთაისის ქუჩაზე დავდგით, სხვა სამყაროში აღმოვჩნდით. მეჩეთის მიმდებარე ქუჩებზე თურქული კაფე-ბარების, ჩაიხანებისა და თურქების გარდა ვერაფერს ნახავთ. ქართველები ეზოებს გარეთ ნაკლებად ჩნდებიან და ჩვენც ქუთაისის ქუჩის ერთ-ერთ ეზოს მივადექით. საუბარზე მხოლოდ ერთი ქალბატონი დაგვთანხმდა, თანაც იმ შემთხვევაში, თუ ფოტოს არ გადავუღებდით და მის ვინაობას არ გავამხელდით.**

— ბათუმის ეს ნაწილი თურქეთად არის ქცეული, ქართულს ვერ გაიგონებთ. ყოველ საღამოს ჩხუბი, გინება და აყალმაყალია. **აქ ცხოვრება შეუძლებელია. თურქი მოვა, გადაგივლის, პოლიცია კი, ნაცვლად იმისა, პასუხი მოსთხოვოს ან დაკითხოს მაინც, სიცილ-ხარხარით ებოდიშება. ქუთაისის ქუჩა ბორდელად აქციეს, ღამის 12 საათის შემდეგ გაიარეთ და ნახავთ, სასტუმრო, კაფეტერია თუ ჩაიხანა რეალურად ბორდელია, ქალებს ყიდიან. არადა, ამ ობიექტებს ორმეტრიანი ქართველი ბიჭები იცავენ და ხმას არ იღებენ.** თურქებს ჩვენს ბიჭებთან რომ მოსდით ჩხუბი, საპატრულო პოლიცია ქართველებს აჯარიმებს. ჩემს სამეზობლოში თითქმის ყველა ბიჭს გადახდილი აქვს ადმინისტრაციული ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. **ამ უბანში თურქს ყველაფრის უფლება აქვს, დიდი თურქობაა ბათუმში.**

— **ამ ყველაფერს რატომ არ აპროტესტებთ?**

— რას არ ვაპროტესტებთ? **ორჯერ გავუგზავნეთ ბათუმის მერიას მიმართვა 250 ადამიანის ხელმოწერით, ეს თურქობა რომ აელაგმათ ჩვენი ქუჩიდან, მაგრამ ყურიც კი არავინ შეიბერტყა. გვეუბნებიან, რას ერჩით, გადასახადებს იხდიანო. ისევ ჩვენ გამოგვიყვანეს დამნაშავედ.** გაჰყვიროდნენ „არ გვინდა ასლანიო“ და სწორედ ასლან აბაშიძე იყო, ერთ თურქსაც რომ არ აჭაჭანებდა ბათუმში, ქალაქი კი ქალაქს ჰგავდა. **ახლა რას ჰგავს ბათუმი? — თურქულ ბორდელს.** ისეთი სუნი დგას ამ ქუჩაზე, ცუდად გახდებით. ნივრის, ცხიმისა და საშინელი სანელებლების სუნით არის გაჟღენთილი ჰაერი — ფანჯარა ველარ გაგვიღია. კიდევ იმიტომაა გაუსაძლისი აქ ცხოვრება, რომ თავხედურად პირდაპირ ჩვენი ეზოების შესასვლელებთან აჩერებენ თურქები თავიანთ მანქანებს და ვეღარც გავდივართ და ვეღარც შემოვდივართ. **ეს რომ თურქეთის ნებისმიერ ქალაქში გააკეთო, დეპორტაცია არ აგცდება.**

— **დიდი ხანია, ამ მდგომარეობაში ხართ?**

— **მას შემდეგ, რაც „ქვირფასი“ სააკაშვილი მობრძანდა ხელისუფლებაში.** ეს სიტუაცია კი დღითიდღე უარესდება. არადა, ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, თურქებიც დაიფანტნენ, ვიფიქრეთ, გვეშველა-თქო, მაგრამ ცოტა ხანში გაათმაგებულად შემოვიდნენ. „ქართულმა ოცნებამ“ მათ ხელი უფრო შეუწყო.

— **ქართველ ბიჭებს რატომ მოსდით ჩხუბი თურქებთან?**

— **საკმარისია, ქალთან ერთად გაიარო, ისე მიაშტერდებიან ან ისე ამოიხვნეშებენ და რამეს თურქულად მიაძახებენ, მოდი და ნუ გალახავ.** ჩვენი უბნის ბიჭებიც დაიღალნენ მაგათთან ჩხუბით და შემდეგ ჯარიმების გადახდით. ამ ხელისუფლებას რომ დაუჩემებია, თურქები ხალხს ასაქმებენ და ბიუჯეტსაც ავსებენო, ტყუილია! შედით ნებისმიერ რესტორანში, ქართველს ვერ ნახავთ. **საქართველოში თურქი თურქს ასაქმებს და ისევ თურქეთს ემსახურება. ქართველ ქალებს მხოლოდ საუნებსა და სასტუმროებში ამუშავებენ. არ ვიცი, ამ უბანში ბავშვები ისე როგორ გავზარდოთ, ამ გარყვნილებას რომ ავარიდოთ. გვიშველეთ, მოგვხედეთ, აჭარა იღუპება!**

**«რატომ გვავიწყდება, რომ თურქეთი ჩვენი მოსისხლე მტერი იყო? 300 წლის განმავლობაში ბატონობდნენ ჩვენზე. სააკაშვილმა თურქები მოყვრებად გვიქცია; რუსეთი კი, რომელმაც საქართველო უბედურებისგან იხსნა, მტრად გამოგვიცხადა. ამიხსენით, რუსია ოკუპანტი თუ თურქი?»**




**«აქ ცხოვრება შეუძლებელია. თურქი მოვა, გადაგივლის, პოლიცია კი, ნაცვლად იმისა, პასუხი მოსთხოვოს ან დაკითხოს მაინც, სიცილ-ხარხარით ებოდიშება. ქუთაისის ქუჩა ბორდელად აქციეს, ღამის 12 საათის შემდეგ გაიარეთ და ნახავთ, სასტუმრო, კაფეტერია თუ ჩაიხანა რეალურად ბორდელია, ქალებს ყიდიან»**

**ქალბატონთან დამშვიდობების შემდეგ ერთ-ერთი რესტორნის თურქ მეპატრონესთანაც მოვახერხეთ გასაუბრება.**

**რამინ ფაიალი, თურქი ბიზნესმენი, რესტორნის მფლობელი:**

— ძალიან მომწონს საქართველო, მიყვარს ქართველი ხალხი, სამი წელია, აქ ვარ და ჩემი ბიზნესიც წარმატებულია.

— **რატომ გადაწყვიტეთ საქართველოში ბიზნესის დაწყება?**

— ბათუმი ძალიან კარგი ქალაქია, მით უმეტეს ის ადგილი, სადაც რესტორანი მაქვს. სტუმართმოყვარე ხალხია, ჩვენ — თურქებს და ქართველებს — გიყვარს ერთმანეთი.

— **როგორც აქ მცხოვრებმა ქართველებმა მითხრეს, თურქულ რესტორნებში მხოლოდ თურქები დადიან.**

— ეს ტყუილია, პირიქით, უამრავი ქართველი მოდის.

— **ჩხუბიც ხშირად ხდებაო...**

— ძალიან იშვიათად, პატარა ჩხუბი ყველა ქალაქში ხდება.

— **მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ძალიან ხმაურობთ...**

— განსაკუთრებით დიდი ხმაური არ არის, მეზობლები ძალიან კარგი მყავს, რა ვიცი, ჩემთვის მსგავსი არაფერი უთქვამთ...

**რესტორნის თურქ მეპატრონესთან საუბრისას იქვე, ქუთაისის ქუჩის ბოლოს მდებარე პატარა სკვერში რამდენიმე მამაკაცი შევნიშნეთ. შევატყვეთ, ქართველები იყვნენ და გასაუბრება ვცადეთ, მაგრამ, როგორც კი გაიგეს, ჟურნალისტი ვიყავი, მაშინვე გაეცალნენ იქაურობას, თუმცა ერთი მამაკაცი მაინც დავითანხმე საუბარზე...**

— თურქებმა ფული ჩადეს რესტორნებში და მამუშავებენ. თურქი კლიენტები იმიტომ ჰყავთ, რომ იციან, თანამემამულე არ მოატყუებთ და სუფთად დაკლული საქონლის ხორცს მიართმევს. ისიც იციან, რომ ამ კაფესა თუ რესტორანში ღორის ხორცი არ შედის. ამ ადგილს იმიტომ დაეპატრონენ თურქები, რომ მეჩეთიც აქვეა. თქვენ რა, **გგონიათ, თბილისში ნაკლები თურქი ცხოვრობს? უბრალოდ, ბათუმი პატარაა და უფრო ჩანს.**

**ბოლოს ბატონ ენვერ ფარტენაძეს გავესაუბრეთ:**

— **თავისუფალი გვქვია, მაგრამ დღეს პარლამენტარების დიდი ნაწილი 50-60 ათასლარიან პრემიებს იღებს, გაჭირვებული ადამიანები კი სანაგვეში ეძებენ საკვებს**. ამ ყველაფერთან ერთად, **თურქებს ფართოდ გაუხსნეს კარი და, როგორც ცნობილია, 25 ათასს გადააჭარბა ბათუმში თურქთა რაოდენობამ. ძველ ბათუმს, ფაქტობრივად, თურქები დაეპატრონენ.** სააკაშვილმა რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე პრეზიდენტის პოსტს დატოვებდა, 10 ათას თურქს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. დღეს ასე რომ ვეფერებით ამ ხალხს, **რატომ გვავიწყდება, რომ თურქეთი ჩვენი მოსისხლე მტერი იყო? 300 წლის განმავლობაში ბატონობდნენ ჩვენზე. სააკაშვილმა თურქები მოყვრებად გვიქცია, რუსეთი კი, რომელმაც საქართველო უბედურებისგან იხსნა, მტრად გამოგვიცხადა. ამიხსენით, რუსია ოკუპანტი თუ თურქი?** თურქების მიერ დაპყრობილი აჭარა სელიმ ხიმშიაშვილმა და მემედ ბეგ აბაშიძემ დიდი ბრძოლის შემდეგ დაუბრუნეს სამშობლოს. **დღეს ვდგავართ საფრთხის წინაშე, რომ კვლავ წაგვართვან საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე,** მაგრამ აჭარელი ხალხი არ დავთმობთ. თურქების მასობრივი ჩამოსახლება კარგს არაფერს მოუტანს აჭარას. **ქვეყანაში თურქების ფეხის მოკიდებას ამჟამინდელი მთავრობაც ხელს უწყობს. არ სურთ თურქეთთან ურთიერთობის გაფუჭება.**

**ყველაზე მეტად ის მტკენს გულს, რომ ქართველი გოგოები, რომლებსაც მატერიალურად უჭირთ, მდიდარ თურქებს მიჰყვებიან ცოლად. ჩვენი ერი, სამწუხაროდ, ფულზე იყიდება.**

თურქი ქართველს საქართველოში კაპიკებად ამუშავებს. მაგალითად, სასტუმრო „ინტურისტი“ თურქებმა გაარემონტეს. სამუშაოების შესრულებაში თურქებს ორჯერ მეტ ხელფასს აძლევდნენ, ვიდრე ქართველებს.

— **გამოსავალს ხედავთ?**

— **რუსეთთან უნდა დავათბოთ ურთიერთობა. თუ ასე მოხდება, სავაჭრო ურთიერთობაც აგვეწყობა და ქართველს აღარ დასჭირდება, საკუთარ ქვეყანაში თურქს დაემონოს.** ან გგონიათ, თურქს უღირს ბათუმში ბიზნესის კეთება და მართლა დიდ ფულს შოულობს? როგორც ამბობენ, ამ ადამიანებს თურქეთის ხელისუფლება უხდის ფულს, რათა აჭარაში ფეხი მოიკიდონ, ეს ბიზნესი კი მათთვის მეასეხარისხოვანია.

მოამზადა
**მაია გელაშვილმა**

---

ანონსი

## გურამ გირგვლიანი: ყოფილ ხელისუფლებას ის მაინც აქვს სათქმელი, გირგვლიანის საქმეზე ადამიანები დავსაჯეთო...

**სანდრო გირგვლიანის მამის — გურამ გირგვლიანის განცხადებით, გირგვლიანის საქმეში ძალიან ბევრი ახალი გვარი გამოიკვეთა, „ძალიან ბევრია დაჭერილიც.“**

გურამ გირგვლიანი მოსამართლეს უნდობლობას უცხადებს, ხოლო ხელისუფლების მისამართით უკმაყოფილებას გამოთქვამს.

„ყოფილმა ხელისუფლებამ უფრო მეტი იმუშავა სანდრო გირგვლიანის საქმეზე, ვიდრე ამ ხელისუფლებამ. ყოფილმა ხელიუფლებამ ის მაინც გააკეთა, რომ ფასადურად აჩვენა საზოგადოებას, თითქოს ამ საქმეზე მუშაობდა. იმას მაინც იტყვიან, რომ გირგვლიანის საქმეზე ადამიანები დავსაჯეთო. ამ ხელისუფლების პირობებში, მე ვერ ვნახე, რომ ვინმე დასჯილიყო. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ყოფილ და ამჟამინდელ ხელისუფლებას რაღაც აქვს საერთო,“ — განაცხადა გურამ გირგვლიანმა.



ვერავინ ხსნის, საიდან გაჩნდა ღამის 12 საათზე ხელკეტებით შეიარაღებული 200 ახალგაზრდა და ერთ-ერთი ტელევიზია ინციდენტის ადგილზე. აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს წინ გარდაბნის „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე და პროპორციული სიის პირველი ნომერი, ყოფილი პარლამენტარი რამინ ბაირამოვი მიუძღვოდა. მეორე დღესაც პროცესებს ბაირამოვი აკონტროლებდა და თბილისიდან გიგი უგულავასა და გიგა ბოკერიას ჩასვლას ელოდა...

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ნაცმოძრაობა» გარდაბანში ეთნოკონფლიქტს ამზადებს

**2013 წლის თებერვალში მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რუსეთში გარკვეული ადამიანების ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც გარდაბნელი აზერბაიჯანელი, ვინმე სადიკოვი ხელმძღვანელობს და რომ გარდაბანში იგეგმება არეულობა, რომელიც, შესაძლოა, იმავე სცენარით განვითარდეს, როგორითაც ეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შემთხვევაში მოხდაო. იმხანად ეს სერიოზულად არავინ აღიქვა და, სავარაუდოდ, სააკაშვილი ვერც იფიქრებდა, რომ მისი განცხადებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ გარდაბანში სიტუაციას მისი პარტიის თავმჯდომარე არევდა.**


რამინ ბაირამოვი

**«მამა-შვილ ბაირამოვების სახელს უკავშირდება რაიონის მასშტაბით არსებული მაღაზიებისა თუ სხვა ობიექტების დატერორება. აზერბაიჯანელი მეწარმეები დღესაც არ ფარავენ, რომ ბაირამოვის პარლამენტარობის პერიოდში, ყოველი არჩევნების წინ ხარკს იხდიდნენ და ამ ხარკის ამკრეფი პირადად გამბარ ბაირამოვი იყო»**

28 მაისს გარდაბნის რაიონში ახალგაზრდებს შორის ჩხუბი მოხდა. ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი ჩხუბი იყო, ისეთი, როგორიც, ალბათ, საქართველოს ყველა კუთხეში ხდება ხოლმე, მაგრამ ინციდენტს საინტერესო გაგრძელება მიეცა. **ჩხუბი ოთხ ახალგაზრდას შორის ღამის 12 საათზე დაიწყო და უკვე 2 საათში გარდაბანი ბრძოლის ველს დაემსგავსა — ორასამდე ახალგაზრდა ერთმანეთისკენ იწევდა, შუაში კი რუსთავის სპეცდანიშნულების რაზმის წევრები იდგნენ.**

მეორე დღეს უკვე ხუთასამდე აზერბაიჯანელი ახალგაზრდა გამოვიდა ქუჩაში და, თუ ისინი ჯერ ჩხუბის მონაწილეების დასჯას მოითხოვდნენ, შემდეგ ეს მოთხოვნა შეცვალეს, **ავტომობილებზე აზერბაიჯანის დროშები გამოჩნდა და დემონსტრანტებმაც „აზერბაიჯან-აზერბაიჯან“-ის სკანდირებით ქალაქის ქუჩებში ჩაიარეს.** გავრცელდა ინფორმაცია, აზერბაიჯანელები გარდაბანში სვანების დასახლების დარბევას აპირებენო და დასახლების შესასვლელთან უკვე სვანები შეიკრიბნენ. სპეცდანიშნულების რაზმმა დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთთან არ მიუშვა. **ამის შემდეგ აზერბაიჯანელები, რომლებსაც ხელში ხელკეტები და ხანჯლები ეჭირათ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბისკენ დაიძრნენ, ითქვა, რომ ისინი შტაბის დარბევას აპირებდნენ.** პოლიციამ „ქართული ოცნების“ წევრებს შტაბის დატოვება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო.

„მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლები არ ვართ, არც ერთი ჩვენი აქტივისტი არც 28 მაისს, ღამით, და არც ახლა დაპირისპირებაში არ მონაწილეობს; ჩვენ გვჯერა აზერბაიჯანელების კეთილგონიერების და ამიტომ შტაბში ვრჩებით“, — ასეთი იყო პასუხი და... აზერბაიჯანელმა დემონსტრანტებმა „ოცნების“ შტაბთან მშვიდად ჩაიარეს.

რაც შეეხება უშუალოდ კონფლიქტსა და მის ორგანიზატორებს, არავინ მალავს, რომ ჩხუბი მართლაც მოხდა, მაგრამ **ვერავინ ხსნის, საიდან გაჩნდა ღამის 12 საათზე ხელკეტებით შეიარაღებული 200 ახალგაზრდა და ერთ-ერთი ტელევიზია ინციდენტის ადგილზე. აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს წინ გარდაბნის „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე და პროპორციული სიის პირველი ნომერი, ყოფილი პარლამენტარი რამინ ბაირამოვი მიუძღვოდა. მეორე დღესაც პროცესებს ბაირამოვი აკონტროლებდა და თბილისიდან გიგი უგულავასა და გიგა ბოკერიას ჩასვლას ელოდა, მაგრამ...**

**«სიტუაცია უმართავი გახდა, ვერაფერს ველარ ვაკონტროლებ, მიშველეთ!» — გაჰკიოდა ბაირამოვი ტელეფონში, როცა 500-მდე აქტივისტმა პოლიტიკური მოთხოვნა ფეხებზე დაიკიდა და «აზერბაიჯან-აზერბაიჯან»-ის ყვირილი დაიწყო**

**„სიტუაცია უმართავი გახდა, ვერაფერს ველარ ვაკონტროლებ, მიშველეთ!“ — გაჰკიოდა ბაირამოვი ტელეფონში, როცა 500-მდე აქტივისტმა პოლიტიკური მოთხოვნა ფეხებზე დაიკიდა და „აზერბაიჯან-აზერბაიჯან“-ის ყვირილი დაიწყო.** უგულავამ და ბოკერიამ, როგორც სხვა შემთხვევაში, ახლაც „ივაჟკაცეს“ და ავტომობილი რუსთავიდან მიაბრუნეს. გავეშებულ მოსახლეობას კი ბაირამოვი შერჩა ხელში, რომელსაც არავინ აღარაფერს ეკითხებოდა. **შტაბის წინ ბაირამოვი უშვერი სიტყვებით ლანძღავდა თავის ხელმძღვანელობას, მერე კი გარდაბნის რაიონის გამგებლობის კანდიდატ ბესიკ კახაბრიშვილს დაურეკა, მაგრამ მდუღარე ქვაბში ჩახტომა არც კახაბრიშვილმა ისურვა და გარდაბნის ცენტრს არ გაეკარა.** ამან ბაირამოვი სულ გააცოფა, ახლა კახაბრიშვილი „მოიკითხა“ და ისიც გაიხსენა, — ეგ კაცი ქურდობისთვის არის ნასამართლევი, ციხეში იჯდაო. **საბოლოოდ, ახალგაზრდები ადგილობრივმა უხუცესებმა დაშალეს და მეორე დღეს, ყოველგვარი პოლიტიკური აქტივობის გარეშე, 28 მაისის ჩხუბის მონაწილეები შეარიგეს.**

ახლა კი რამინ ბაირამოვსა და ბესიკ კახაბრიშვილზე მოგახსენებთ. პარლამენტში ყოფნის პერიოდში მისი სახელი „ჰუმან რაითს ვოთჩის“ ანგარიშშიც მოხვდა. საქმე რამინსა და მის მამას, გამბარ ბაირამოვს, შეეხებოდა. **გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში მცხოვრები მამედ რაჯაბოვი დღემდე ამტკიცებს, რომ ციხეში მყოფი შვილის შეწყალების სანაცვლოდ, გამბარ და რამინ ბაირამოვებს 18 ათასი დოლარი გადაუხადა, მაგრამ შვილი საპყრობილიდან ვერ დაიხსნა. ბაირამოვის სახელს უკავშირდება სოფელ ქესალოში არსებული მძიმე სიტუაციის გასაშუქებლად ჩასული პირველი არხის ჟურნალისტის ცემა, რასაც „ჰუმან რაითს ვოთჩის“ წარმომადგენლები შეესწრნენ.**

**გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში მცხოვრები მამედ რაჯაბოვი დღემდე ამტკიცებს, რომ, ციხეში მყოფი შვილის შეწყალების სანაცვლოდ, გამბარ და რამინ ბაირამოვებს 18 ათასი დოლარი გადაუხადა, მაგრამ შვილი საპყრობილიდან ვერ დაიხსნა. ბაირამოვის სახელს უკავშირდება სოფელ ქესალოში არსებული მძიმე სიტუაციის გასაშუქებლად ჩასული პირველი არხის ჟურნალისტის ცემა, რომელსაც «ჰუმან რაითს ვოთჩის» წარმომადგენლები შეესწრნენ**

**მამა-შვილ ბაირამოვების სახელს უკავშირდება რაიონის მასშტაბით არსებული მაღაზიებისა თუ სხვა ობიექტების დატერორება. აზერბაიჯანელი მეწარმეები დღესაც არ ფარავენ, რომ ბაირამოვის პარლამენტარობის პერიოდში, ყოველი არჩევნების წინ ხარკს იხდიდნენ და ამ ხარკის ამკრეფი პირადად გამბარ ბაირამოვი იყო.**

ადგილობრივები ამბობენ, რომ ბაირამოვს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებთან ურთიერთობა დაეძაბა, რადგან საჭირო დროს ის, პრაქტიკულად, მარტო დატოვეს და მოსახლეობის რისხვის ობიექტად აქციეს. რამინი ხვდება, რომ არჩევნების შემდეგ მას, შესაძლოა, გარდაბნის ქუჩებში გასვლის პრობლემაც კი შეექმნას — ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნას აზერბაიჯანელები არ აპატიებენ. სწორედ ამიტომ ის „ნაციონალებს“ უსაფრთხოების გარანტიებს სთხოვს და საკუთარ ოფისში, პრაქტიკულად, აღარ ჩნდება. დაგეგმილი პროვოკაციის ჩავარდნის შემდეგ კი რამინს თბილისიდან აშკარად აღარ სწყალობენ.

**რაც შეეხება კახაბრიშვილს. ის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გამგებლობის კანდიდატი ქურდობისთვის არის ნასამართლევი, ყველამ კარგად იცის. სხვათა შორის, მან ნემსების დიდი პარტია მოიპარა და გამოთქმა: ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი, ორივე ქურდიაო, მასზე ზედგამოჭრილია; მით უმეტეს, რომ ამ დანაშაულის გამო მას შვიდწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.** კახაბრიშვილის სახელს უკავშირდება ახალ სოფელში მარჩენალდაკარგული ოჯახის დაწიოკება და ოთხი ბავშვის ქუჩაში დატოვება. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ კახაბრიშვილი მოსახლეობას პირისპირ არ ხვდება და კულუარულად ცდილობს საარჩევნო კამპანიის წარმოებას.

რაც შეეხება დღეს გარდაბანში არსებულ სიტუაციას, ვითარება, ერთი შეხედვით, მშვიდია, აზერბაიჯანელი უხუცესები დამნაშავეების დასჯას მოითხოვენ, იმის მიუხედავად, დამნაშავე აზერბაიჯანელია თუ ქართველი. მათი აზრით, ხალხს სამართლიანობის განცდა უნდა დაუბრუნდეს.

**დავით მინდიაშვილი**

მოკლედ

## «საქართველოში მოქმედი სააგენტო გეიწყვილებზე ბავშვების გაშვილებით არის დაკავებული»

**ასოციაცია „მომავლის იმედის“ ხელმძღვანელ თამარ ხაჭაპურიძის განცხადებით, საქართველოში მსოფლიო ქსელის ოფისი ფუნქციონირებს, რომელიც გეიწყვილებზე ბავშვებს ყიდის ან აშვილებს. საუბარია სააგენტო New life global Network-ზე.**

„საქართველოში ფუნქციონირებს მსოფლიო ქსელის სათაო ოფისი, რომელსაც აქვს ფილიალები სხვადასხვა ქვეყანაში. ეს სათაო ოფისი თავისი ფილიალებით სრულიად ოფიციალურად ემსახურება გეიწყვილებისთვის ბავშვების მიყიდვა-მიშვილებას. როგორც ოფისში აცხადებენ, ისინი გეიწყვილებს ემსახურებიან მხოლოდ ინდოეთში და ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც ფერადკანიანი მოსახლეობაა. მაგრამ ევროპელ გეიწყვილებს და ჰომოსექსუალებს არ უნდათ ფერადკანიანი ბავშვების აყვანა და ისინი იყენებენ ქართველ დონორებს. ყოველთვიურად ათობით ქართველი ქალი ჩაჰყავთ ამ ქვეყნებში, მათგან იღებენ გენეტიკურ მასალას და ამით უზრუნველყოფენ ევროპელ გეიწყვილებს ქართველი ბავშვებით. ზოგიერთ ქვეყანაში ნებადართულია ჰომოსექსუალების მომსახურება ხელოვნური ჩასახვის მეთოდებით, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ნებადართულია მხოლოდ ქალისა და მამაკაცისაგან შემდგარი ოჯახის მომსახურება. ამიტომ ასეთი ცენტრის სათაო ოფისის საქართველოში ფუნქციონირება, რა თქმა უნდა, კანონდარღვევაა“, — განაცხადა თამარ ხაჭაპურიძემ.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვფიქრობ, ჩვენი ამერიკელი კოლეგები თავიანთი თურქი მეგობრებისა და პარტნიორების მეშვეობით, გარკვეულ აფხაზურ წრეებზე მათი გავლენის გამოყენებით აფხაზეთში ვითარების დესტაბილიზაციას ცდილობენ, რათა რუსეთს კიდევ ერთი თავის ტკივილი „აჩუქონ“.**

# ალექსანდრე ჭაჭია: ის, რაც აფხაზეთში მოხდა, რეგიონში თურქული და ამერიკული სპეცსამსახურების გამარჯვებაა

ამ დღეებში აფხაზეთში განვითარებული მოვლენების შესახებ ბევრი ითქვა. როგორც ცნობილია, სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, ალექსანდრე ანქვაბი რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შემდეგ გადადგა. ერთ-ერთი რუსული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ალექსანდრე ჭაჭიამ ჯერ კიდევ ანქვაბის გადადგომამდე სოხუმში მიმდინარე პროცესებში თურქეთისა და ამერიკის შესაძლო როლზე და მაიდანთან მის მსგავსებაზე ისაუბრა. სოხუმში მიმდინარე პროცესების მისეულ შეფასებას მცირედი შემოკლებით აქვე გთავაზობთ.



**მორიგი მაიდანი (ან „ბოლოტნაია“, ვისაც როგორ მოსწონს) მოხდა საკურორტო აფხაზეთში. ადგილობრივი მოსახლეობა სოხუმში სახალხო შეკრებაზე მივიდა, რათა უკმაყოფილება გამოეხატა „კორუფციის მაღალი დონის გამო“, „სახელმწიფო პრობლემების გამო“, რომლებიც არ გვარდება... მიტინგზე გამომსვლელთა აზრით, ქვეყნის პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი მეტისმეტად სუსტად ატარებს რუსეთთან ინტეგრაციის კურსს. შედეგად, მრავალათასიანი მიტინგის შემდეგ, აგზნებული ბრბო ლიდერთა მოწოდებებს გამოეხმაურა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობა დაიკავა. ქვეყნის მეთაურმა შენობა დატოვა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შესახებ განაცხადა. რეგიონის სპეციფიკისა და პრორუსული ლოზუნგების მიუხედავად, ამ აქციის უკან, შესაძლოა, თურქეთისა და აშშ-ის სპეცსამსახურები იდგნენ, რომლებიც რუსეთის საზღვრებზე ქაოსის კონცეფციის განვითარებას განაგრძობენ.**

**სამხრეთ ოსეთშიც მაიდნის შესაძლო გამეორებაში თურქეთისა და აშშ-ის როლზე და იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია კონფლიქტის უსისხლოდ მოგვარება, nakanune.ru-ს ესაუბრა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია.**

**— სოხუმში სახალხო შეკრება პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობის აღებაში გადაიზარდა. რა ხდება — მორიგი კიევის ტიპის მაიდანი თუ ეს თავისი მიზეზებითა და შედეგებით სხვა რიგის მოვლენაა?**

— ვფიქრობ, მსგავსება ძალიან სერიოზულია, ძალიან ბევრია საერთო; ამასთან, აფხაზეთში ფარულად ხდება ისეთი რაღაცებიც, რომელთა შესახებ მეტ-ნაკლებად ინფორმირებული ვარ, და რომლებიც მოწმობს, რომ ყველაფერი ერთ მიზანს ემსახურება. ყურადღება მიაქციეთ, ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც იქ პროტესტანტები აყენებენ, კორუფციას, რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის გაღრმავებას და გალის რაიონის მცხოვრებთა, მათი აზრით, უკანონო პასპორტიზაციის შეწყვეტას ეხება.

რაც შეეხება კორუფციას, ძნელი განსასჯელია. კორუფციის ფაქტები, უდავოდ, არსებობს, ისევე, როგორც ყველგან, პოსტსაბჭოთა სივრცეში. სამწუხაროდ, ის წყობა, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში ცდილობს დამკვიდრებას, ჩვენს პირობებში სწორედ კორუფციის გაძლიერებას გულისხმობს, ამიტომ ამაში ახალი არაფერია.

**რაც შეეხება რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის გაღრმავებას, ჩემი აზრით, ანქვაბი ამისთვის მაქსიმალურად ყველაფერს აკეთებდა. ვერ ვიტყვი, რომ ვინმე მის ადგილას მეტს შეძლებდა.**

**რაც შეეხება გალის რაიონის მცხოვრებთა პასპორტიზაციას, დამეთანხმეთ, რომ საკუთარი მოსახლეობისთვის პასპორტების გაცემაზე უარის თქმა — ეს რაღაც კვაზიბალტიისპირეთული ვარიანტია ანდა კვაზისამხრეთაფრიკული, აპარტეიდის პერიოდში. როგორ შეიძლება ამის აღქმა და როგორ შეუძლია სახელმწიფოს ოფიციალურ ხელმძღვანელს, განაცხადოს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაურიგებს პასპორტებს თავისი ქვეყნის მცხოვრებთ, თანაც მკვიდრ მოსახლეობას?!**

**— ანუ ეს ლოზუნგები საკმაოდ დეკლარაციულია და კონფლიქტის ჭეშმარიტ მიზეზებზე არაფერს ამბობს?**

— ჩემი აზრით, ეს ლოზუნგები ხელოვნურია, ხოლო ლოზუნგი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის განმტკიცების თაობაზე ჭეშმარიტი მიზეზების გადასაფარად განკუთვნილს ჰგავს. ვფიქრობ, რუსეთის ნამდვილი მეგობრები, რომლებსაც მასთან დაახლოება, მეგობრული და ძმური ურთიერთობა სურთ, როგორც ამას აცხადებენ, ახლა, მოცემულ ისტორიულ მომენტში არ წამოიწყებდნენ ასეთ არეულობას რუსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობს. უკრაინის სიტუაციის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ნებისმიერი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი, რომელიც, უბრალოდ, სიმპათიით არის განწყობილი რუსეთის მიმართ, თავს შეიკავებდა მკვეთრი ქმედებებისგან, იმიტომ, რომ რუსეთს ახლა ამისთვის არ ცხელა. გაცილებით უფრო სერიოზული გამოწვევები არსებობს, რომლებსაც ის უნდა გაუმკლავდეს. რუსეთის მტერს შეეძლო მსგავსი გამოსვლების ინსპირირება სხვა ტერიტორიებზე, უკრაინის გარდა, რათა რუსეთისთვის კიდევ ერთხელ ეჩქმიტა და სხვაგვარ მოქმედებებზე მისი პროვოცირება მოეხდინა.

**— ყბადაღებული „სახელმწიფო დეპარტამენტის ხელი“?**

**— ვფიქრობ, ჩვენი ამერიკელი კოლეგები თავიანთი თურქი მეგობრებისა და პარტნიორების მეშვეობით, გარკვეულ აფხაზურ წრეებზე მათი გავლენის გამოყენებით აფხაზეთში ვითარების დესტაბილიზაციას ცდილობენ, რათა რუსეთს კიდევ ერთი თავის ტკივილი „აჩუქონ“. ჩემი წარმოდგენით, მიმდინარე მოვლენების რეალური მექანიზმები ასეთია — ისინი საკმარისად მარტივი და გასაგებია.**

**— თუ გადატრიალება გარედან არის ინსპირირებული, უნდა მოველოდეთ თუ არა ამგვარი მოვლენების სამხრეთ ოსეთში გამეორებას?**

— სამხრეთ ოსეთშიც მწიფდება სხვადასხვა მოვლენები, რომლებიც პარლამენტის არჩევნებს უკავშირდება. ალბათ, ეს არჩევნები ექსცესების გარეშე არ ჩაივლის, მაგრამ იქ სიტუაცია ცოტა სხვაგვარია. სამხრეთ ოსეთს არ აქვს ისეთი კავშირი გარე სამყაროსთან, როგორც აფხაზეთს. სამხრეთ ოსეთში არ არის უცხო სახელმწიფოების ისეთი გავლენა (რუსეთის გარდა), როგორიცაა აფხაზეთში. მხედველობაში მაქვს საკმაოდ მჭიდრო კავშირი გარკვეულ პოლიტიკურ, ფინანსურ აფხაზურ ჯგუფებსა და თურქეთს შორის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თურქეთში დიდი აფხაზური და, საერთოდ, ჩრდილოკავკასიური დიასპორა ცხოვრობს. აფხაზეთი ყოველთვის ტკბილი ლუკმა და ნანატრი ტერიტორია იყო თურქეთის დიდი იმპერიის აღდგენის მომხრეებისთვის. აფხაზეთის მეშვეობით, აქ თავისი გავლენის დამყარებით თურქეთი პირდაპირ კონტაქტს დაამყარებს ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან, ხოლო ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებს აფხაზეთისა და ზღვაზე გასასვლელის დახმარებით შესაძლებლობა აქვთ, უშუალო კონტაქტი იქონიონ ერთმორწმუნე თურქეთთან.

**მრავალი წლის განმავლობაში თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი გეოპოლიტიკური გეგმა ტყუილად როდი იყო ერთიანი სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნა ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე, აფხაზეთის ჩათვლით (იმისათვის, რომ ამ წარმონაქმნს ზღვაზე გასასვლელი ჰქონოდა) და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან შემდგომი გამოყოფით. ეს გეგმა ცნობილია ე. წ. თურქეთის გენშტაბის გეგმის სახელწოდებით, რომლის განხორციელებისთვის კავკასიაში ძალიან ბევრი მოვლენა ხდებოდა.** ერთი შეხედვით, ეს მოვლენები გაუგებარი იყო, მაგრამ, თუ ამ გეგმას იცნობ, გასაგები ხდება ბევრი რამ, რაც კავკასიის რეგიონში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან ხდებოდა. მიმაჩნია, რომ ეს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციაა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: რუსეთის მეგობრები, ადამიანები, რომლებსაც რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავება სურთ, არ წავლენ ისეთ ქმედებებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, რუსეთისთვის ზურგში დანის ჩარტყმას უდრის.

**— შარშან ვლადისლავ სურკოვი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის პოსტზე დაინიშნა. ზოგიერთ წყაროში აღნიშნული იყო, რომ ის უკრაინაზეც აგებს პასუხს. შეგვიძლია თუ არა დავასკვნათ, რომ მისი მუშაობა ბევრ რამეში ჩავარდა და შედეგი არ მოიტანა?**

— ჩემთვის რთულია განსჯა, რა სამუშაოს ატარებდნენ რეგიონში სურკოვი და მისი გუნდი. ვიცი, რომ ის ურთიერთობდა ოპოზიციასთან. ამ შეხვედრების შინაარსი ჩემთვის, ბუნებრივია, უცნობია, მაგრამ აფხაზურ ოპოზიციასთან მუშაობამ, ვისაც უნდა ჩაეტარებინა ის — სურკოვს თუ ვინმე სხვას, შედეგი არ მოიტანა, თუ გუშინდელი მოვლენებიდან გამოვალთ. შესაძლოა, ამას ჩავარდნა არ დაერქვას, რადგან სრული ინფორმაცია არ გვაქვს — როგორ და ვისთან ტარდებოდა მუშაობა, მაგრამ ის, რაც აფხაზეთში მოხდა, უდავოდ რეგიონში თურქული და ამერიკული სპეცსამსახურების გამარჯვებაა.

**— ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა მოიქცნენ აფხაზეთის ხელისუფლება და რუსეთი?**

— დარწმუნებული ვარ, ეს გამარჯვება დროებითია; დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ანკესზე არ წამოეგება, თუკი მათ აუხსნიან, რა ხდება, ვინ დგას ამის უკან და რა შეიძლება ამან გამოიწვიოს. ასეთი განმარტება დღეს არავისგან მომისმენია. თუ მოსახლეობას, ფართო საზოგადოებრიობას აუხსნიან, რა ძალები დგას სახელმწიფო გადატრიალების ამ მცდელობის უკან, რას ნიშნავს ეს დღევანდელი მსოფლიო მოვლენების კონტექსტში, რა შედეგების მოტანა შეუძლია ამას არამარტო აფხაზეთის, არამედ რუსეთისთვის, რა სიტუაციას შექმნის მთელ რეგიონში; თუ მათ აუხსნიან, როგორ შეიცვლება რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება აფხაზეთის, აფხაზი საზოგადოების მიმართ, აფხაზეთის საზოგადოება თავის ქვეყანაში ასეთ მასშტაბურ დესტაბილიზაციას არ დაუშვებს. ეს მნიშვნელოვანია ისეთ მძიმე ვითარებაში, როგორიც უდგას ახლა რუსეთს, უკრაინას, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობას და რუსეთის ურთიერთობას დასავლეთთან. აი, თუ ამ ყველაფერს ნორმალურად, მკაფიოდ და გასაგებად აუხსნიან, მაშინ, ისტორიული პარალელების დახმარებით, რომელთა გავლება აფხაზებს შეუძლიათ, ვფიქრობ, საზოგადოება მიხვდება ყველაფერს და ოპოზიციონერებს მასობრივი მხარდაჭერა არ ექნებათ.

**— მიუხედავად ამისა, გუშინ ოპოზიციას მხარი დაუჭირეს, ე. ი. სახალხო მრისხანებისთვის წინაპირობები არსებობს?**

— რა თქმა უნდა, აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკით ამგვარი უკმაყოფილების გამოხატვის ობიექტური წინაპირობები არსებობს, მაგრამ ისინი ყველგან არის. სხვა საქმეა, რომ ძალიან ბევრი უკრაინელი მაიდანზე იმ საშინელ კორუფციასთან საბრძოლველად გამოვიდა, რომელიც ქვეყანაში იყო და არის გამეფებული. მაგრამ შედეგად რა მიიღეს? — უარესი კორუფციონერები. გამოდიოდნენ ეროვნული ლოზუნგებით, ხელისუფლებაში კი ყველა ეთნიკური არაუკრაინელი აღმოჩნდა, რომელთაც აშშ-ის ბანკებში აქვთ შენახული უზარმაზარი კაპიტალი, რომელიც უკრაინის ეკონომიკას ბოლომდე დასამარებას უქადის. მათ უნდა აუხსნან ადამიანებს — ამ სიტუაციაში ვინ მანიპულირებს მათით და მსგავს ქმედებებს ფართო მხარდაჭერა არ ექნება.

ანქვაბის მოღვაწეობას ძალიან ბევრი უარყოფითი მხარე აქვს, პირველ რიგში, საკადრო პოლიტიკა, მაგრამ ეს რეგიონის სპეციფიკაა. ესეც გასათვალისწინებელია. დარწმუნებული ვარ, ვინც უნდა მოვიდეს ანქვაბის ადგილას, საკადრო პოლიტიკა აფხაზების ორი მესამედისთვის მაინც არ იქნება მისაღები.

**— შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ მოვლენები აქ მშვიდობიანად, სისხლისა და მსხვერპლის გარეშე განვითარდება?**

— ამის დიდი იმედი მაქვს, რადგან შეუძლებელია, სისხლი ერთხელ დაიღვაროს და ამით დასრულდეს ყველაფერი, ეს ხანგრძლივი პროცესი იქნება. ანქვაბს ეს მშვენივრად ესმის, ამიტომ მიიღო ადმინისტრაციის შენობის დატოვების გადაწყვეტილება, მოერიდა მისი პირადი დაცვის დემონსტრანტებთან შეჯახებას, რათა მსხვერპლი არ ყოფილიყო. ეს სიტუაციის განვითარების ყველაზე არასასურველი სცენარია — თუკი შემთხვევით რამდენიმე ადამიანის სისხლი დაიღვრება. ვფიქრობ, მხარე, რომელიც სიტუაციის პროვოცირებას ახდენს, მის გამწვავებასაც შეეცდება; მას ეს გათვლილი აქვს და ხელისუფლება ამ პროვოკაციაზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა წამოეგოს. იმ მომენტიდან, შესაძლოა, შეუქცევადი პროცესები დაიწყოს.

ესაუბრა
**სერგეი ტაბარინცევ-რომანოვი**
**28 მაისი, 2014 წ.**

ამბოხებულებიც და მასთან დაპირისპირებულებიც იმისთვის, რომ მოსახლეობა მართონ, იყენებენ თანხმობისა და იძულების (ძალდატანების) ნაზავს. ამბოხებულები იყენებენ ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, მათ შორის, პოლიტიკურ (დიპლომატიურ), საინფორმაციო (აპელირება ხდება რელიგიურ, ეთნიკურ, ისტორიულ, ნაციონალურ, კლასობრივ, პოლიტიკურ ტომობრივ და, იდეოლოგიურ მრწამსზე), სოციალურ, სამხედრო და ეკონომიკურ ინსტრუმენტებს მმართველობის არსებული ორგანოს დასამხობად ან მისთვის ძირის გამოსათხრელად.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ახალი ამერიკული ინსტრუქცია ამბოხების მოსამზადებლად

**2014 წლის მაისში აშშ-ის არმიისთვის გამოიცა ახალი სახელმძღვანელო ამბოხების ორგანიზებისა და ამბოხებულებთან ურთიერთქმედების შესახებ. ამ სახელმძღვანელო-ინსტრუქციას ჰქვია: INSURGENCIES AND COUNTERING INSURGENCIES, ანუ „ამბოხებების შექმნა და ამბოხებების საწინააღმდეგო ქმედებები“. ინსტრუქციის ძველ ვარიანტს კი ერქვა „ამბოხების საწინააღმდეგო ქმედებები“. როგორც ჩანს, ამერიკელებმა ბევრი რამ გაითვალისწინეს რუსეთის გენერალური შტაბის პოლკოვნიკის, პროფესორ ევგენი მესნერის თეორიიდან ამბოხება-ომების შესახებ.**






**ამერიკელების მიერ შემუშავებულ ახალ დოკუმენტში დაწვრილებით არის აღწერილი:**

* როგორ უნდა იმუშაოს პროპაგანდისტულმა მანქანამ (ამბოხებულთა მანქანამ და მათ საწინააღმდეგოდ მოქმედმა მანქანამაც);

* როგორ უნდა წარიმართოს ვირტუალურ სივრცეში მოქმედებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ან პირიქით — შეუშლის ამბოხებებს.

ამ 200-გვერდიანი დოკუმენტის მეხუთე თავში დაწვრილებით არის აღწერილი, როგორი უნდა იყოს მეამბოხეთა პოლიტიკური (პროპაგანდისტული) აქტივობა. მეშვიდე თავში კი მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, როგორ უნდა იმოქმედონ ამბოხებულებმა ინტერნეტ-სივრცეში.

გრაფიკაზე კარგად ჩანს, რომ აშშ-ის მიერ დაგეგმილი ტიპური ამბოხება — ომი 3-დან 10 წლამდე და, ზოგ შემთხვევაში, კიდევ მეტ ხანს შეიძლება გაგრძელდეს. პირველ 3-5 წელიწადს ამერიკელები **ადრეულ ფაზას** (ანუ შესავლის, ზრდის ფაზას) უწოდებენ, შემდეგი 3-5 წელი **კონფლიქტის მომწიფების ფაზაზე** მოდის, ამის შემდეგ კი **დასრულების ფაზაა**.

დოკუმენტიდან ჩანს, რომ **აშშ გულმოდგინედ გეგმავს თავის მონაწილეობას ამბოხება-ომებში** (არა მხოლოდ ჩახშობის, არამედ ორგანიზების მიზნითაც). **ეს დოკუმენტი 2014 წლის 13 მაისამდე (დამტკიცების თარიღი) გაცილებით ადრე შეიქმნა.**

ამერიკელ ექსპერტებს დაწვრილებით აქვთ დამუშავებული ცნება ე. წ. მიმღები ქვეყნის, მიმღები ნაციისა, რომელსაც ორიგინალში ეწოდება Host-Nation. ეს შეიძლება იყოს როგორც ლეგიტიმური, ისე არალეგიტიმური ხელისუფლება, მთავარია, რომ აშშ-მა ის განსაზღვროს, როგორც აშშ-ის შეიარაღებული ძალებისგან დახმარების მიმღებ ნაცია. აქედან გამომდინარე, „ამბოხებულად“ ავტომატურად შეიძლება იქცეს კანონიერი ხელისუფლება, რომლის წინააღმდეგაც აჯანყდა „მიმღები ნაცია“. ლეგიტიმურობას მნიშვნელობა არ აქვს — იმ ორგანოს, რომელსაც აშშ დაეხმარება, შეიძლება „მმართველობის შუალედური ორგანო“ ეწოდოს (რომელიც ქვეყნის მთავრობა არ იქნება).






Figure 1-1. Country team command relationships

**განსაკუთრებით გამაოგნებელია ინსტრუქციის ერთ-ერთი თავი — „კანონიერება და კონტროლი“.**

* კონკრეტული საზოგადოება განსაზღვრავს, ვის აქვს ლეგიტიმურობა წესების შესამუშავებლად და მთავრობის ჩამოსაყალიბებლად ამ საზოგადოებისთვის. საზოგადოების ფასეულობები და კულტურული ნორმები განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა იყოს მისთვის, ვინც საზოგადოებამ კანონიერ ხელისუფლებად უნდა აღიქვას.

*** ამბოხებულებიც და მასთან დაპირისპირებულებიც იმისათვის, რომ მოსახლეობა მართონ, იყენებენ თანხმობისა და იძულების (ძალდატანების) ნაზავს. ამბოხებულები იყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, მათ შორის, პოლიტიკურ (დიპლომატიურ), საინფორმაციო (აპელირება ხდება რელიგიურ, ეთნიკურ, ისტორიულ, ნაციონალურ, კლასობრივ, პოლიტიკურ ტომობრივ და, იდეოლოგიურ მრწამსზე), სოციალურ, სამხედრო და ეკონომიკურ ინსტრუმენტებს მმართველობის არსებული ორგანოს დასამხობად ან მისთვის ძირის გამოსათხრელად.**

* აღქმა იმისა, რა არის კანონიერი და რა არა, შეიძლება იცვლებოდეს. **მოსახლეობა კონტროლდება თანხმობისა და იძულების (ძალდატანების) შეთავსების გზით.** თუკი იძულების აქტები ხელისუფლების ან ამბოხებულთა მიერ გამართლებულია მოსახლეობის ფასეულობების ნორმების შესაბამისად, მაშინ ასეთი აქტები აუცილებლად არ გამოუთხრის ძირს მთავრობის ან მიმღები ქვეყნის ლეგიტიმურობას.

**ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘᲪ ᲙᲘ, ᲗᲣ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲚᲔᲒᲘᲢᲘᲛᲣᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲗᲕᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲝᲮᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲐᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲓᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ**



*** იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსახლეობა ლეგიტიმურად არ თვლის ამბოხებულებს ან ხელისუფლებას, ეფექტიანი კონტროლის განხორციელება ძალდატანების გზით შეიძლება.**

**ინსტრუქციაში არის სქემა, როგორ უნდა გამოიყურებოდეს კანონიერი ქვეყნის ხელმძღვანელობის ურთიერთობა აშშ-ის ადმინისტრაციასთან.**

**აქ აღსანიშნავია როლი USAID-ისა (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო), რომელიც უშუალოდ აკონტროლებს და მართავს სიტუაციას.** გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2 კვირის წინათ USAID-ს უკრაინულმა ოფისმა გამოაცხადა თანამშრომლების (აშშ-ის მოქალაქეებს შორის) შესარჩევი კონკურსი უკრაინაში „გარდამავალი ინიციატივების პროგრამის“ განსახორციელებლად. USAID-ის ახალი თანამშრომლების ხელფასი წელიწადში 85-დან 111 ათასამდე იქნება.

**ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ**
**(წყაროები: takie.org და vvv-ig.livejurnal.com)**

## ბრიტანეთის უმდიდრეს ადამიანთა შორის ორი ქართველი ქალია

**გაზეთმა „სანდი თაიმსმა“ გამოაქვეყნა ბრიტანეთისა და ირლანდიის მდიდარ ადამიანთა მეგზური – Rich List -2014, რომელიც წლეულს 26–ედ გამოიცა და მასში გაერთიანებული სამეფოს ათასზე მეტი უმდიდრესი ადამიანის შესახებ შეიტყობთ.**

წელს ამ სიას 11 მილიარდ 900 მილიონი გირვანქა სტერლინგით სათავეში უდგანან ძმები შრი და გოპი ჰინდუჯები.

წლევანდელ გამოცემაში ორი ქართველი ქალბატონია: **ინა გუდავაძე** და **ქეთი მელუა.** პირველი გახლავთ აწ გარდაცვლილი მილიარდერის, ბადრი პატარკაციშვილის ქვრივი, რომელიც 650 მილიონი გირვანქა სტერლინგით 155–ე პოზიციას იკავებს. იგი ბრიტანეთში მცხოვრებ უმდიდრეს ქალთა შორის 16–ე ადგილზეა და საგრძნობლად უსწრებს ელენა ბატურინას (603 მილიონი), „ჰარი პოტერის“ ავტორს, მწერალ ჯოან როულინგს (570 მილონი) და დედოფალ ელისაბედ მეორეს (330 მილიონი). მეორე კი არის მომღერალი ქეთი მელუა, იგი გაერთიანებული სამეფოს 30 წლამდე 50 უმდიდრეს ახალგაზრდას შორის დასახელდა, ქეთი მელუას ქონება 12 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.



პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მხოლოდ საქართველოში და „მესამე სამყაროს“ რამდენიმე ჩამორჩენილ ქვეყანაში ოცნებას ბედნიერ მომავალზე იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თითქმის სრულად ჩრდილავს რეალობას, იქნება ეს დანგრეული ეკონომიკა, დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, მაღალჩინოსნების უსინდისობა თუ ინფრასტრუქტურის საშინელი მდგომარეობა. არსებითად, საქართველოს მართვის ხელოვნება ილუზიების მართვის ხელოვნებაა, ამ ეტაპზე კი მთავარ „გადადებულ ჯილდოდ“ პოლიტიკოსები ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს მომავალ წევრობას წარმოაჩენენ.**

# რას მოგვიტანს ნატოს უელსის სამიტი?

**წლეულს, 4-5 სექტემბერს სამხრეთ უელსში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მორიგი სამიტი გაიმართება. ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი და ექსპერტი ვარაუდობს, რომ ამ სამიტზე საქართველოს შეიძლება წევრობის სამოქმედო გეგმა (იგივე მაპი) მიანიჭონ, ზოგი კი ისევე სკეპტიკურად არის განწყობილი, როგორც შარშან, ჩიკაგოს სამიტის წინ, რომლისგან, ცარიელი დეკლარაციების გარდა, ჩვენმა ქვეყანამ, ფაქტობრივად, ვერაფერი მიიღო. რა მოხდება უელსში და რა გავლენას იქონიებს ეს საქართველოს მომავალზე?**



## ჰარი პოტერი და ევროატლანტიკური ინტეგრაცია

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მიუხედავად იმისა, ვინ იმყოფებოდა ხელისუფლებაში, ქართული პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს ე. წ. გადადებული ჯილდო და შესაბამისი იდეა იმის თაობაზე, რომ დღევანდელი გაჭირვებისთვის მომავალში დიდი კომპენსაცია გველოდება. ზოგადად, მართვის ეს ტექნოლოგია ჯერ კიდევ პრეისტორიული ხანიდან მოდის და ამა თუ იმ დოზით წარმოდგენილია ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკაში, თუმცა, ალბათ, **მხოლოდ საქართველოში და „მესამე სამყაროს“ რამდენიმე ჩამორჩენილ ქვეყანაში ოცნებას ბედნიერ მომავალზე იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თითქმის სრულად ჩრდილავს რეალობას, იქნება ეს დანგრეული ეკონომიკა, დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, მაღალჩინოსნების უსინდისობა თუ ინფრასტრუქტურის საშინელი მდგომარეობა. არსებითად, საქართველოს მართვის ხელოვნება ილუზიების მართვის ხელოვნებაა, ამ ეტაპზე კი მთავარ „გადადებულ ჯილდოდ“ პოლიტიკოსები ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს მომავალ წევრობას წარმოაჩენენ.**

ამიტომ ნატოში ინტეგრაციის (ან მისი ჩაშლის) საკითხი მნიშვნელოვანია, განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც პოლიტიკის, არამედ როგორც პროპაგანდისა და საზოგადოებრივი აზრის მართვის ნაწილი. პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის — თედო ჯაფარიძის გამოსვლა ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე, რომელსაც ოდნავ მოგვიანებით განვიხილავთ, კარგი სასტარტო წერტილია იმისთვის, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ პერსპექტივებზე ვიმსჯელოთ. ხოლო პრობლემის ფსიქოლოგიურ და პროპაგანდისტულ შემადგენელზე საუბრის დაწყებისთვის, ალბათ, უმჯობესი იქნება, ყურადღებით გადავიკითხოთ პარლამენტის თავმჯდომარის (მოულოდნელად გულწრფელი) განცხადება, რომელიც იანვარში ესტონეთში გააკეთა. „წევრობის სამოქმედო გეგმა — ეს ჯადოსნური სიტყვა „მაპი“ ბევრი ქართველისთვის ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე რეალურად არის, რადგანაც ის გახდა სიმბოლო პასუხისა კითხვაზე: „სჭირდება თუ არა თავისუფალ სამყაროს საქართველო?“ — განაცხადა დავით უსუფაშვილმა და დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ 2014 წლის სექტემბრის ნატოს სამიტი „ძალიან მცირე პროგრესით“ დასრულდება, „ძალიან ძნელი იქნება ამის გასაღება ხალხისთვის დიდ წარმატებად“. უსუფაშვილის თქმით, წინა ხელისუფლება შეეცადა ამას 2008 წელს, როდესაც ბუქარესტის სამიტის შედეგები წარმოაჩინა, როგორც უკეთესი, ვიდრე მაპის მიღება, მაგრამ „ეს, უბრალოდ, არ მუშაობს“.

**პატარა ქვეყანას არ შეუძლია ცხოვრება უსაფრთხოების გარანტიების გარეშე, მით უმეტეს იმ სიტუაციაში, როდესაც ევრაზიაში გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესი დაიწყო**

ამ პასაჟის გაცნობის შემდეგ ზოგი შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ უსუფაშვილს უფრო მეტად აინტერესებს პროპაგანდა, ვიდრე პოლიტიკა, ქართული საზოგადოების რწმენა-წარმოდგენების მართვა და არა საქართველოს შესვლა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, რომელიც, ფაქტობრივად, დაბლოკილია. მეტიც, რომ **პარლამენტის თავმჯდომარე ნატოს წევრ სახელმწიფოებს სთხოვს, პროპაგანდისტული ხასიათის შიდაპოლიტიკური პრობლემები გადაუწყვიტონ და ამ დროს გამოიყურება ერთობ ინფანტილურად და სასაცილოდ, როგორც ჰარი პოტერი, რომელიც იმეორებს ჯადოსნურ ფორმულას, მაგრამ არაფერი გამოსდის.** თუმცა, ამ კომიკური ეფექტის მიუხედავად, ალბათ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი იდეების დაბადება სავსებით ლოგიკურია იმ სიტუაციაში, როდესაც პოლიტიკური ელიტა ცდილობს, საზოგადოებრივი აზრი „გადადებულ ჯილდოზე“ დაფუძნებული მოდელის მეშვეობით გააკონტროლოს.

**პარლამენტის თავმჯდომარე ნატოს წევრ სახელმწიფოებს სთხოვს, პროპაგანდისტული ხასიათის შიდაპოლიტიკური პრობლემები გადაუწყვიტონ და ამ დროს გამოიყურება ერთობ ინფანტილურად და სასაცილოდ, როგორც ჰარი პოტერი, რომელიც იმეორებს ჯადოსნურ ფორმულას, მაგრამ არაფერი გამოსდის**

მიუხედავად იმისა, რომ დასავლელმა ლიდერებმა არაერთგზის მკაფიოდ და გასაგებად განაცხადეს, რომ ხელშესახებ პერსპექტივაში ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს მიღება გამორიცხულია, ხელისუფლება ჯიუტად განაგრძობს საპირისპიროს მტკიცებას. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ნატოს უელსის სამიტი საქართველოსთვის უშედეგოდ დასრულდება და შეიქმნება ეკონომიკური სირთულეები იმ რეგულაციებიდან გამომდინარე, რომელთა დანერგვა ევროკავშირთან ასოცირების შემდეგ მოხდება და, ამავე დროს, გამძაფრდება პოლემიკა ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და მსგავს დოკუმენტებზე, — ხელისუფლების პოზიციები შეირყევა და შეიქმნება წინაპირობები ანტიდასავლური ძალების წარმატებისთვის. აქედან გამომდინარე, **მმართველი ელიტისთვის არასასურველია, რომ ჩამოთვლილმა საკითხებმა დღის წესრიგში მთავარი ადგილი დაიკავოს და, სავარაუდოდ, შეეცდება, რომ საზოგადოების ყურადღების ცენტრში სხვა რამ მოექცეს, მაგალითად, „ნაციონალების“ შესაძლო რევანში ან განხეთქილება მმართველ კოალიციაში;** მიუხედვად იმისა, რომ ორივე თემა ერთობ გაცვეთილია, მათი ეფექტური გამოყენება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

პოლიტიკური ბრძოლის სიმულატორი სტრატეგიული ხასიათის პრობლემების გადაწყვეტის ნაცვლად (უსაფრთხოება, ეკონომიკა), არაფერი ახალი ამაში არ არის. ამ სივრცეშიც მიმოფანტულია შედარებით მცირე „გადადებული ჯილდოები“, მაგალითად, „ცოტაც და სამართლიანობა აღდგება“, „ცოტაც და „ნაცებს“ საბოლოოდ დავამარცხებთ“, „ცოტაც და ხელისუფლებაში დავბრუნდებით“ (ეს უკანასკნელი ლოზუნგი სააკაშვილის მიმდევრებისთვისაა), „ცოტაც და ღარიბაშვილი გააგდებს ხელისუფლებიდან ალასანია-რესპუბლიკელებს (ან პირიქით)“, „ცოტაც და...“ ა.შ. და ხშირად საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს, რომ საქმე არა რეალურ პოლიტიკურ ბრძოლასთან, არამედ ბანალურ მანიპულაციასთან აქვს.

## ალტერნატივა ისე არ მოდის

**პატარა ქვეყანას არ შეუძლია ცხოვრება უსაფრთხოების გარანტიების გარეშე, მით უმეტეს იმ სიტუაციაში, როდესაც ევრაზიაში გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესი დაიწყო;** ხანგრძლივი ყოფნა ასეთ ტრანზიტულ, „ჰაერში გამოკიდებულ“ მდგომარეობაში შეიძლება ეროვნული კატასტროფით და სახელმწიფოებრიობის დაკარგვით დასრულდეს. ასეთ სიტუაციაში, ალბათ, გვერდზე უნდა გადავდოთ „სასურველია“ ან „მიზანშეწონილია“ ტიპის სიტყვები და პირდაპირ ვთქვათ, რომ ხელისუფლება ვალდებულია, ქვეყნის უსაფრთხოება უზრუნველყოს და, თუ პრობლემის გადაწყვეტას ნატოში ინტეგრაციის მეშვეობით ვერ ახერხებს, ალტერნატიული სტრატეგია უნდა შეიმუშაოს. ამისთვის სულ უფრო ცოტა დრო რჩება; წამზომი ჩართულია, პოსტსაბჭოთა სივრცე ძალიან სწრაფად და დრამატულად იცვლება.

გასულ კვირას, ვილნიუსში, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე თედო ჯაფარიძემ შემდეგი განცხადება გააკეთა: „ნატოს წევრი ქვეყნების დიდი ნაწილი იზიარებს საქართველოს ურყევ არჩევანს და მათ კიდეც გამოხატეს მტკიცე მხარდაჭერა ჩვენი ნების მიმართ, რომ სამოქმედო გეგმა სექტემბრის სამიტზე იქნას მიღებული. სხვების აზრით კი, ჩვენ უნდა დავჯერდეთ ნატოს წევრობის პერსპექტივას და გავა- ▶

მოკლედ



## თერჯოლაში იეჰოვას მოწმეების მიერ სამლოცველოს აშენება გააპროტესტეს

**თერჯოლის მოსახლეობამ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარე მშენებლობა გააპროტესტა.**

მათ 3 ივნისს სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტის მოთხოვნით აქცია გამართეს. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ორი ძმის ქუჩაზე იეჰოვას მოწმეები სამლოცველოს აშენებენ, მაგრამ ამის უფლებას არ მისცემენ. ისინი ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ და ადგილობრივ ხელისუფლებას სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტაში დახმარებას სთხოვენ.



პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართველ პოლიტიკოსებს მოუწევთ საკუთარი ამომრჩევლებისთვის იმის ახსნა, რომ ამდენი წლის განმავლობაში გატარებული კურსი სრული კრახით რატომ დაგვირგვინდა და ახლა ალტერნატიულ გზას უნდა დავადგეთ. ეყოფათ თუ არა ნებისყოფა ამისთვის?

◀ აქტიუროთ რუსეთთან დიალოგი. მოვლენათა განვითარების ჭრილში დიალოგი კარგავს ძალას მანამ, სანამ ჯერ კიდევ ბუნდოვანია ეს „მომავალი". შემდეგ კი ჯაფარიძე მიუახლოვდა დილემას, რომელზეც ღია საუბარს ქართველი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ერიდება: **„ჩვენი მთავარი შეკითხვა კვლავ ძალაშია: „თუკი სამოქმედო გეგმა ან ნატოს წევრობა არ დგას დღის წესრიგში, მაშ, რა დგას დღის წესრიგში? თუკი ჩვენ ვერ ვუპასუხებთ ამ შეკითხვას, მაშინ ჩანს, რომ არ გვაქვს საფუძველი, ვირწმუნოთ, რომ საქმე გვაქვს დემოკრატიულად პასუხისმგებელ საგარეო პოლიტიკასთან. მაგრამ თუკი აგრესიის თავიდან აცილების მიზანი მიღწეული იქნა ნატოს წევრობის გარეშეც, მაშინ ეს ალტერნატივა ნათლად უნდა იქნას ახსნილი ჩვენი მოკავშირეების მხრიდან, რათა ჩვენ ამ ვარიანტების კარგად აწონვის შესაძლებლობა გვქონდეს, ჩვენ გვჭირდება თავდაჯერებულობა, — განაცხადა ჯაფარიძემ, — თუკი საქართველო არ არის მნიშვნელოვანი, თუკი მოლდოვა არ არის მნიშვნელოვანი, თუკი უკრაინა არ არის მნიშვნელოვანი, მაშინ რაღაა მნიშვნელოვანი?! უელსის სამიტი ამ სტრატეგიულ ვადას განგვისაზღვრავს პასუხის მისაღებად და ამიტომაც პასუხის გაცემა გარდაუვალია".**

რეპლიკამ „ჩვენ გვჭირდება თავდაჯერებულობა", ისევე, როგორც უსუფაშვილის ზემოთ ციტირებულმა გამოსვლამ ზოგს შეიძლება გაახსენოს ძველი ანეგდოტი იმის თაობაზე, რომ „შერიფს ინდიელების პრობლემები არ ანაღვლებს", მაგრამ მთავარი აქ სულ სხვა რამ არის: საქართველოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა პირველად (ფაქტობრივად) მოსთხოვა ნატოს პასუხის გაცემა კონკრეტულ ვადებში და, მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოუთქვამს ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ტაბუირებული სიტყვა „ნეიტრალიტეტი", ახსენა „ალტერნატივა", მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ „ეს ალტერნატივა ნათლად უნდა იქნას ახსნილი ჩვენი მოკავშირეების მხრიდან".

სავარაუდოდ, აქ იგულისხმებოდა დაახლოებით ისეთი ტიპის რიტორიკა, რომელსაც დასავლეთი, კერძოდ კი ვაშინგტონი, უკრაინის მომავალთან დაკავშირებით იყენებს.



## შუალედში საქართველოსთვის მაპის მინიჭებასა და ალიანსში გაწევრიანებას შორის ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ პრობლემურ რეგიონებში შეიძლება დაიწყოს დაახლოებით ისეთი პროცესები, როგორიც ახლახან ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარდა

უკრაინის ნეიტრალიტეტზე დღეს ღიად საუბრობენ, როგორც დასავლელი პოლიტიკოსები, ისე ექსპერტები (მაგალითად, ბჟეზინსკი), თუმცა ამის შესაძლებლობას ის აძლევს, რომ უკრაინის ახალი ხელისუფლება (თუნდაც იგივე პრემიერმინისტრი იაცენიუკი) აცხადებს, რომ ქვეყნის ნატოში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში არ დგას. მაგრამ ამის გაკეთება საკმაოდ რთული იქნება საქართველოსთან დაკავშირებით, რადგან ჩვენი ხელისუფლება ნატოში სასწრაფო ინტეგრაციას ერთხმად მოითხოვს და ამიტომ დასავლეთი შეიძლება მხოლოდ მინიშნებებით შემოიფარგლოს, ისე, როგორც ეს ახლახან ბარაკ ობამამ გააკეთა: **„უკრაინა და საქართველო ნატოს წევრობისკენ მიმავალ გზაზე არ დგანან".** დასავლეთი არ არის ვალდებული, ილაპარაკოს „ალტერნატივაზე", მისთვის, სავარაუდოდ, გაცილებით კომფორტულია, საკითხის გადაწყვეტა კვლავ გაურკვეველი ვადით გადადოს, ვიდრე აღიაროს, რომ საქართველოს ამდენი წლის განმავლობაში ცრუ იმედებით კვებავდა. ასე რომ, იმ შემთხვევაში, თუ უელსის სამიტი უშედეგოდ დასრულდება და საბოლოოდ ცხადი გახდება, რომ ნატოში რუსეთის ფაქტორის გამო არ გვიღებენ, ქართველ პოლიტიკოსებს მოუწევთ საკუთარი ამომრჩევლებისთვის იმის ახსნა, რომ ამდენი წლის განმავლობაში გატარებული კურსი სრული კრახით რატომ დაგვირგვინდა და ახლა ალტერნატიულ გზას (მაგალითად, ნეიტრალიტეტის, რომელსაც უკრაინისთვის შექმნილი „ბუდაპეშტის პროტოკოლის" მსგავსი, მაგრამ უფრო სრულყოფილი დოკუმენტი გაამყარებს) **უნდა დავადგეთ. ეყოფათ თუ არა ნებისყოფა ამისთვის?** თუ ამ შემთხვევაშიც შეეცდებიან, ნატოსთან დაკავშირებულ მითებს სიცოცხლე გაუხანგრძლივონ, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომი ცხოვრება უსაფრთხოების გარანტიების გარეშე ქვეყანას კატასტროფით ემუქრება?

### კამიკაძეებად არ იბადებიან

ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ, გასულ კვირას მიღებულ დეკლარაციაში მოუწოდა ალიანსის წევრ სახელმწიფოებს, მხარი დაუჭირონ საქართველოსთვის მაპის მინიჭებას. მიუხედავად ამისა, ასეთი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა საკმაოდ მცირეა, რადგან არ ჩანს მიზეზი, რომლის გამო „ძველი ევროპის" მთავრობები პოზიციას შეცვლიან; ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, უკრაინის კრიზისმა ისინი კიდევ უფრო ფრთხილი გახადა. თუმცა, თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ უელსში მოხდება სასწაული და საქართველოს მაპს მისცემენ, ალბათ, კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს, ისევე, როგორც **საქართველოს ნებისმიერი რეალური ნაბიჯი ნატოსკენ, ავტომატურად სტარტს მისცემს რუსეთთან მწვავე კონფრონტაციის ახალ რაუნდს,** რომელიც შეიძლება ომითაც დასრულდეს, რადგან კრემლი გააკეთებს ყველაფერს, რათა სამხრეთ კავკასიაში ნატოს დამკვიდრება არ დაუშვას.

**შუალედში საქართველოსთვის მაპის მინიჭებასა და ალიანსში გაწევრიანებას შორის ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ პრობლემურ რეგიონებში შეიძლება დაიწყოს დაახლოებით ისეთი პროცესები, როგორიც ახლახან ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარდა.** აქვს თუ არა საქართველოს რესურსი ამ საფრთხის გასანეიტრალებლად, იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთის ქვეყნების პირდაპირი ჩარევა შესაძლო კონფლიქტის ლოკალიზაციაში თითქმის წარმოუდგენელი ჩანს?

აქვე, ალბათ, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას მთელ ამ სიტუაციაზე, როგორც ფაქტორზე შიდაპოლიტიკურ ბრძოლაში. უხეშად რომ ვთქვათ, დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში დამაჯერებლად მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის პოზიციები გამოიყურება, ყველა დანარჩენი კი ძალზე სუსტია იმისთვის, რომ მიაღწიოს მიზნებს, რომელსაც მათ მიაწერენ (ან მართლა დაუსახეს საკუთარ თავს). „ნაციონალებს" არ აქვთ საკმარისი რესურსი რევანშისთვის, **ალასანია და რესპუბლიკელები არასაკმარისად ძლიერები არიან იმისთვის, რომ ხელში ჩაიგდონ კონტროლი აღმასრულებელ ან ცალკე აღებულ საკანონმდებლო ხელისუფლებაზე** (თუნდაც „ნაციონალებთან" ერთად), ღარიბაშვილის გუნდი ვერ მოახდენს ჩამოთვლილი ძალების მარგინალიზაციას, რადგან ამას აქტიურად შეეწინააღმდეგებიან ამერიკელები, არასაპარლამენტო ოპოზიციას არ ძალუძს იმ მრავალრიცხოვანი ელექტორატის „ათვისება", რომელსაც სძულს „ნაციონალები", მაგრამ არც ახალი ხელისუფლება მოსწონს. მთელი ეს სიტუაცია მოაგონებს „პოზიციურ ჩიხს" პირველ მსოფლიო ომში — ყველას უნდოდა წინსვლა, მაგრამ ამისთვის საკმარისი ძალა არ ჰქონდა.

ასეთ სიტუაციაში კრიტიკულად მნიშვნელოვანი გარე მხარდაჭერა ხდება. სააკაშვილის მომხრეები დიდ იმედებს ამყარებენ „ახალ ცივ ომზე" და ვარაუდობენ, რომ ვაშინგტონს მალე საქართველოს სათავეში რუსეთთან მწვავე კონფრონტაციაზე ორიენტირებული ძალა დასჭირდება. ამავე სივრცეში თამაშის დაწყებას ირაკლი ალასანიაც ცდილობს, რომელმაც ახლახან საქართველოში ნატოს თავდაცვითი საშუალებების განთავსება მოითხოვა (ამას პრაქტიკულად გარანტირებულად მოჰყვება ყოვლისმომცველი დაპირისპირება რუსეთთან). მათი ლოგიკა არც ისე ძნელი გასაშიფრია — „გადატვირთვამ" სააკაშვილის რეჟიმის დასამარებაში ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და „ახალმა ცივმა ომმა", აგრეთვე, შეიძლება შეუწყოს ხელი მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებს საქართველოში. მაგრამ **საკუთარი პოლიტიკური წარმატების დაკავშირება ისეთ სცენარებთან, რომელთა ფარგლებში საქართველო, ისევე, როგორც 2008-ში, განიხილება, როგორც რუსეთთან დაჯახებისთვის განწირული „ქვეყანა-კამიკაძე", მეტისმეტად ამორალური და უპასუხისმგებლო ჩანს.**

**დიმიტრი მონიავა**

## საკუთარი პოლიტიკური წარმატების დაკავშირება ისეთ სცენარებთან, რომელთა ფარგლებში საქართველო, ისევე, როგორც 2008-ში, განიხილება, როგორც რუსეთთან დაჯახებისთვის განწირული «ქვეყანა-კამიკაძე», მეტისმეტად ამორალური და უპასუხისმგებლო ჩანს



## მარგველაშვილისა და ღარიბაშვილის ოჯახებს სახელმწიფო დაცვა სიცოცხლის ბოლომდე მოემსახურება

**საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერმინისტრსა და მათ ოჯახებს სიცოცხლის ბოლომდე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური დაიცავთ. შესაბამისი ცვლილება 2013 წლის 28 მარტის №71 დადგენილებაში შევიდა.**

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დებულების" მე-6 მუხლის ა ქვეპუნქტის ახალ რედაქციაში ნათქვამია: „ახორციელებს საქართველოს პრემიერმინისტრის, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების (საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის სიცოცხლის ბოლომდე), უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის (ახალი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადით), აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საარჩევნო კამპანიისა და არჩევნების პერიოდში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატების და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა პირთა დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას".

ამასთანავე, მე-16 მუხლის „დ" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: „უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის და მისი ოჯახის წევრების დაცვით უზრუნველყოფა პრეზიდენტის სიცოცხლის ბოლომდე ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო საზღვარგარეთ 1 თვეზე მეტი ვადით გამგზავრებისას — საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით (ეს წესი არ მოქმედებს საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრების შემთხვევაში)".

ანალოგიური წესი მოქმედებს პრემიერმინისტრის შემთხვევაშიც.

მოკლედ

## მძიმე სენით დაავადებული ბავშვების დასაფინანსებლად სოლიდარობის ფონდი შეიქმნება

**ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით მძიმე სენით დაავადებული ბავშვების დასაფინანსებლად სოლიდარობის ფონდი შეიქმნება. ფონდი ჯანდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში არ იქნება და როგორც სტრუქტურა, სავარაუდოდ, თვენახევარში ჩამოყალიბდება.**

„ეს იქნება ერთგვარი სოლიდარობის ფონდი, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში აღარ იქნება, ეს იქნება ცალკე სტრუქტურა, ასეთი ფონდების ფუნქციაა ე.წ. პიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება, ეს იქნება ჯანდაცვა თუ სოციალური მოთხოვნები. ფინანსური ნაკადების მობილიზაცია იქნება ერთგვარი ინოვაციური მეთოდი და ამის შესახებ ფონდის მომავალი ხელმძღვანელობა ისაუბრებს. წინამოსამზადებელი სამუშაოების, წინამემორანდუმების გაფორმების პერიოდის კონსულტაციები უკვე დასრულებულია. ვფიქრობ, ფონდი, როგორც სტრუქტურა, უახლოეს მომავალში ჩამოყალიბდება, დაახლოებით თვე-ნახევრის პერიოდში", — განაცხადა დავით სერგეენკომ.



პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ, პარტია „ქართულ ოცნებას“, სწორედ ეს გვაწუხებდა და ფიცი დავდეთ, რომ, მომავალში თუ ვინმე გაბედავს და გვეტყვის, ხმა მიეცით ამ კანონსო, კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნებით. ხელი მიკანკალებდა, როცა ანტიდისკრიმინაციულ კანონს ვამტკიცებდით, მაგრამ ხანდახან ჩვენც გვიწევს დათმობაზე წასვლა ქვეყნის გადასარჩენად, თუნდაც იმისგან, რომ არ მოხდეს უკრაინიზაცია!“**



ომარ ნიშნიანიძე:

# ზოგიერთ სასულიერო პირს სახელმწიფოებრივად აზროვნება არ შეუძლია

**ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აღშფოთებით შეხვდა ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომლის შედეგად „ქართული ოცნების“ რეიტინგი დაეცა. აღსანიშნავია, რომ ეს კანონი საპატრიარქოს მძაფრი წინააღმდეგობის ფონზე მიიღეს. რატომ მისცა ხმა ანტიდისკრიმინაციულ კანონს და იგეგმება თუ არა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება? — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, დეპუტატი ომარ ნიშნიანიძე:**

— რომ გითხრათ, ამ კანონს დიდი ენთუზიაზმით მივეცი ხმა-მეთქი, მოგატყუებთ. ბოლო წუთამდე ვყოყმანობდი, მაგრამ **პოლიტიკა კომპრომისებზე წასვლას მოითხოვს, რაღაც უნდა დათმო, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი რომ მიიღო და მეც დავთმე.**

შემთხვევით არ უთქვამს პრემიერმინისტრ ღარიბაშვილს, რომ ოჯახი მამაკაცისა და ქალის ერთობაა. ეს განცხადება სწორედ ამიტომ გაკეთდა, პრევენციული ხასიათის იყო და ეს კონსტიტუციაში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს, არასდროს რომ არ დაგვაძალონ ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ კანონის მიღება. ამის წინააღმდეგია უმრავლესობა, ყოველ შემთხვევაში, — პარტია „ქართული ოცნება“.

— **ამ განცხადების შემდეგ ღარიბაშვილს თავს რესპები დაესხნენო, ასეა?**

— ვინც უნდა დაესხას თავს, გინდ ჩვენი კოალიციიდან, გინდ სხვა პარტიიდან (ამას ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს), ხმას ჩავაკმენდინებ. **თუ ვინმე — გინდ რესპუბლიკელი, გინდ ჩემი თანაპარტიელი — მომთხოვს, ხმა მივცე ერთსქესიანთა ქორწინებას, ბუნებრივია, არ შევასრულებ მის მოთხოვნას და, თუ სხვა გზა არ მექნება, არა მხოლოდ უმრავლესობას, არამედ პარლამენტსაც დავტოვებ!** ხაზს ვუსვამ: მე ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგი ვარ, ვიქნები ყოველთვის და, თუ ვინმე დასვამს ამ საკითხს, მიიღებს საკადრის პასუხს. **ჩვენ, პარტია „ქართულ ოცნებას“, სწორედ ეს გვაწუხებდა და ფიცი დავდეთ, რომ, მომავალში თუ ვინმე გაბედავს და გვეტყვის, ხმა მიეცით ამ კანონსო, კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნებით.** პირდაპირ გეუბნებით: **ხელი მიკანკალებდა, როცა ანტიდისკრიმინაციულ კანონს ვამტკიცებდით, მაგრამ ხანდახან ჩვენც გვიწევს დათმობაზე წასვლა ქვეყნის გადასარჩენად, თუნდაც იმისგან, რომ არ მოხდეს უკრაინიზაცია.** ვიმეორებ: რაღაცის გამო შეიძლება, მოგვიწიოს კომპრომისი, მაგრამ იმის იქით წასვლა გამორიცხულია. ვერავინ მაიძულებს, გავაკეთო ის, რაც დაარტყამს ჩვენს ქვეყანას, ოჯახს, შვილებსა და შვილიშვილებს.

— **თქვით, ხელი მიკანკალებდაო, ანუ საფრთხე დაინახეთ, მაგრამ ამ კანონს ხმა მაინც მიეცით. იმიტომ ხომ არა, რომ ივანიშვილმა გაიძულათ, მხოლოდ თქვენ კი არა, მთელი უმრავლესობა?**

— ჩვენ ბიძინა ივანიშვილს უდიდეს პატივს ვცემთ, სხვათა შორის, ყველა ქართველმა უნდა სცეს პატივი, რადგან მან სამშობლო გადაგვირჩინა. **ბატონი ბიძინა არასდროს იკადრებს, რაიმე გვაიძულოს. მან, უბრალოდ, გვირჩია, ხმა მიგვეცა ანტიდისკრიმინაციული კანონისთვის, თორემ ჩვენთან კატეგორიული ადრეც არ ყოფილა, მით უმეტეს — ახლა.** რჩევას კი ყველასგან ვიღებთ. **ნუ ღელავთ, გეუბნებით, დავიფიცეთ, პირობა დავდეთ, რომ ერთსქესიანთა ქორწინებას არ დავაკანონებთ, ვერც ვერავინ გაგვიბედავს, რომ მოგვთხოვოს ეს!** და, საერთოდაც, **ნუ აღიზიანებენ ხალხს ლევან ვასაძეები და მისნაირები.** ყოველდღე იმართებოდა დემონსტრაციები პარლამენტთან, იქ მყოფებიდან ბევრი გულწრფელი იყო, მაგრამ ანკესზე წამოგებულიც ბევრი მინახავს. აი, **ლევან ვასაძის გულწრფელობის მე, მაგალითად, არ მჯერა. მის უკან რაღაც ძალას ვხედავ, რომელიც მას განზებ ალაპარაკებს** (ლევან ვასაძის განცხადებით, ანტიდისკრიმინაციულ კანონს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება მოჰყვება — ქ. ხ.). მე ხელმოცარულ ბიზნესმენსა და პოლიტიკოსს არ ვცნობ, გინდ ეწყინოს ვასაძეს, გინდ არა. **პოლიტიკას, ქვეყნის მართვას სხვა ძალისხმევა სჭირდება, ვიდრე ეს ვასაძეს წარმოუდგენია, ამიტომაც ყველამ დააყენოს ერთი ადგილი, — ამას პირდაპირ ვეუბნები ვასაძესა და მისნაირ პოლიტიკოსებსა და ბიზნესმენებს. ამ სისულელეების ლაპარაკს სჯობს, თავიანთ ჩასვრილ საქმეებს მიხედონ.** ჩვენ გვინდა, რომ გადავარჩინოთ სახელმწიფო ომისა და დავიდარაბისგან. მართალია, ევროპისკენ ვიყურებით, მაგრამ კომპრომისზე მივდივართ რუსეთთანაც, არ ვაგინებთ, არ ვლანძღავთ, მუშტებს არ ვუქნევთ. რუსეთი ჩვენი მეზობელია და მას ანგარიში უნდა გავუწიოთ; რუსეთიც წავიდა კომპრომისზე — აგერ ბაზარი გახსნა და დავიწყეთ მასთან მოლაპარაკება. იმიტომ აგვირჩია ხალხმა, რომ საქმე ვაკეთოთ და არა მუშტები ვიქნიოთ; რუსეთთანაც უნდა მოვაგვაროთ ურთიერთობა, თურქეთთანაც და დასავლეთთანაც — აი, ეს არის პოლიტიკა და არა ვიღაცის გამოხდომებზე სიარული. **ზოგიერთ სასულიერო პირს სახელმწიფოებრივად აზროვნება არ შეუძლია.**

> **«ყველამ დააყენოს ერთი ადგილი, პირდაპირ ვეუბნები ვასაძესა და მისნაირ ბიზნესმენებს, — სისულელეების ლაპარაკს სჯობს, თავიანთ ჩასვრილ საქმეებს მიხედონ»**

— **სასულიერო პირებს უპირისპირდებით, თუ როგორ გავიგო თქვენი ნათქვამი?**

— რა სისულელეა, მე მათ დიდ პატივს ვცემ. რწმენა, რელიგია, მართლმადიდებლობა სულ სხვაა. **ეკლესიაში მრევლი ცუდიც არის და კარგიც.** თქვენ ამაში ეჭვი გეპარებათ? ვიმეორებ: **დიდ პატივს ვცემ ჩვენს პატრიარქს და სასულიერო პირებს საერთოდ, მაგრამ მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც არ იციან, რა არის სახელმწიფოებრივი აზროვნება და მე მათ ჭკუაზე არ ვივლი. მე ცოტა მეტი მომეთხოვება, ვიდრე მათ.**

— **ისიც გვითხარით, ივანიშვილის მეგობარ ლევან ვასაძეს რა ძალა მართავს?**

— არ ვიცი, ვინ მართავს, თუმცა ბოლო პერიოდში ისე უადგილოდ გააქტიურდა, რომ ეჭვი გამიჩნდა, რომ ვიღაცის დაკვეთას ასრულებს. ჯერ თითქოს ჩვენზე ამოსდიოდა მზე და მთვარე, ახლა კი გვიპირისპირდება. რა დაემართა, ვერ გავიგე.

— **სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების პრემიებზე რას გვეტყვით; მაშინ, როცა უამრავი ადამიანი შიმშილობს, ბავშვები არასრულფასოვანი კვების გამო იხოცებიან, გამართლებულია ამ ოდენობის პრემიების მიღება?**

— **რა თქმა უნდა, არ ვამართლებ. ეს როგორ უნდა გავამართლო?! მეტიც, ვისაც წასცდება ხელი, უნდა მიამტვრიო, მით უმეტეს, როდესაც ქვეყანას უჭირს.** მაგრამ მოდი, შედარება გავაკეთოთ წინა ხელისუფლებასთან: ისინი იყვნენ საოცრად ჯიუტები და, თუ რამე დათმობაზე წავიდოდნენ, მიაჩნდათ, რომ ეს მათი სისუსტის გამოვლინება იყო. არ მახსოვს, ვინმე გაეთავისუფლებინოთ ამის გამო ან საყვედური ეთქვათ. ჩვენ კი, ვინც ეს გააკეთა, გავუშვით სამსახურიდან, მართალია, ცოტა მოგვიანებით (ადრე უნდა გაგვეშვა, ვაღიარებ, შეცდომა დავუშვით), მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ვინც ასეთი რამ გაბედა ამ გაჭირვებულ ქვეყანაში, ის ჩვენთან ერთად ვერ იქნება.

— **„ნაცმოძრაობა“ საქართველოსთვის იმდენი უბედურების მომტანია, რომ უნდა მივუჩინოთ თავისი ადგილი, ასეთი ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული პარტია საქართველოში უნდა აიკრძალოს“, — ეს თქვენი განცხადებაა... ბოლო ხანს აღარ აქტიურობთ, აღარ გაწუხებთ, რომ „ქართული ოცნება“ „ნაცებს“ ვერ ელევა და ბათუმის (და არა მხოლოდ) მერობის კანდიდატად წარადგინა ადამიანი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ძალოვან უწყებაში მაღალ თანამდებობას იკავებდა და ბათუმელებს აწიოკებდა...**

— **გუშინ წავიკითხე მასალა, რომელშიც გიორგი ერმაკოვზე მსგავსი რამ ეწერა. ეს ჩემთვის შოკი იყო, თუ სიმართლეა, რა თქმა უნდა.** მე ჩემს გუნდში აუცილებლად მოვიკითხავ ამ ამბავს. მე ხმალამოღებული ვიბრძოდი „ნაცების“ წინააღმდეგ და გეთანხმებით, ბოლო ხანს ცოტა შევარბილე ეს ბრძოლა. იმედი მქონდა, რაღაც ნაბიჯები გადაიდგმებოდა, მაგრამ ვხედავ, იძულებული გავხდები, ქარქაშიდან ხმალი კვლავ ამოვიღო და განვაგრძო ბრძოლა მათ წინააღმდეგ. **„ნაციონალური მოძრაობის“ ფესვების ამოსაძირკვად მუდმივი ბრძოლაა საჭირო! მე ამ ბრძოლას განვაგრძობ და, თუ ვერ მივიყვან ბოლომდე, წავალ „ოცნებიდან“, რადგან ჩემი ადგილი „ნაცებთან“ არ არის!**

> **«ეს ზონდერები სასწრაფოდ უნდა მოგვეცილებინა თავიდან, ეს ჩვენი შეცდომაა და მე ვიზრუნებ ამაზე»**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

მოკლედ

## 70-მდე პატიმარი შიმშილობას იწყებს

**უვადო პატიმრობამისჯილი 70-მდე პატიმარი შიმშილობას იწყებს. ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედს“ პატიმრებმა გლდანის №8 საპატიმროდან აცნობეს.**

პროტესტის უკიდურეს ფორმას დიაბეტით დაავადებული მსჯავრდებულებიც მიმართავენ.

პატიმრები საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ამნისტიის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას სთხოვენ.

**„მოვითხოვთ ამნისტიის კანონის აღსრულებისას დაშვებული ხარვეზების და ჩვენ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის გამოსწორებას. ამასთან, უვადო სასჯელისგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების 5–წლიანი ზღვარის ევროსტანდარტებამდე დაწევას და ასევე ძალაში შესული უკანონო განაჩენების გადახედვის ეფექტური მექანიზმის შექმნას“,** — განაცხადა პატიმარმა გიორგი მგელაძემ.

9 ივნისს პარლამენტის შენობასთან მოშიმშილე პატიმრებისათვის სოლიდარობის გამოცხადების მიზნით აქცია იგეგმება.



**„ირაკლი ჭეიშვილი ჯერ „ნაციონალურ მოძრაობაში" იყო, საიდანაც გამოაგდეს, შემდეგ გადავიდა ალასანიას პარტიაში, სადაც ყველას იძულებით აწევრებდა, ბოლოს კი „ქართული ოცნების" რიგებში ჩადგა... ირაკლი ჭეიშვილი სრულიად აჭარისთვის არის მონსტრი, რომელმაც ბათუმი, როგორც ქალაქი, გაანადგურა. ირაკლი ჭეიშვილი „ქართული ოცნების" ანტირეკლამაა".**

რეგიონი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თამარ თაბუკაშვილი:**

# თუ გიორგი ერმაკოვი ბათუმის მერი გახდება, რევოლუცია სწორედ აჭარიდან დაიწყება



**თამარ თაბუკაშვილი „ქართული ოცნების" აქტივისტი გახლდათ, დღეს კი ხელისუფლების მიერ გადადგმულ არასახარბიელო ნაბიჯებს დაუფარავად აკრიტიკებს. ქალბატონი თამარი აჭარაში არსებულ სიტუაციაზე გვესაუბრება:**

— ნამდვილი „ქართული ოცნების" აქტივისტი ვიყავი და არა — ამჟამინდელის. დღეს „ქართულ ოცნებას" სამართლიანად ვაკრიტიკებ და არა ჩასაფრებულის პოზიციიდან. **კოალიცია „ქართულ ოცნებაში", მით უმეტეს აჭარაში, იმდენი მანკიერება ხდება, რომ მტრისას!** ამიტომ მინდა, მათ მიმართ ჯანსაღი კრიტიკა რაც შეიძლება ბევრი იყოს. **ადამიანი, რომელიც თავის დროზე „ნაციონალურმა მოძრაობამ" თავისი რიგებიდან გამოაგდო, დღეს „ქართული ოცნების" სრულუფლებიანი წევრია. წარმოიდგინეთ, როგორი ნაძირალა უნდა იყოს, ასევე ნაძირალა „ნაციონალებმა" პარტიიდან რომ გამოაგდეს! ეს არის გიორგი ერმაკოვი, რომელიც დღეს „ქართულმა ოცნებამ" ბათუმის მერობის კანდიდატად მოგვივლინა და რომელიც ახალაიების კლანის სამეგობრო წრიდან არის.** ეს ამბავი ყველა ბათუმელისთვის შოკისმომგვრელი იყო. ხალხმა მოიძია ინფორმაცია, რომ ერმაკოვი კუდთან, სოდთან და ახალაიებთან დაახლოებული პირია. ბოლოს, სანამ „ოცნებაში" შეძვრებოდა, კომპანია „თეგეტა მოტორსში" მუშაობდა და იქაც სცემეს და გამოაგდეს.

**— რატომ წარადგინა ხელისუფლებამ ბათუმის მერად გიორგი ერმაკოვის კანდიდატურა?**

— ჩვენი ხელისუფლება ხალხის უკმაყოფილებამ ისე შეაშინა, რომ მგონია, ერმაკოვი პოლიციური სისტემის დასამყარებლად და ამ გზით ადამიანების სამართავად სჭირდება. აშკარაა, რომ ამ ხელისუფლებასაც იმ სისტემის შექმნა სურს, რომელშიც „ნაციონალები" 9 წლის განმავლობაში ამყოფებდნენ ხალხს. სხვა რა ვუწოდო ამ ყველაფერს? როდესაც გსურს, ქალაქის მერი ზონდერ-ოფიცერი გახდეს, რომელსაც არანაირი დამსახურება არ აქვს აჭარელთა წინაშე და პირიქით — დანაშაულები აქვს ჩადენილი, უკვე ყველაფერი ნათელია. ეს ხელისუფლება არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენი რეგიონი იყოს ნორმალურ მდგომარეობაში. ინფრასტრუქტურა მთლიანად მოშლილია და რას ელოდებიან, არ ვიცი. დავუშვათ, **ტურისტები წელს მართლაც ჩამოვლენ, მაგრამ ბათუმში ისეთი მდგომარეობაა, გაისად აღარ გაუჩნდებათ ეგ სურვილი. ზღვას თავი რომ დავანებოთ, ტბები საშინელ მდგომარეობაშია, სიახლოვეს ვერ გაივლი, ისე ყარს. არდაღანის ტბას ისეთი სუნი ასდის, გაიგუდები.** ქუჩები მოუწესრიგებელია, მხოლოდ აქა-იქ კეთდება და წარმომიდგენია, ამაში მერია რა ფულს ათეთრებს. **ადამიანები, რომლებიც „ნაციონალების" პერიოდში დანაშაულს სჩადიოდნენ, დღეს კვლავ მერიაში მუშაობენ. თუ ერმაკოვი გახდება ბათუმის მერი, ეს ხალხი კვლავ დარჩება სამსახურში და ბათუმის მერია დამნაშავეთა ბუდედ გადაიქცევა.** აჭარაში თვითონ „ნაციონალები" ამბობენ, ჩვენთვის სულერთია, ამ არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს — ჩვენი თუ „ოცნების" კანდიდატი, რადგან ორივე ჩვენი კაციაო.

**— ეს ვინ თქვა?**

— „ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ნოდარ დუმბაძემ. რაც მთავარია, მან ეს სოციალურ ქსელში დაწერა. 2012 წელს, ვიდრე „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მოვიდოდა, ბიძინა ივანიშვილს ვახლდით შუახევის რაიონის სოფელ ბეშუმში, სადაც „ნაციონალებმა" ხალხით სავსე 400 სამარშრუტო ტაქსი დაგვახვედრეს. როდესაც ბიძინა ივანიშვილი ხალხთან შესახვედრად გადავიდა, ქვები და ფიცრები დაუშინეს, ძლივს გამოვიყვანეთ სამშვიდობოს. ამ ყველაფრის ორგანიზატორი კი იყო ძალოვანი სისტემის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **მინდია ყურშუბაძე.** ის დღეს „ქართულმა ოცნებამ" მაღალმთიან აჭარაში ძალოვანი სტურქტურების ხელმძღვანელად დანიშნა. ეს ადამიანები უნდა დასჯილიყვნენ, მაგრამ მოხდა პირიქით — ახალმა მთავრობამ დააწინაურა. არადა, ყურშუბაძის წინააღმდეგ მაშინვე აღიძრა საქმე, მაგრამ, როგორც კი ხელისუფლების სათავეში „ოცნება" მოვიდა, გამოძიება შეჩერდა. **ერთ რამეში დავრწმუნდი: საგოროში ყველა პარტია სექტად ყალიბდება და არ მსურს სექტანტი ვიყო.**

**— ბათუმის მოსახლეობა დაშინებულია, ყველა გაურბის საჯაროდ რამის თქმას...**

— რა ქნან? **იტყვიან რამეს და შინ მიაკითხავენ ან ტელეფონზე დაურეკავენ და გააფრთხილებენ... ამას „ქართული ოცნების" ძველი აქტივისტები აკეთებენ.** ჩემთან არავის დაურეკავს, რადგან იციან, ჩემი გაჩერება არც ისე იოლია. ვიცი, ჩემს ტელეფონს უსმენენ, მაგრამ მისმინონ, რასაც ვამბობ, იმაზე პასუხს ვაგებ. თუმცა **შევიტყვე, „ოცნების" წარმომადგენლებს ჩემზე უთქვამთ, ჯერ დავასაქმოთ და შემდეგ გავაფუჭოთო.** არადა, ბოლო ხანს არაერთხელ მომხდარა ადამიანების ე. წ. გაფუჭება. მაგალითად, შარშან ხელვაჩაურის გამგებელი ლევან ლორთქიფანიძე, რომელიც „ქართული ოცნების" აქტივისტი იყო, ხელვაჩაურის გამგებლად დანიშნეს და რამდენიმე თვეში თითიდან გამოწოვილი მიზეზით დააპატიმრეს, თუმცა ბრალი ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს. რაც მთავარია, ამ ადამიანებს საშინელი მეთოდებით აპატიმრებენ — სპეცრაზმს მიუსევენ, თითქოს ძებნილი რეციდივისტები იყვნენ. ლევანს სპეცრაზმი შეუვარდა კაბინეტში და იქ დააპატიმრეს. ეს ყველაფერი მთავრობის აპარატის უფროს ირაკლი ჭეიშვილს აძლევდა ხელს, რომელიც „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს ებრძვის. **ირაკლი ჭეიშვილი ჯერ „ნაციონალურ მოძრაობაში" იყო, საიდანაც გამოაგდეს; შემდეგ გადავიდა ალასანიას პარტიაში, სადაც ყველას იძულებით აწევრებდა; ბოლოს კი „ქართული ოცნების" რიგებში ჩადგა.** როგორც ვიცი, ირაკლი ჭეიშვილს არმაზ ახვლედიანი მფარველობს და ახლა ჭეიშვილი, მთავრობის აპარატის უფროსის გარდა, „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბის უფროსიც არის... **ირაკლი ჭეიშვილი სრულიად აჭარისთვის არის მონსტრი, რომელმაც ბათუმი, როგორც ქალაქი, გაანადგურა. ირაკლი ჭეიშვილი „ქართული ოცნების" ანტირეკლამაა.** ეს ადამიანი თავისი მეგობრების ცოლებს არ ინდობდა. ყველამ იცის, რომ მისი ერთ-ერთი მეგობრის ცოლმა ლევან ვარშალომიძეს მიაკითხა და სთხოვა, უთხარით ჭეიშვილს, თავი დამანებოს, თორემ, ჩემმა ქმარმა რომ შეიტყოს, კარგი არაფერი მოხდებაო. ისიც ვიცი, რომ ჭეიშვილი ორჯერ გააფრთხილა ვარშალომიძემ, მაგრამ, თავისი რომ არ დაიშალა, ვარშალომიძემ ჯერ მაგრად სცემა და შემდეგ პარტიიდან გამოაგდო. სირცხვილია, როდესაც ასეთი ბიოგრაფია გაქვს და დღეს ტრიბუნიდან ელაპარაკები ხალხს. **ამ ყველაფრის შემდეგ ძალიან მიკვირს ჯერ ბიძინა ივანიშვილის, შემდეგ კი — ირაკლი ღარიბაშვილის. ივანიშვილი არის ადამიანი, რომელმაც „ნაცსისტემა" მოგვაშორა, მაგრამ მისი გუნდი კვლავ იმ სისტემისკენ მიილტვის. ნუთუ ამ ყველაფერს ვერ ხედავს და გულგრილად შეჰყურებს მოვლენებს?!** დღეს ყველაზე მეტად კახა კალაძის მჯერა, რადგან გავიგე, რომ სწორედ ის ყოფილა ბათუმის მერობის კანდიდატად ერმაკოვის წარდგენის წინააღმდეგი. **კალაძემ თავის დროზე თქვა, ხელისუფლებაში ვერც ერთი „ნაციონალი" ვერ მოვაო და, ალბათ, რცხვენია, დაპირებას რომ ვერ ასრულებს. თუ არჩევნებში ერმაკოვი გაიმარჯვებს, ეს ნიშნავს, რომ არჩევნები გააყალბეს. გაიარეთ ბათუმის ქუჩებში და ნახავთ, რომ არც ერთ ბათუმელს არ სურს ერმაკოვის მერობა.**

მერობა იმ ქალაქისა, სადაც შენს საარჩევნო პლაკატს ჩამოხევენ და შეაფურთხებენ, არც შენ უნდა გინდოდეს!

**— და თუ მაინც გახდა გიორგი ერმაკოვი ბათუმის მერი?**

— **თუ გიორგი ერმაკოვი ბათუმის მერი გახდება, რევოლუცია სწორედ აჭარიდან დაიწყება! ათი კაციდანი ერთი ან აძლევს ხმას ერმაკოვს, ან არა და გაყალბების გარეშე მისი გამარჯვება გამორიცხულია!**

**— ბათუმის მოსახლეობას დისკომფორტს უქმნის თურქების მომრავლება ქალაქში...**

— **ეს იმიტომ ხდება, რომ „ნაციონალებმა" 9 წლის განმავლობაში ძველი ბათუმი თურქებს გადააბარეს და ამას ინვესტიციის ჩადებას ეძახდნენ.** მაგალითად, ბათუმში უძველესი ქუთაისის ქუჩა დღეს თურქების ხელშია და იქ ქართულად ლაპარაკს ვეღარ გაიგონებთ. სწორედ ამ ქუჩაზე დგას მეჩეთი და ამიტომაც დაიტაცეს თურქებმა ეს ტერიტორია. სხვათა შორის, 2012 წელს, როდესაც „ქართული ოცნება" მოვიდა ხელისუფლებაში, თურქებმა შეწყვიტეს აჭარაში შემოსვლა, პირიქით, გასვლა დაიწყეს. იცოდნენ, რომ ახალი ხელისუფლება მათი წინააღმდეგი იყო, მაგრამ რამდენიმე თვეში გაორმაგებულად შემობრუნდნენ. იცით, რატომ? აჭარის მთავრობის აპარატიდან ასიათასობით ლარი იხარჯება თურქეთში მივლინებებისთვის და ჩვენებიც სწორედ იქ მიდიან სასეირნოდ, იქაურ მთავრობას ხვდებიან, ინვესტიციებს და ბათუმის ტერიტორიებს სთავაზობენ.

**არსებობს საფრთხე ამ ტერიტორიის დაკარგვისა, რადგან კირნათის მიმდებარე ჭოროხის მიწებზე თურქებს პრეტენზია აქვთ.**

**ამასთანავე, რამდენიმე ადამიანი მართლა ამბობს, გამოყოფა გვინდაო. სეპარატიზმის გაღვივება უნდა კიდევ ამ კუთხეს?**

ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ, **როდესაც ნახავენ, ამა თუ იმ გაზეთში რამე არასასიამოვნო დაიბეჭდა ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ, სამთავრობო აგენტურა დილაადრიან ჩამოივლის საგაზეთო ჯიხურებს და მთელ ტირაჟს ყიდულობს, ხალხმა რომ არ წაიკითხოს.**

ესაუბრა
**მაია გელაშვილი**

**«არსებობს ამ ტერიტორიის დაკარგვის საფრთხე, რადგან კირნათის მიმდებარე ჭორხის მიწებს თურქები ითხოვენ. ამასთანავე, რამდენიმე ადამიანი მართლა ამბობს, — გამოყოფა გვინდაო. სეპარატიზმის გაღვივება უნდა კიდევ ამ კუთხეს?»**

მოკლედ

## ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ თეონა აქუბარდია დაინიშნა

**ტელეკომპანია კავკასიის დამფუძნებლის — დავით აქუბარდიას შვილი თეონა აქუბარდია უშიშროების ეროვნული საბჭოს მდივნის მოადგილედ დაინიშნა.** პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ბრძანებას ხელი 2 ივნისს მოაწერა. თეონა აქუბარდია არასამთავრობო ორგანიზაცია „თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭოს" გამგეობის წევრია. ის ბოლო ხანს უშიშროების საბჭოს მდივნის მრჩევლად მუშაობდა.



## ანქვაბის შემდეგ ლაკერბაიაც გადადგა

**29 მაისს აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადა პრემიერ ლეონიდ ლაკერბაიას, პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბს კი შესთავაზა, თვითონ ეთქვა უარი უფლებამოსილებაზე, 1 ივნისს ანქვაბი პოსტიდან გადადგა.** აფხაზეთში, სადაც გასულ კვირას მასობრივი საპროტესტო აქციები გაიმართა დე ფაქტო რესპუბლიკის ხელმძღვანელის პოსტიდან გადადგომისა და სახელისუფლო სისტემის რეფორმირების მოთხოვნით, გადადგომების სერია გრძელდება. ანქვაბის შემდეგ პოსტი დატოვა პრემიერმინისტრმა ლაკერბაიამ. მთავრობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი იქნება ვიცეპრემიერი ვლადიმერ დელბა.

**ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ევროკავშირის დაკვეთით ჩატარებული კვლევის თანახმად, მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის 1,7-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში 4,3-ით, ასევე მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში 12%-ით ზრდა არის ნავარაუდევი. შედარებისთვის: მხოლოდ 2014 წლის იანვარ-თებერვალში, წინა წელთან შედარებით, ექსპორტის ზრდამ საქართველოში შეადგინა 23% და ეს მეტწილად გამოიწვია მხოლოდ რუსული ბაზრის გახსნამ.**

# სიმართლე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ

**თვეზე ნაკლები რჩება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე. ხელისუფლება, ტრადიციულად, თავს იწონებს „ისტორიული“ მიღწევით, ოპოზიციად წოდებული გუშინდელი ხელისუფლება კი „არასაკმარისი ევროოპტიმიზმისთვის“ აკრიტიკებს „ოცნებას“. ამასობაში ევროპარლამენტის არჩევნებიც ჩატარდა და ევროსკეპტიკოსებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს. მარინ ლეპენის პარტიამ პირველი ადგილი მოიპოვა საფრანგეთში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირში ახალი წევრების მიღებას კი არა, მის პირველ-მეორე ზონებად გაყოფას სულ უფრო მეტი ამომრჩეველი უჭერს მხარს. პირველი ზონის — ევროკავშირის ბირთვი ქვეყნების — ამომრჩეველიც ასევეა განწყობილი, ჩვენი ხელისუფლება კი (თავისი „ოპოზიციანად“) ევროპასა და ნატოში ინტეგრაციაზე ლაპარაკს არ იშლის.**
**მერე რა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი პირდაპირ ამბობს: „არც უკრაინა და არც საქართველო ნატოს გზას არ ადგანან!“, მერე რა, რომ ევროკომისიის თავმჯდომარე გვეუბნება: „საქართველოს ევროკავშირის წევრობას ვერ შევთავაზებთ!“ – სახელისუფლო ტანდემი კვლავაც ჯიუტად იმეორებს, რომ ნატოშიც შევალთ და ევროკავშირშიც!**



მაია ფანჯიკიძე და კეტრინ ეშტონი

ასეთ ილუზიებში მყოფი პოლიტიკური ელიტისგან ნამდვილად არ უნდა გვიკვირდეს, რომ საკუთარ მოსახლეობასაც ფუჭი ოცნებებით კვებავს — **ხალხს ჰგონია, გორში ჩამოვლენ ევროპელები, თვითონვე დაკრეფენ ვაშლს, იქვე ჩაუთვლიან ფულს და ევროპაში წაიღებენ! ქალაქელთა უმეტესობას კი მართლაც სჯერა, რომ დღეს-ხვალ ევროკავშირში უვიზოდ ივლის.** ფულიანებს შენგენის ვიზის პრობლემა ისედაც არ აქვთ, დანარჩენებს კი იმის ფული სად აქვთ, რომ ევროპაში ლუვრისა და უფიცის დასათვალიერებლად იარონ; ევროპაში ძირითადად, მოხუცების მომვლელად მუშაობენ და აქ დარჩენილ ოჯახებს პურის ფულს უგზავნიან.

სოციალურ ქსელებში გავრცელდა ასეთი ანეკდოტიც: **ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ქართველებისთვის იქნება შენგენის განსაკუთრებული ვიზა, ფორმულირებით „შენგენაცვალე“.** ერთი სიტყვით, ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ **რიტორიკა უცვლელია: ვიცით, არ გვიღებენ კარს, მაგრამ მაინც ჯიუტად „შევდივართ“. როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, დღეს ქართული საზოგადოების ყურადღება იმაზეა გადართული, ვინ მოაწერს ხელს ამ შეთანხმებას — პრეზიდენტი თუ პრემიერი და არა იმაზე, რა წერია ამ ათასგვერდიან დოკუმენტში.** „გლობალური კვლევების ცენტრი“, ფაქტობრივად, ერთადერთი ორგანიზაცია აღმოჩნდა, რომელმაც საექსპერტო კონფერენცია მიუძღვნა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ამ წერილში მოტანილი არგუმენტები სწორედ კონფერენციაში მონაწილე ექსპერტებს — იოსებ არჩვაძეს, მამუკა ჩხეიძეს, თამაზ იმნაიშვილს, პაატა კოღუაშვილს და სხვებს ეკუთვნით.

**როგორც კი ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის თარიღი დაზუსტდა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ჩვეულებისამებრ, პანიკის დათესვა დაიწყო, რომ რუსეთი აუცილებლად განახორციელებს სამხედრო აგრესიას შეთანხმების ხელმოწერამდე.**

**რა უშავს მერე, რომ 2008-ში, ყოველგვარი ხელმოწერის გარეშე, სწორედ მათი ლიდერის ავანტიურის გამო რუსეთმა უკვე შეისრულა ის, რაზეც მანამდე არც უფიქრია!**

აპრილის პირველ რიცხვებში ქართველი ექსპერტები რუსეთის პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენელ გრიგორი კარასინს შევხვდით და, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ამ თემაზეც ვკითხეთ: — ექნება თუ არა რუსეთს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე საქართველოს ხელმოწერასთან დაკავშირებით ისეთივე რეაქცია, როგორიც უკრაინის შემთხვევაში? მისი ვრცელი პასუხის მოკლე შინაარსი ასეთია: — **საქართველოსთვის ამ შეთანხმებაში არ არის ისეთი კაბალური პირობები, როგორიც უკრაინის შემთხვევაში. არც საქართველოს მრეწველობაა ისეთ მჭიდრო კავშირში რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსთან, როგორც უკრაინისა. მეორე მხრივ, ეს ხელშეკრულება არაფერს აძლევს საქართველოს და ამას ხალხი თვითონ დაინახავს ორიოდე წელიწადში.**

მართლაც, რას გვაძლევს ეს „ისტორიული“ შეთანხმება? თავი დავანებოთ ისეთ ზოგად, არაფრის მთქმელ ფორმულირებებს, რომ იგი „ჩვენი შეუქცევადი ევროპეიზაციის გარანტიაა“, რომ ამით „ჩვენ ვუახლოვდებით ევროპას“ და სხვ. ამ ციტატებმა, შეუძლებელია, არ გაგახსენოს, როგორ გადასწია სააკაშვილმა საქართველოს დრო უკან ერთი საათით და ამაყად განაცხადა, ამით ჩვენ ევროპას დავუახლოვდითო, სინამდვილეში კი მოსკოვის დროზე დასვა საქართველო!

უსაფრთხოების ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ შეთანხმებაში ბევრია პოზიტიური, თუმცა იქვე დასძენენ, რომ თანამშრომლობა, პირველ რიგში, სწორედ ევროპის ინტერესებშია. იმავეს თქმა შეიძლება მიგრაციის თუ იარაღის გავრცელების კონტროლის სფეროში თანამშრომლობაზეც, თუმცა **ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის, ცხადია, სავაჭრო-ეკონომიკური ბლოკის საკითხებია, რომლებზეც საქართველოს მთავრობას ერთი კითხვაც არ გასჩენია.** შეგახსენებთ, რომ ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟოზე მანუელ ბაროზუმ ჩვენს პრემიერთან სადილის შემდეგ იხუმრა კიდეც: — **რეკორდულ დროში, ერთი სადილის განმავლობაში გავიარეთ ეს შეთანხმებაო!**

იმასაც შეგახსენებთ, რომ უკრაინაში კრიზისი სწორედ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე იანუკოვიჩის თავშეკავებით დაიწყო, თუმცა მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულმა ახალმა ხელისუფლებამაც მხოლოდ შეთახმების პოლიტიკურ ნაწილს მოაწერა ხელი. ეკონომიკურ ნაწილზე ხელმოწერისთვის დრო ახლა უკვე ახალარჩეულმა პრეზიდენტმა პოროშენკომაც მოითხოვა. ისმის კითხვა: **ღირდა ამისთვის ყირიმის დაკარგვა ან იქნებ პენსიების განახევრება ან კომუნალური ტარიფების გაორმაგება? — სწორედ ამას ითხოვს უკრაინისგან მისი კრედიტორი — საერთაშორისო სავალუტო ფონდი!**

ეს ყველაფერი საქართველომ, იმავე კრედიტორის წყალობით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამდე დიდი ხნით ადრე გაიარა და სწორედ ამიტომ არ არის ახლა ეს პუნქტები ჩვენთვის „კაბალური“. **ცნობისთვის: უკრაინასთან შედარებით, საქართველოში პენსია საგრძნობლად მცირეა, ხოლო ტარიფები — 2-3-ჯერ მაღალი. არადა, ეკონომიკური განვითარებით ეს ორი ქვეყანა თითქმის თანაბარ მდგომარეობაშია.**

ვინ დაიწყებს დავას, რომ ევროკავშირის ბაზარი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ხალხის ბაზარია. მისი მოსახლეობა ხუთასი მილიონია და ამ ბაზარზე დამკვიდრება საქართველოსთვის მეტად მომგებიანი იქნებოდა, მაგრამ **მზად ვართ ამ ბაზრისთვის ან ევროპა არის მზად, თუ ევროკავშირში არა, საკუთარ ბაზარზე მაინც შეგვიშვას?**

თავი რომ დავანებოთ, მაგალითად, ხელშეკრულების იმ პირობებს, რომლებიც ეხება სტანდარტიზაციას, სანიტარულ ზედამხედველობას და ა.შ. — არადა, ჩვენზე უკეთ ვინ იცის, რომ სააკაშვილის „ნოვატორულმა“ მთავრობამ ყველა ეს მექანიზმი მოშალა, — **როდის დააკმაყოფილებს ქართული პროდუქცია ევროპულ სტანდარტებს, არავინ უწყის, თუმცა ეს პრობლემა რომც არ არსებობდეს, რის გატანა შეგვიძლია ევროპაში?**

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **მამუკა ჩხეიძე** ასე აღწერს ვითარებას: „ხელშეკრულების თანახმად, საბაჟო გადასახადი მოიხსნება ყველა პროდუქტზე, მაგრამ ეს გადასახადი, პირველ რიგში, მოიხსნება ევროკავშირის ქვეყნების პროდუქციაზე, რომელიც საქართველოში შემოდის — ყველაფერზე და იქ არავითარი დათქმა არ არის, მაგრამ, რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის პროდუქციას, რომელიც უნდა შევიდეს ევროკავშირში, აქ საინტერესო დათქმებია. **კვოტები შემოდის მრავალ ქართულ პროდუქციაზე, მაგალითად, საქართველოს ამ ეტაპზე არა აქვს ათას ტონაზე მეტი ხორცის პროდუქტის გატანის უფლება და, თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ ვართ მზად, ათას ხუთასი ტონა გავიტანოთ, იმ ხუთას ტონაზე ცალკე უნდა მოვილაპარაკოთ.**

შეთანხმების დანართით — **B2B პროდუქცია თავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან, მაგრამ, ამასთანავე, ექსპორტირებისას იბეგრება ე.წ. ბაზარზე შესვლის ფასის გადასახადით. ამ გადასახადის დედააზრი არის ის, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქცია არ უნდა იყოს ევროკავშირში წარმოებულ პროდუქციაზე იაფი, ანუ ამ გადასახადის დაწესებით გაუტოლდეს მათ ბაზარზე არსებული პროდუქციის ფასს.** გლეხურად რომ ვთქვათ, გორის ვაშლი არ უნდა იყოს ესპანურ ვაშლზე იაფი. ყველა კონკრეტული პროდუქციისთვის არის კონკრეტული ციფრი. მოგეხსენებათ, რომ ევროკავშირში სოფლის მეურნეობის პროდუქცია უფრო ძვირი ჯდება. **ეს გაერთიანება იცავს თავის ბაზარს, ჩვენ პროდუქცია რომ არ შევიტანოთ მისთვის დემპინგურ ფასად და ამით არ გავუწიოთ კონკურენცია. გადავხედოთ, რა პროდუქტებზეა საუბარი.**

ეს ჩამონათვალი მოიცავს, პრაქტიკულად, ჩვენს ყველა პროფილურ ხილსა და ზოგიერთ ბოსტნეულს. კერძოდ, ამ ცხრილში ვხვდებით: **კიტრსა და პომიდორს, ყველა ციტრუსს, რომელიც საქართველოში მოდის, სუფრის ყურძენს, ვაშლს, მსხალს, ატამს, გარგარს, ალუბალს, ბალს, ქლიავს.** საქართველოში ბანანი და ანანასი არ მოდის და, ბუნებრივია, არ არის შეტანილი, **ანუ, პრაქტიკულად, რჩება ღვინო და მინერალური წყალი, რომელიც გვხვდება იმ პრეფერენციაში, რომელსაც ჰქვია საბაჟო გადასახადის მოხსნა. ზემოთ ჩამოთვლილ სოფლის მეურნეობის პროდუქციას ჩვენ ამ დანართის გამო რეალურად ვერ შევიტანთ, ან თუ შევიტანთ, იქნება მიზერული დონის“.**

რაც შეეხება ღვინოს, ევროპული ბაზარი გაჯერებულია ევროპული და იაფი თურქული ღვინითაც. წყლის ბიზნესი ასევე მონოპოლიზებულია და, როგორც ღვინის შემთხვევაში, წყლის მინერალიზაციაზეც, როგორც წესი, ყოველთვის ხდება აპელირება „სტანდარტზე“. **ქართული ღვინო თავისი უნიკალური ტექნოლოგიით ევროპაში მოთხოვნით არ სარგებლობს. ციფრებიც მეტყველებს, რომ იქ გაყიდული ჩვენი ღვინის რაოდენობა მიზერულია, ისიც, ევროპულად დაყენებულის.**

**შარშან, როგორც კი გაიხსნა რუსული ბაზარი ქართული ღვინისთვის, არასრულ ერთ წელიწადში საქართველოდან რუსეთის ბაზარზე მთელი ექსპორტის 44% შეადგინა ღვინის ექსპორტმა. ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსული ბაზარი სრულად არ გაიხსნა, ყველა ფირმას არ მისცეს ბაზარზე შესვლის უფლება.**

მხოლოდ ქართველ ექსპერტებს რომ არ ვენდოთ, ევროკომისიის დაკვეთით ჩატარებულ კვლევაში ჩავიხედოთ, რომელიც საქართველოსთვის ასოცირების ხელშეკრულებით გამოწვეული ეკონომიკური ეფექტის მოდელირებას ასახავს, ანუ ევროკომისია თვითონ დაინტერესდა, ამ დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ რა ეკონომიკური ეფექტი შეიძლება ნახოს საქართველომ. **ევროკავშირის დაკვეთით ჩატარებული კვლევის თანახმად, მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის 1,7-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში 4,3-ით, ასევე მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში 12%-ით ზრდა არის ნავარაუდევი. შედარებისთვის: მხოლოდ 2014 წლის იანვარ-თებერვალში, წინა წელთან შედარებით, ექსპორტის ზრდამ საქართველოში შეადგინა 23% და ეს მეტწილად გამოიწვია მხოლოდ რუსული ბაზრის გახსნამ.**

**ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემთხვევაში, რუსეთის ბაზრის ხელახლა ჩაკეტვა ერთობ საგრძნობი დარტყმა იქნება ქართული ეკონომიკისთვის. ეს შეუძლებელია, არ იცოდეს ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ, თუმცა რა ენაღვლებათ – მათგან განსხვავებით ხომ არც ერთ ევროპელ მოხელეს არ მოუვა თავში, რიგითი მოქალაქის პენსიაზე 80-ჯერ მეტი თანხა გამოიწეროს წლიური პრემიის სახით!**

**ბატონებო, იქ, სადაც თქვენ ხართ, ევროპაა? და სადაც საქართველო შეგყავთ?** უბრალო მოკვდავთათვის კი ერთი ქართული ანდაზის პერიფრაზი დღეს ასეთი იქნებოდა: **„გიჟი ევროპას მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდაო“!**

**„მეოცნებენი“ ერთად თუ ცალ-ცალკე პატრიარქს ვითომ პატივს სცემენ, მაგრამ იმავე პატრიარქის არაერთგზის თხოვნა-მუდარა არ შეისმინეს, პირიქით — აქეთ გვიკითხავდნენ ტელეეთერში ლექციებს მართლმადიდებლობის მრწამსისა და ანტიდისკრიმინაციული კანონის იდენტობაზე...**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მოხალისე ტაშისმკვრელთა რაზმეულები

**ტაშისმკვრელი, ანუ ნასუფრალის სანაცვლოდ ძლიერთა ამა ქვეყნის საამებლად მონური მორჩილებისთვის მოწოდებული შემოქმედებითი ინტელიგენციის მცირე, მაგრამ ავტორიტეტული ნაწილი, რომელსაც „მეფეთათვის“ გუნდრუკის კმევა წლების განმავლობაში ძირითად პროფესიად გაუხდია, არც „ლეგენდარულ“ ვასილ პავლოვიჩ მჟავანაძეს აკლდა და, მით უმეტეს, არც ედუარდ შევარდნაძეს. თქვენ წარმოიდგინეთ, სააკაშვილსაც კი ჰყავდა ტაშისმკვრელნი მათი რიგებიდან, ვინც დღეს ბიძინა ივანიშვილს გუნდრუკს უკმევს.**



მხოლოდ ზვიად გამსახურდია არ მოუვიდათ თვალში ზემოხსენებულ გუნდრუკის მკმეველებს და ერთიანად აიჯაგრნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის დასამხობად — ზვიად გამსახურდიას ხომ არც აშშ ეხატებოდა გულზე და არც რუსეთი!

თუკი თეა თუთბერიძე-ნინია კაკაბაძეების მსგავს წვრილფეხობას არ ჩავთვლით, **ავტორიტეტთაგან პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ბიძინა ივანიშვილია, რომელმაც პატრიარქს უკადრებელი აკადრა და ეს ამბავი დიდი ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე მოხდა,** ორმოცზე, სადაც თქვენი მონამორჩილიც გახლდათ მიწვეული, მაგრამ ვერ მივიდა, „თორემა“...

ამიტომ **ამ ამბის შემსწრე ჩემი მეგობრის, ჩინებული პოეტის — ვაჟა ოთარაშვილის მონათხრობით კიდევ ერთხელ შევახსენებ საზოგადოებას, რაც უკვე იცის:**

სუფრის თამადა ლაშა თაბუკაშვილს ჭაბუა ამირეჯიბის ბერად აღკვეცის პერიპეტიები გაუხსენებია და ამ ქმედების მთავარი ინიციატორისა და შემოქმედის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ს სადღეგრძელო შეუთავაზებია სუფრის წევრებისთვის. და **ის იყო ფეხზე ამდგარ საზოგადოებას მისი უწმინდესობის სადღეგრძელო უნდა შეესვა, რომ ბიძინა ივანიშვილმა მიკროფონში ჩასძახა: — რა არის ეს, ნუ გავაფეტიშებთ ამ კაცს, პატრიარქიც ჩვეულებრივი ადამიანია, მასაც უამრავი ნაკლი აქვს და ეკლესიაშიც არ არის ყველაფერი რიგზეო** და ა. შ. რასაც, ბუნებრივია, გამოუწვევია დამსწრე საზოგადოების უმეტესობის ჯერ გაკვირვება, შემდეგ — დრტვინვა. **ამას მოჰყოლია ვაჟა ოთარაშვილის „თავხედური“ შეძახილი: „ეეე, შენი დანიშნული მინისტრები აკრიტიკე!“ და შეცბუნებული ლაშა თაბუკაშვილის ნათქვამი: „არ გეთანხმებით ამაში, ბატონო ბიძინა!“.** ატმოსფერო ისე დაძაბულა, სუფრის დემარშით აშლას აღარაფერი აკლდა, მაგრამ ისევ ჭაბუას ხსოვნის პატივისცემამ გადასძლია მეინახეებს და უგემურად ჩაუმთავრებიათ დიდი მწერლის სულის საცხონებელი ტრაპეზი...

სამების ალმშენებელს იქვე, სუფრაზევე გამოუჩნდნენ ქლესა დამცველები (რომ ჰკითხოთ, პატრიარქის მზეს ფიცულობენ), შემდგომ დღეებში კი ეს „დაცვა“ კიდევ უფრო დიდი შემართებით გაგრძელდა — ბიძინამ ასე კი არა, ისე თქვა; ეს კი არა, ის იგულისხმა; ნათქვამის კონტექსტი სხვაა და ა.შ. **იყო სხვა უსუსური მცდელობაც ყველა დროის უპირველესი ქველმოქმედის „როყიოდ ნასროლი“ ფრაზების გათეთრებისა, მაგრამ...**

ნათქვამია, შუბი ხალთაში არ დაიმალებაო და **ბიძინა ივანიშვილის ფიქრებისა და ზრახვების რეალური არსი მოკლე ხანში გამოჩნდა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, როდესაც უკვე „პირველმა მოქალაქემ“ თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა სუფრაზე „წამოცდენილი“; უფრო მეტიც, განაცხადა, მიდით, აკრიტიკეთ, საზოგადოებაში არ უნდა არსებობდეს ტაბუირებული თემებიო, რაც ეკლესიის, პირადად პატრიარქის კრიტიკა-განქიქებისთვის მწვანე შუქის ანთებას ჰგავდა არასამთავრობო თუ სამთავრობო ხლისტებისთვის და დაიწყეს კიდეც — რუსული ვირუსისგან საპატრიარქოს დეზინფექცია მოითხოვეს ამ მართლა სადეზინფექციოებმა!..**

**ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივედით იმასთან, რასაც ივანიშვილის საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ე. წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის ერთსულოვნად მიღება ჰქვია.**

აი, **აქ დამთავრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის ტაშისმკვრელი ნაწილის მიერ „დიდ ბიძინაზე“ შექმნილი მითი, რომ ივანიშვილი და მისი გუნდი ეროვნულები არიან და ამაში მათ მხოლოდ რესპუბლიკელ-ალასანიას ნეოლიბერალი ამერიკანისტები უშლიან ხელს; რომ ამ ბალასტს დღეს თუ არა ხვალ უეჭველად მოიშორებს „ბიძინიჩი“ ღარიბაშვილი და ა. შ.**

„მეოცნებენი“ ერთად თუ ცალ-ცალკე პატრიარქს ვითომ პატივს სცემენ, მაგრამ იმავე პატრიარქის არაერთგზის თხოვნა-მუდარა არ შეისმინეს, პირიქით — აქეთ გვიკითხავდნენ ტელეეთერში ლექციებს მართლმადიდებლობის მრწამსისა და ანტიდისკრიმინაციული კანონის იდენტობაზე და კანონპროექტის განხილვა ვნების კვირის ოთხშაბათს, ანუ იუდას მიერ ქრისტეს გაყიდვის დღეს დაიწყეს; მეორე მოსმენით მიიღეს წითელ პარასკევს — ქრისტეს ჯვარცმის დღეს; ხოლო საქართველოს ამოგდება ბრწყინვალე შვიდეულში დაგვიკანონეს!

**ამბობენ, ივანიშვილმა უმრავლესობის ლიდერები „კედელთან მიაყენა“ და სულ თითი უქნიაო. ჰოდა, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისას ამიტომაც აღინიშნა სამარცხვინო ერთსულოვნება პარლამენტში...**

ამის შემდეგ გუნდრუკის მკმეველებმა მორიგი ზღაპარი შექმნეს — ამ კაცმა (ბიძინამ) საკუთარი თავისა და ოჯახის ყოფნა-არყოფნა სასწორზე შეაგდო, საქართველო გადაარჩინა, ყველაფერი უცბად რატომ გვინდა, უმადურები რატომ ვართ, ჩვენ ხომ არ ვიცით, რა საფრთხე ემუქრებაო და ა. შ.

## როცა ერთი ხელით სამების ტაძარს აგებ, მეორით კი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით სულიერ სამებას ანგრევ, რა ჰქვია ამას?

როდესაც ბადრი პატარკაციშვილმა მართლა სასწორზე შეაგდო საკუთარი სიცოცხლე, მაშინ ბიძინასაც რომ მხარი აება, „ნაცმოძრაობის“ კოშმარული მმართველობა უფრო ადრე დასრულდებოდა, მაგრამ მაშინ სამების აღმშენებელი ქართველთდამარბეველი ვანო მერაბიშვილის უწყებას აფინანსებდა!

ან რატომ ითვლება სამების ტაძარი მხოლოდ ბიძინას ექსკლუზივად? თუმცა, ვისაც ასე მოსწონს, იყოს მხოლოდ ბიძინა სამების აღმშენებელი, მაგრამ, **როცა ერთი ხელით სამების ტაძარს აგებ, მეორით ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით სულიერ სამებას ანგრევ, რა ჰქვია ამას?**

**დიახ, ისტორიამ იცის შემთხვევები, როდესაც საქართველოს მეფეებს თუ ზოგადად ქვეყნის საუკეთესო შვილებს თავზე ჩალმა ეხურათ და მალულად ჯვარს ატარებდნენ! ჰოდა, სამების აშენებითა და პედერასტული კანონის მიღებით, მკითხველმა განსაჯოს, რას გვიმალავს ბატონი ბიძინა — ჩალმას თუ ჯვარს?**

ისე, როდესაც ტაშისმკვრელ-გუნდრუკის მკმეველთა ლიგა მავანს საქართველოს გადარჩენას აბრალებს, იქნებ გაიხსენოს თავდადება ქართველი ერისა, რომელიც „მესიის მოსვლამდე“ გულხელდაკრეფილი არ მჯდარა და, როგორც შეეძლო, იბრძოდა — გავიხსენოთ, რომ 330 ათასმა კაცმა მიშას გულაგები ხეხა, არც 2007 წლის 7 ნოემბრის სასტიკი დარბევა და 2011 წლის 26 მაისის სასაკლაოა დასავიწყებელი. სწორედ ამ მოვლენებმა შეარყია საფუძვლიანად სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი. და მთავარი — იმხანად წინააღმდეგობის მოძრაობისა და დღეს სპა-საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია, კოდური სახელწოდებით „ციხის კადრები“, საკონტროლო გასროლის ტოლფასი იყო ბიძინას ფაქტორით დამბლადაცემული სააკაშვილის რეჟიმისთვის!

მაგრამ ბიძინა ივანიშვილის შესაძლებლობების მაქსიმუმი, ალბათ, ეს იყო ან მეტის კეთების სურვილი არ აქვს, ან მილიარდების დაკარგვის შიშის გამო აღარაფრის გაკეთება არ სურს... **და რა ვქნათ ახლა, ერთ კაცს გადავაყოლოთ ქვეყანა, ბატონო ტაშისმკვრელებო?**

თუ საქართველოს გადარჩენა მაინცდამაინც ვინმესთან უნდა იყოს პერსონიფიცირებული, ეს არის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, აგრეთვე, მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ, ივანიშვილის აზრით, იქ „ყველაფერი რიგზე ვერ არის“ (და ნამდვილად ასეა), „ნაცების“ კოშმარული რეჟიმის პერიოდში ყოველთვის იქ იდგა, სადაც უნდა მდგარიყო და ახლაც „იქ“ დადგა — **პარლამენტისგან გაწბილებულმა მისმა უწმინდესობამ სწორედ 17 მაისი გამოაცხადა ოჯახის დაცვისა და მშობლების პატივისცემის დღედ, რაც არა მხოლოდ შინაურ, არამედ, პირველ რიგში, უცხოელ ხლისტებს ემცხეთათ, რადგანაც პატრიარქის ეს ნაბიჯი სახიფათო დემარშია სოდომ-გომორის გზაზე შემდგარი დასავლეთის მმართველი ელიტებისთვის.**

ქართველებო და არაქართველებო, ამა წლის 17 მაისს ერთი ბრძოლა მოვიგეთ, ხოლო ომი, რომელიც ლგბტ პედერასტებმა გამოუცხადეს ზნეობას, ყველა ტრადიციულ რელიგიურ კონფესიას, გრძელდება და ჩვენს ხანდაზმულ პატრიარქს ჩვენი დაცვა სჭირდება როგორც გლობალისტებისგან, ასევე მათ მიერ აქ ჩანერგილი მეხუთე კოლონის, ე.წ. არასამთავრობოების თავდასხმებისგან!

**რწმენა და სიყვარული ის სუბსტანციებია, რომლებსაც თვალი და ყური არ აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჭეშმარიტი სიყვარული უნდა გვქონდეს მხოლოდ უფლისა და ჩვენი პარტიარქის და არავითარ შემთხვევაში — უბრალო მოკვდავის, თუნდაც სამების ამშენებელ-ქველმოქმედისა!**

გასრულდა კოჰაბიტაციური ფლირტის პირველი ფაზა, რომელიც, მარგველაშვილის დაპირებისამებრ, პრეზიდენტად მისი არჩევის შემდეგ არათუ დასრულდა, არამედ, როგორც ვვარაუდობდით, ახალ, მიჯნურობის ფაზაში გადავიდა და პოლიტიკურად ერთსქესიანი „ნაცებ-ქოცების“ ქორწინებაც შედგა.

არა, ტელედებატებში ვითომ კი ხოცავენ ერთმანეთს, მაგრამ ეს ის ცოლ-ქმრის ჩხუბია, მხოლოდ რეგვენს რომ ჰგონია მართალი...

შეგნებულად აღარაფერს ვამბობ ყბადაღებული სამართლიანობის აღდგენის იმ შემადგენელზე, რომელსაც ე. წ. გახმაურებული საქმეების გამოძიება და მწამებელ-სადისტთა თუ მკვლელთა დასჯა ჰქვია, რადგან ამის არც უნარი და, რაც უმთავრესია, არც სურვილი გააჩნია ხელისუფლებას და ამაში ტაშისმკვრელები შინ თუ გარეთ ყველას და ყველაფერს ადანაშაულებენ, ოღონდ არა „დიდ ბიძინას“, მაგრამ სხვა დაპირებაც ხომ იყო?!

კერძოდ, რუსეთთან ურთიერთობების დალაგება, რომელიც დღეს ისეა არეული და ბუნდოვანი, როგორც არასდროს — ერთი მხრივ, ნატო-ევროკავშირისკენ სწრაფვა და თან რუსეთთან პოლიტიკური პასიანსის დალაგება, რბილად რომ ვთქვათ, უტოპიაა და ამ გეზის რეალური პერსპექტივის დანახვა თუ გვინდა, უკრაინისკენ გავიხედოთ, რომელიც, როგორც სახელმწიფო, პრაქტიკულად აღარ არსებობს!..

ჰოდა, მეზობლების გაკვეთილზე მაინც ვისწავლოთ, რადგან არც ნატოში მიგვიღებენ ოდესმე და მითუმეტეს — არც ევროკავშირში. პირველზე ბარაკ ობამას „წამოსცდა“ მწარე სიმართლე და მეორეზე მანუელ ბაროზოს, მაგრამ რად გინდა! ივანიშვილის მიერ პატრიარქის მიმართ „წამოცდენის“ არ იყოს, ობამა-ბაროზოს მარტივად ნათქვამსაც გამოუჩნდნენ ჩვენში რთულად განმმარტებელნი, რომ ასე კი არა, ისე, ეს კი არა, ის იგულისხმა და ა.შ. საზოგადოების დასაბოლებელი სხვა მრავალი ტყუილი...

დასავლეთისვე სერიოზული ანალიტიკოსების აზრით, ევროსაბჭოს უკანასკნელი არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, ეს არჩევნები ევროპისთვის მართლაც უკანასკნელი შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან ბებერი ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა (ნიდერლანდები, ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, საბერძნეთი, უნგრეთი და ა. შ.) ე. წ. ევროსკეპტიკოსი თუ ნაციონალისტი რადიკალების აქამდე უპრეცედენტო რაოდენობის დეპუტატები გაიყვანეს, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი ევროკავშირის შიგნიდან დაშლას შეეცდებიან, რადგან მათაც ყელში ამოუვიდათ ნეოლიბერალური ე.წ. საერთო ევროპული ფასეულობები და საკუთარი ეროვნული, ტრადიციული ღირებულებების რეანიმაცია-დაცვას აპირებენ!

ჰოდა, საით გვექაჩება მაია ფანჯიკიძე, რომ იმუქრება — ასოცირებაზე ხელმოწერაში ხელს ვერავინ შეგვიშლისო, პრაქტიკულად დაშლისპირას მყოფი ევროკავშირისკენ?

ამასობაში კი რუსეთმა, დასავლეთის უკბილო სანქციების პასუხად, ჩინეთთან მართლაც საუკუნის, 400-მილიარდიანი კონტრაქტი გააფორმა და უმთავრესი, ე. წ. ევრაზიული კავშირი უკვე შემდგარი ფაქტია, რომელიც გასულ კვირას ასტანაში დააფუძნეს რუსეთ-ბელარუს-ყაზახეთის პრეზიდენტებმა და უახლოეს დღეებში ამ ეკონომიკურ გაერთიანებას ყირგიზეთი და ჩვენი ბრძენი მეზობელი სომხეთიც შეუერთდება!

სომხეთი, რომელიც არა და არ შორდება რუსეთის ორბიტას და შედეგად არათუ საკუთარი ტერიტორიები დაკარგა, სხვისიც მიიერთა.

ჰოდა, უკრაინელებისგან თუ არა, იქნებ სომხებისგან მაინც ვისწავლოთ?..

**დავით მხეიძე**

ჩევლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ჯენ ფსაკი, თავისი იდიოტიზმითა და ცინიზმით, ამერიკული ადმინისტრაციის საიდუმლო იარაღია. სხვაგვარად როგორ შეიძლება ახსნა, რომ მსოფლიოს ჰეგემონობის პრეტენზიის მქონე სახელმწიფოს ადმინისტრაციას სწორედ ასეთი „გონებაგახსნილი“ არსება წარმოადგენს?!

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ინტელექტუალური სახე



**დღეს ინტერნეტსივრცეში ყველაზე პოპულარული ქალი ჯენ ფსაკია – აშშ–ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი. მისი სისულელეები შორს გასცდა იმ ზღვარს, რომელიც, ზოგადად, ამერიკელებისა და კერძოდ, მათი მთავრობის უცოდინარობასა და საკუთარ უპირატესობაში რწმენას დღემდე გააჩნდა.**

მის ბრიფინგებზე სერიოზული ამერიკული გამოცემების ჟურნალისტები გაოცებას ვერ მალავენ, რადგან მორიგი სრული სისულელის თქმის შემდეგ ჯენ ფსაკი ჟურნალისტების რეაქციის კვალდაკვალ აცხადებს, რომ მან, უბრალოდ, იხუმრა. **ფსაკიმ ერთხელ წამოროშა, რომ, თუ ბელარუსის არმია უკრაინაში შევა, ამერიკის მე-6 ფლოტი ბელარუსის ნაპირებს მიადგება. არც არავინ შეუსწორა, რომ ბელარუსს ზღვაზე გასასვლელი არ აქვს!**

მეორედ ასეთი „მარგალიტი“ ისროლა: **„გაზი დასავლეთ ევროპიდან უკრაინის გავლით მიეწოდება რუსეთს(?!)“.** მესამედ დონეცკისა და ლუგანსკის რეფერენდუმებზე ილაპარაკა და „კარუსელები“ ახსენა. ჟურნალისტი ჩაეკითხა: „ეს რას ნიშნავს? პატარა ბავშვები კარუსელებზე ტრიალებენ და თან ხმას აძლევენ“? ფსაკიმ გაიღიმა და უპასუხა, რომ თვითონაც პირველად გაიგო ამ ტერმინის შესახებ და აუცილებლად გაარკვევს ექსპერტებთან, თუ რას ნიშნავს იგი.

მეოთხედ მოქმედი ვიცეპრეზიდენტის – ჯო ბაიდენის ვაჟის დანიშვნა უკრაინული ნავთობისა და გაზის მომპოვებელ ჰოლდინგ „ბურისმას“ დირექტორთა საბჭოში ისე „გააპრავა“, თითქოს არც არაფერი მომხდარა: **„ბაიდენი-უმცროსი იურიდიულ საკითხებს გაუწევს კურირებას. ის კერძო პირის სახით მოქმედებს და აშშ არ შიშობს, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე ეს ნაბიჯი არასწორად იქნება აღქმული“!**

ფსაკიმ პასუხი არ გასცა ჟურნალისტის შეკითხვას იმის შესახებ, არის თუ არა უკრაინის ხელისუფლების მოქმედება ქვეყნის აღმოსავლეთში პრობლემის ძალის გამოყენებით გადაჭრის მცდელობა. მისი მორიგი სისულელე ასე გამოიყურება: **„ხელისუფლებას სრული უფლება აქვს, შეინარჩუნოს სტაბილურობა და წესრიგი საკუთარ ქვეყანაში“. მას არ დაუზუსტებია, რატომ არ ჰქონდა ამის უფლება იანუკოვიჩს.**

ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ჯენ ფსაკი, თავისი იდიოტიზმითა და ცინიზმით, ამერიკული ადმინისტრაციის საიდუმლო იარაღია. სხვაგვარად როგორ შეიძლება ახსნა, რომ მსოფლიოს ჰეგემონობის პრეტენზიის მქონე სახელმწიფოს ადმინისტრაციას სწორედ ასეთი „გონებაგახსნილი“ არსება წარმოადგენს?! **ჯენიფერი არ ეწევა, პრესტიჟულ უნივერსიტეტში სწავლისას კი ზურგზე ცურვაში ვარჯიშობდა. მედლები არ მიუღია, მაგრამ ასე, ზურგზე ცურვით, ჩაერთო დიდ პოლიტიკაში. ჯერ აიოვას შტატში სენატორებს ეხმარებოდა, რამდენიმე წელიწადში ჯონ კერიმ შეამჩნია და შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატ ობამას გადაულოცა. ფსაკი მისი პრესმდივანი გახდა.**

ასე მიცურდა ჯენ ფსაკი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტამდე და დღეს უკვე მილიონობით ადამიანს აცინებს, თანაც უფასოდ! ერთ-ერთ ტელედებატებში მას კითხვა დაუსვეს: **„არსებობს ვიდეოჩანაწერი ლიბიაში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე, სადაც ადგილობრივი ტერორისტები ჩანან. რა გეგმა აქვს ჩვენს მთავრობას ლიბიაში?“** ფსაკიმ ენთუზიაზმით უპასუხა: **„ო, მე ვფიქრობ, პრეზიდენტმა ობამამ და ჰილარი კლინტონმა ამის შესახებ მეტი იციან“.** რესპუბლიკელმა ოპონენტებმა შეახსენეს: **„კი, მაგრამ დღეს თქვენ მათ წარმოადგენთ ჩვენთან დებატებში. მაინც რა გეგმა გაქვთ?“** ფსაკი: **„ო, ეს ზუსტად იციან დეპარტამენტში, საიტზეც უნდა იყოს ინფორმაცია“.**




**ფსაკიმ ერთხელ წამოროშა, რომ, თუ ბელარუსის არმია უკრაინაში შევა, ამერიკის მე-6 ფლოტი ბელარუსის ნაპირებს მიადგება. არც არავინ შეუსწორა, რომ ბელარუსს ზღვაზე გასასვლელი არ აქვს!**

სხვა სატელევიზიო გამოსვლაში მას ჰკითხეს, რა არის ჰილარი კლინტონის მთავარი მიღწევა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პოსტზე მუშაობის განმავლობაში. ფსაკის პასუხი: **„ეს მთელი რიგი ღონისძიებებია, ასე მარტივად ვერ იტყვი“. „ერთი მაინც დაასახელეთ“,** — შეეხვეწა ჟურნალისტი. ფსაკიმ გაიღიმა, თან ძალიან დამაჯერებლად. **ფსაკის „გონებაგახსნილობა“ არ არის გასაკვირი, მისი წინამორბედი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის პოსტზე ხომ ვიქტორია ნულანდი იყო, რომელიც კიევის მაიდანზე ორცხობილას არიგებდა და თავისუფალ დროს ევროპას სულ Fuck-ს ეძახდა, ანუ აგინებდა. როცა ამ ჩანაწერმა ინტერნეტში გაჟონა, ნულანდმა მხოლოდ ის შეიცხადა, რომ ჩანაწერი „მეტისმეტად“ ხარისხიანი იყო.**

როდესაც ფსაკის ამ ჩანაწერის შესახებ დაუსვეს კითხვა, მან ჩვეული მომხიბვლელობით სცადა წინამორბედის გამოძვრენა: **„ახალგაზრდობაში ნულანდი რვა თვე სავაჭრო გემზე მუშაობდა და იქ რუსი მეზღვაურებიც იყვნენ. შესაძლოა, სალანძღავი სიტყვები იქ ისწავლა, მათ შორის, რუსულიც“.** აკრედიტებულმა ჟურნალისტმა გაოცება ვერ დამალა: **„კი, მაგრამ რა შუაში არიან რუსები? საუბარი ხომ ინგლისურად მიმდინარეობდა და გინებაც ინგლისურად იყო?“** ფსაკიმ გაიღიმა: **„მე ხომ უბრალოდ ვიხუმრე“!**

ამ დიალოგში „ასოშეიტედ პრესის“ ჟურნალისტი მეთიუ ლი მონაწილეობდა, რომელიც ყოველ სადაგ დღეს ესწრება ფსაკის ბრიფინგებს და კითხვებს უსვამს მას. სწორედ ამის შემდეგ იბადება ის „მარგალიტები“, რომლებსაც ინტერნეტში მილიონობით ნახვა აქვს.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ, ვიქტორია ნულანდისგან განსხვავებით, რომელიც ადრე ნუდელმანი იყო, ფსაკის არ შეუცვლია საკუთარი გვარი, რომელიც ყველა ენაზე ერთნაირად უხერხულად ჟღერს! ნულანდის გარდა, ფსაკის უტვინობას კიდევ ერთი მისი შეფი და ამავე დროს, აშშ-ის ამჟამინდელი სახელმწიფო მდივანი ჯონ კერიც უმაგრებს ზურგს. სწორედ მას ეკუთვნის „გენიალური“ გამონათქვამი: „აშშ-ში თქვენ სრული უფლება გაქვთ, სულელი იყოთ“! ფსაკიც გულმოდგინედ ახდენს ამ „ფუნდამენტური“ უფლების რეალიზებას. თავად კერიც ხშირად იყენებს ამ უფლებას, მაგალითად, როცა ყირგიზეთს „ყირხაზსტანს“ უწოდებს! ეს, თავის მხრივ, აშკარა „გეოგრაფიული კრეტინიზმით“ (და არა მხოლოდ) დაავადებული უმცროსი ბუშის ტრადიციის გაგრძელებაა! მას ეკუთვნის „მარგალიტები“: „უელსი? ეგ სადაა“? „უი, რამხელა ყოფილა ბრაზილია“! სწორედ მან უწოდა ოფიციალურ მიღებაზე ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ მეორეს ელისაბედ მეთერთმეტე; უბრალოდ, რომაული მეორე — II არაბულ 11-ად მიიჩნია!

მისი ერთ-ერთი გამონათქვამი ძალიან წააგავს ჩვენებური „დემოკრატიის შუქურის“ წამოყრანტალებულ „სიბრძნეს“, რომ იგი გაზეთებს არ კითხულობს. უმცროსმა ბუშმა განაცხადა: **„იშვიათად ვკითხულობ საგაზეთო სტატიებს, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც, ალბათ, ხანდახან კითხულობენ, მოხსენებებს მიმზადებენ“.** ერთსაც და მეორესაც ეტყობოდათ, რომ, გაზეთს კი არა, „ინტერნეტებსაც“ კი არ კითხულობდნენ. „ინტერნეტებიც“ ბუშის გამოგონილი სიტყვაა, ისევე, როგორც „საბერძნელები“ — „ბერძნების“ მაგივრად! აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის კიდევ ერთი „მარგალიტი“: **„დიახ, მე ვამბობ „ბარიფები და ტარიერები“ — „ტარიფებისა და ბარიერების“ მაგივრად, მაგრამ ცოლ-შვილს ძველებურად ვუყვარვარ“!**

ცოლი ფსაკის ქმარსაც უყვარს, მიუხედავად იმისა, რომ მათი გაცნობის ისტორია ისეთივე სულელურია, როგორც აშშ-ის სახელწიფო ადმინისტრაციის დღევანდელი ოფიციალური წარმომადგენლის ნებისმიერი გამონათქვამი; მისმა მომავალმა მეუღლემ პარტიის შტაბ-ბინაში დარეკა და იკითხა, თუ სად ტარდებოდა წინასაარჩევნო შეხვედრა. ფსაკიმ სულ სხვა მხარეს გააგზავნა. მოგვიანებით ფილოსოფიის ბაკალავრი გამოტყდა, რომ ხშირად ურევს ერთმანეთში მარჯვენას და მარცხენას.

**ერთი სიტყვით, როგორც ირკვევა, ჯენ ფსაკი სულაც არ არის გამონაკლისი ამერიკისა და მისი მარიონეტი ქვეყნების დიდ პოლიტიკაში. მაინც როგორ მოიყარა თავი ერთად ამდენმა უგუნურმა? იქნებ ვინმე მათ სწორედ „სიშტერის ინდექსით“ არჩევს? ამერიკელების სრული გაუთვითცნობიერებულობა დანარჩენი მსოფლიოს პრობლემებში სულაც არ უშლის მათ ხელს, ყველგან ჩაყონ ცხვირი და საკუთარი უვიცობა სიბრძნედ გაასაღონ, თუმცა ეს თვისება ყველა ბრიყვს აერთიანებს, ეროვნების, მოქალაქეობის, ალმსარებლობის თუ სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად. გასაკვირი მხოლოდ ის არის, რატომ დადიან ბრიყვების ჭკუაზე ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები!**

**თამარ დავითულიანი**

## დევიდ ქემერონი ევროკავშირიდან გასვლით იმუქრება



**დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ დევიდ ქემერონის განცხადებით, ევროკომისიის თავმჯდომარედ, ჟან-კლოდ იუნკერის არჩევის შემთხვევაში, ევროკავშირიდან გასვლის ალბათობას გაზრდის.**

ევროპის ლიდერთა მიერ ევროკომისიის თავმჯდომარის პოსტზე „ევროპის სახალხო პარტიის“ლიდერისა და ლუქსემბურგის ყოფილი პრემიერმინისტრ ჟან-კლოდ იუნკერის (მას მხარს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი უჭერს) კანდიდატურის განხილვისას, დევიდ ქემერონი მის მიმართ მკაცრი კრიტიკით გამოვიდა და ულტიმატუმი წამოაყენა.

**„იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირს იუნკერი ჩაუდგება სათავეში, ვერ მოგცემთ გარანტიას, რომ დიდი ბრიტანეთი გაერთიანების წევრად დარჩება. რადგან მსგავსი გადაწყვეტილება ჩემს მთავრობას დესტაბილიზაციამდე მიიყვანს. იძულებული გავხდები, ევროკავშირში დარჩენა-არდარჩენის შესახებ რეფერენდუმი გაცილებით ადრე ჩავატარო“,** — განაცხადა ქემერონმა.

# ამ კანონმა ამ ხელისუფლების დისკრედიტაცია გარკვეულწილად გამოიწვია. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ალბათ, შორს არ არის...

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მაია ნიკოლეიშვილი: ეს კანონი მართლმადიდებლობაში განხეთქილების შესატანად იყო გამიზნული



**30 მარტს საკუთარ სახლთან თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, პარლამენტარ ნუგზარ წიკლაურს... 3 მაისს თავს დაესხნენ და სცემეს დავით კოდუა, 14 მაისს მწერალი მამუკა ხერხეულიძე დაჭრეს, 27 მაისს ჩაის ჭიქით თავი გაუტეხეს ზურაბ ჭიაბერაშვილს და ცხელი ჩაი სახეში შეასხეს ნოდარ ლადარიას... მოკლედ, სამართლიანობის აღდგენამ ქუჩაში გადაინაცვლა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსა და მათ აქტიურ მხარდამჭერებს სცემენ ქუჩაში და ეს, სავარაუდოდ, იმიტომ ხდება, რომ „ქართული ოცნების“ დაპირებული სამართლიანობის აღდგენა ისეთივე აუხდენელ ოცნებად იქცა, როგორც მაპზე უკეთესის მიღება...**
**„საქართველო და მსოფლიო“ ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილს ესაუბრა, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა „ნაციონალური“ ხელისუფლების 9-წლიანი მმართველობის სიმძიმე და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის ბრალდებითაც გასამართლდა.**

**— ქალბატონო მაია, შეიძლება ითქვას, რომ სამართლიანობის აღდგენამ ქუჩაში გადაინაცვლა?**

— სამართლიანობა უნდა აღდგეს, ეს აუცილებელია. ელემენტარულ მაგალითს მოგიყვანთ. ერთ-ერთ პროცესზე გამოვდივარ და პატარა გოგონა, პროკურორი, მეკითხება, თქვენ ნასამართლევი ხართ? ვუპასუხე, რომ ნასამართლეობის არ მქონე ვარ, რადგან, როდესაც ადამიანი მოიხდი სასჯელს, შემდეგ ხდება ნასამართლეობის არ მქონე, ეს ყველაზე კარგად პროკურორმა უნდა იცოდეს. ერთ-ერთ პროცესზე კი, როგორც გითხარით, ეს შეკითხვა დამისვა პროკურორმა, შემდეგ უკვე სააპელაციო სასამართლოში მეორე პროკურორმაც იგივე მკითხა, ამიტომაც ვაპირებ, სარჩელი შევიტანო პატივისა და ღირსების შელახვისთვის. იმ პროკურორს ამას არ ვაპატიებ. თან ვუთხარი, რომ მე გასამართლებული ვიყავი განსაკუთრებით მძიმე, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის და ეს ჩემს პროფესიულ საქმიანობას არ შეეხებოდა. პროკურორს რომ ეკითხა: თქვენ ხომ არ იყავით გასამართლებული პროფესიული საქმიანობისთვის ან ხომ არ გქონდათ აკრძალვა და ხომ არ ვრცელდება ის დღეს? — ეს კორექტული შეკითხვა იქნებოდა. მე კი განვუმარტე, რომ გასამართლებული ვიყავი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის და ამას არანაირი კავშირი არ ჰქონდა ჩემს პროფესიულ საქმიანობასთან. ძალიან გავმწარდი, რადგან ეს შეკითხვა აბსოლუტურად არასწორი და არაკორექტული იყო...

მართლა რომ მეცადა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა, ვთვლი, რომ მორალურად მართალი ვიქნებოდი, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ამის არც თავი მქონდა და არც სურვილი, აზრადაც არ მომსვლია, თორემ დღეს მაინც ვიტყოდი ამაყად, „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დამხობა ვცადე-თქო. სამწუხაროდ, არ მიცდია. ისე ეჭვი არ მეპარება, რომ ის რეჟიმი გასასამართლებელია.

**— თუ მიმართეთ პროკურატურას თქვენი საქმის ხელახალი გამოძიების მოთხოვნით?**

— წელიწად-ნახევრის წინ, როგორც კი ახალი ხელისუფლება მოვიდა, დეკემბერში შევიტანე პროკურატურაში განცხადება და განვმარტე, რომ „აღიარებითი ჩვენება“ მივეცი ზეწოლის შედეგად, ეს დავასაბუთე კიდეც. ერთხელ დავიკითხე და... სამართლიანობა რომ აღდგენილიყო, ის პროკურორი ხომ ვერ დამისვამდა ამ არაკორექტულ შეკითხვას და დღეს ამხელა განცდაში არ ვიქნებოდი.

**— მოკლედ, სამართლიანობა არც თქვენ შემთხვევაში აღდგა...**

— არა, არა... არაფერს ვითხოვ, არაფერზე პრეტენზია არ განმიცხადებია, უბრალოდ, ვამბობ, რომ ჩვენება, რომელიც მივეცი, ტყუილი იყო-მეთქი... პროკურატურაში განცხადება რომ შევიტანე და გარეთ გამოვედი, ვთქვი: ციხიდან ახლა გამოვედი-თქო. მაშინ ამოვისუნთქე და ბედნიერი ვიყავი, რომ ამ ტვირთისგან გავთავისუფლდებოდი, მაგრამ რა გამოვიდა? ერთხელ დავრეკე, ვიკითხე და მიპასუხეს, ვიძიებთო... რა არის იქ გამოსაძიებელი, თუ ღმერთი გწამთ?! ამდენი ხანი რას იძიებენ?! კარგი, ჩემ შემთხვევას თავი დავანებოთ, მე შევძელი, რომ არ გავბოროტებულვიყავი და ამისთვის ფსიქოლოგიის შესწავლაც კი მომიხდა პროფესიონალურ დონეზე, მაგრამ ვინც ვერ მოახერხა, რომ დაეძლია ეს ყველაფერი?..

ერთხელ მეტეხის ტაძარში ვიყავი, უცებ ჩოჩქოლი ატყდა, გადაიკეტა მოძრაობა, თქვეს, — მიშა მოდისო. იმხელა აგრესიამ გაიღვიძა ჩემში, ცუდად გავხდი, იცით, რა ვქენი? დავტოვე ტაძარი და წამოვედი... რისი შემეშინდა, იცით? ეგ ხომ ყოვლად უნამუსო ადამიანია და პირისპირ რომ შევფეთებოდი, შეიძლება მოვეკითხე, — მაიკო, როგორ ხარო ან რაღაც ასეთი არ ეთქვა. მივხვდი, რომ საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებდი, შემეშინდა, კიდევ უარეს უბედურებაში არ გავხვეულიყავი, დავტოვე იქაურობა და წამოვედი. იმის შემდეგ ფსიქოლოგიის შესწავლა დავიწყე, რათა ამ სტრესისგან გავთავისუფლებულიყავი.

**— თქვენი აზრით, რატომ გაიწელა დროში სამართლიანობის აღდგენის პროცესი? ეს ახალ ხელისუფლებაში პროფესიონალიზმის დეფიციტის ბრალია?**

— მე მაინც მგონია, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ გარიგებასთან. ძალიან არ მინდა, რომ ეს ასე იყოს.

ირაკლი ალასანია მიტევებას რომ ქადაგებს, მას მეუღლე ფსიქოლოგი ჰყავს და შესაძლოა, შეუძლია, საკუთარ თავს მოერიოს, მაგრამ, როდესაც მიტევებას ქადაგებ, მაშინ იმ ადამიანების გაგებაც უნდა შეგეძლოს, რომლებმაც ტანჯვა-წამება და უმძიმესი წლები გადაიტანეს, მაშინ იმათაც უნდა გაუგო. მიტევება ადამიანს შეუძლია მაშინ, როდესაც მწვავე პერიოდი გაივლის და გარკვეულწილად ჩაქრება ტკივილი, დღეს როგორ შეიძლება მიტევებაზე ისაუბრო?!

დილის ხუთი საათი იყო, როცა ჩემს აგარაკზე დამაკავეს. მას შემდეგ ჩემი მეუღლე, რომელიც 25 წელი პროკურორი იყო, იქ არ მისულა, არც ჩემი უმცროსი შვილი, რომელიც მაშინ 11 წლის იყო. ერთხელ წავიყვანე, მინდოდა გადაელახა ეს ტრავმა, მაგრამ, რომ მივუახლოვდით აგარაკს, მოგვატრიალებინა მანქანა. საშინელება იყო ის ყველაფერი. გარშემო ტყეა, ბნელა და ავტომატის ლულა გაქვს მოშვერილი და ისე იღვიძებ, ვერ ხვდები, რა ხდება შენს თავს... ეს დადგმული სპექტაკლი იყო, რომელიც წვეთ-წვეთობით, ნელ-ნელა ანგრევს ფსიქიკას; ადამიანური ღირსება, სიამაყე — ეს ყველაფერი დანგრეულია. ძალიან ძნელია ამ ფსიქოლოგიური ტრავმის გადატანა.

„მე ტყუილს არ ვიტყვი!“ — მთელი ცხოვრება ამ პრინციპით ვცხოვრობდი, სიმართლისთვის ახლობლებისთვისაც კი მიწყენინებია და უცებ ამბობ ამხელა ტყუილს, თან ასეთ იდიოტურს, მაგრამ სხვანაირად მოქცევაც არ შეგიძლია... დანგრეული ხარ, აღარ გაქვს პიროვნული ღირსებები, ის ღერძი, რომელზეც შენი პიროვნება იგებოდა, დაშლილია; შენ ის ადამიანი აღარ ხარ, კარი რომ მაგრად მიაჯახუნო, იმისიც გეშინია. რომ ვიხსენებ, ყველაზე მეტად მიჭირდა იმასთან შეგუება, რომ ამხელა ტყუილი ვთქვი. სახელმწიფოს უნდა ეფიქრა ადამიანებზე, რომლებმაც, ფსიქოლოგიური სტრესის პარალელურად, განიცადეს ფიზიკური ზეწოლა — მუქარა შვილებზე, მეუღლეებზე, ოჯახის წევრებზე.... და ემუშავათ მათთან. უპირველესად, უნდა აღდგენილიყო სამართლიანობა და ამ ტრავმირებულ ადამიანებთან ემუშავათ ფსიქოლოგიურად. „გაივლის, დაგავწყდება“ არ ხდება, ეს არ მთავრდება. შესაძლოა, 20 წელი გავიდეს, მაგრამ მაგრამ წერტილი მაინც არ დაესვას ამ ტანჯვას. მართალია, საკუთარ თავზე ბევრი ვიმუშავე და გადავლახე ეს მომენტები, მაგრამ მაინც მინდა ფურცელზე დაწერილი, დოკუმენტი, რომ მე ზეწოლით მივეცი ჩვენება. მე ამას ველოდები და, ალბათ, მთელი ცხოვრება დაველოდები, როგორც რეაბილიტაციის ცნობას. ეს უნდა დაიწეროს, ამის გარეშე არ შეიძლება!

**— ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებებს შორის გარიგებაზე საუბრობთ, საინტერესოა, აგრეთვე, ყოფილი და მოქმედი ხელისუფლებების დამოკიდებულება ეკლესიისადმი; გავიხსენოთ თუნდაც ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, რომელმაც ვნებათაღელვა არამხოლოდ საზოგადოებაში, არამედ ეკლესიაშიც გამოიწვია...**

— ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება უფრო შორს მიმავალი გეგმები მგონია. ლგბტ საზოგადოებისადმი ტოლერანტული გახლავართ, მაგრამ ჩემთვის პროპაგანდა საშინლად მიუღებელია და ყველანაირად შევეცდები, რომ პროპაგანდას წინ აღვუდგე. როგორც გინდა, ისე იცხოვრე, მაგრამ ჩემ ოჯახში ნუ შემოიჭრები და წესებს ნუ მიკარნახებ. სხვათა შორის, ძველ ევროპაშიც ასეთი მიდგომაა, ისინიც წინააღმდეგნი არიან პროპაგანდის, არც მათ მოსწონთ, როდესაც მათ ოჯახებში იჭრებიან.

**— თუმცა სახეზეა ევროვიზიის შედეგი...**

— დიახ და ზოგადად ევროპა ძალიან მაკვირვებს, რადგან ევროპა ამ თემას ხელის გულზე ატარებს და ელოლიავება, მაშინ, როდესაც ამერიკის დამოკიდებულება სრულიად განსხვავებულია ლგბტ საზოგადოებისადმი. ევროპამ რაღაც თავი გაიგიჟა და მართლა ვერ გავიგე, რატომ?!

**— რა იგულისხმეთ, როდესაც ბრძანეთ, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება უფრო შორს მიმავალი გეგმების ნაწილიაო?**

— საქართველოს გადარჩენას და იდენტობის შენარჩუნებას მართლმადიდებლობას ვუკავშირებ. რამდენიმეჯერ დაისვა საკითხი საქართველოს მართლმადიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების თაობაზე და მაშინვე გაჩნდა სერიოზული წინააღმდეგობა. აი, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ, საქართველო ვერ გამოცხადდება მართლმადიდებელ ქვეყნად. კონკორდატი დარჩა კონკორდატად და აქედან გამომდინარე, საქართველოს მართლმადიდებელ ქვეყნად აღიარება შეუძლებელი გახდება. ეს არ არის რეგრესული, ვთვლი, რომ ეს ერთგვარი პოლიტიკური ფარი იქნება საქართველოსთვის. მაგალითად, თურქეთში, სადაც მართლმადიდებელი ეკლესიები მუზეუმებადაა ქცეული, სანთლის დანთების უფლებას არავინ მოგცემთ, იმიტომ, რომ იმ სახელმწიფოს აქვს რელიგია, რომლიდან გამომდინარეც მე მართლმადიდებელ ეკლესიაში სანთლის დანთებას ამიკრძალავს და შემზღუდავს. იმ ქვეყანას აქვს თავისი სარწმუნოებრივი ჩარჩო.

აზერბაიჯანს რაც შეეხება, ის მუსლიმანური ქვეყანაა, მაგრამ ლოიალურია ძირითადი აღმსარებლობების მიმართ. რა მოხდებოდა, საქართველოც ასეთი რომ ყოფილიყო?! მე მაინც მგონია, რომ ეს კანონი აღმოსავლურ მართლმადიდებლობაში გახეთქილების შესატანად იყო გამიზნული, აღმოსავლურ მართლმადიდებლობას დღეს ებრძვის მთელი ევროპა და ამერიკა. ვიღაცამ ამ კანონის მიღებით ვიღაცას უპატაკა

**— ვის?**

— არ ვიცი. მოსკოვი, კრემლი არ იქნებოდა, მაგაში დარწმუნებული ვარ... ლიბერალებისთვის ეს კანონი ყველაზე მისაღებია, მაგრამ ძალიან საინტერესოა, ვის უპატაკეს. ამ კანონმა პატრიარქსა და ეკლესიას სილა გააწნა. **ამ კანონმა ამ ხელისუფლების დისკრედიტაცია გარკვეულწილად გამოიწვია. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ალბათ, შორს არ არის...**

**— ფიქრობთ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება?**

— მე ასე მგონია... ამ კანონის მიღებამ უარყოფითად იმოქმედა იმ პოლიტიკოსების რეიტინგებზე, რომელთაც საზოგადოების დიდი ნაწილი ენდობოდა. ამ კანონის მიღება შეცდომა იყო. პარლამენტის უმრავლესობაში ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს ჰქონდა საკმაოდ მაღალი ნდობა და ამ კანონმა სწორედ ამ ადამიანების რეიტინგს დაარტყა, ნდობა დაიკარგა...

ესაუბრა
**ეკა ჩხეილაშვილი**

ფაქტი

## სააკაშვილის სამივლინებო ხარჯები

**რა თანხა დახარჯა ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მივლინებების დროს 2013 წელს, ამის თაობაზე არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI მონიტორინგის შედეგებს აქვეყნებს.**

კვლევის მიხედვით, გასული წლის განმავლობაში ყოფილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრები 128-ჯერ იმყოფებოდნენ მივლინებაში. ოფიციალურ ვიზიტებზე კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 863 768 ლარი დაიხარჯა. **თანხის 82%, ანუ 1 500 000 ლარზე მეტი პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტებზე მოდის**. 2013 წელს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სააკაშვილის 41 ვიზიტიდან ყველაზე ძვირად ღირებული 2 ვიზიტი დუბაიში შედგა. 2013 წლის მაისში პრეზიდენტის ორდღიანი სტუმრობა ბიუჯეტს 33 ათასი დოლარი დაუჯდა. ივლისში კი დუბაიში ასევე ორდღიანი ვიზიტის საფასურმა 25 ათასი დოლარი შეადგინა.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## აშშ – წითელას ეპიდემიის ზღვარზე

**აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის სპეციალისტთა მონაცემებით, 2014 წლის დასაწყისიდან ქვეყანაში 288 ადამიანი დაავადდა წითელათი.**

დაავადებულთა შორის არიან 1-დან 65 წლამდე ადამიანები, ჰოსპიტალიზებულია 40-ზე მეტი. წითელათი დაავადების შემთხვევა 18 შტატში გამოვლინდა.

წითელა — ეს არის გადამდები ვირუსული დაავადება, რომელიც ჰაერწვეთოვანი გზით გადაეცემა. წითელას პირველი ნიშნებია: ტემპერატურის მომატება, სურდო, ხველა და თვალების ჩაწითლება. რამდენიმე დღეში კი ჩნდება გამონაყარი მთელ სხეულზე. წითელასთვის დამახასიათებელია სახიფათო გართულებები, როგორიცაა ოტიტი, მენინგიტი და ენცეფალიტი.



## კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახურთა საყვარლებმა რომის პაპს ცელიბატის გაუქმება სთხოვეს

**26 ქალმა რომის პაპ ფრანცისკს გაუგზავნა წერილი, რომელშიც თავიანთი ცოდვებისა და ტანჯვის შესახებ წერენ, — ვცოდავთ, სასულიერო პირებთან ვიყოფთ სარეცელს, თვალთმაქცობა აღარ გვსურს და გთხოვთ, გააუქმოთ კანონი, რომელიც სასულიერო პირებს დაქორწინებას უკრძალავსო.**

კათოლიკე მღვდლების „მეგობარი გოგონები“ ითხოვენ, დაწესდეს „ფაკულტატური ცელიბატი“ (ცელიბატი — დაუქორწინებლობის აღთქმა კათოლიკურ ეკლესიაში), რომელიც გამონაკლის შემთხვევაში კათოლიკური ეკლესიის იერარქიაში მაღალი რანგის სასულიერო პირად ცოლიანი მამაკაცის კურთხევას გულისხმობს.

ზემოაღნიშნულ წერილს ხელს აწერს 26 გაბედული ქალი, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ, რომ საიქიოში ჯოჯოხეთური ტანჯვა ელით და პონტიფიკოსს ცოდვების მიტევებას სთხოვენ.




## შაშხანა პატარებისთვის

**მოზარდების მიერ სკოლებში მოწყობილი სისხლიანი კალოს სულ უფრო გახშირებული შემთხვევების ფონზე გასაკვირია, როგორი სიჯიუტით აჩვევენ მოზრდილები ბავშვებს იარაღის გამოყენებას.**

აშშ-ში გამალებით მიმდინარეობს სარეკლამო კამპანია „ჩემი პირველი შაშხანა“, რომელიც 5-დან 12 წლამდე ბავშვებზეა ორიენტირებული. დღეს ამერიკელი ბავშვების ხელში 3 მლნ-ზე მეტი იარაღია. განსაკუთრებით პოპულარული კი 22 კალიბრის (მცირეკალიბრიანი) შაშხანაა. ყველაფერი დაიწყო 1990-იანი წლებიდან, როდესაც მამა-შვილმა — ბილ და სტივენ მაკინლებმა შექმნეს შაშხანა Davey Crickett. იარაღი, რომელიც 1,2 კგ-ს იწონიდა, ისეთი მარტივი იყო, რომ მისი გამოყენება ბავშვსაც შეეძლო.

მაკინლები მზრუნველ დედიკოებსა და მამიკოებს ეუბნებოდნენ: „თქვენი პატარა ძალიან იოლად შეისწავლის ამ იარაღის გამოყენებას და მას ეს საქმიანობა უფრო გაიტაცებს, ვიდრე ვიდეოთამაშები და კომპიუტერი. თანაც, შაშხანა Davey Crickett-ის ფასი, სულ რაღაც, 100-დან 130 დოლარია“. დღეს ბავშვებს ხისგან, ლამინატის ან პლასტიკატისგან დამზადებულ იარაღს სთავაზობენ. გოგონებს ძალიან მოსწონთ ვარდისფერი შაშხანა.

აღსანიშნავია, რომ „სათამაშო“ უვნებელი არ არის. ერთ-ერთ შტატში ბიჭუნამ შემთხვევით თავისი და მოკლა — შაშხანის მცველი არ ამუშავდა... თუმცა ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ ამერიკელებს არაფერი ასწავლა.

## 5 წლის შემდეგ დიდ ბრიტანეთს ენერგომატარებლების მარაგი ამოეწურება

**The Global Sustainability Institute (მდგრადი გლობალური განვითარების ინსტიტუტი)-ის კვლევის შედეგების თანახმად, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ბევრ ქვეყანას ენერგომატარებლების ისეთი მცირე მარაგი აქვთ, რომ ახლო მომავალში იმპორტიორებზე, მათ შორის რუსეთზე, დამოკიდებულნი გახდებიან.**




სპეციალისტებმა გამოიკვლიეს, რომ გაერთიანებულ სამეფოს ნავთობის მარაგი 5,2 წლის განმავლობაში ეყოფა, ქვანახშირის — 4,5 წლის, ბუნებრივი აირის კი — მხოლოდ 3 წლის განმავლობაში.

უკეთესი მდგომარეობა არც საფრანგეთს აქვს. ეს სახელმწიფო ნავთობით მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იქნება უზრუნველყოფილი, თუმცა იქ ელექტროენერგიის 80 პროცენტს ატომური სადგურები გამოიმუშავებს.

ყველაზე ცუდი მდგომარეობა იტალიაშია. ამ ქვეყანას, თუკი იქ ატომური ენერგეტიკა არ განვითარდა, ენერგომატარებლების მარაგი შეიძლება ერთ წელიწადში ამოეწუროს.

ბრიტანელი სპეციალისტების აზრით, რუსეთს ნავთობის — 50 წლის, ბუნებრივი აირის — 100, ხოლო ქვანახშირის 500 წლის მარაგი აქვს. ენერგომატარებლების დიდი მარაგი აქვს, აგრეთვე, ნორვეგიას. **კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა — ვიქტორ ანდერსონმა ევროპის ქვეყნებს ალტერნატიული ენერგიების მოსაპოვებლად საერთო გეგმის შემუშავებისკენ მოუწოდა: „ჩვენი ქვანახშირის, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგი იწურება, ალტერნატივა უნდა ვეძებოთ“,** — ამბობს მკვლევარი.

## პენტაგონი კონტროლს აღარ ექვემდებარება

**ვაშინგტონი კვლავ ითხოვს პენტაგონისგან, ჩააბაროს ანგარიში, რისთვის იხარჯება გადასახადის გადამხდელთა ტრილიონები. კონგრესის არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, 20 წელიწადია, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს თავისი ბიუჯეტისთვის რევიზია არ ჩაუტარებია.**




აშშ-ში ბევრი ეჭვობს, რომ თავდაცვის სამინისტრო უზარმაზარი დანახარჯების დამალვას ცდილობს. უკვე 20 წელიწადია, მას საკანონმდებლო ორგანოსთვის ანგარიში არ ჩაუბარებია, არადა, ვერტმფრენის მიერ შესრულებული თითოეული დავალება ან ავღანეთში აფეთქებული თითოეული ყველგანმავალი ამერიკის ხაზინას საკმაო თანხა უჯდება. კონგრესი ამ საკითხს სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს. კანონმდებლებმა, სამხედრო უწყებასთან 10-წლიანი ომის შემდეგ კონტროლი გაამკაცრეს და 2014 წელს თავდაცვის სამინისტროს ყოველწლიური ბიუჯეტი 500 მლრდ დოლარამდე შეუმცირეს. ახლა კი ანგარიშის ჩაბარებას ითხოვენ. თუმცა ეს იოლი საქმე არ არის — პენტაგონი აშშ-ში ერთადერთი უწყებაა, სადაც აუდიტორული შემოწმება არასოდეს ჩატარებულა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უწყება წელიწადში 150 მილიონ ტრანზაქციას ახორციელებს.

პენტაგონი თავისი ბუღალტერიის მოწესრიგების 2017 წლისთვის აპირებს, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს ვადაც საეჭვოა, რადგან დოკუმენტების შემოწმება პენტაგონის მაღალჩინოსნებს თანხების არამიზნობრივად ხარჯვაში ამხელს.

## ამერიკელი ექსპერტები: ბარაკ ობამა აშკარად სუსტია საგარეო პოლიტიკაში

**აშშ-ის უმაღლეს ფედერალურ სამხედრო სასწავლებელში, ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში პრეზიდენტ ბარაკ ობამას სიტყვით გამოსვლა აშშ-ის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის სისუსტეზე მეტყველებს, — მიიჩნევენ ექსპერტები, რომლებიც ჩინურმა საინფორმაციო სააგენტო „სინ ხუიმ“ გამოჰკითხა.**



„ობამას სიტყვამ ყველას იმედი გაუცრუა. მას ახალი არაფერი უთქვამს და არც იმ მიზეზებზე ულაპარაკია, რატომაც არიან ამერიკელები უკმაყოფილო მისი საგარეო პოლიტიკით“, — განუცხადა ჩინურ სააგენტოს ბრუკინგსის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა **დარელ უესტმა** და დასძინა, რომ კრიტიკა ობამას, როგორც ლიდერის, შესაძლებლობების მიმართ კიდევ უფრო მოიმატებს“.

„ობამა ნამდვილად სუსტია საგარეო პოლიტიკაში, მას თავიდანვე არ ჰყოფნიდა ენერგია და სტრატეგია“, — თვლის Heritage Foundation-ის ექსპერტი **ლოსა კერტისი.**

ბოლო ხანს ობამას მწვავედ აკრიტიკებენ. რამდენიმე დღის წინათ მისი მოქმედება გააკრიტიკა ძველმა ოპონენტმა რესპუბლიკური პარტიიდან, აშშ-ის ოთხი პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრმა, ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა **დიკ ჩეინიმ**: „ჩვენი პრობლემა ჩვენი სისუსტეა და ამ პრობლემის ცენტრი თეთრ სახლშია... აშშ-ის ხელისუფლების სათავეში არის ლიდერი, რომელსაც მსოფლიოში ქვეყნის ინტერესებისა და ვალდებულებებისა არაფერი გაეგება და მოქმედებისთვის მზად არ არის“, — განაცხადა დიკ ჩეინიმ ტელეკომპანია Fox News-ის პირდაპირ ეთერში.

## ჩინეთი რუსეთსა და ირანთან ერთად აზიურ ნატოს ქმნის

**უინსტონ ჩერჩილის მიერ 68 წლის წინათ ციურიხის უნივერსიტეტში წარმოთქმული სიტყვა ერთიანი ევროპის შექმნის საწყის წერტილად ითვლება. ერთი კვირის წინათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერის — სი ძინპინის მიერ აზიაში ურთიერთქმედებისა და ნდობის ღონისძიებების შანხაის სამიტზე წარმოთქმულმა სიტყვამ, შესაძლოა, საფუძველი დაუდოს დიდ პროცესს, რომელიც გლობალური უსაფრთხოების სისტემას შეცვლის.**

სი ძინპინი აზიაში უსაფრთხოების ახალი სტრუქტურის შექმნის წინადადებით გამოვიდა. ამ სტრუქტურაში კი უნდა გაერთიანდნენ რეგიონის წამყვანი სახელმწიფოები — ჩინეთი, რუსეთი და ირანი, აშშ-ის გამოკლებით.

„ჩვენ აუცილებლად უნდა სრულვყოთ თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში“, — განაცხადა ჩინეთის 60 წლის ლიდერმა და აზიის ქვეყნების ლიდერებს საგანგებო ვითარებაში საფრთხეებზე რეაგირების ცენტრის შექმნისკენ მოუწოდა.

აღსანიშნავია, რომ ოფიციალური პეკინი რეგიონში აშშ-სა და სხვა სახელმწიფოების გავლენის შესასუსტებლად, უკვე კარგა ხანია, ცდილობს აზიის განვითარებული სახელმწიფოების კავშირის შექმნას. ახლა კი, უკრაინის მოვლენების ფონზე, როგორც ჩანს, შესაფერისი მომენტი დადგა.



## უკრაინის ხელისუფლებას სამხედრო ოპერაციების წარმოება დღეში 3 მლნ დოლარი უჯდება

**უკრაინელი ძალოვანების მიერ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებზე ყოველდღიურად 3 მლნ დოლარი იხარჯება. საერთო ჯამში, ექსპერტთა შეფასებით, სახალხო ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაში კიევმა უკვე 147 მლნ დოლარი დახარჯა — ეს ქალაქ დონეცკის წლიური ბიუჯეტის თითქმის ნახევარია.** სამხედრო ანალიტიკოსების აზრით, თუკი უკრაინელი სამხედროები განაგრძობენ მძიმე ტექნიკისა და შეიარაღების გამოყენებას, ომში დანახარჯები, დანგრეული შენობებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, 10-ჯერ გაიზრდება. უკრაინის ხელისუფლებამ ე. წ. ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყების შესახებ მიმდინარე წლის 15 აპრილს განაცხადა. ოფიციალური მონაცემებით, უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედი სამხედრო დაჯგუფების საერთო რაოდენობა აპრილის ბოლოს 11 ათას კაცს აღემატებოდა, ისინი ბრძოლებში იყენებდნენ 160 ტანკს, 230 ჯავშანტრანსპორტიორს, 150 საარტილერიო სისტემას და ავიაციას.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჯაშუშური იარაღის 6 სახეობა

**სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მეცნიერებისგან საუკეთესოს იღებს, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისგან საუკეთესოს კი — მზვერავები, ისინი იყენებენ თავიანთ მდგომარეობას და ცდიან იარაღის ექსპერიმენტულ ნიმუშებს — მომწამვლელი კალმით დაწყებული, სიგარეტი-პისტოლეტით დასრულებული.**



## ჩხვლეტა ქოლგით

**XX საუკუნის იდუმალებით მოცულ მკვლელობათა შორის ერთ-ერთია 1978 წელს ბულგარელი დისიდენტის, მწერლისა და ჟურნალისტის — გიორგი მარკოვის მკვლელობა ლონდონში.**

სიკვდილის წინ, ბოლო დღეების მოვლენების გახსენებისას, მარკოვმა თქვა, რომ ქუჩაში ავტობუსის გაჩერებისკენ მიდიოდა, როდესაც მსუბუქი ჩხვლეტა იგრძნო. მამაკაცმა, რომელსაც ხელში ქოლგა ეჭირა მარკოვს მოუბოდიშა, შემდეგ კი სწრაფად ჩაჯდა ავტომობილში, მარკოვმა კი გზა განაგრძო. რამდენიმე საათის შემდეგ ის შეუძლოდ შეიქნა, სამი დღის შემდეგ კი გარდაიცვალა.

გვამის გაკვეთისას ექსპერტებმა იპოვეს მიკროსკოპული კაფსული, რომელშიც ცილოვანი ტოქსინის — რიცინის ნარჩენები იყო. ამ შხამის სასიკვდილო დოზა 0,3 მგ/კგ-ია, ჩხვლეტის მომენტში მარკოვს სხეულში შეუყვანეს კაფსული რიცინის შხამით, რომელიც სისხლს შეერია.

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევის „მოტივზე“ გადაღებულია ფრანგული კომედიური ფილმი „ჩხვლეტა ქოლგით“, პოპულარული მსახიობის — პიერ რიშარის მონაწილეობით.



## ფეხსაცმლის ქუსლში დამალული «ხოჭო»

**ეს ფეხსაცმელი, რომელიც რუმინეთის უსაფრთხოების დეპარტამენტმა გამოიგონა, რადიოგადამცემით არის აღჭურვილი.**

1960-იან წლებში სწორედ ამ ჯაშუშური აპარატურის მეშვეობით უთვალთვალებდნენ ამერიკელ დიპლომატებს, რომლებიც უცხოეთში იძენდნენ ძვირად ღირებულ ფეხსაცმელს. რუმინეთის სპეცსამსახურის წარმომადგენლები დიპლომატებისთვის განკუთვნილ ამანათს ხელში იგდებდნენ და ფეხსაცმელში „ხოჭოს“ ამონტაჟებდნენ.



## ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო თავის მუშაობას ვაქცინაციის კამპანიით ნიღბავდა

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) დირექტორ ჯონ ბრენანის გადაწყვეტილებით, საზღვარგარეთ სადაზვერვო საქმიანობისას ცსს-ს აგენტები მედპერსონალის საფარქვეშ აღარ იმოქმედებენ, — წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“.**

ბრენანის განცხადება პასუხია 2013 წლის იანვარში გამოქვეყნებულ წერილზე, რომელსაც ხელს აშშ-ის 12 სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელი აწერს. ამ წერილში მეცნიერებმა გააპროტესტეს ცსს-ს მოქმედება, რომლის აგენტებიც ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კამპანიას, პაკისტანელი ექიმის — შაკილ აფრიდის დახმარებით, უსამა ბენ ლადენის ადგილმდებარეობის დასადგენად იყენებდნენ.

„მოსახლეობის ჰუმანიტარული სამედიცინო მომსახურების ნიღბით სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებამ უარყოფითი გავლენა იქონია ჯანმრთელობის დაცვის სფეროზე“, — ნათქვამია მედიკოსების წერილში. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ზემოაღნიშნული მცდელობა მარცხით დასრულდა, ხოლო აფრიდს 23-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს სახელმწიფო ღალატის ბრალდებით. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ კი ყველა ჰუმანიტარული მისიის თანამშრომლებში შეიტანეს ეჭვი, რის შემდეგაც ჰუმანიტარული ორგანიზაციები იძულებულნი შეიქნენ, თავიანთი თანამშრომლების ნაწილი პაკისტანიდან და სხვა ქვეყნებიდან გაეწვიათ.



## ხოჭო არწივში

**1945 წლის 9 თებერვალს, საბჭოელმა ბავშვებმა პიონერთა ბანაკ „არტეკის“ გახსნის დღეს, აშშ-ის ელჩ ავერელ ჰარიმანს ამერიკის გერბი აჩუქეს. პიონერებიც არ დარჩენილან ხელცარიელი — მათ აშშ-ის ელჩმა 10 ათასი დოლარი გადასცა.**

ჰარიმანს გერბი ძალიან მოეწონა და თავის კაბინეტში კედელზე ჩამოკიდა. 8 წლის განმავლობაში აშშ-ის საელჩოში 4 ელჩი შეიცვალა — ჰარიმანი, სმიტი, კერნი და კენანი. კაბინეტი რამდენიმეჯერ გაარემონტეს, მაგრამ გერბისთვის ხელი არ უხლიათ. მხოლოდ 1953 წელს გამჟღავნდა „არწივის საიდუმლო“ — მასში ჩამალული იყო მოსასმენი მოწყობილობა — „ხოჭო“.

8 წლის განმავლობაში ამერიკის ელჩები, ფაქტობრივად, კა-გე-ბეს რადიოს პირდაპირ ეთერში საუბრობდნენ და, ამასთანავე, ამ პირდაპირი ეთერისთვის 10 ათასი დოლარიც გადაიხადეს.



## მოწევა, როგორც იარაღი

**მოწევასთან ბრძოლა უსაფრთხოების გაძლიერების მეთოდიც არის, რადგან სიგარეტი-პისტოლეტი ჯაშუშების საყვარელი იარაღია.** პირველი სიგარეტი, რომელსაც ტყვიის გასროლა შეეძლო, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაამზადეს დიდ ბრიტანეთში. ამ სიგარეტი-პისტოლეტის სახელწოდებაა „ველ-ვუდბაინი“. შემდეგ ამ ნიმუშით ამერიკელები დაინტერესდნენ, სიგარას მიუსადაგეს და შექმნეს სიგარა-პისტოლეტი „ველ ჩარუტა“. ამ იარაღის სიგრძე 115-120 მმ-ია, დიამეტრი — 5,6 მმ. ასეთი სიგარის მოქმედება ასახულია კინოფილმ „ფანტომასის“ ერთ-ერთ სერიაში.



## აშშ-ის ნაციონალურ კონკურსში ინდოელთა გამარჯვებამ ამერიკელები აღაშფოთა

**„სად არიან ამერიკელი ბავშვები?“ — სვამენ კითხვას სოციალური ქსელების მომხმარებლები განაწყენებული იმით, რომ სიტყვათა წარმოთქმის ნაციონალურ კონკურსში გამარჯვება წარმოშობით ინდოელმა მოზარდებმა მოიპოვეს.**

სიტყვათა წარმოთქმის ნაციონალურ კონკურსში (Scripps National Spelling Bee) 2 წარმოშობით ინდოელი მოსწავლის გამარჯვებამ ინტერნეტსივრცეში დიდი დისკუსია გამოიწვია. **„კონკურსის ყველა გამარჯვებული ინდუსია ან აზიელი, გამარჯვებულთა შორის არც ერთი ამერიკელი არ არის, რა ხდება?“** — დაახლოებით ასეთია ამერიკელთა განწყობა კონკურსის მიმართ.

ალსანიშნავია, რომ 1999 წლიდან დღემდე ამ კონკურსში 17 გამარჯვებულიდან 13 ინდოელია.



## ჯაშუში კუნძი

ჯაშუშური ნივთები ხშირად არაფრით განსხვავდება იმ საგნებისგან, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხედავთ. მაგალითად, ვინ შეიძლება მიხვდეს, რომ ტყეში ჩვეულებრივი კუნძი სინამდვილეში მაღალტექნოლოგიური და ძვირად ღირებული ჯაშუშური მოწყობილობაა? არადა, ფოტოზე გამოსახული ეს „საოცარი კუნძი“ მოსკოვის გარეუბანში იპოვეს, კუნძში ჩამონტაჟებული იყო რადარი, რომელიც საბჭოთა სარაკეტო სისტემების საკომუნიკაციო სიგნალებს იჭერდა, შემდეგ კი — ინფორმაციას კოსმოსური თანამგზავრის მეშვეობით აშშ-ის სამხედრო ბაზას გადასცემდა. კუნძის ზედაპირი მზის სხივებს ატარებდა და შედეგად მზის ბატარეები იმუხტებოდა. ყველაფერი გენიალურად იყო მოფიქრებული, მაგრამ ჯაშუში კუნძი-რადარი მაინც აღმოაჩინეს და გააუვნებლეს.



## ჯაშუში ქვა

2006 წლის იანვარში რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედი ბრიტანული ჯაშუშური ქსელი გამოავლინეს. დიდი ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენელმა, რომელიც რუსეთში 2002 წლიდან ცხოვრობდა, მოსკოვის ერთ-ერთ სკვერში ჩვეულებრივი ქვა დააგდო, რომელშიც მიმღებ-გადამცემი „ხოჭო“ იყო ჩამონტაჟებული. აგენტი, რომელიც ამ ჯაშუშ ქვას მიუახლოვდებოდა, ჯიბის კომპიუტერით რამდენიმე წამში გადასცემდა ინფორმაციას, ქვა კი მიღებულ ინფორმაციას კოსმოსურ თანამგზავრს უგზავნიდა.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნორმალურ სახელმწიფოში ნებისმიერი კანონის, ისეთისაც კი, რომელსაც არც ზნეობასთან, არც დემოგრაფიასთან და არც ეკლესიასთან უშუალო შეხება არ აქვს, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა ეწინააღმდეგება, განხილვაც ვერ უნდა გაბედოს პარლამენტმა და თუ მაინც ბედავს და ხალხის ნების წინააღმდეგ წავა, მაშინ რჩება ერთადერთი კანონიერი და მშვიდობიანი გზა – მისი შეცვლა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებით.**

# ამისთანა «ხალხის რჩეულებს» ხელმოწერებით ვერაფერს შევაგნებინებთ

**ხელისუფლების ყველაზე დიდ საკანონმდებლო თავგასულობაზე, პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებულ ე. წ. ანტიდისკრიმინაციულ კანონზე ბევრი ითქვა და დაიწერა, ამ სამარცხვინო კანონის გაუქმებას მოითხოვს ერი და ბერი, მაგრამ მხოლოდ საგაზეთო თუ ღია წერილებითა და ხელმოწერების შეგროვებით, პარლამენტარების ნამუსზე შეგდებით არაფერი გამოგვივა — ყველაფერი ფუჭი დემოკრატიული ფაფხური იქნება.**

ამ პარლამენტისგან, რომელშიც ერთი დეპუტატიც არ აღმოჩნდა ანტიდისკრიმინაციული (სახელების შერჩევა, იცოცხლეთ, ეხერხებათ დასავლეთში) კანონის წინააღმდეგ ხმის ამომღები, პარლამენტისგან, რომელმაც უწმინდესის თხოვნა (კანონის განხილვის გადავადების თაობაზეც კი) ყურად არ იღო და ქრისტიანულ სამყაროში მომაკვდინებელ ცოდვად მიჩნეული მამათმავლობა ფორსმაჟორულ რეჟიმში (რის აუცილებლობასაც ვერავინ გვიხსნის) ცხოვრების ნორმად დაგვიკანონა, იმის მოლოდინი, რომ სამოქალაქო საზოგადოების აზრს შეისმენს და ასიათასობით მოქალაქის ხელმოწერებს ანგარიშს გაუწევს, ისეთი მიამიტობაა, ძალაუნებურად იფიქრებ — ამ პატიოსან ხალხს ლოგიკური აზროვნების უნართან ერთად მეხსიერებაც დაუკარგავსო. **რა, წელიწად-ნახევრის წინათ, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მილიონ ორასი ათასი ამომრჩეველი (ზრდასრული მოსახლეობის ნახევარი) ხელმოწერებით არ მოითხოვდა პარლამენტისგან სააკაშვილისთვის (პრეზიდენტობის 5-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ) უფლებამოსილების შეჩერებას?!** და, რას მივაღწიეთ? **ამ პარლამენტისგან კანონიერი მოთხოვნის აღსრულებას ვერ ველირსეთ და მის მიერ ახლახან ერთხმად მიღებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონს გააუქმებს, რომელიც საერთაშორისო (ანუ დასავლეთის) პროგრამის ნაწილად ითვლება?! სიტყვით და ხელმოწერებით გამოხატული პროტესტები „ქოც-ნაცებს“ სასაცილოდაც არ ჰყოფნით!**

ერთი და იმავე უნაყოფო მეთოდებით (მოლაპარაკება იქნება ეს თუ ხელმოწერების შეგროვება) ჩვენისთანა „დემოკრატი“ და „დამოუკიდებელი“ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის უშედეგო იქნება. ფაქტია: ვერც „ნაცებთან“ და ვერც „ქოცებთან“ ამ გზით ვერასოდეს ვერაფერს მივაღწიეთ. მივაღწიეთ კი არა, ზამთარში პარლამენტის კართან მდგარ 86 წლის ღვაწლმოსილ და საამაყო კინორეჟისორს, ბატონ რეზო ჩხეიძეს, რომელსაც ხელთ ეპყრა მილიონ ორასი ათასი ხელმომწერის მოთხოვნა, პარლამენტის თავმჯდომარემ 5-წუთიანი გამოსვლის საშუალებაც არ მისცა.

რად უნდა იმას მტკიცება, რომ **ნორმალურ სახელმწიფოში ნებისმიერი კანონის, ისეთისაც კი, რომელსაც არც ზნეობასთან, არც დემოგრაფიასთან და არც ეკლესიასთან უშუალო შეხება არ აქვს, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა ეწინააღმდეგება, განხილვაც ვერ უნდა გაბედოს პარლამენტმა, და თუ ის მაინც ბედავს და ხალხის ნების წინააღმდეგ მიდის, მაშინ რჩება ერთადერთი კანონიერი და მშვიდობიანი გზა – მისი შეცვლა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებით**. რაც შეეხება დეპუტატ ხიდაშელს (რომელსაც ძალაუფლება, აშკარად, თავში აქვს ავარდნილი და თავხედურად აცხადებს, — კონსტიტუციონალიზმში უფასო გაკვეთილებს ჩავუტარებ ლევან ვასაძესო), რომელსაც ჰგონია, რომ პარლამენტი ხელშეუხებელია და მისი დათხოვნა მხოლოდ ორ შემთხვევაშია შესაძლებელი — როცა ბიუჯეტის დამტკიცება ვერ ხერხდება ან მთავრობაში კრიზისია, ძალიან ცდება. ქალბატონ ხიდაშელს ტყუილად ჰგონია, რომ, რადგან „ნაცებთანაა“ შეკრული, ეს პრობლემა არასოდეს დაუდგება და მას და მისთანებს თავი ქუდში ექნებათ. **ხიდაშელის ქალს ავიწყდება, რომ ხალხს ხელეწიფება, გამოასწოროს თავისი შეცდომა და პარლამენტში გამძვრალი, არაქართული საქმის მკეთებელი დეპუტატები უკანვე გამოიწვიოს ან გამოყაროს – დემოკრატიულად (არჩევნებით) ან კინწისკვრით (იძულებით).** თუ რომელს აირჩევს ამ ორი გზიდან ქართველი ხალხი, ეს ხიდაშელისნაირი დეპუტატების სიჯიუტის ხარისხზე იქნება დამოკიდებული.

პარლამენტს, რომელსაც არც პატრიარქის ესმის და არც ხალხის, თავის ჭკუაზე იღებს კანონს, რომელსაც თითქმის მთელი მოსახლეობა ეწინააღმდეგება, შეუძლებელია, სიტყვით შეაგნებინო რამე; **ხალხის ასეთ „რჩეულებს“ და ამ „რჩეულების“ მიერ შერჩეულ მთავრობას, რომლებსაც არაფერი ანაღვლებთ, საკუთარი სკამისა და ხელფასის გარდა, რომლებმაც გაყვლიფეს ისედაც არაფრის მქონე ხალხი და უზარმაზარი სახელფასო დანამატები და პრემიები დაიკანონეს, ანუ ჩვენს ჯიბეში (ბიუჯეტში) ისე აფათურეს ხელი, რომ არავითარი სულიერი დისკომფორტი არ უგრძნიათ და, რომლებიც მომავალი წლიდან კიდევ ერთხელ მოიმატებენ ხელფასებს, ხოლო გაჭირვებულ პენსიონერებს, რომლებსაც ჭეშმარიტი საარსებო მინიმუმის ნახევარი ოდენობის პენსიაც არ ეძლევათ, მხოლოდ ათ ლარს უმატებენ (ისიც ერთხელ), სიტყვითა და ხელმოწერებით ვერაფერს შევაგნებინებთ და, ვერც საკუთარი თავის გადასაყენებელ რიგგარეშე არჩევნებს დავანიშვნინებთ!**



**ხიდაშელისნაირად მოლაპარაკე პარლამენტარებთან მხოლოდ ძალის ენით, ძალისმიერი მეთოდებით თუ მივაღწევთ რამეს** (ძალისმიერში კანონით დაშვებულ აქტიურ ზეწოლას, აქტიურ წინააღმდეგობას ვგულისხმობ და არა შეიარაღებულს)! **სხვა გამოსავალი არ არსებობს, ყველა სხვა გზა ბევრჯერაა ნაცადი და ხალხისთვის არც ერთს მოუტანია სასიკეთო შედეგი.** არ თქვას ახლა ვინმემ, არჩევნებით ხომ მივაღწიეთ რაღაცას 2012-ის ოქტომბერშიო! **სახელმწიფოში სამართლის დამყარება უკანა პლანზე გადასწიო, ხალხს ღირსება და ქონება არ დაუბრუნო, დამნაშავე „ნაცებს“ შეეკრა, ღირსებისა და რწმენის შემბღალავი კანონები მიიღო, მოსახლეობის სამი მეოთხედი თვლიდეს, რომ მისი მდგომარეობა გაუარესდა (არჩევნებიდან 20 თვის შემდეგ) და, ამ გაჭირვებული ხალხის დამშვიდებას შეურაცხმყოფელი ხერხებით შეეცადო — ხომ ხედავთ პატიმრები გამოვუშვით, ახლა აღარავინ გიჭერთ და წერა-კითხვის უფლებაც ხელუხლებელი გაქვთო — ამას თავგასული ხელისუფლება გაბედავს მხოლოდ, თავგასულებს კი შესაფერისი ადგილი უნდა მიეჩინოს.**

**თავდაცვის მინისტრმა ყველას „გადაუჯოკრა“ თვითანაზღაურებაში – მხოლოდ დანამატის(!) სახით მან 83 000(!) ლარი მიიღო 2013 წელს, ანუ პენსიონერის წლიურ შემოსავალზე 46-ჯერ მეტი!**

ახლა ხელისუფლების მიერ „ნაც-ქოცური“ გადასახედიდან გაგებულ ქართულ სტუმარ-მასპინძლობაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. თუ ზღაპრული სუფრა არ გავუშალეთ უცხოელ სტუმრებს, თურმე ქართულ ადათ-წესს შევარცხვენთ; ქართველი კაცისთვის სტუმარი, მით უფრო, უცხო, ხომ ღვთისაა და რატომ გიკვირთ, ჩვენი მინისტრების სუფრას ჩიტის რძეც რომ არ აკლია, როცა უცხოელებს მასპინძლობენო. აი, ასეთი ჭკვიანი და ადათ-წესების დამცველი ხალხი გვყავს ხელისუფლებაში და ხალხმა თურმე მორჩილად უნდა უსმინოს მათ თავხედობამდე მისულ ბრიყვულ კომენტარებს. **მართალია, ქართველი კაცი თავს მოიქაჩლებდა, რომ იტყვიან, ურიის ვალს აიღებდა და გადაჰყვებოდა სტუმარს ყურადღებით თუ პურ-მარილით, მაგრამ იგი საკუთარი ჯიბიდან ხარჯავდა ბოლო კაპიკს. პარლამენტი, მთავრობა თუ მერია-საკრებულო — ყველანი ჩვენს ჯიბეებში, ანუ ბიუჯეტში(!) აფათურებენ ხელს, საკუთარი კი ისე აქვთ გადავსებული ხელფასებით, სახელფასო დანამატებითა და პრემიებით, ხელი არც ეტევათ,** თუ სმენიათ ხელისუფლების ამ ვაჟბატონ-ქალბატონებს, რომ სადმე, თუნდაც მათ სათაყვანებელ დასავლეთში ან საგინებელ საბჭოეთში (რუსეთში), მინისტრებსა და მათ მოადგილეებს ხელფასის ოდენობის (ხშირად, უფრო მეტიც) სახელფასო დანამატი ეძლეოდეს ყოველთვიურად, ხოლო დეპარტამენტის თავმჯდომარედ თვე-ნახევრის დანიშნული კაცი ხელფასზე რამდენიმეჯერ მეტ პრემიას უწერდეს საკუთარ თავსა და ხელქვეითებს **და ამისთვის არავინ აგებდეს პასუხს?!** ეს ხომ უბრალო შეცდომა არ არის, ეს დანაშაულია და მკაცრად უნდა ისჯებოდეს, მაგრამ როგორ აგებინებენ ვინმეს პასუხს, როცა თითქმის ყველა გასვრილია, ანუ შემჩნეულია საკუთარი თავის ფულით წახალისებაში. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ვინ ჩივის, ამ ხალხს სამსახურიდანაც კი არ ათავისუფლებენ — არც დანაშაულის ჩამდენს და არც მის უფროსს — მინისტრს! უფრო უარესი — ის ადამიანი დაითხოვეს სამსახურიდან, რომელმაც ამ გათავხედებული მოხელეების პრემიების დამადასტურებელი დოკუმენტები გაასაჯაროა, იგი (დეპარტამენტის მრჩეველი, ქალბატონი მოროშკინა) დანაშაულის ჩამდენმა დეპარტამენტის თავმჯდომარემ გაათავისუფლა, ხოლო თვითონ თავისი ნებით გადადგა უკვე აგორებული სკანდალის შემდეგ. და ამ ვაჟბატონის ეს ნაბიჯი „ვაჟკაცურ“ საქციელად მონათლა პრემიერმა!

**დანაშაულებრივი მოვლენების ამგვარად შემფასებელი ხელისუფლება სახელმწიფოში სამართალს თავისი ნებით ან თუნდაც ხელმოწერების შიშით აღადგენს?! ვინმეს კიდევ სჯერა ამის, გაბითურებულ და მიმნდობ ხალხს ისევ ხელმოწე-** ▶

**თუ სმენიათ ხელისუფლების ამ ვაჟბატონ-ქალბატონებს, რომ სადმე, თუნდაც მათ სათაყვანებელ დასავლეთში ან საგინებელ საბჭოეთში (რუსეთში), მინისტრებსა და მათ მოადგილეებს ხელფასის ოდენობის (ხშირად, უფრო მეტიც) სახელფასო დანამატი ეძლეოდეს ყოველთვიურად, ხოლო დეპარტამენტის თავმჯდომარედ თვე-ნახევრის დანიშნული კაცი ხელფასზე რამდენიმეჯერ მეტ პრემიას უწერდეს საკუთარ თავსა და ხელქვეითებს და ამისთვის არავინ აგებდეს პასუხს?!**



# თუ ეკონომიკურ მხარეზეც შევჩერდებით, უდავოა, რომ ქართული ეკონომიკისთვის (არამხოლოდ სოფლის მეურნეობისთვის!) უმნიშვნელოვანესი სწორედ რუსეთის ბაზარია და არა პრობლემების შემცველ ევროკავშირთან ასოცირება.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **რებისკენ რომ მოუწოდებენ?!**

ახლა ხელისუფლების ახსნას არ იკითხავთ, თუ რატომ უნდა მიეცეს სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოხელეებს დიდი ხელფასები, სახელფასო დანამატები და პრემიები? საფრანგეთში განათლებამიღებული იუსტიციის მინისტრი საქართველოში არსებულ უმსგავსობას ისე უსუსურად გვიხსნის, რომ მისი „იურიდიულ-მორალური“ კომენტარიდან ამონარიდის მოყვანა აუცილებელია: **„საჯარო სამსახურში თუ ხელფასები არ იქნება ადეკვატური** (რამდენია ადეკვატური?! — ი. ლ.), **თუ საჯარო მოხელეები, მათ შორის, პოლიტიკური თანამდებობის პირები, არ მიიღებენ პრემიებს, საჯარო სამსახური ძალიან მალე გახდება აბსოლუტურად უინტერესო** (რა მითხარი?! — ი. ლ.) **და მას დატოვებენ კომპეტენტური კადრები. მე ხელზე მაქვს 5000 ლარი** („ხელზე მაქვს“, იურისტი ამგვარად არ უნდა გვამცნობდეს შემოსავალს — ი. ლ.), **მაშინ, როცა წლების განმავლობაში, სტრასბურგის სასამართლოში თვეში მქონდა 17-18 ათასი ლარი** (აქ, მინისტრი აღარ უსვამს ხაზს იმას, რომ ეს არ იყო ხელზე აღებული თანხა — ი. ლ.), **მაგრამ ვთვლი, ეს ის ხელფასია, რომელიც ღირს, რომ ვემსახურო სამშობლოს** (აფერუმ, რა თავდადებული ყოფილა სამშობლოსთვის წულუკიანის ქალი! როცა იუსტიციის მინისტრი, რომლის შემართებასაც აღფრთოვანებით შევყურებდით ყველა არჩევნების შემდგომ პერიოდში, ამ საზომით უდგება სამშობლოს სამსახურს და თვლის, რომ 5 000 ლარი 17 000-თან შედარებით გაცილებით ცოტაა, მაგრამ ამ თანხადაც ღირს სამშობლოს სამსახური, მაშინ ვისი და რისი იმედი უნდა გვქონდეს კიდევ?!). **ის საჯარო მოხელეები, რომლებიც ჩემთან მუშაობენ, არიან კვალიფიციურები, როგორც კი მათ არ ექნებათ ადეკვატური ანაზღაურება, გადავლენ კერძო სექტორში“**. ე. ი. ადეკვატური ანაზღაურება თუ არ ექნა ადამიანს, ანუ დიდი ხელფასი და ერთი იმხელა სახელფასო დანამატ-პრემიები, თურმე დავიღუპებით, არავინ მოისურვებს სამშობლოს სამსახურში ყოფნას (მის გარდა, ალბათ!) და ყველანი კერძო სექტორში გადაბარგდებიან. ჯერ ერთი, ვინ თქვა, რომ კერძო სექტორში უფრო მაღალი ანაზღაურება და უკეთესი პირობებია და, მეორეც, თუ გადავლენ, მაგას რა სჯობს, გამოთავისუფლებულ ადგილებზე ახალ-ახალი ადამიანები დასაქმდებიან უმუშევართა არმიიდან, თანაც — დიდი სიამოვნებით! **ახ, პროფესიონალების ნაკლებობას განვიცდით და იუსტიციის მინისტრს იმ რეფორმების განხორციელებაში შეეშლება ხელი, განსაკუთრებით, სასამართლო სისტემაში, რომლებმაც სამართლიანობის განცდაც კი ვერ დაგვიბრუნეს?! წართმეული ქონება, შელახული ღირსება, ციხეებში დაკარგული ჯანმრთელობა და სიცოცხლე ვისღა ახსოვს!**

ამ „გონებამახვილურ და პატრიოტულ“ მიგნებებთან ერთად კიდევ ერთი, ერთობ საინტერესო და მწარე ღიმილის მომგვრელი ფაქტი შევიტყვეთ სახელფასო დანამატებსა და პრემიებზე: **თურმე, სახელმწიფო საიდუმლოების შენახვა გარკვეული თანხით ფასდება და თავდაცვის მინისტრისთვის იგი 531 ლარს შეადგენს, რასაც „საიდუმლო დანამატი“ ჰქვია! ცხადია, უფრო დაბალი რანგის მოხელეებისთვის იგი გაცილებით ნაკლები იქნება, მაგრამ უმეტესობისთვის, დარწმუნებული ვარ, 30 ვერცხლზე, უკაცრავად, 30 ლარზე ნაკლები არ იქნება.** ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **თავდაცვის მინისტრმა ყველას „გადაუჯოკრა“ თვითანაზღაურებაში — მხოლოდ დანამატის (!) სახით მან 83000 (!) ლარი მიიღო 2013 წელს, ანუ პენსიონერის წლიურ შემოსავალზე 46-ჯერ მეტი!**

„ზრდილმა“ და „გონებაგახსნილმა“ ხიდაშელმა კიდევ ერთი მიზეზი დაასახელა, რატომ უნდა გაეზარდოთ დეპუტატებს ანაზღაურება მომავალ წელს – „ყველაფერთან (ანუ თავაუღებელ შრომასთან და ხალხზე ფიქრში გათენებულ ღამეებთან — ი. ლ.) ერთად, საშიშროების ქვეშ ვართ გამუდმებით — სისტემატურად გვიხდება თბილისსა და ქუთაისს შორის მანქანით მგზავრობაო“! **ჩვენი დიდი სირცხვილია, ასეთი სახიფათო და მავნე სამუშაო აქამდე რომ ვერ დავაფასეთ სათანადოდ, ამიტომ წინადადება შემომაქვს, თავდაცვის მინისტრის „საიდუმლო დანამატის“ ანალოგიურად, დეპუტატებსაც დაენიშნოს „სახიფათო დანამატი“!**

ზემოთ მოყვანილ პასუხებს და ახსნა-განმარტებებს ხომ მოფიქრება უნდა, ამას ხომ მარტო განათლებით ვერ მიაღწევ, ამას ნიჭი უნდა, ნიჭი და შუბლის ძარღვის გაწყვეტა! **ამისთანა „ხალხის რჩეულებს“ ხელმოწერებით შევაგნებინებთ რამეს?!**

**1991 წლიდან საბჭოთა კავშირს თავი დავაღწიეთ, აღარ ვართ კოლონია, თითქოს, თავისუფლებიც ვართ და დამოუკიდებლებიც, მხარში დემოკრატი მეგობრები გვიდგანან, ფულითაც გვეხმარებიან, იარაღითაც, არც შეღავათიან სესხებს იშურებენ ჩვენთვის, რჩევა-დარიგებებს ხომ გვაძლევენ და გვაძლევენ და რას მივაღწიეთ, რომელ სფეროში გამოიკვეთა ჩვენი წინსვლა ამდენი „მზრუნველის“ ხელში? რამდენიმეჯერ გაზრდილი ბიუჯეტისა და საგარეო ვალის გახუთმაგების პირობებში, 10-20 წელიწადში ხომ არნახული წარმატებებისთვის უნდა მიგვეღწია? ამის ნაცვლად, ისეთ გაუსაძლის მდომარეობაში ჩავარდა ხალხი ეკონომიკურადაც და სამართლებრივადაც, რომ მოსახლეობის ლამის ერთი მესამედი მსოფლიოში მიმოიფანტა, დარჩენილებს (2-3 პროცენტის გამოკლებით) კი კომუნისტური, დიქტატორული(!) წყობა გაუხდა სანატრელი.** სწორედ ჩვენმა ასეთმა ყოფამ ათქმევინა ჭეშმარიტ მამულიშვილსა და ქრისტიან ქართველს, ბატონ ლევან ვასაძეს: „ვაის გავეყარეთ და უის შევეყარეთო“ (რუსეთს და ამერიკას გულისხმობდა), მაგრამ არც „ვაი“ გვინდა და არც — „უი“, დამოუკიდებლად უნდა მივხედოთ ჩვენს ქვეყანას, ამის შესაძლებლობაც გვაქვს, ბუნებრივი მონაცემებიც და სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობაც ხელს გვიწყობსო.



**მართალია, ქართველი კაცი თავს მოიქაჩლებდა, რომ იტყვიან, ურიის ვალს აიღებდა და გადაჰყვებოდა სტუმარს ყურადღებით თუ პურ-მარილით, მაგრამ იგი ბოლო კაპიკს საკუთარი ჯიბიდან ხარჯავდა. პარლამენტია, მთავრობა თუ მერია-საკრებულო — ყველა ჩვენს ჯიბეებში, ანუ ბიუჯეტში(!) აფათურებს ხელს, საკუთარი კი ისე აქვთ გადავსებული ხელფასებით, სახელფასო დანამატებითა და პრემიებით, რომ ხელი არ ეტევათ**

ამ საოცნებო მოსაზრების საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს. რა სჯობს დამოუკიდებლად ცხოვრებას, მაგრამ ერთია სურვილი და მეორე — რეალობა, რომელიც მუდმივად თან სდევდა მტრული სახელმწიფოებით გარშემორტყმულ საქართველოს. დიდი განათლება არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ **საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი: თუ ჩვენი დიდი მეზობლები – რუსეთი, თურქეთი და ირანი — ამაზე შეთანახმდებიან, თავდაუსხმელობის გარანტიებს მოგვცემენ, არც მცოცავ ანექსიას განახორციელებენ და არც სხვა სახელმწიფოს, მაგალითად, ამერიკას, მისცემენ ჩვენი ტერიტორიის სამხედრო პლაცდარმად გამოყენების ნებას.** ამის გარეშე სრული უტოპიაა ნეიტრალიტეტზე ფიქრი! მოხდება ეს ოდესმე? გეოსტრატეგიული მნიშვნელობის მქონე, ღვთისმშობლის წილხვედრ, წალკოტივით მშვენიერ საქართველოს ამის ფუფუნება არასოდეს ჰქონია და **ახლა, როცა დაუნდობელზე დაუნდობელი გახდა, პირველ რიგში, დემოკრატიულად წოდებული მსოფლიო, როცა დღის წესრიგში ეროვნული სახელმწიფოების სახის წაშლისკენ, მართლმადიდებლობის დისკრედიტაციისა და მამათმავლობის აღზევებისკენაა მობილიზებული მთელი დასავლეთი, ვინ მოგვცემს ჩვენ გასაქანს?! ეს გამორიცხულია! ამას არც სჭირდება ბევრი ლაპარაკი, განა ამის მოწმენი არ ვართ დღეს ყველანი?!**

მაგრამ არის კიდევ ერთი ძველი, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან შობილი გამოთქმა: „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინს!“; ისეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადაპტაციას, რომ ასეთმა, თითქოსდა უცნაურმა, გამოთქმამაც კი გაუძლო დროს. **შეჩვეული „ჭირი“ შეუჩვეველ „ლხინს“ სჯობიაო, და როცა ლხინთან კი არა, უარეს ჭირთან გვაქვს საქმე, მაშინ შეჩვეული ჭირი ხომ უდავოდ აჯობებს შეუჩვეველს!** თანაც ყველაფერი შედარებითია და ამ ჭირების გაზომვა-შედარებაც ადვილად შეგვიძლია ერთ კითხვაზე პასუხის გაცემით: **რას მიაღწია „კრემლისგან დამონებულმა“ საქართველომ საბჭოთა კოლონიად ყოფნის პირობებში 70 წლის განმავლობაში და რას — „გათავისუფლებულმა“ საქართველომ „დემოკრატი“ ამერიკის „მზრუნველი“ კალთის ქვეშ 10, თუნდაც 20, წლის განმავლობაში?** დაწვრილებით არ ჩამოვთვლი, რადგანაც ყველამ ვიცით და დაწერითაც ბევრჯერ დაწერილა, ბევრ უარყოფითთან ერთად რამდენი დადებითი მოჰყვა რუსეთის მფარველობაში საქართველოს ყოფნას, რაც, უპირველესად, ქართველი ერის ფიზიკურ გადარჩენაში გამოიხატა, საქართველო ყველა სფეროში (განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანდაცვა, ცხოვრების დონე) მოწინავე და თითით საჩვენებელი სახელმწიფო გახდა და, როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს, მისი ხალხი „დამმონებელ“ რუსეთის მოსახლეობაზე უკეთესად ცხოვრობდა. ახლა, **რას მივაღწიეთ იმპერიული რუსეთის კლანჭებიდან თავდაღწეულებმა და „დემოკრატ“ დასავლეთს თავშეფარებულებმა? შეგვიძლია, თუნდაც ერთი სფერო დავასახელოთ, რომელშიც წარმატებას მივაღწიეთ? სამწუხაროდ, არა! წარმატებას ვინ დაეძებს, ყველაფერში დავკარგეთ პოზიციები, „წინსვლა“ გვაქვს მხოლოდ მოსმენებში, მამათმავლობის დაკანონებაში, დაწყებით კლასებში ბავშვების ე. წ. სექსუალურად აღზრდაში და ეკლესიისთვის სახელის გატეხვის მცდელობაში!**

**ისევ „შეჩვეული ჭირი“ სჯობს საქართველოსთვის,** მით უფრო, რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვან არგუმენტსაც თუ მოვიშველიებთ: **აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნება თუ გვიწერია ოდესმე, ეს მხოლოდ რუსეთის კეთილი ნებით იქნება შესაძლებელი და არა დასავლეთის ყალბი შეშფოთებებით; მაშინ, როცა დასავლეთი თავს გვახვევს ჩვენთვის ორგანულად მიუღებელ „ღირებულებებს“, რუსეთში მიღებულია ის კანონები, რომელთა მიღებასაც ჩვენი პარლამენტისგან ვითხოვთ და ვერ მივაღწიეთ** (მოზარდთა შორის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვა, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოეთიდან დაფინანსებასა და მათ საქმიანობაზე კონტროლის დაწესება, ეკლესიის დაცვა შეურაცხყოფისგან და სხვა), რუსეთში მიღებული არ არის ის კანონები, რომელთა გაუქმებასაც ვითხოვთ ჩვენთან და ასევე ვერ მიგვიღწევია (ანტიდისკრიმინაციული კანონი; სტრატეგიული ობიექტებისა და მიწის უცხოელებზე მიყიდვის მკაცრად შეზღუდვა და სხვა)!

ყველაფერს, ჩვენთვისაც მისაღებს და აუცილებელს, რასაც ადგილი აქვს რუსეთში, არ ჩამოვთვლი, მაგრამ, კარსმომდგარი ადგილობრივი არჩევნების გამო, რუსეთში არჩევნების ჩატარების ორ ფაქტორზე მაინც უნდა ითქვას, რომ დიქტატორ პუტინის ხელში არც ამომრჩეველთა სიებია გაბერილი და მეტი გამჭვირვალობისთვის თითოეულ საარჩევნო უბანზე 2-2 ვებკამერაა (და, არა ვიდეოთვალი) დამონტაჟებული, რომელთა მეშვეობითაც ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა, დააკვირდეს არჩევნების მიმდინარეობას ნებისმიერ უბანზე შინიდან გაუსვლელად! გარდა ამისა, **თუ ეკონომიკურ მხარეზეც შევჩერდებით, უდავოა, რომ ქართული ეკონომიკისთვის (არამხოლოდ სოფლის მეურნეობისთვის!) უმნიშვნელოვანესი სწორედ რუსეთის ბაზარია და არა პრობლემების შემცველ ევროკავშირთან ასოცირება.**

ვფიქრობ, დღევანდელ გლობალურ ორომტრიალში ჩვენი ხსნა მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან ნორმალურ კავშირშია და არა დამღუპველ დაპირისპირებაში. აქედან გამომდინარე, **საჭიროა, რუსეთთან საერთო ენის გამონახვა და არა მისთვის ენის გამოყოფა — საქართველოში ნატოს რაკეტების განლაგებაზე ფიქრი!**

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რანი ვიქნებოდით დღეს, ერეკლე მეფეს რუსეთის ნაცვლად თურქეთი ან ირანი რომ აერჩია. არა მგონია, ვინმემ თქვას, რომ ერეკლეს ორიენტირი შეეშალა. ახლა რატომ გვეშლება? სულ „უბრალო“ მიზეზის გამო: **დღეს ერეკლე არ გვყავს, ბაგრატიონი! გვყავს ირაკლი, ოღონდ ღარიბაშვილი; დავითი, ოღონდ უსუფაშვილი; იმის წინ კიდევ ბიძინა გვყავდა, ივანიშვილი და მიხეილი — სააკაშვილი...**

**რას მივაღწიეთ იმპერიული რუსეთის კლანჭებიდან თავდაღწეულებმა და «დემოკრატ» დასავლეთს თავშეფარებულებმა? შეგვიძლია თუნდაც ერთი სფერო დავასახელოთ, რომელშიც წარმატებას მივაღწიეთ? სამწუხაროდ, არა! წარმატებას ვინ დაეძებს, ყველაფერში დავკარგეთ პოზიციები, «წინსვლა» გვაქვს მხოლოდ მოსმენებში, მამათმავლობის დაკანონებაში, დაწყებით კლასებში ბავშვების ე.წ. სექსუალურად აღზრდაში და ეკლესიისთვის სახელის გატეხვის მცდელობაში!**

**იაკობ ლეჟავა**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მასშტაბური გარდაქმნა, რომელიც ახლა სჭირდება ამერიკას, მოითხოვს მკაფიო მიზანს, რომლის გაგებასაც შეძლებენ ქვეყნის მოქალაქეები და რომლის ირგვლივაც შეძლებენ განმტკიცებას.**

# რა გაანადგურა ვაშინგტონმა

## საითაც უნდა აპირებდეს აშშ გზის გაგრძელებას, ვერ მიაღწევს დანიშნულების ადგილამდე, თუ სვლას იქიდან დაიწყებს, სადაც ახლა დგას

**დადგა დრო, სერიოზულად აღარ აღვიქვათ ვაშინგტონი. განა კონგრესს შეუძლია, გაუმკლავდეს დაუძლეველ დეფიციტს, კლიმატის ცვალებადობას, გაცვეთილ ინფრასტრუქტურას, ძვირად ღირებულ სამედიცინო მომსახურებას, უწესრიგო საიმიგრაციო პოლიტიკას, აქტუალობადაკარგულ კანონებს, უმართავ ბიუროკრატიულ აპარატს, საარჩევნო ოლქების ხელოვნურად შელამაზებულ საზღვრებს? ამერიკის დემოკრატიული ხელისუფლების ნაკლოვანებათა ეს სია ძალიან დაგრძელდა, გონივრული რეფორმები კი უპერსპექტივოდ გამოიყურება.**



**ადრე თუ გვიან ეს სისტემა დაინგრევა, ამიტომ დადგა დრო ამერიკაში იმ მოძრაობის ორგანიზებისთვის, რომელიც ამ მოშლილი სტრუქტურის გარდაქმნას შეძლებს**

როგორც გაირკვა, უპერსპექტივობასაც აქვს საკუთარი პოლიტიკური არეალი. ცვლილებათა უმრავლესობა ხდება არა თანდათანობით, არამედ დიდი ნახტომებით, რომლებიც ინერციის ხანგრძლივ პერიოდს მოსდევს. ყოველ შემთხვევაში, ასე ირწმუნებიან პოლიტოლოგები — ფრენკ ბაუმგარტნერი და ბრაიან ჯონსი. ხანდახან ადამიანებს ეჩვენებათ, რომ უკვე აღარაფერი შეიცვლება, მაგრამ შემდეგ, როგორც მიწისძვრისას წაინაცვლებენ ხოლმე ქანები, ნიადაგი ჩამოირეცხება და ჩნდება ახალი მსოფლიო წესრიგი.

სწორედ ასე ხდებოდა რევოლუციები. აშშ-ის სოციალურ პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების უმეტესობა რამდენიმე ათწლეულის მანძილზე წნევის ზრდის შედეგად მომხდარ ტექტონიკურ ძვრებს ჰგავდა — ასე მოხდა 1960-იან წლებში (სამოქალაქო უფლებები), პროგრესულ ეპოქაში (კანონმდებლობა) და სამოქალაქო ომისას (მონობის ეპოქის აღსასრული). ახალი კურსი (სოციალური უსაფრთხოების სისტემების შექმნა) მხოლოდ იმით გამოირჩეოდა, რომ დიდი დეპრესიის ზეწოლა ზომების ნაჩქარევად მიღებას მოითხოვდა.

**ამერიკელებმა იციან, რომ დღევანდელი ხელისუფლება დასუსტებულია, მაგრამ ცვლილებები არ ხდება.** ფართოდ გავრცელებულ საზოგადოებრივ უკმაყოფილებას მიზიდულობის ცენტრი არ გააჩნია. ჩაის სმის მოძრაობა არ სთავაზობს საზოგადოებას არანაირ თანმიმდევრულ გადაწყვეტილებებს — სამთავრობო პროგრამების უმეტესობაზე უარის თქმა გონივრულ გეგმად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. რეფორმატორი ჯგუფების დიდმა ნაწილმა დაკარგა ზნეობრივი ავტორიტეტი, რადგან მიისწრაფოდნენ კონკრეტული ინტერესების რეალიზებისკენ და მიმართულნი იყვნენ საკუთარი მიზნების განხორციელებისკენ და არა საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევისკენ. ნაცვლად იმისა, რომ გაერთიანებულიყვნენ ახალი წესრიგის დამყარების მიზნით, გარემოს დამცველები, ბიუჯეტის ეკონომიურად გამოყენების მომხრენი და სხვა რეფორმატორები ერთმანეთს საეთერო დროზე ედავებიან.

რას წარმოადგენს დემოკრატიის არსის ახალი ფილოსოფია? კონკრეტული რეფორმების გრძელი სია, დიდი ალბათობით, ვერ მოახდენს საზოგადოებრივი მოძრაობის გაჩენის სტიმულირებას. აშშ-ის ისტორიაში რეფორმების ყველა პერიოდს მკაფიო მიზანი ჰქონდა და ეს მიზნები ემყარებოდა მაღალ მორალურ ღირებულებებს, მაგალითად, ისეთს, როგორიცაა ეკონომიკაში ან სეგრეგაციაში სახელმწიფოს ჩაურევლობისთვის ბოლოს მოღება. **მასშტაბური გარდაქმნა, რომელიც ახლა სჭირდება ამერიკას, მოითხოვს მკაფიო მიზანს, რომლის გაგებასაც შეძლებენ ქვეყნის მოქალაქეები და რომლის ირგვლივაც შეძლებენ განმტკიცებას.**

რა დაემართა თანამედროვე დემოკრატიას? მისი ერთ-ერთი ნაკლოვანება პოლარიზებული პოლიტიკაა. ახლა ამერიკა პოლიტიკური ექსტრემიზმის აყვავების მომსწრეა, მაგრამ რატომ ხდება ასე? როგორც ჩანს, ამერიკელები სხვა მხრიდან უყურებენ პროცესს. პოლარიზაცია მხოლოდ სიმპტომია და არა პარალიჩის მიზეზი. დემოკრატიამ ძალა დაკარგა. პოლიტიკოსები, რომელთაც არაფრის უნარი არ შესწევთ, ვერ ახერხებენ ერთმანეთთან შეჯიბრს ერთმანეთის დადანაშაულების გარეშე.

რაც უნდა ირონიულად ჟღერდეს, მთავარი დამნაშავე კანონია. საკანონმდებლო და მარეგულირებელი ორგანოების მრავალმა თაობამ ისეთი რაოდენობით კანონები მიიღო, რომ მაღალჩინოსნებს უბრალოდ, საშუალება აღარ აქვთ, ჯანსაღი აზრის მიხედვით იმოქმედონ. კანონები მრავალი წლის განმავლობაში გროვდებოდა და ახლა ბიუროკრატიული ელიტის წარმომადგენლებს, საშუალება არ აქვთ, შეიმუშაონ კურსი, რომლის მიმდევრობითაც ხელისუფლება დასახულ მიზანს მიაღწევს.

ახლახან თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა ხუთწლიანი ანგარიში, რომელიც 2009 წელს მიღებულ 800-მილიარდიან სტიმულირების გეგმას ეხებოდა. ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანა, როგორც მაშინ პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, „ამერიკის ინფრასტრუქტურის გარდაქმნა“ იყო. მაგრამ ამ მასშტაბური გეგმისთვის გათვალისწინებული რა სახსრები დაიხარჯა? ამ ანგარიშში ნათქვამია, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფაზე ამ თანხის მხოლოდ 3% დაიხარჯა.

რატომ? აშშ-ის პრეზიდენტს არ აქვს უფლებამოსილება, გასცეს მოძველებული ხიდებისა და გზების განახლების განკარგულება. ახალი შეთანხმების ფარგლებში, პირიქით, გარი ჰოპკინსმა დაიქირავა 2,6 მილიონი ადამიანი სულ რაღაც ორი თვის შემდეგ, რაც სამოქალაქო მშენებლობის ახალი ადმინისტრაციის მეთაურის თანამდებობაზე დაინიშნა.

დაბერებული დემოკრატია პრობლემის მხოლოდ ნაწილია. ყველა ახალი კანონი წინას ზედ ედება. მაგალითად, კორექციულ განათლებაზე ახლა იხარჯება დაახლოებით 25% იმ სახსრებისა, რომლებიც ეკოლოგიური განათლების ახალი პროგრამა „კ-12“-ისთვისაა გათვალისწინებული. ამასთან, ნიჭიერი ბავშვებისა და ნაადრევად განვითარებული ბავშვების სწავლების პროგრამები პრაქტიკულად არ ფინანსდება. შეიძლება ამას სწორი ბალანსი ეწოდოს? მაგრამ ამ საკითხს არც არავინ აყენებს.

1970-იან წლებში გზების მშენებლობის პროექტების განხილვას დაახლოებით ორი წელი დასჭირდა, 2011 წელს კი განხილვის ვადები 8 წლამდე გაიზარდა. 1956 წელს კანონი, რომელიც რამდენიმე შტატის დამაკავშირებელი საგზაო სისტემების მშენებლობის ნებართვას იძლევა, სულ 29 გვერდზე ეტეოდა, 1996 წლის კანონი სოციალური დაცვის სისტემის გარდაქმნასთან დაკავშირებით 251 გვერდს მოიცავს. ახალ ათასწლეულში კი სახელმწიფო ნორმატიული აქტების სიგრძე ხშირად ათას გვერდსაც აჭარბებს. უოლკერის წესები, რომლებიც სავაჭრო ოპერაციებს არეგულირებს და დოდ-ფრანკის კანონის შემადგენელი ნაწილია, 950-ზე მეტ გვერდს ავსებს.

ახლა დადგა დრო, აღდგეს ადამიანის პასუხისმგებლობა დემოკრატიის მოქმედი ფილოსოფიის სტატუსში. მხოლოდ ნამდვილ ადამიანებს და არა ბიუროკრატიულ ნორმებს შეუძლია, მაკორექტირებელი ცვლილებები შემოიღონ ბიუჯეტის დაბალანსებისთვის. დემოკრატია ვერ განაგრძობს ფუნქციონირებას, თუ კონკრეტული ადამიანები არ მიიღებენ გადაწყვეტილებებს და პასუხს არ აგებენ ამ გადაწყვეტილებათა შედეგებზე.

თეორიულად პასუხისმგებლობის აღდგენა არც ისე რთულია. ყველა კანონი, რომელთაც გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის ბიუჯეტზე, უნდა გადაიხედოს, რათა კანონმდებლებს მიეცეთ საშუალება, შეცვალონ პრიორიტეტები და შეესაბამებოდნენ ახალ გარემოებებს. კანონების დიდი ნაწილი აუცილებლად საჭიროებს რადიკალურ გამარტივებას, მიზნებისა და პრინციპების ღიად სტრუქტურირებას, რათა ჩინოვნიკებმა შეძლონ მოქნილობის გამოვლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მაგრამ კანონების უდიდესი რაოდენობის პრობლემა ისაა, რომ ამერიკელებს ამ კანონებთან აქვთ საქმე. არავის, პრეზიდენტსაც კი, არ შეუძლია გვერდი აუაროს მათ. **დემოკრატია ვერ იმუშავებს, ვიდრე ამერიკა არ გაკაფავს ამ სამართლებრივ ჯუნგლებს, რათა მაღალჩინოსნებს კვლავაც ეკისრებოდეთ პასუხისმგებლობა საკუთარი გადაწყვეტილებების გამო.**

იმისათვის, რომ ქვეყანა ამ პარალიზებული სისტემისგან გათავისუფლდეს, საჭიროა არა ცალკეული რეფორმები, არამედ ძველ ნორმებზე სრული უარის თქმა. **საითაც უნდა აპირებდეს აშშ გზის გაგრძელებას, ვერ მიაღწევს დანიშნულების ადგილამდე, თუ სვლას იქიდან დაიწყებს, სადაც ახლა დგას.** დროა, შეწყდეს კედელზე თავის რტყმა. ხელისუფლება წარუმატებელია არა უვარგისი პოლიტიკის გამო, არამედ უვარგისი საორგანიზაციო სტრუქტურის გამო, რომლის პირობებშიც არავის ეძლევა უფლება, საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა.

**ადრე თუ გვიან ეს სისტემა დაინგრევა, ამიტომ დადგა დრო ამერიკაში იმ მოძრაობის ორგანიზებისთვის, რომელიც ამ მოშლილი სტრუქტურის გარდაქმნას შეძლებს.**

The Washington Post

# წმინდა სინოდმა უცხოეთის ეპარქიებისთვის ოთხი ახალი მღვდელმთავარი შეარჩია

**საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ განცხადება მეუფე ზოსიმემ გააკეთა. მისი თქმით, უმთავრესი საკითხი იყო ის, რომ უცხოეთისათვის ოთხი ახალი მღვდელმთავარი შეირჩა.**

ჟურნალისტების კითხვას — იმსჯელა თუ არა სინოდმა ანტიდისკრიმინაციულ კანონზე, მეუფე ზოსიმემ უპასუხა, რომ სინოდმა პატრიარქის განცხადება დაამოწმა და მოიწონა. მღვდელმთავარმა უარყო საზოგადოებაში გავრცელებული აზრი პატრიარქის გადადგომის შესახებ და სინოდზე ამ საკითხის სინოდის სხდომაზე განხილვის შესახებ.

სინოდის განჩინების საბოლოო სრული ტექსტი უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

მეუფის თქმით, დასავლეთ ევროპის ეპარქიებისთვის შეირჩა ორი ახალი მღვდელმთავარი, კერძოდ, გერმანია-ავსტრიისა და ჰოლანდია-ლუქსემბურგის ეპარქიებისთვის, აგრეთვე, ამერიკისთვის.

მეუფე ზოსიმეს განცხადებით, გერმანია-ავსტრიის ეპარქიაში არქიმანდრიტი ლაზარე სამარბეგიშვილი ეკურთხება, ჰოლანდიაში იქნება არქიმანდიტრი დოსიფე ბოგვერაძე, ამერიკაში — არქიმანდრიტი საბა ინწკირველი, საინგილოში კი — არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი.

მეუფე ზოსიმეს განცხადებით, სინოდის სხდომაზე საქართველოს ეკლესიის პირველი მთავარეპისკოპოსი იოანე წმინდანად იქნა შერაცხილი.

**ობამამ განაცხადა, რომ „ამერიკა მუდამ წამყვან როლს უნდა ასრულებდეს საერთაშორისო არენაზე. და თუ ამერიკა არ გააკეთებს ამას, გააკეთებს ვინმე სხვა“. გარდა ამისა, პრეზიდენტს „მთელი არსებით“ სწამს, რომ მისი ქვეყანა „რჩეულია“ და სწორედ ეს აძლევს უფლებას, განსაკუთრებული როლი შეასრულოს მსოფლიო პოლიტიკაში.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ობამას მარტოს ბრძოლა აღარ სურს

**ბარაკ ობამას ხელმძღვანელობით აშშ-ის საგარეო პოლიტიკას აკლია „წითელი ზოლი“. რამდენიმე დღის წინათ სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტი შეეცადა, აეხსნა, თუ რატომაა, რომ თანამედროვე რთულ მსოფლიოში პრაგმატიზმი შეიძლება იქცეს უპირატესობად და რატომ დადგა დრო, ბოლო მოეღოს საომარ ავანტიურებს.**

იმ დროს, როდესაც ბარაკ ობამა მხოლოდ ცდილობდა, მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი ადამიანი გამხდარიყო, იგი დიდ განმანათლებლად ითვლებოდა, მაგრამ თავისი პრეზიდენტობის წლებში მან, როგორც ჩანს, დაკარგა ეს უნარი. არც ერთ სხვა სფეროში არ ჩანს ეს უფრო კარგად, ვიდრე საგარეო პოლიტიკაში.

სირიის „წითელი ზოლი“, უკვე კარგა ხანია, ქვიშაში ჩაეფლო. სამხედრო გადატრიალება, მაგალითად ტაილანდში, დაუშვებელია, მაგრამ, მაგალითად, ეგვიპტეში, მოვლენათა ამგვარი განვითარება რაიმე საშინელებად არც ითვლება. რა როლი აქვს ამერიკას მსოფლიოში? ის მართლაც ისეა სიტუაციაზე დამოკიდებული, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ორი ამერიკა არსებობს.

ამჟამად მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ალბათ, ამ კრიტიკული შენიშვნებიდან ყველა სამართლიანად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ამერიკულ საზოგადოებას ეჩვენება, რომ ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკას აკლია არა „წითელი ზოლი“, არამედ „წითელი ძაფი“. ეს ძალზე სერიოზული ნაკლია, თუ პრეზიდენტის იდეოლოგიურ რიტორიკას გავითვალისწინებთ, ამიტომაც ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტი შეეცადა, აეხსნა საკუთარი პოზიცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ახსნა-განმარტებაში რაღაც წინააღმდეგობები შეინიშნება. მაგალითად, **ობამამ განაცხადა, რომ „ამერიკა მუდამ წამყვან როლს უნდა ასრულებდეს საერთაშორისო არენაზე. და თუ ამერიკა არ გააკეთებს ამას, გააკეთებს ვინმე სხვა“. გარდა ამისა, პრეზიდენტს „მთელი არსებით“ სწამს, რომ მისი ქვეყანა „რჩეულია“ და სწორედ ეს აძლევს უფლებას, განსაკუთრებული როლი შეასრულოს მსოფლიო პოლიტიკაში.**

პრეზიდენტი მუდმივად იყენებდა საუბრისას სიტყვებს „მაგრამ“ და „თუ“. მაგალითად, მისი განცხადებით, ლიდერობა ნიშნავს მოკავშირეებთან თანამშრომლობას, ასევე — დიპლომატიისა და სანქციების გამოყენებას. ამერიკის განსაკუთრებული მდგომარეობა იმას არ ნიშნავს, რომ ცალკეულ ქვეყნებს შეუძლიათ საკუთარი თავი საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და გაფორმებულ შეთანხმებებზე მაღლა დააყენონ. მიუხედავად იმისა, რომ აშშ მსოფლიოში უდიდესი სამხედრო ზესახელმწიფოა, ამერიკელებს უნდა ესმოდეთ „ის, რომ ჩვენ გვაქვს ჩაქუჩი, სულაც არ ნიშნავს, თითქოს ირგვლივ არსებული ყველა პრობლემა ლურსმანია, რომელსაც უნდა ჩავარტყათ“.

თუ ამ დოქტრინას სახელწოდებით „კი, მაგრამ...“ რეალური პოლიტიკის ენაზე ვთარგმნით, ეს ნიშნავს: ამერიკა გაცილებით ფრთხილი გახდა. „ჩვენ ყველა ქმედება უნდა დავუქვემდებაროთ უბრალო შემოწმებას: საბოლოო ჯამში არ უნდა გავიჩინოთ იმაზე მეტი მტერი, ვიდრე ბრძოლის ველზე გავანადგურებთ“. უნდა აღინიშნოს, რომ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას ასეთივე სიფრთხილით რომ ემოქმედა, მსოფლიოს გაცილებით ნაკლები პრობლემა ექნებოდა. **„მეორე მსოფლიო ომის დროიდან აშშ-მა ყველაზე დიდი შეცდომები დაუშვა არა თავშეკავების, არამედ სამხედრო ავანტიურებში ჩართვის გამო“,** — აღნიშნა ობამამ.

მაგრამ თუ ავანტიურების დრო წარსულს ჩაბარდა, რა დაიკავებს მათ ადგილს? კრიტიკოსები ირწმუნებიან, რომ ეს სიზანტე იქნება. ობამა კი ირწმუნება, რომ ეს იქნება პრაგმატიზმი, თანამშრომლობა და აშშ-ის პოლიტიკის მრავალწახნაგოვნება. მაგალითისთვის შეიძლება ეგვიპტე დასახელდეს: უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და ამ ქვეყანასა და ისრაელს შორის მშვიდობიანი შეთანხმების მნიშვნელოვნების გამო, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის შემდეგ გადაწყდა, არ გაწყვეტილიყო კაიროსთან თანამშრომლობა. ამავე დროს ვაშინგტონი, როგორც ობამა ბრძანებს, ზეწოლას ახდენს ეგვიპტის ხელისუფლებაზე, რათა გაითვალისწინოს რეფორმებისადმი მოსახლეობის მისწრაფება.

უკრაინული კრიზისის კონტექსტში აშშ-ის პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ აშშ-მა გამოავლინა ლიდერობა და შეანჯღრია მთელი მსოფლიო, რათა მას შეძლებოდა, რაიმე დაეპირისპირებინა რუსული პროპაგანდისთვის. ამის შედეგი იყო უკრაინაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები. ირანთან დაკავშირებით სანქციებისა და მოლაპარაკებების შედეგად შესაძლებელი გახდა იმ წინასწარი შეთანხმების მიღწევა, რომელსაც, შესაძლოა, მის ატომურ პროგრამასთან დაკავშირებული კონფლიქტის საბოლოო დარეგულირება მოჰყვეს.

**„როდესაც ჩნდება კრიზისები, რომლებიც სულს გვიშფოთებს ან მსოფლიოს არასწორი მიმართულებით წარმართავს, ჩვენ მარტოებმა არ უნდა ვიმოქმედოთ“,** — განაცხადა ობამამ. მისი თქმით, აშშ ლიდერი უნდა იყოს, მაგრამ ამასთან, უნდა მიდიოდეს მოკავშირეებთან ერთად და ორიენტაციას ინარჩუნებდეს საკუთარი „მორალური კომპასის“ საშუალებით.

ეს გრძელი გზა იქნება და ამერიკას მოთმინება დასჭირდება. იმას, თუ რამდენად სწრაფად შეიძლება ამ გზიდან გადახვევა, სირიის მაგალითი აჩვენებს. იქ არ შეიძლება არსებობდეს **„უბრალო სამხედრო გადაწყვეტილებები“,** — აღნიშნა ობამამ და მსმენელები დაარწმუნა, რომ განაგრძობს ოპოზიციის მხარდაჭერას. მაგრამ მას არაფერი უთქვამს იარაღის შესაძლო მიწოდებების შესახებ, რის თაობაზეც უკანასკნელი დღეების მანძილზე უამრავ სპეკულაციას ჰქონდა ადგილი.

ობამამ სიტყვით გამოსვლისას მოიხსენია საკმაოდ ბევრი შუალედური მიღწევა, მაგრამ არაფერი უთქვამს გრძელვადიან გადაწყვეტილებებზე, რომლებისთვისაც შეიძლებოდა მისი წარმატება დაერქმიათ, ამიტომ მის **კრიტიკოსებს კვლავაც აქვთ საშუალება, პრეზიდენტი დაადანაშაულონ იმაში, რომ მისი პრაგმატული იდეოლოგიზმი არა მხოლოდ თავისთავადაა წინააღმდეგობრივი, არამედ მალავს მის განურჩევლობასაც სამხედრო პოლიტიკის საკითხებში.**



მაგრამ შეასრულებს კი ეს თუნდაც რაიმე როლს ობამას მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისას 2017 წელს? **„ჩვენ კვლავ კონცენტრირებულნი ვართ ამერიკული ძალის უმნიშვნელოვანეს წყაროზე: მზარდ ეკონომიკაზე, რომელიც ახალ შესაძლებლობებს გვაძლევს“,** — ბრძანა პრეზიდენტმა სიტყვით გამოსვლის დასაწყისშივე და, სავარაუდოდ, ეს იყო მისი გზავნილი.

**Sueddeutsche Zeitung**




# პანიკური პესიმიზმისა და სასოწარკვეთის ქვეყანა

**როდესაც გეოპოლიტიკაზეა საუბარი, მუდამ გამოჩნდება საბაბი სასოწარკვეთისთვის. ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით ბიზნესში ნამდვილი ბუმია. „The Economist“, „Foreign Affairs“ და სხვა ნაკლებცნობილი ჟურნალები სავსეა მტკიცებულებებით, რომ მსოფლიო წესრიგი ემხობა, ხოლო ამერიკის შესაძლებლობა და მზადყოფნა საიმისოდ, რომ მან გადაარჩინოს მსოფლიო და თავიდან აიცილოს დიდი კონფლიქტების პერსპექტივა მომავალ ათწლედში, საეჭვოა.**

მრავალმა ბოლოდროინდელმა მოვლენამ — 1914 და 1939 წლების აჩრდილების მსგავსად — აამაღლა დღევანდელი პესიმისტების რეპუტაცია, საავტორო ჰონორარები და შემოსავლები.

მაგრამ საერთო ჯამში, თუ გლობალური პოლიტიკური პირობები არც ისე სახარბიელოა, არსებობს მრავალი საფუძველი დაფიქრებისთვის — ისინი არც თუ ისე ცუდია, როგორც ზოგიერთი ირწმუნება. აი რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც გასათვალისწინებელია:

მსოფლიო ომი საჭირო არ არის. რუსეთსა და ჩინეთს არ მოსწონთ, რომ ამერიკა პრეტენზიას აცხადებს გლობალურ ლიდერობაზე. მათ მეტი რეგიონული გავლენა სურთ და ისევე, როგორც აშშ, დროდადრო ზურგს აქცევენ ურთიერთთანამშრომლობას, მაგრამ ღრმად არიან ინტეგრირებულნი არსებულ მსოფლიო წესრიგში და არც იდეოლოგიურად, არც ეკონომიკურად და არც ფიზიკური შესაძლებლობების მხრივ არ არიან დაინტერესებულნი, დაუპირისპირდნენ მას. მათ სურთ მეტი გავლენა საერთაშორისო დაწესებულებებში და არა მათი დამხობა.

აშშ-ის ძალისა და გავლენის შემცირება სხვა აღმავალ ძალებთან შედარებით გარდაუვალია, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს მათი შეშფოთების მიზეზად, ვისაც ამერიკისგან დაცვის იმედი აქვთ. რეალურად აშშ-ის ეკონომიკური და სამხედრო ძალა კვლავაც დიდია, მაგრამ მთავარი ისაა, თუ როგორ გამოიყენებს იგი ამ ძალას. ბილ კლინტონმა გაპრეზიდენტებიდან ცოტა ხნის შემდეგ განაცხადა, რომ მთავარია არა მცდელობა, დარჩე უმთავრესი გლობალურ ბლოკში განუსაზღვრელი ვადით, არამედ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც კომფორტულად ვიცხოვრებთ მაშინაც კი, როდესაც გლობალურ ბლოკში მთავარი ადგილი აღარ გვეკავება.

პოლიტიკოსებს კმაყოფილებისთვის მაინცდამაინც საბაბი არ აქვთ — სირიულ კოშმარს ბოლო არ უჩანს; უკრაინაში სიმშვიდე, შესაძლოა, დროებითი აღმოჩნდეს; ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებში კი ცივი გონების დიდი დეფიციტია, მაგრამ პანიკური პესიმიზმი, რომელიც ნელ-ნელა ძლიერდება და ანადგურებს სხვა ყველაფერს, დიდი ხანია, გაპროტესტებას იმსახურებს.

**Project Syndicate**

მოკლედ

# «ნატო რუსეთთან მომავალი ურთიერთობის გადახედვაზე იმსჯელებს»

**ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ვილნიუსში ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე განაცხადა, რომ ნატო რუსეთთან ურთიერთობის გადახედვაზე ივნისის ბოლოს იმჯელებს.**

**„ჩვენ უნდა შევეგუოთ იმას, რომ ევროპაში უსაფრთხოების მხრივ ვითარება იცვლება, რისთვისაც საჭიროა კოლექტიური თავდაცვის გაძლიერება. ჩვენ ახლა განვიხილავთ იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადაიდგას ამისათვის.**

**ნატოს დღის წესრიგში ასევე დგას რუსეთთან მომავალი ურთიერთობის გადახედვა. როგორც იცით, ჩვენ უკვე შევაჩერეთ პრაქტიკული თანამშრომლობა“,** — განაცხადა რასმუსენმა და დასძინა, რომ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრები ამ საკითხზე ივნისის ბოლოს იმსჯელებენ.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვინაიდან აშშ და ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაცია სამხრეთ და ცენტრალურ აზიაში წარმოებულ ომებს უკვე ასრულებენ, დრონებიცა და სპეცოპერაციებიც ნელ-ნელა აფრიკის კონტინენტისკენ ინაცვლებს.**





# კალიფორნიის ციხეებში ყოფნა წამების ტოლფასია

**კალიფორნიის პენიტენციარული სისტემა სკანდალში გაეხვა — გაირკვა, რომ 2006-2010 წლებში 150 პატიმარი ქალის სტერილიზაცია შტატის ხელისუფლების ნებართვის გარეშე მოხდა. ეს ამბავი გახმაურდა კიდევ ერთი სკანდალის ფონზე, რომელიც სასჯელაღსრულების მაღალჩინოსნების მხრიდან პატიმრების ფოსტზე ცენზურის დაწესების ინიციატივამ გამოიწვია.**

კალიფორნია, ჰოლივუდის გარდა, ყველაზე დიდი პენიტენციარული სისტემითაც არის განთქმული. აქ ათასობით პატიმარი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის იხდის მრავალწლიან სასჯელს. ტუსაღები თითქმის 24 საათის განმავლობაში იმყოფებიან ბეტონის უფანჯრო კამერებში, რომელთა ზომებია 2,5მX3მ. საკვებს ისინი კარში გაკეთებული ნახვრეტიდან იღებენ, კუთვნილი 1-საათიანი გასეირნება კი ბორკილებით უწევთ. მათ, როგორც წესი, აკრძალული აქვთ ტელეფონით სარგებლობა და პაემნები. ამ პატიმრების ყოფას უფლებადამცველი ორგანიზაციის წარმომადგენლები წამებასთან ათანაბრებენ.

„კალიფორნიის ციხეებში, კერძოდ, ერთი პატიმრისთვის განკუთვნილ კამერებში ადამიანის უფლებების დიდი ნაწილი ირღვევა. ადამიანის სრული იზოლირება 15 დღეზე მეტ ხანს არის სისასტიკე, წამება", — განაცხადა უფლებადამცველი ორგანიზაცია Critical Resistance-ს წარმომადგენელმა ისააკ ონტივეროსმა.

2013 წელს კალიფორნიის ციხეების იზოლირებულ კამერებში 3,5 ათასი კაცი იხდიდა სასჯელს. 106 ტუსაღმა იქ 15 წელიწადი გაატარა, 23-მა — 25.



# პენტაგონის ლაბორატორია 21-ე საუკუნის მებრძოლების გამოსაყვანად

**21-ე საუკუნის მეორე ათწლედში აშშ-ისთვის ომი უსაფრთხო საქმედ იქცა. სახმელეთო ჯარების დიდი დაჯგუფებების, ჯავშანმანქანებისა და არტილერიის ნაცვლად მოწინააღმდეგის განადგურების ინსტრუმენტად იქცა უპილოტო საფრენი აპარატებიდან გაშვებული რაკეტები და ნაკლებშესამჩნევი სპეცოპერაციები. ამ ყველაფრის შიდაპოლიტიკური უპირატესობა ისაა, რომ საჭირო აღარაა დროშაგადაფარებული კუბოების სატრანსპორტო თვითმფრინავებით გადატანა.**

**ვაშინგტონი მომავალშიც განაგრძობს სისხლისმღვრელი ომების წარმოებას სხვათა ხელით, მაგრამ, როგორც ჩანს, ძირითადი ძალისხმევა აფრიკისკენ მიმართა**

ვინაიდან აშშ და ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაცია სამხრეთ და ცენტრალურ აზიაში წარმოებულ ომებს უკვე ასრულებენ, დრონებიცა და სპეცოპერაციებიც ნელ-ნელა აფრიკის კონტინენტისკენ ინაცვლებს.

ახლახან „New York Times"-ი წერდა, რომ აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი გამოყო ჩრდილოაფრიკულ ქვეყნებში — ლიბიაში, მალში, მავრიტანიასა და ნიგერიაში — ასობით ელიტური სპეცრაზმელის მოსამზადებლად. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამ ქვეყნებში ჯარისკაცების სწავლებებს, ძირითადად, აშშ-ის სახმელეთო ჯარები „მწვანე ბერეტიანები" და სპეცდანიშნულების ქვედანაყოფი „დელტა" ჩაუდგებიან სათავეში.




პროგრამა გასაიდუმლოებულია და ფინანსდება პენტაგონის ბიუჯეტის საიდუმლო მუხლებიდან. ისეთ გაზეთებს, როგორიც „New York Times"-ი და „Washington Post"-ია, წყაროების დამოწმება არ სჭირდებთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორგანიზებას უკეთებენ ისეთი ინფორმაციის გაჟონვას, რომლის გახმაურებაც ვაშინგტონს სურს.

პენტაგონმა 16 მილიარდ დოლარზე მეტი გამოყო ლობიაში ორი ელიტური ჯგუფის მოსამზადებლად პარტიზანებისა და მეამბოხეების წინააღმდეგ მათ ასამოქმედებლად. მავრიტანიაში ანალოგიური მიზნებისთვის გამოყოფილია 29 მილიონი დოლარი, ნიგერიაში — 15 მილიონი, მალიში კი — გაურკვეველი რაოდენობით.

რამდენიმე დღით ადრე ამერიკის მთავარსარდალმა ბარაკ ობამამ გამოაცხადა ჩადში 80 სამხედრო მოსამსახურის გაგზავნის თაობაზე, ვითომდა „ბოკო ხარას" მიერ გატაცებული 300 ნიგერიელი გოგონას ძებნაში მონაწილეობის მისაღებად.

„Washington Post"-მა გამოაქვეყნა რუკა, რომელზეც აღნიშნულია, საჰარის სამხრეთით რომელ ქვეყნებში არიან უკვე გაგზავნილნი ამერიკის სამხედრო მოსამსახურეები, ძირითადად, სპეცრაზმები. ასეთი 12 ქვეყანაა. ესენია: ბურინა-ფასო, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი, კონგო, ჯიბუტი, ეთიოპია, კენია, ნიგერი, ნიგერია, სომალი, სამხრეთი სუდანი და უგანდა. ამ ჩამონათვალში არ შედის სეიშელის კუნძულოვანი სახელმწიფო, სადაც 2009 წლიდან ბაზირებულია ამერიკული ჯარი; ასევე არ შედის ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები, მათ შორის ლიბია და მაროკო, სადაც ამერიკის სამხედრო დასწრება, სავარაუდოდ, სამუდამო რეჟიმში გადავიდა.

ამ თვეში პენტაგონმა ხელი მოაწერა ახალ 10-წლიან შეთანხმებას ჯუჯა სახელმწიფო ჯიბუტთან კემპ-ლემონიერის ბაზის იჯარის გაგრძელების თაობაზე. იქ 2003 წლიდან დგას ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის არიან სპეცრაზმელებიც. ვაშინგტონი ჯიბუტისა და ეთიოპიის ტერიტორიებს იყენებს სომალსა და იემენზე უპილოტო დარტყმების მისაყენებლად, ნიგერს კი — იმავე მიზნებისთვის მალის წინააღმდეგ. ასევე პენტაგონმა გამოაცხადა, რომ 8,5-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა სამხრეთ სუდანში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, კონგოსა და უგანდაში საკუთარი ჯარის მომარაგებისთვის. ამ ქვეყნებში ობამას ადმინისტრაციამ 2011 წელს გაგზავნა სპეცრაზმები პარტიზანსაწინააღმდეგო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად.

მარტში ობამამ ბრძანა, მკვეთრად გაეზარდათ უგანდაში ამერიკული სპეცრაზმის შემადგენლობა, ასევე, პირველად გაგზავნა იქ კონვერტოპლანი „CV-22 Osprey". აპრილში აშშ-ის შეიარაღებული ძალების აფრიკის ზონის გაერთიანებულმა სარდლობამ ნიგერში ჩაატარა სამხედრო სწავლებები, რომლებშიც აშშ-ის, ბრიტანეთის, კანადის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის, ასევე აფრიკული ქვეყნების ათასამდე სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა.

ამ მასშტაბური სწავლებების დაწყება თავის დროზე უკავშირდებოდა სახელმწიფო დეპარტამენტის „პან-სახელის ინიციატივას", რომელსაც 2005 წელს პენტაგონის „ტრანს-საჰარული კონტრტერორისტული ინიციატივა" ჩაენაცვლა და დღემდე რეალიზდება აფრიკის ზონაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის მიერ.

აფრიკის ზონაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობა არის პირველი და დღემდე ერთადერთი რეგიონული სამხედრო სარდლობა, რომელიც პენტაგონმა ცივი ომის დასრულების შემდეგ შექმნა. **ვაშინგტონი მომავალშიც განაგრძობს სისხლისმღვრელი ომების წარმოებას სხვათა ხელით, მაგრამ, როგორც ჩანს, ძირითადი ძალისხმევა აფრიკისკენ მიმართა.** ლიბიის წინააღმდეგ ომი, ოპერაციები „ოდისეა. გარიჟრაჟი" და „გაერთიანებული მცველი" ამ ძალისხმევათა ამჟამინდელი ფაზის პირველი ზალპები იყო.

**Stop NATO**

# The Times: ბრიტანელი დაქირავებულები სირიის მშვიდობიან მოსახლეობას სასტიკად ეპყრობიან



**დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომებს, რომლებიც სირიაში ექსტრემისტული დაჯგუფების რიგებში იბრძვიან, პასუხისმგებლობა ეკისრებათ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობებზე. ამასთანავე, ისინი თავს ესხმიან არა პრეზიდენტ ბაშარ ასადის მომხრე ძალებს, არამედ ამბოხებულებსა და მშვიდობიან მცხოვრებლებს, — განუცხადა The Times-ს სირიის ოპოზიციური არმიის სარდალმა, გენერალმა აბდულა ალ-ბაშირმა.**

ბრიტანული გამოცემისთვის გაგზავნილ წერილში გენერალი წერს, რომ „ბრიტანელი ექსტრემისტები წარმოადგენენ „ალ ქაიდას" გამოყოფილი რადიკალური დაჯგუფება „ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფოს" უცხოური კონტინგენტის ნაწილს და განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევიან. **სირიელებს ცემენ, აუპატიურებენ, კლავენ, თავს აჭრიან, ჯვარზე აკრავენ. ბევრი, ვინც ასეთ მხეცობას სჩადის, ბრიტანეთის ქვეშევრდომია, ისინი თავისუფლებისთვის მებრძოლები კი არა, ტერორისტები არიან".**

გენერალ ალ-ბაშარის აზრით, ექსტრემისტთა რიგებში ბრიტანელთა გარდა იბრძვიან აფრიკისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების, აგრეთვე, გერმანიისა და საფრანგეთის მოქალაქეები.

ის, რაც შეიძლება ევროპარლამენტის შიგნით მოხდეს, გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს. ყველაზე მეტად სავარაუდოა, გაჩნდეს უზარმაზარი კოალიცია, რომელიც გააერთიანებს ამჟამად არსებულ ძირითად პარტიულ დაჯგუფებებს, მემარჯვენე ცენტრისტებს, მემარცხენე ცენტრისტებს, ლიბერალებსა და მწვანეებს, რათა მოთოკონ ყველა ანტიპარტიელი.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უკმაყოფილოთა კონტინენტი




**ევროკავშირის დანიშნულებაა, გააუმჯობესოს ადამიანთა ცხოვრება. ეს საშუალებაა და არა მიზანი. და ახლა გასაგები ხდება, რომ ძველებური პოლიტიკა უკვე აღარ მოქმედებს. ბასტილიის აღების დღეს, 1789 წელს, მეფე ლუდოვიკო XVI-მ თავის დღიურში დაწერა: „არაფერია“. ევროპელი ლიდერებიდან ახლა ბევრი ვერ აკრეფს თავის აიპედზე ამ სიტყვას, მაგრამ არსებობს სავსებით რეალური საფრთხე, რომ იმ რევოლუციური მოწოდებების საპასუხოდ, რომლებიც მთელ კონტინენტზე გაისმის, ისინი მართლაც ვერაფერს გააკეთებენ. დღევანდელ „არაფერს“ აქვს სახე და სახელი. ეს არის ჟან-კლოდ იუნკერი.**



ევროპელი ლიდერების კატასტროფული რეაქციის დამოწმება იქნება ახალ ევროპარლამენტში უმსხვილესი პარტიული დაჯგუფების, მემარჯვენეცენტრისტული ევროპული სახალხო პარტიის, პირველი კანდიდატის — იუნკერის არჩევა ევროპული კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე. ეს ეშმაკი ლუქსემბურგელი სხვებზე მეტხანს ედგა სათავეში ევროკავშირში შემავალი თავისი ქვეყნის მთავრობას, ამავე დროს თავმჯდომარეობდა ევროჯგუფს ევროზონის ყველაზე სერიოზული კრიზისის დროს. იუნკერი ევროკავშირის ლუდოვიკო XVI-ა.

ის, რაც შეიძლება ევროპარლამენტის შიგნით მოხდეს, გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს. ყველაზე მეტად სავარაუდოა, გაჩნდეს უზარმაზარი კოალიცია, რომელიც გააერთიანებს ამჟამად არსებულ ძირითად პარტიულ დაჯგუფებებს, მემარჯვენე ცენტრისტებს, მემარცხენე ცენტრისტებს, ლიბერალებსა და მწვანეებს, რათა მოთოკონ ყველა ანტიპარტიელი.

ამ ყველაფერთან ერთად, თუ ექვსი ყველაზე ქსენოფობიური და ნაციონალისტური პარტიაც შეთანხმდება მარინ ლე პენის გამარჯვებული ნაციონალური ფრონტის ლიდერობაზე, დაარეგულირებენ საკუთარ უთანხმოებებს და პარლამენტში აღიარებულ ფრაქციას ჩამოაყალიბებენ, ისინი ევროპელი გადასახადების გადამხდელებისგან დაფინანსებასაც მიიღებენ და პარლამენტში საკუთარ პოზიციებს გაამყარებენ, თუმცა მათ მაინც არ ეყოფათ ხმები ამ ცენტრისტული უზარმაზარი კოალიციის გადაძალვისთვის.

ეს კარგია, მაგრამ მხოლოდ უახლოესი მომავლისთვის და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დიდი კოალიცია შემდგომ მხარს დაუჭერს ევროკავშირში გადამწყვეტი რეფორმების გატარებას. დასაწყისისთვის მან უნდა გააკეთოს ფართო სიმბოლური ჟესტი ბრიუსელის უზარმაზარი შტაბ-ბინიდან სტრასბურგის არანაკლებ ფართო, ვერსალის ევროკავშირულ ვერსიად ქცეულ სხდომათა დარბაზში აბსურდულ რეგულარულ გადასვლებზე უარის თქმით. ამაზე ხომ წელიწადში დაახლოებით 180 მილიონი ევრო იხარჯება.

თუ სიტყვით აუწერელი უზარმაზარი კოალიცია შედეგს არ მოიტანს და მრავალი ევროპელის იმედს არ გაამართლებს ამ ხუთი წლის მანძილზე, მომავლისთვის ეს მხოლოდ განამტკიცებს მათ პოზიციებს, ვინც ახლაც ევროკავშირის წინააღმდეგ მისცა ხმა. ამ შემთხვევაში ჩავარდნისთვის პასუხს აგებს ყველა ძირითადი პარტია.

კონტინენტური მასშტაბის ამ შავ ღრუბელში იმედის ერთადერთი სხივი არის ის, რომ პირველად მას შემდეგ, რაც 1979 წლიდან პარლამენტში პირდაპირი არჩევა დამკვიდრდა, ამომრჩეველთა საერთო დასწრება არ შემცირებულა, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში მოსახლეობის სხვადასხვა პროცენტულმა რაოდენობამ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. მაგალითად, სლოვაკეთში ხმის მისაცემად ამომრჩეველთა მხოლოდ 13% მივიდა, მაგრამ საფრანგეთში ხმა ბევრად მეტმა ადამიანმა მისცა, ვიდრე გასულ არჩევნებზე. ის, რისკენაც ასე ხშირად მოუწოდებდნენ ევროკავშირის მომხრენი, როგორც იქნა, მოხდა: ევროპის მოქალაქეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის მასშტაბის დემოკრატიულ პროცესში, მაგრამ პარადოქსთა პარადოქსი ისაა, რომ ევროპელები მხოლოდ ევროკავშირის წინააღმდეგ ხმის მიცემის სურვილმა მიიყვანა საარჩევნო ურნებთან.

მაინც რა უთხრეს ევროპელ ლიდერებს ამომრჩევლებმა? მათი გზავნილი მშვენივრად ჩამოაყალიბა ცნობილმა კარიკატურისტმა შაპატმა, რომელმაც დახატა პროტესტანტების ჯგუფი პლაკატზე წარწერით „უკმაყოფილონი“. ერთ-ერთი მათგანი იმავეს მეგაფონით ჩაჰყვირის საარჩევნო ურნას. ევროკავშირში 28 წევრი ქვეყანაა და ამდენივე სახის უმაყოფილება არსებობს. ზოგიერთი პარტია მარჯვენა ფლანგის იდეებზე დგას, მაგალითად, პარტია „უეთესი უნგრეთისთვის“, რომელმაც პარლამენტში სამი ადგილი და ხმათა 14%-ზე მეტი მიიღო. პარტიების უმეტესობა, მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტია ხმებს იზიდავდა როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან, რადგან იყენებდა „დაგვიბრუნეთ ჩვენი ქვეყანა“-ს მსგავს განწყობებს. მაგრამ საბერძნეთში პროტესტული ხმების უმრავლესობა მოიპოვა რადიკალურ ძალთა მემარცხენე კოალიციამ, რომელიც მკაცრი ეკონომიის წინააღმდეგ გამოდიოდა.

ევროპარლამენტის საკითხთა სპეციალისტი საიმონ ჰიკსი გამოყოფს უმაყოფილოთა სამ ძირითად ჯგუფს. ესენი არიან: ჩრდილოეთ ევროპელები, რომლებიც ევროზონის მიღმა რჩებიან (ბრიტანელები, დანიელები), ჩრდილოეთ ევროპელები, რომლებიც ევროზონაში შედიან (ის გერმანელები, რომლებმაც თავიანთი ხმებით რამდენიმე ადგილი მოაპოვებინეს ევროს წინააღმდეგ მებრძოლ პარტიას „ალტერნატივა გერმანიისთვის“) და ევროზონაში შემავალი სამხრეთ ევროპელები (ბერძნები, პორტუგალიელები).

**უკვე გაჩნდა ევროპელი კურსდამთავრებულების მთელი თაობა, რომელიც გრძნობს, რომ მათ წაართვეს უკეთესი მომავალი, რომლისაც სჯეროდათ. ეს ადამიანები არიან ახალი კლასის წარმომადგენლები, კლასისა, რომელსაც პრეკარიატი უწოდეს და რომელსაც განეკუთვნებიან მუდმივი ხელფასისა და პროფესიონალური ზრდის პერსპექტივის არმქონე პირები**



აქ არ ფიგურირებენ აღმოსავლეთევროპელები, რომელთაგან მრავალი თავისებურად უკმაყოფილოა. ის ფაქტი, რომ უკმაყოფილონი პრობლემას სულ სხვადასხვა კუთხიდან უყურებენ, ართულებს ამ პრობლემის მოგვარებას. მოწინააღმდეგეთა ერთი კატეგორიის ოცნება მეორე კატეგორიისთვის კოშმარია.

მაგრამ მათ ყველას აერთიანებთ შვილების მომავლის შიში. ჯერ კიდევ 10 წლის წინათ საერთო აზრის თანახმად, ევროპელთა მომავალ თაობას უკეთ უნდა ეცხოვრა. „ევროპა“ პროგრესის მაჩვენებელი იყო, მაგრამ, როგორც ევრობარომეტრის ახლახან ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მათი შვილების ცხოვრება ევროკავშირში მათ ცხოვრებაზე უარესი იქნება.

უკვე გაჩნდა ევროპელი კურსდამთავრებულების მთელი თაობა, რომელიც გრძნობს, რომ მათ წაართვეს უკეთესი მომავალი, რომლისაც სჯეროდათ. ეს ადამიანები არიან ახალი კლასის წარმომადგენლები, კლასისა, რომელსაც პრეკარიატი უწოდეს და რომელსაც განეკუთვნებიან მუდმივი ხელფასისა და პროფესიონალური ზრდის პერსპექტივის არმქონე პირები.

მთელი ევროპული პროექტისთვის ესოდენ დრამატულ მომენტში აუცილებელია უკან მიხედვა და 1948 წელს შექმნილი ევროპის კონგრესისთვის მიმართვა. იქ ევროპის ძველმა მომხრემ რიხარდ კუდენხოვე-კალერგიმ თავისი მეგობარი თანადამფუძნებლები გააფრთხილა: „მეგობრებო, არასდროს დავივიწყოთ, რომ ევროპული კავშირი არის არა მიზანი, არამედ საშუალება“. ეს აზრი დღეს ზუსტად იგივე დოზითაა სწორი, როგორითაც მაშინ იყო. ეს არის საშუალება მიზნის მისაღწევად, მიზანი კი ადამიანთა უფრო თავისუფალი, უსაფრთხო და შეძლებული ცხოვრებაა. მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი ალბათობით, მომავლის ისტორიკოსებს მოუწევთ იმის დაწერა, რომ 2014 წლის მაისის არჩევნები ევროპის გამოსაღვიძებელი სიგნალი იყო, მაგრამ მან ვერ გაიღვიძა...

**The Guardian**



## «ნიუ იორკ თაიმსის» მთავარი რედაქტორი ობიექტური რეპორტაჟის გამო დაითხოვეს

**The New York Times-ის მთავარი რედაქტორი ჯილ აბრამსონი მეტისმეტი დამოუკიდებლობის გამოჩენისა და „კორპორაციულ სტანდარტებზე“ უარის თქმის გამო პრესტიჟულ თანამდებობას გამოეთხოვა.**

60 წლის აბრამსონი, რომელიც „ნიუ იორკ თაიმსის“ მთავარი რედაქტორის პოსტს 2011 წლიდან იკავებდა, „ლოს ანჯელეს თაიმსის“ ყოფილმა რედაქტორმა, 57 წლის დინ ბაკეტმა შეცვალა. ამის თაობაზე იუწყება გამოცემა „Politico“. ის ადგილობრივი მედიაგამოცემის მფლობელთა გადაწყვეტილებას მთავარი რედაქტორის გათავისუფლების შესახებ სლავიანსკიდან რეპორტაჟით ხსნის, რომელიც გაზეთში 3 მაისს გამოქვეყნდა.

გამოქვეყნებულ მასალაში „ნიუ იორკ თაიმსის“ ჟურნალისტები, რომლებმაც რამდენიმე დღე გაატარეს პრორუსულად განწყობილი სახალხო ლაშქრის წარმომადგენლებთან, ყვებიან, რომ სახალხო ლაშქარში რფ-ის მოქალაქეები არ არიან, სახალხო ლაშქარი კი, ძირითადად, ადგილობრივი მოხალისეებისგან შედგება. რეპორტაჟი იყო იმ მცირე მასალებიდან ერთ-ერთი, რომელსაც „ალტერნატიული თვალსაზრისი“ ეწოდება. ეს რეპორტაჟი მწვავედ გააკრიტიკა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა.

ჯილ აბრამსონს აგრესიული და ჯიუტი ხელმძღვანელის რეპუტაცია აქვს, არაერთხელ დაპირისპირებია „ნიუ იორკ თაიმსის“ გენერალურ დირექტორ მაქს ტომპსონს და ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლადაც არაერთხელ მიუღია პრინციპული გადაწყვეტილება.



## ჰოლივუდელი რეჟისორის შვილმა სანტა ბარბარაში ხოცვა-ჟლეტა მოაწყო

**22 წლის ელიოტ როჯერმა 6 კაცი მოკლა, 13 დაჭრა, შემდეგ კი თავიც მოიკლა. სისხლიანი დრამა გასულ კვირას კალიფორნიის ქალაქ სანტა-ბარბარაში მოხდა: ახალგაზრდამ სამი კაცი ჯერ საკუთარ სახლში გამოასალმა სიცოცხლეს, შემდეგ ავტომობილში ჩაჯდა და ქუჩაში მიმავალთ აუტეხა სროლა. ელიოტ როჯერმა ქუჩაში 2 ქალი მოკლა, ერთი ადამიანი კი ავტომობილით გაიტანა, გარდა ამისა, 13 ადამიანი დაჭრა. დამნაშავეს პოლიციელები დაედევნენ და, როცა ჩიხში მოამწყვდიეს, ელიოტმა საფეთქელში ტყვია დაიხალა.**

მკვლელი ცნობილი რეჟისორის, პიტერ როჯერის („მშიერი თამაშები“) ვაჟია. ის დაავადებული იყო ასპერგერის სინდრომით. ასეთ ავადმყოფებს დარღვეული აქვთ სოციუმთან ურთიერთობის უნარი. სიკვდილის წინ ელიოტმა ინტერნეტში გამოაქვეყნა 140-გვერდიანი მანიფესტი, რომელშიც წერდა, რომ სურს, სახლში შეიტყუოს რაც შეიძლება მეტი ადამიანი და დახოცოს ისინი.

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეჭვი არავის ეპარება, რომ თანამედროვე მსოფლიოში განსხვავებული პოლიტიკური სისტემების მქონე ქვეყნების პოლიტიკური ძალები იწყებენ მოძრაობას ერთსა და იმავე დოლარზე, როგორც მსოფლიო ვალუტაზე, უარის თქმის მიმართულებით. ვაშინგტონის მთავარი მოწინააღმდეგეები ჩინეთი და აშშ-ის მოკავშირე იაპონია ხდება.**

# რატომ სჭირდება აშშ-ს ომი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19 (254)

**აშშ-ის სპეცსამსახურის აგენტმა სნოუდენმა, რომელსაც რუსეთმა ერთწლიანი თავშესაფარი მისცა, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ერაყში ომის დამთავრების შემდეგ, მალევე აშშ-ის არმიაში წავედი, მჯეროდა, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებდი, სწორი იყო. მჯეროდა, რომ კეთილშობილურად ვისწრაფოდით, გაგვეთავისუფლებინა ჩაგრული ადამიანები ოკეანის გადაღმა. მაგრამ შემდეგ, როცა ხელი მიმიწვდა ნამდვილ ინფორმაციაზე და არა მასმედიის პროპაგანდაზე, მივხვდი, რომ საზოგადოებრიობის, მათ შორის, მსოფლიო საზოგადოებრიობის, დეზინფორმაციას ვახდენთ, იმისთვის, რათა ჩავნერგოთ ახალი აზროვნება მსოფლიო ცნობიერებაში, მე თავად გავხდი ამის მსხვერპლი“.**



ამერიკა, — თქვა მან, — „ფუნდამენტურად კარგი ქვეყანაა, ღირებულებების ერთგული კარგი ადამიანები გვყავს, მაგრამ მისი *(ქვეყანაზე ლაპარაკობს. — ა.ს.)* ხელმძღვანელობის სისტემა ისეა მოწყობილი, რომ მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის მუშაობს“.

აი, ამ მასმედიის მიერ შექმნილი დეზინფორმაციული, ე. ი. ყალბი წარმოდგენების გაფანტვის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება ნიკოლაი სტარიკოვის წიგნი „დოლარს ომი გადაარჩენს“, რომლის მიმოხილვა „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში დავიწყეთ.

სიტუაციაში გასარკვევად ვთავაზობთ ჩვენს განათლებულ მკითხველებს, თორემ დიდხანს მოგვიწევს ლოდინი, ჩვენი მთავრობა სნოუდენივით აშშ-ის არმიაში რომ ჩაეწეროს და ამ გზით მიიღოს სწორი ინფორმაცია ნაცვლად პროპაგანდისტული ტკბილი კვერისა, რომელიც ასე მოსწონთ ჩვენს ახლებს და მასმედიის საშუალებით დაჟინებით გვთავაზობენ: მიირთვით, გეთაყვაო.

შეგახსენებთ: წინა პუბლიკაციაში ხელოვნურად შექმნილ ფინანსურ კრიზისზე ვსაუბრობდით, XXI საუკუნის კრიზისულ სიტუაციაზე, რომელიც თავისი მასშტაბით გასული ასწლეულის 30-იანი წლების დასაწყისის დიდი დეპრესიის საზღვრებსაც კი გასცდა.

## დოლარი წყნარად მიდის

წყნარად და შეუმჩნევლად, მაგრამ — განუხრელად. წინა პუბლიკაციაში ვთქვით, რომ 7 სამხრეთ-ამერიკულმა სახელმწიფომ მოილაპარაკეს, შემოეღოთ ზენაციონალური ფული — სუკრე (Sistema Unico de Compensation Regional). ჯერ ლაპარაკია ელექტრონულ ვირტუალურ ვალუტაზე ურთიერთანგარიშსწორებისთვის. ეს იდეა 2008 წლის ნოემბერში მოიწონეს, 2009 წლის აპრილში ხელი მოაწერეს ჩარჩო ხელშეკრულებას. რეგიონში ერთიანი სავალუტო ზონა 2010 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. მიზანი სამხრეთ ამერიკის დაცვაა „დოლარის თავსმოხვეული დიქტატურისგან“.

ეს ერთი ფაქტია დოლარის მშვიდად და შეუმჩნევლად წაბრძანების.

ტემპი ნელია? კი, ბატონო, მაგრამ ევროკავშირის ქვეყნები ევროს დამკვიდრებისკენ 20 წლის განმავლობაში მიდიოდნენ. დოლარის წასვლა კი საყოველთაო მასშტაბისაა: ევროპა, ლათინური ამერიკა, რუსეთი და მისი უახლოესი გარემოცვა, აზია.

აჩქარებაზე აქ ლაპარაკი ზედმეტია.

ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო სიმპტომატურია აშშ-ის უახლოესი მოკავშირე ქვეყნების პოზიცია.

ეჭვი არავის ეპარება, რომ აშშ-ის მოკავშირე ქვეყნებს შორის იაპონია უპირველესია. იაპონია მარტო იმით კი არ არის გამორჩეული, რომ მის ტერიტორიაზე განთავსებულია აშშ სამხედრო ბაზები რუსეთისა და ჩინეთის სიახლოვეს, არამედ იმითაც, რომ იგი, ჩინეთის შემდეგ, დოლარის მასის უმსხვილესი მომხმარებელია. ამომავალი მზის ქვეყნის ვალუტის (ძირითადად — დოლარის) მარაგი მხოლოდ ჩინეთისას ჩამორჩება. დოლართან სანიმუშო თანაცხოვრების ხანა 2009 წლის 17 სექტემბერს დამთავრდა, როცა იაპონიის ფინანსთა სამინისტრომ აზიის რეგიონული ვალუტის შესაძლო შექმნის საკითხის განხილვის თაობაზე განცხადება გააკეთა.

**თუ ერთბაშად ჩამოინგრევა დოლარის ცათამბჯენი, მისი ნანგრევები ყველას დააზიანებს, ამიტომ დემონტაჟი აუჩქარებლად უნდა წარიმართოს**

ანალიტიკოსების აზრით, ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ, მისთვის მოსახერხებელ მომენტში ტოკიოს შეუძლია უარი თქვას დოლარების დაგროვებაზე და დაუბრუნოს ეს მასა შეერთებულ შტატებს, ანუ გაცვალოს აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციებზე (ტრეჟერებზე).

ცნობილია, რომ ჩინეთი და იაპონია სხვებზე მეტად სპონსორობენ ამერიკის ეკონომიკას. საოცარი ერთსულოვნება აერთიანებს ამ შემთხვევაში ორ, იდეოლოგიურად ურთიერთდაპირისპირებულ ქვეყანას.

პეკინი პირველი ალაპარაკდა იუანის როლის ამაღლებაზე ჯერ რეგიონული ვალუტის, შემდეგ მსოფლიო ვალუტის სტატუსამდე. „მაგრამ ჩინეთის ხელისუფლების სათავეში კომუნისტები დგანან, ხოლო იაპონიას მართავს ძალები, რომელთაც პროკომუნისტურს ვალერია ნოვოდვორსკაიაც კი ვერ უწოდებს“. მაგრამ იაპონელი ბატონები ამბობენ იმავეს, რასაც ჩინელი ამხანაგები.

აზიური ვალუტის შექმნის საკითხს იაპონია განიხილავს, როგორც „საკვანძო საკითხს“.

**ეჭვი არავის ეპარება, რომ თანამედროვე მსოფლიოში განსხვავებული პოლიტიკური სისტემების მქონე ქვეყნების პოლიტიკური ძალები იწყებენ მოძრაობას ერთსა და იმავე დოლარზე, როგორც მსოფლიო ვალუტაზე, უარის თქმის მიმართულებით. ვაშინგტონის მთავარი მოწინააღმდეგეები ჩინეთი და აშშ-ის მოკავშირე იაპონია ხდება.**

დოლარი სულს ღაფავს?

ყოველ შემთხვევაში, — მიდის. საკითხში ჩახედული სპეციალისტების აზრით, საკითხავი ის კი არ არის, გაუძლებს თუ არა დოლარი, არამედ, როდის და რანაირად მოხდება მისი დემონტაჟი.

**თუ ერთბაშად ჩამოინგრევა დოლარის ცათამბჯენი, მისი ნანგრევები ყველას დააზიანებს, ამიტომ დემონტაჟი აუჩქარებლად უნდა წარიმართოს.** აფეთქება მიუღებელია. „რომის იმპერია რომ ჩამოინგრა, ადამიანებმა ათასწლეულის განმავლობაში შეწყვიტეს ტანის დაბანა. დაივიწყეს ლიტერატურა და ხელოვნება“.

ამ ტრაგედიის გამეორებას კაცობრიობა არ აპირებს. **გარეთ XXI საუკუნეა, ამიტომ იმ ჩიხიდან გამოსვლა, რომელშიც ამერიკის სარეზერვო სისტემამ შეიყვანა მსოფლიო ეკონომიკები, ელვისებური არ იქნება, დროში გაიწელება.**

**გარეთ XXI საუკუნეა, ამიტომ იმ ჩიხიდან გამოსვლა, რომელშიც ამერიკის სარეზერვო სისტემამ შეიყვანა მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკები, დროში გაიწელება**

## ჯარის ერაყიდან „გაყვანის“ ქვეტექსები

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა თავის ამომრჩევლებს ერაყიდან აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაყვანას დაჰპირდა.

რა გაკეთდა ამ მიმართულებით?

პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა. საამისოდ კი გამოიყენეს ძველი მეთოდი, რომელიც ამერიკელების შესრულებით ახლაც ეფექტიანად მოქმედებს: ქმნიან პრობლემას და შემდეგ მის წინააღმდეგ „წარმატებით“ იბრძვიან დიდი ხნის განმავლობაში.

გაუკულმართებული ლოგიკის შესანიშნავი მაგალითია. აშშ დამოუკიდებელ ქვეყანაში შეიჭრა; როგორც შემდეგ გაირკვა, მოგონილი და სრულიად უსაფუძვლო მიზეზით — თითქოს ერაყის ხელისუფლება ამზადებდა მასობრივი მოსპობის იარაღს.

აშშ-მა კაცობრიობის გადასარჩენი დროშა ააფრიალა, დახოცა უამრავი ადამიანი, მასა ხალხისა და ჩააყენა თავისი არმია ამ ისტორიული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როგორც საეკზეკუციო ძალა.

ოკუპანტებს დაუპირისპირდა ადგილობრივი მოსახლეობა. დაიწყო პარტიზანული მოძრაობა, რომელსაც ტერორიზმი უწოდეს — „ტერორისტული აქტები“ აშშ-ის არმიის წინააღმდეგ. და სწორედ ამიტომ „არ შეიძლება მისი იქიდან გამოყვანა!“

„...გერმანელთა ზონდერრაზმები, „ტერორიზმთან“ ბრძოლის საბაბით, სოფლებს მოსახლეობასთან ერთად წვავდნენ“.

როგორ უნდა აღკვეთილიყო ძალადობა? უნდა გაგრძელებულიყო „წითელი მამლის შეშვება“ სოფლებში თუ წაბრძანებულიყვნენ ოკუპანტები ფატერლანდში?

პასუხი ნათელია: — წაეთრიეთ!

იციან ეს პასუხი ამერიკელებმაც, მაგრამ არ წავლენ ერაყიდან.

არ წავლენ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში არის გაზისა და ნავთობის მდიდარი საბადოები.

ობამას დაპირება, რომ ავღანეთიდან გაიყვანდა ჯარს, ფორმალურად შესრულდა, რადგან ქვეყანაში დარჩა იმ რაოდენობის შეიარაღებული ძალა, რომელიც საკმარისია ამ ქვეყანაში ომის გასაგრძელებლად.

ამ ძალაში ქართული დანაყოფიც მოიაზრება.

ამერიკელების მიზანია ჩინეთის საზღვრის მიმდებარე რეგიონის სრული დესტაბილიზაცია; ომის დაწყება პაკისტანში და ამ დაპირისპირებაში ინდოეთის ჩაბმა, რომელიც ისედაც ომის პირზეა ამ ქვეყანასთან; არასტაბილურობის ექსპორტი ცენტრალურ აზიაში, მისი თანდათანობითი გავრცელებით რუსეთის ტერიტორიაზე.

ავღანეთი იდეალური, უნიკალური ადგილია ამ ამოცანების გადასაწყვეტად, გვეუბნებიან სამხედრო საქმის ექსპერტები. ამიტომაც არ წავლენ (არც მიდიან) ამერიკელები ავღანეთიდან.

მომყოლი მიზეზიც არსებობს ერთი: ამ ქვეყნის დეჰკანებს მოჰყავთ ხაშხაში — ნარკოტიკების საწარმოებელი ნედლეული. **ამერიკელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ამ ქვეყა-** ▶



## ესპანეთის მეფემ ტახტზე უარი თქვა

**ესპანეთის მეფემ, 76 წლის ხუან კარლოს I ტახტზე უარი თქვა. მეფის გვირგვინს ხუან კარლოსის მემკვიდრე, ასტურიის პრინცი ფელიპე დაიდგამს.**

მეფის გადაწყვეტილების შესახებ ესპანეთის პრემიერმინისტრმა მარიანო არახოიმ 2 ივნისს განაცხადა.

ესპანეთის პრესა მეფის სასახლის წარმომადგენელს იმოწმებს და წერს, რომ ხუან კარლოსის ეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული არ არის და პოლიტიკური მიზეზებით არის გამოწვეული. ხუან კარლოს I ესპანეთის სამეფოს 1975 წლიდან მართავდა.

**ესპანეთის ტახტის მემკვიდრე, დონ ფელიპე ხუან პაბლო ალფონსო დე ტოდოს ლოს სანტოს დე ბორბიან და გარსია, ასტურიის, ვიანისა და ჟირონას პრინცი, მონბლანის ჰერცოგი, ხუან კარლოს I-სა და დედოფალ სოფიას მესამე შვილია. ის 1968 წელს მადრიდში დაიბადა.**

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში ეკონომიკა სრულად მოშლილიყო და ავღანეთის მოსახლეობა სრულად მოქცეულიყო ნარკობიზნესის საცეცებში. ამიტომაა, რომ ამ ქვეყანაში ნარკოწარმოება 40-ჯერ გაიზარდა.

**◀ნაში ეკონომიკა სრულად მოშლილიყო და ავღანეთის მოსახლეობა სრულად მოქცეულიყო ნარკობიზნესის საცეცებში. ამიტომაა, რომ ამ ქვეყანაში ნარკოწარმოება 40-ჯერ გაიზარდა.**

დემოკრატიის სახსენებელი კი, რომლის ვითომ დასამყარებლად ირჯებიან ამერიკელები, ისევე არ არის, როგორც არ იყო.

ამერიკელები არავითარ ახალ პოლიტიკას აქ არ განახორციელებენ. არც არსად, არასოდეს, არავითარი ახალი პოლიტიკა არ განუხორციელებიათ. ისინი ყოველთვის თავიანთ ინტერესებს ამკვიდრებენ თავიანთი შეიარაღებული ძალების მეშვეობით.

**სხვა საშუალება როგორ ექნებათ, როცა აშშ ადმინისტრაციაში დომინირებენ ისეთი პრიმიტიული და უწიგნური ადამიანები, როგორიც ქალბატონი ფსაკია, რომელსაც დავალებული აქვს პრეზიდენტის, მაშასადამე, სახელმწიფოს პოზიციის „გაჟღერება“ ყველა საკვანძო პრობლემაზე. უკრაინაში შექმნილი ვითარების ანალიზის მცდელობისას მან ახლახან „მსოფლიო რეკორდი“ მოხსნა.**

## როგორ დაძლია კრიზისი თურქმენეთმა ერთ კვირაში

ზღაპარივითაა, გნებავთ, ჩინური „დიდი ნახტომივით“ (იყო ასეთი პერიოდი ჩინეთის ისტორიაში). ყველას თვალწინ, ერთი კვირის განმავლობაში თურქმენეთმა მოახერხა და თანამედროვე საზოგადოებისა და განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების რიგში აღმოჩნდა.

ეს ის თურქმენეთია, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ თავიანთი ბელადის — საფარმურატ ნიაზოვის წიგნს — „რუხნამეს“, როგორც ყურანს, კითხულობდნენ მასობრივად და დიდი აღტკინებით.

დიდი დრო არ გასულა თურქმენბაშის (თურქმენეთის მამის) გარდაცვალებიდან და აი, ეს ქვეყანა ეკონომიკური ზრდის ლიდერთა შორის ჩაეწერა. თურმე სავსებით შესაძლებელია, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ნახევრადფეოდალური სახელმწიფო სისტემის მქონე სახელმწიფოში „ეკონომიკური სასწაული მოხდეს“.

სხვამ გაიკვირვოს და შეუძლებლად მიიჩნიოს, თორემ ჩვენ, ქართველებს, კარგად გვახსოვს, ავანტიურისტი სააკაშვილი, რომელიც ტელექადაგად იყო დავარდნილი და გვარწმუნებდა, რომ საქართველო კეთილდღეობის კუნძულია ბობოქარი კრიზისის ოკეანეში. ვიღაცას მწარედ ეცინებოდა. ზოგი იჯერებდა და თანაც ისე იწამა, რომ დღესაც, თვითმმართველობის არჩევნების წინ „ნაცებზე“ პირჯვარს იწერს და მზადაა 5 ნომრის შემოსახაზად.

მაგრამ ეს წვრილმანია და ჩვენი კერძო სადარდებელი.

თურქმენულ სასწაულზე ვლაპარაკობდით.

შევეცადოთ, ავხსნათ. კვლავ სპეცებს მივაპყროთ სასმენელნი ჩვენნი.

თქვენ რომ გჭირდებოდეთ ბუნებრივი გაზი, — გვიმტკიცებენ ისინი, — ისე რომ გჭირდებოდეთ, როგორც „ნაბუკოს“ გაზსადენის გამყვან ქვეყნებს, ასეთი მეტამორფოზა არ გაგიკვირდებოდათ.

რუსეთი აშენებს გაზსადენ „სამხრეთის ნაკადს“ ევროპის მიმართულებით. შავი ზღვის ფსკერზე გადის სატრანზიტო მილსადენი. რუსეთის „პარტნიორები“ კი ალტერნატიულ გაზსადენს აშენებენ — „ნაბუკოს“, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე უნდა გავიდეს. ორივე მილსადენის ასავსებად გაზი საკმარისი რაოდენობით არ არის. **ცენტრალური აზიის გაზი რუსეთის გაზპრომს სრულად აქვს ნაყიდი. მაშ, რომელი გაზით უნდა აივსოს „ნაბუკო“?** დასავლეთი რატომ ცდილობს, თანაც ჯიუტად, გაიყვანოს თავისი მილსადენი? იმიტომ, რომ მონდომებულია, შეცვალოს სიტუაცია და გაზი თავისი საცავებისკენ გადაამისამართოს. ამით გადაიხაზება რუსული პროექტი, რომელიც ამ ქვეყნისთვის ფრიად დიდი პრობლემა იქნება: მართალია, რუსეთს მსოფლიოში გაზის უდიდესი მარაგი აქვს, მაგრამ იგი ვერ შეძლებს მის გასაღებას დასავლელი „მეგობრების“ ნებართვის გარეშე. უკრაინაზე გამავალი მილი შეიძლება გადაიკეტოს ვაშინგტონიდან პირველივე დარეკვის შემდეგ, „სამხრეთისა“ და „ჩრდილოეთის ნაკადები“ კი დასაწყისშივე უნდა მოიშთოს.

ასეთი იყო გეგმა-განზრახულობა.

მაგრამ რა შუაშია აქ თურქმენეთი?!

გავერკვეთ: მისი გაზით არიან დაინტერესებულები. არამყარ პოზიციაზე მდგარი აზერბაიჯანის, „თავისუფალი“ ერაყის გარდა, სხვას არავის გამოუთქვამს „ნაბუქოს“ გაზით მომარაგების სურვილი, რომ შესრულდეს დაპირება, იგი მთლიანი მოცულობის 25 პროცენტს არ ასცდება.

აქ წინა პლანზე გამოდის თურქმენეთი, თავისი გაზის საბადოებით.

ამიტომ უგორებენ კოჭს თურქმენეთს, მხარს უჭერენ მის ნაყოფიერ ინტეგრაციას საერთაშორისო თანამეგობრობაში. უწინარეს ყოვლისა, თავგამოდებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდი: აქებს და ადიდებს ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ დასახულ „რეფორმებს“, მათ შორის, სახელმწიფო საფინანსო სექტორის და კერძო სექტორის განვითარებას.

პარალელურად ქება-დიდების საგანი ხდება თურქმენეთში ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტის კვირაძალს ევროპარლამენტმა პირველი წაკითხვით მოიწონა თურქმენეთთან სავაჭრო შეთანხმების პროექტი, რომელსაც 11 წლის განმავლობაში ვერ იღებდნენ იმ მწვავე პრობლემების გამო, რომლებიც ქვეყანაში არსებობდა სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში. აშხაბადს არაორაზროვნად მიანიშნეს: თუ თურქმენეთის გაზი „სწორი მილით“ წავა, ადამიანის უფლებების დაცვას თურქმენეთში აღიარებენ სავსებით დამაკმაყოფილებლად. არადა, მაღალი რანგის სტუმრების დადებითი დასკვნები რადიკალურად შეიცვლება.

სად არის კიდევ გაზი? ამას ახალი ამბებიდან შეიტყობთ: მიგანიშნებთ დასავლელი ხელმძღვანელების მოულოდნელი ვიზიტები, მაღალი რეიტინგები მეურნეობრიობის სხვადასხვა დარგებში, პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში; ასევე — მოთარეშეთა ტერორისტული გამოხდომები, ხმაურიანი სკანდალები და სერიოზული ბრალდებები. სრულად ამოქმედდება რეალური პოლიტიკის არსენალი.

როგორც იტყვიან, არაფერი პირადი.

უბრალოდ — გაზი.

სიტუაციაში უკეთ გასარკვევად, ისტორიაში ჩავიხედოთ.

**რკინის ფარდა თავის დროზე საბჭოთა კავშირმა არ ჩამოუშვა. მსოფლიო არნახული სისწრაფით მიდიოდა ახალ დაპირისპირებამდე. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების პერიოდში აშშ ატომური იარაღის მფლობელი გახდა. „წარმატებით“ დაბომბა ჰიროსიმა და ნაგასაკი, რაც ზედმეტი იყო უკვე დაჩოქილი იაპონიის დასამარცხებლად, მაგრამ ატომური ბომბების ჩამოყრა აუცილებლად მიიჩნიეს ამერიკელმა ქორებმა თავიანთი უძლეველობის სადემონსტრაციოდ.**

იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ ჩინეთში გრძელდებოდა სამოქალაქო ომი, რომელიც 1949 წელს მაო ძედუნის გამარჯვებით დამთავრდა.

სტალინს მაო უდიდეს პატივს სცემდა. ჩამოყალიბდა დასავლეთისთვის სამწუხარო სიტუაცია, როცა ორი გიგანტი — სსრკ და ჩინეთი, რომელთა გაერთიანება იდეოლოგიურ საფუძველზე აშშ-ის კრახის დასაწყისს ნიშნავდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტალინის პოლიტიკა ორ ათეულ წელს მაინც გაგრძელდებოდა. მაგრამ სტალინი მედროვე და გაუნათლებელმა ხრუშჩოვმა შეცვალა. ისტორიკოსები, ყოველ შემთხვევაში, მათი ერთი, გამორჩეული ნაწილი, მიიჩნევს, რომ სსრკ-ის ბელადი მოწამლეს, ბერია დახვრიტეს და მხოლოდ ბოროტების ამ კიბით ავიდა „ძვირფასი ნიკიტა სერგის ძე“ ხელისუფლების უმაღლეს საფეხურზე. სულ ცოტა ხნის შემდეგ ხრუშჩოვმა დაკარგა ყველა უპირატესობა, რომლებიც საბჭოთა ქვეყანამ მოიპოვა მსოფლიო ასპარეზზე სტალინის ეპოქაში. მთავარი დანაკარგი კი ნიკიტას წარმოუდგენელი უგნურებით ჩინეთთან სტრატეგიული კავშირის იავარქმნა იყო.

ხელ-ფეხი გაეხსნა აშშ-ის ექსპანსიონიზმს. ამერიკის ძალისხმევით, კორეა ორ ნაწილად გაიყო.

ჩრდილოეთ კორეა — ჩინეთის მთავარი მოკავშირე — გადარჩა ათიათასობით ჩინელი ჯარისკაცის სიცოცხლის ფასად; სწორედ ჩინეთის და არა საბჭოთა კავშირის დახმარებით, სახელმწიფოც და მისი ეკონომიკაც. სწორედ კორეის ომი იქცა ყველაზე უფრო სამწუხარო მოვლენად აშშ-ისა და ჩინეთის ურთიერთობის ისტორიაში.




**მშვიდობას ჩრდილოეთ კორეაში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ამერიკის შეერთებული შტატები ემუქრება. ამერიკის პოტენციური მუქარა რომ არა, დაძაბულობა სამხრეთ-აღმოსავლეთში არ იარსებებდა**

კორეის განადგურება და ჩინეთის საზღვრებთან გასვლა არის აშშ-ის მიზანი და ჩანაფიქრი. სამხრეთ კორეაში, ოფიციალური მონაცემებით, 28 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცი არის დაბანაკებული. ფაქტობრივად, მეტია. ისინი ატომური იარაღით არიან აღჭურვილნი.

ჩრდილოეთ კორეაში ჩინეთის ჯარები არ დგანან, მაგრამ დაუყოვნებლივ იქ გაჩნდებიან, როცა დადგება დრო.

ასეთია ორივე მხარის სტრატეგიული ჩანაფიქრი. ჩინეთი არ დაუშვებს აშშ-ის არმიის თავის საზღვრებთან გამოჩენას, აშშ-ს კი არ სურს მთელი კორეის ჩინეთისთვის დათმობა.

**მშვიდობას ჩრდილოეთ კორეაში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ამერიკის შეერთებული შტატები ემუქრება. ამერიკის პოტენციური მუქარა რომ არა, დაძაბულობა სამხრეთ-აღმოსავლეთში არ იარსებებდა.**

კორეელებს არ აქვთ ბირთვულქობინიანი რაკეტები, აქვთ „მოწყობილობა“, დაახლოებით 5-10 ცალი. მათ გამოყენებას მხოლოდ ინტერესის გულისთვის ფხენიანი არ აპირებს. იგი ითხოვს მხოლოდ ერთს — თავი დაანებონ! იგივე სურს ჩინეთს.

ამერიკის სურვილი და განზრახვა კი საპირისპიროა: ამერიკას სურს ომი! მაგრამ იმის გამო, რომ კორეასთან ომის დაწყებით იგი უეჭველად დაუპირისპირდება ჩინეთს, ამუხრუჭებს მის აგრესიულ აქტივობას.

**ამერიკელების მიზანია ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დაპირისპირებით შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღება, ძმათამკვლელი ომის დაწყება. ამ კონფლიქტში უეჭველად ჩაერევა ჩინეთი, რაც ძალიან კარგი იქნება, რადგან გამოიწვევს მის დასუსტებას.**

იქვეა ბირთვული ინდოეთი და ბირთვული პაკისტანი. მშვენიერი პერსპექტივა იქმნება მათი და, კვალად, მთელი აზიის დიდ ომში ჩასათრევად.

დასუსტდება ჩინეთი, მას საერთაშორისო იზოლაციაში მოაქცევენ. იქმნება შესანიშნავი პირობები ჩინეთის სავალუტო რეზერვის დევალვაციისთვის. ამის ტექნოლოგია დამუშავებულია, გადაიჭრება აშშ-ის ასტრონომიული დავალიანების პრობლემა.

ამიტომ სჭირდება აშშ-ს ომი, ომი ყველგან. სასურველია „შეზღუდული“ ბირთვული ომი სხვისი ხელით.

ამერიკა ამისთვის მზად არის. ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს მომენტის თავისებურება — თავშეკავება, გამძლეობა უნდა მოიხმოს, თორემ გარდაუვალია კორეის მეორე ომი, შემდეგ კი — პირველი ბირთვული ომი, აზიური.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**

**ამერიკელების მიზანია ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დაპირისპირებით შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღება, ძმათამკვლელი ომის დაწყება. ამ კონფლიქტში უეჭველად ჩაერევა ჩინეთი, რაც ძალიან კარგი იქნება, რადგან გამოიწვევს მის დასუსტებას**

---

ციტატა

## «ნავა, მოწევს, მერე მამამისი ვალს აიღებს, მომადგება და მეტყვის, იპოთეკარი ვარ, მიშველეთო!»

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის — გიორგი ვოლსკის აზრით, მარიხუანის დეკრიმინალიზაცია დანაშაული იქნება. დეპუტატის შეფასებით, ადამიანები, რომლებიც მარიხუანის დეკრიმინალიზაციას ითხოვენ, „ქუჩას არ იცნობენ“, ასეთი შეღავათის დაშვება კი ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს.**

„მარიხუანის დეკრიმინალიზაცია, ჩემი აზრით, დანაშაული. პონპონჩიკიანი ტიპები, რომლებსაც თქვენ ხედავთ, ლიბერალური ადამიანები არიან, ლიბერალური ფასეულობებით ხშირად კულტურასთან უფრო ახლოს, ვიდრე ქუჩასთან. ქუჩას არ იცნობენ. ქუჩა ძალიან დაუნდობელია. იქ ნებისმიერი შეღავათი ნებისმიერ ნარკოტიკზე ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს, რომელსაც სერიოზული დამაზიანებელი შედეგი ექნება პატარა ნაწილისთვის. ჯარიმა რა, ნავა, მოწევს, მერე მამამისი ვალს აიღებს, მე მომადგება, მეტყვის: იპოთეკარი ვარ, მიშველეთო. შეიძლება, შვიდი წლის მისცეს, ბევრია, მაგრამ სასჯელის რაღაც ფორმა აუცილებლად უნდა იყოს“, — განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

დეპუტატი იმასაც აღნიშნავს, რომ ბევრი ახალგაზრდა მარიხუანის შემდეგ უფრო სერიოზული ნარკოტიკების მოხმარებას იწყებს.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლია(ნა) ელიავა განათლებით ფილოლოგია და კალამი, რომ იტყვიან, მართლაც უჭრის, მაგრამ, თქვენც რომ ხელი ოდნავ წაგეკრათ, ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო, ბატონო როსტომ, ნამდვილად! ამას იმიტომ გეუბნებით, რომ სწორედ თქვენ ბრძანდებით რედაქტორი ამ წიგნისა და ამან გამაოცა. ეგებ სხვა როსტომ ჩხეიძეა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ გამოცემას აწერია „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება“ და სხვა ვინ უნდა ყოფილიყო?!**

# ლია ელიავა თუ ლია(ნა) ელიავა?

## ღია წერილი ბატონ როსტომ ჩხეიძეს




**ცხადია, ორივენი, რადგან ლია ელიავა კინომსახიობია, ქართული ეკრანის ნამდვილი მშვენება, ხოლო ლია(ნა) ელიავა – კინორეჟისორი, ავტორი უბრწყინვალესი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისა „ბზიანეთი“ (1968), რომელიც მან გამოჩენილი ქართველი მწერლის — რეზო ჭეიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით გადაიღო ჯერ კიდევ სტუდენტობისას...**

არადა, იყო დრო, როცა ერთმანეთში ერეოდათ ეს ორი სახელი და საქმე კურიოზამდეც მიდიოდა — გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს, თვითონ წავიკითხე ჩვენს პრესაში ინფორმაცია, რომლის ავტორი მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა, — აი ჩვენს პოპულარულ მსახიობს ლია ელიავას უკვე ძველებური ინტენსივობით აღარ იღებენ ფილმებში და ამიტომაც გადაწყვიტა პროფესიის შეცვლა, წავიდა მოსკოვში, დაამთავრა ცნობილი „ვგიკი“ (კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტი) და ახლა უკვე კინორეჟისორის რანგში მოგვევლინაო. ამ ქარაფშუტა ჟურნალისტისა რა უნდა გაგიკვირდეს, როცა თვით ფარაჯანოვმა გადასახლებიდან მოსწერა მსახიობ ლია ელიავას, ვნახე აქ შენი ფილმი (იგულისხმება „ფერმა მთაში“, 1974) და ძალიან მომეწონა რეჟისურაო... უფრო მეტიც, თავად კინორეჟისორი ლია(ნა) ელიავა წიგნში „კინო უეკრანოდ“ იგონებს, რომ ასეთი კურიოზები დღემდე გრძელდება და ინტერნეტში ძნელი გასარჩევია, სად მთავრდება მსახიობი ლია ელიავა და სად იწყება რეჟისორი ლიანა ელიავაო...

ხსენებული წიგნი მარტო ამ მშვენიერი სათაურითა და პროფესიულ დონეზე შესრულებული ყდითაც მიიპყრობს მკითხველის ყურადღებას, მკითხველისა, რომელსაც ერთობ საინტერესო თხრობა ელოდება ნიჭიერი და მომხიბვლელი კინორეჟისორი ქალისგან, ესოდენ დამაინტრიგებლად რომ უწოდებს საკუთარ თავს **„მგელივით მარტოხელას თავის მუდმივ ომში“** და არც ქალური საიდუმლოების ზოგიერთი, საკმაოდ პიკანტური შტრიხების გამომზეურებას ერიდება.

საერთოდ, ჩემი დიდი ხნის მეგობარი — **ლია(ნა) ელიავა განათლებით ფილოლოგია და კალამი, რომ იტყვიან, მართლაც უჭრის, მაგრამ, თქვენც რომ ხელი ოდნავ წაგეკრათ, ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო, ბატონო როსტომ, ნამდვილად! ამას იმიტომ გეუბნებით, რომ სწორედ თქვენ ბრძანდებით რედაქტორი ამ წიგნისა და ამან გამაოცა. ეგებ სხვა როსტომ ჩხეიძეა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ გამოცემას აწერია „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება“ და სხვა ვინ უნდა ყოფილიყო?!**

მოდი, დასკვნა ბოლოში გავაკეთოთ, ახლა კი, რაკი საგაზეთო სტატიის ფორმატით ვარ შეზღუდული, მხოლოდ რამდენიმე უაღრესად კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან, ისიც ზოგადად, რა არის და რა უნდა იყოს. ასე შეიქმნა თქვენი მონა-მორჩილის კიდევ ერთი „მინი-ლექსიკონი“, რომლის პირველი ნიმუშები უკვე გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში და, როგორც ჩანს (ამაზე ერთხელ მივანიშნე კიდეც), არც ისე ურიგო საქმე წამომიწყია...

### „ქართული ენის ორთოგრაფიული მინილექსიკონი“

რომელსაც საფუძვლად დაედო ლია(ნა) ელიავას წიგნი „კინო უეკრანოდ“ (რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე). ლექსიკონი შეადგინა და კომენტარები დაურთო გ. დოლიძემ.

**ა**

**„ავან-ჩავანი“** კი არა (გვ. 214), არამედ — „ავანჩავანი“

**„ათასგვარი ვერსიები“** (235) — „ ... ვერსია“

**„ანეგდოტი“** (44, 233) — „ანეკდოტი“.

**„არა თუ“** (6, 10, 288) — „არათუ“

**„არმც თუ“** (179) — „არამცთუ“

**„არც თუ“** (139) — „არცთუ

**„არცერთი“** (48, 61, 67, 94, 125, 146, 166, 185, 194, 210, 219, 224-II ანუ ორჯერ ამ გვ.-ზე, 233, 265-II, 292, 299-III, 301) — **„არც ერთი“**

**„აწი“** (16) — „ამის შემდეგ“, „ამიერიდან“

**„ახლადაღდგენილი“** (161) — „ახლად აღდგენილი“

**„ახლადგამოღვიძებული“** (54) — „ახლად გამოღვიძებული“

**ბ**

**„ბალახ-ბულახში“** (37) — „ბალახბულახში“

**„ბოლოსდაბოლოს“** (5, 11, 95, 118, 179, 188, 203, 231, 283, 310) — „ბოლოს და ბოლოს“

**„ბრახა-ბრუხი“** (105) — „ბრახაბრუხი“

**გ**

**„გვერდი-გვერდ“** (3) — „გვერდიგვერდ“

**დ**

**„დადგმულ-გადაღებული“** (169) — „დადგმულ-გადაღებული“

**„დედა-სამშობლო“** (283) — „დედასამშობლო“

**„დედა-სოფელი“** (19) — „დედასოფელი“

**„დედა-ცხვარი“** (63) — „დედა ცხვარი“

**ე**

**„ერთერთი“** (304) — „ერთ-ერთი“

**„ერთ – ერთი“** (291) — „ერთ-ერთი“

**„ეროვნულ-გამათავისუფლებელი“** (180) — „ეროვნულ-განმათავისუფლებელი“

**ვ**

**„ვაივაგლახით“** (214) — „ვაი-ვაგლახით“

**„ვერცერთი“** (77, 187, 275, 300) — „ვერც ერთი“

**თ**

**„თავად — აზნაურობა“** (279) — „თავადაზნაურობა“

**„თუარადა“** (16) — „თუ არადა“

**ი**

**„ინსტიქტურად“** (105) — „ინსტინქტურად“

**კ**

**„კანტი-კუნტი“** (56) — „კანტიკუნტი“

**„კინორეჟისორი დევი აბაშიძე“** კი არა (278), მსახიობი დოდო აბაშიძე

**„კოსტუმი“** (82, 106, 146, 204, 206, 217, 255) — „კოსტიუმი“

**ლ**

**„ლაწა-ლუწი“** (61) — „ლაწალუწი“

**„ლირიული“** (155, 174) — „ლირიკული“

**მ**

**„მასიური“** (204) — „მასობრივი“ (ცხადია, კონტექსტის მიხედვით)

**„მითუმეტეს“** (5, 11, 110, 127, 147, 180, 189, 195, 199, 208, 265, 266, 282, 288, 307, 309, 311) — „მით უმეტეს“

**„მსხვილი ხედი“** (36, 40-II, 52, 86, 152) — „ახლო ხედი“.

**„მხოლოდდამხოლოდ“** (116, 241) — „მხოლოდ და მხოლოდ“

**პ**

**„პოლიტიკურ — სამართლებრივი“** (236) — „პოლიტიკურ-სამართლებრივი“

**„პირ-ჯვარს“** (66) — „პირჯვარს“

**ო**

**„ორსერიანი“** (188-II, 278, 294) — „ორსერიიანი“

**ს**

**„სიმპატიური“** (174, 186, 199, 200, 274, 300) — „სიმპათიური“

**„სთვლიდა“** (185) — „თვლიდა“

**„სხვათაშორის“** (12, 49, 70, 77, 79, 115, 120, 133, 135, 151, 176, 227, 232, 260, 269, 270) — „სხვათა შორის“.

**„სოფელ – უშგულში“** (188) — „სოფელ უშგულში“

**უ**

**„უამრავი საშუალებებით“** (191) — „ ... საშუალებით“

**„უთავ-ბოლოდ“** (105) — „უთავბოლოდ“.

**„უსწორ-მასწორო“** (65) — „უსწორმასწორო“

**ფ**

**„ფოტო-ატელიე“** (262) — „ფოტოატელიე“

**ქ**

**„ქალა-ბიჭა“** (4) — „ქალაბიჭა“.

**„ქალაქ – ვიპურში“** (4) — „ქალაქ ვიპურში“

**ღ**

**„ღაპა-ღუპით“** (238) — „ღაპაღუპით“

**ყ**

**„ყარაჩოღელი“** (265) — „ყარაჩოხელი“

**შ**

**„შესდგებოდა“** (8) — „შედგებოდა“

**ც**

**„ციხე-სიმაგრე“** (188) — „ციხესიმაგრე“

**ძ**

**„ძალა-უფლება“** (182) — „ძალაუფლება“

**ჭ**

**„ჭრელ-ჭრულად“** (32) — „ჭრელჭრულად“

**წ**

**„წინ“** (221) — „წინათ“ (ამ შემთხვევაში)

მრჩება უამრავი პროფესიული ნიუანსი, მაგრამ საგაზეთო სტატიაში მეტის თქმა, ალბათ, აღარც ღირს – ისედაც ნათელია ერთობ კატეგორიული დასკვნა: **ბატონო როსტომ, საერთოდ არც გადაგიხედავთ ჩვენი ძვირფასი და საყვარელი ქალბატონის წიგნის საბოლოო ვარიანტისთვის, ყველაფერი ვიღაც ჩიტირეკია ამწყობის დონეზე დაგიტოვებიათ და მოგიწერიათ ხელი, რასაც თქვენგან ნამდვილად არ ველოდი...**

**საკითხავი ისღაა, ასეთ დამოკიდებულებას საერთოდ იჩენთ ყველა ავტორის მიმართ, თუ მაინცდამაინც ქართველი კინემატოგრაფისტები ამოგვირჩიეთ?!**

**გოგი დოლიძე**



## პრემიების ახალი ტალღა

**ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა(IDFI) დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიებისა და სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია გაავრცელა პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ.**

როგორც ირკვევა, 2013 წელს თანამდებობის პირების შემოსავლებში ყველაზე დიდი თანხა პრემიის ან სახელფასო დანამატის სახით მიიღეს **კომუნიკაციის ეროვნული კომისიის წევრებმა** — თითოეულ მათგანს მიღებული აქვს დაახლოებით 120 000 ლარის ოდენობის პრემია (ხელზე — 96 000 ლარი). გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების სიდიდით გამორჩეულია, აგრეთვე, **საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.** 2013 წელს ცესკოს თავმჯდომარეს (ზურაბ ხარატიშვილი — 8 თვე, თამარ ჟვანია — 4 თვე), მის მოადგილესა და ცესკოს მდივანს პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით მიღებული აქვთ 265 272 ლარი.

ყველაზე მაღალი შემოსავალი 311 744 ლარი და პრემია 120 988 ლარი, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წევრმა **აკაკი სიხარულიძემ** მიიღო. თითქმის იმავე რაოდენობას შეადგენს დანარჩენ წევრთა შემოსავლებიც: **ირაკლი მოსეშვილმა** მიიღო 309 886 ლარი, **სოფიო ბრიტანჩუკმა** — 309 876 ლარი, კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილმა** კი 2013 წელს 10 თვის განმავლობაში შემოსავლის სახით 258 790 ლარი მიიღო.

საკმაოდ მაღალია ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის შემოსავლებიც. **ბანკის პრეზიდენტმა** შემოსავლის სახით 195 000 ლარი მიიღო. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე მეტი შემოსავალი მისმა მოადგილე **ოთარ ნადარაიამ** მიიღო — 209 560 ლარი

2013 წელს **სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს** თანამშრომლებზე გაცემულმა პრემიების ოდენობამ 2 928 150 ლარი შეადგინა. ყველაზე დიდი თანხა — 566 025 ლარი — პრემიის სახით თანამშრომლებზე გაცემულია დეკემბერში. 2013 წელს ბიუროს უფროსის, გიორგი ხიზანიშვილის პრემიის ოდენობამ შეადგინა 65 000 ლარი, ხოლო მის მოადგილეებს პრემიის სახით მიღებული აქვთ 60 140 ლარი.

პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავი შეიკავა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ.

## სასამართლომ კულტურის მინისტრის ბრძანება შეაჩერა



**თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელეების —კახა კოჟორიძისა და დალი მამულაშვილის შუამდგომლობა და შეაჩერა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის ბრძანება, რომლის მიხედვით, კომპანია RMG GOLD-მა საყდრისი-ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება მიიღო.**

სასამართლომ კომპანიას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საყდრისი-ყაჩაღიანში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით სამუშაოების წარმოება აუკრძალა. სასამართლომ ასევე გაიზიარა მოსარჩელეების პოზიცია, რომ „გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეუჩერებლობით, შესაძლოა, ობიექტი დაზიანდეს, რის გამოც შეუძლებელი იქნება მისი პირვანდელი მდგომარეობისა და კულტურულ-არქეოლოგიური ღირებულების აღდგენა“.

**წლეულს, უფრო ზუსტად, ხუთ თვეში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, 22 მილიონი დოლარით მეტი სამუშაო გვაქვს შესრულებული. ეს დიდი მაჩვენებელია, მაგრამ მიმაჩნია, რომ საკმარისი არ არის...**

რაც კეთდება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზაზე მნიშვნელოვანი სიახლეებია

**„აბრეშუმის ისტორიული გზა“, რომლის აღორძინება საქართველოს უახლეს ისტორიაში ქვეყნის ეკონომიკურ-სატრანსპორტო ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციად იყო წარმოდგენილი, სააკაშვილის ანტიეროვნულ მთავრობას სასაცილოდ ჰქონდა აგდებული. უმწიფარიძეები, მათთვის ჩვეული სიტყვამრუშობითა და სიტყვებით ჟონგლიორობით ამ ფუნქციის დისკრედიტაციას ცდილობდნენ „ეროვნული“ მოტივებით სპეკულირების საშუალებით: ჩვენ დერეფანი კი არ ვართ (ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანს გულისხმობდნენ), არამედ ვართ სრულფასოვანი, სუვერენული სახელმწიფო... სახელმწიფო ეკონომიკის გარეშე ვერ იარსებებდა და მათი „პატრიოტიზმიც“ დამთავრდა.**
**ახლახან ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გამართულმა ევრაზიის ეკონომიკურმა ფორუმმა დაამტკიცა, რომ ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზის“ იდეა არათუ დავიწყებული არ არის, არამედ პრაქტიკულად ვითარდება და მსოფლიო ეკონომიკური ცენტრის დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადანაცვლების კვალზე უმეტეს მნიშვნელობას იძენს.**
**მარაბდა-ახალქალაქის მშენებარე რკინიგზის (რომელიც ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია) ხელმძღვანელი ოლეგ ბიჭიაშვილი ასტანის ეკონომიკური ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა და მოხსენებითაც გამოვიდა. „საქართველო და მსოფლიომ“ მას ინტერვიუ ჩამოართვა.**



**პირველ ეტაპზე 5 მილიონი ტონა გვაქვს გათვალისწინებული, შემდეგ, პროექტის მოდერნიზაციით, ანუ ტექნიკური სიმძლავრის გაზრდით, წლიურად თხუთმეტ მილიონ ტონამდე ავალთ**

— ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აქ განიხილეს, ერთ დროს ჩვენს ქვეყანაში ფრიად პოპულარული, შემდეგში ცოტა მივიწყებული, ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნის განვითარება იყო — აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის, რომლის საკვანძო ქვეყანა საქართველო იყო და რჩება.

ეს დერეფანი ორი მიმართულებით არის გაჭრილი: ერთია ფოთი-ბათუმი-თურქმენბაში-ბაქო-აქტაუს ნავსადგურები, მეორე — ფოთი-ბათუმი-ბაქო და ჩრდილოეთით, რუსეთისკენ.

არ გვაქვს დერეფანი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და პირიქით — სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. არადა, ეს მიმართულება აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ამის დამადასტურებელია, თუნდაც თურქეთის რესპუბლიკა, რომელიც მოწყვეტილია ჩრდილოეთის მიმართულებით სარკინიგზო კომუნიკაციას, ასევე არ გააჩნია ასეთი კომუნიკაცია საქართველოსთან დასავლეთის მხრიდან. ეს კი ამ ქვეყნის განვითარებისთვის დიდად დამაბრკოლებელი ფაქტორია.

მართალია, შარშან ამუშავდა საბორნე გადაზიდვა თურქეთთან, მაგრამ მოცულობა ძალიან მცირეა: თურქეთის ჩრდილო-დასავლეთის პორტებში იტვირთება ბორანი, თვის განმავლობაში დაახლოებით 30 ვაგონი ტრანზიტით მოდის და გაივლის ტრასეკას დერეფანს.

მარაბდა-ახალქალაქის მშენებარე რკინიგზა, რომელიც 2011 წელს დასახელებული იქნა საუკუნის 100 საუკეთესო პროექტს შორის, ხოლო შარშან წლის საუკეთესო პროექტად იქნა აღიარებული, საშუალებას მისცემს თურქეთს, რკინიგზით დაუკავშირდეს საქართველოს, აზერბაიჯანს, ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და ჩინეთს.

ეს გზა ჩრდილოეთისკენაც გავა.

**— თუ სწორად გავიგე, ტრასეკას პროექტის განვითარება-განხორციელების ახალი ეტაპი დაწყებულია და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი სწორედ საქართველოა.**

— დიახ. და ამის დამადასტურებელია უდიდესი ინტერესი, რომელიც მის მიმართ გამოიჩინეს ცენტრალური აზიის ქვეყნებმა და ჩინეთმა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ყაზახეთი.

ეს ინტერესი გამჟღავნდა ჩემ მიერ მარაბდა ახალქალაქის პროექტის პრეზენტაციის შემდეგ გამართული განხილვის დროს. ყურადღების ცენტრში მოექცა მშენებლობის დამთავრების ვადები, რომლებიც ჩვენ დირექტივად გვაქვს მიღებული.

„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებმა იციან (ამაზე ადრეც გვისაუბრია), რომ 2014 წელს სატესტო მატარებელმა უნდა გაიაროს მარშრუტი მარაბდიდან კარწახამდე, რაც ნიშნავს, რომ სალიანდაგო მეურნეობის მშენებლობა უნდა დამთავრდეს წლევანდელი წლის ბოლოს, ხოლო თანმდევი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც ექსპლუტაციაში მთლიანი შესვლისთვისაა საჭირო, 2015 წლის ბოლოს დასრულდება.

ასეთია ვადები.

**— სამი ქვეყნის — საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრაზე, რომელიც 6 მაისს თბილისში გაიმართა, სხვა საკითხებთან ერთად აქცენტი მარაბდა-ახალქალაქის პროექტზეც გაკეთდა.**

— დიახ, და ეს იყო მნიშვნელოვანი მომენტი ამ პროექტის რეალიზაციის პერსპექტივისთვის. თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა განაცხადა, რომ მიესალმება ამ მშენებლობის გააქტიურებას. ეს ჩვენთვის მასტიმულირებელი ფაქტორია: ჯერ ერთი, მაჩვენებელია იმისა, რომ, რაც კეთდება, ხედავენ და აფასებენ, და მეორე, ასეთი მხარდაჭერით უზრუნველყოფილი იქნება, როგორც მინიმუმი, მშენებლობის აღებული ტემპით გაგრძელება. აქვე გეტყვით, რომ წლეულს, უფრო ზუსტად ხუთ თვეში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, 22 მილიონი დოლარით მეტი სამუშაო გვაქვს შესრულებული. ეს დიდი მაჩვენებელია, მაგრამ მიმაჩნია, რომ საკმარისი არ არის, რადგან კარგად ორგანიზებული სამუშაო პროცესის პირობებში, მეტის გაკეთება შეგვიძლია. ისიც უნდა ვთქვა, რომ, ამ გაზაფხულზე ამინდს ასეთი სიურპრიზები რომ არ შემოეთავაზებინა, უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა.

**— კვლავ რჩება თუ არა მალიმიტირებელ ფაქტორად გვირაბი, რომლითაც მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა თურქეთს უერთდება?**

— თქვენ გახსოვთ, რა ძალისხმევა გახდა საჭირო, გვირაბის მშენებლობის დასაწყებად...

**— როცა მხოლოდ ერთი ექსკავატორი თხრიდა მიწას, ორ თვითმცლელს გაჰქონდა გრუნტი. სულ რამდენიმე თვის წინათ იყო ეს მთელი სამუშაო ფრონტი...**

— მაგრამ სწორედ ის რამდენიმე თვე გახდა გადამწყვეტი. აქტიურად და, რაც მთავარია, შედეგიანად ვიმუშავეთ თურქეთის მხარესთან — მოხერხდა სპეციალური ტექნიკის, პროფესიონალი მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების მობილიზება და ამჟამად 180 მეტრის გვირაბია ჩვენი მხრიდან გაყვანილი, თურქეთის მხრიდან — 550 მეტრი. ეს ნიშნავს, რომ გვირაბის მშენებლები ყოველდღიურად 6 მეტრს გადიან. 2015 წლის ბოლომდე, დარწმუნებული ვარ, გვირაბის ინფრასტრუქტურის მშენებლობასაც დავამთავრებთ.

ყაზახეთის ეკონომიკურ ფორუმზე ტრასეკას სექციამ ცალკე იმუშავა. ჩვენ საშუალება გვქონდა, დაწვრილებით განგვეხილა ამ პროექტის შემადგენელი ფრაგმენტები, მაგალითად, ისეთები, რომლებიც დაკავშირებულია თურქეთის ჩრდილოეთიდან შუა აზიის მიმართულებით ტვირთების გადაზიდვასთან.

დღეს ეს ტვირთები მშრალ პორტში, მაგალითად, ვალეში, რკინიგზის ვაგონებიდან ავტომობილებზე გადააქვთ და ამ ტრანსპორტით მიაქვთ ადრესატამდე. ჩვენი პროექტის ამუშავების შემდეგ ეს შუალედური, დამატებითი რგოლი მოიხსნება და ტვირთის მოძრაობა რკინიგზითვე გაგრძელდება. ეს კი საგრძნობლად გააიაფებს ტარიფებს, შემცირდება ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის დროც, მინიმუმამდე იკლებს ტვირთის დაზიანება-დანაკარგების შემთხვევები, რაც ხელსაყრელია ყველასთვის. ინტერესიც ჩვენი პროექტისადმი ამ პერსპექტივით არის განპირობებული.

რაც უფრო მეტია ტვირთბრუნვა რკინიგზის უბნებზე, მაგისტრალებზე, მით უფრო მეტადაა მომგებიანი აქ წარმოებული საქმიანობა, რკინიგზის ფუნქცია კი, ყველას მოეხსენება, ტვირთების გადაზიდვაა. რაც უფრო მეტია სიმძლავრე, შესაბამისად, იზრდება მოგებაც.

განხილვის მონაწილეები დაინტერესდნენ, როგორი იქნება მარაბდა-ახალქალაქის მაგისტრალის გამზიდუნარიანობა, ანუ ტვირთბრუნვა. ვუპასუხე, რომ პირველ ეტაპზე 5 მილიონი ტონა გვაქვს გათვალისწინებული, შემდეგ, პროექტის მოდერნიზაციით, ანუ ტექნიკური სიმძლავრის გაზრდით, წლიურად თხუთმეტ მილიონ ტონამდე ავალთ.

**— მაგრამ, ბატონო ოლეგ, ამ მაგისტრალის გარკვეულ მონაკვეთზე, არსებული რთული რელიეფის გამო, მატარებლის სიჩქარე რომ კლებულობს, გადაზიდვის დროც ხომ იზრდება, ეს განა უარყოფითად არ აისახება ტვირთბრუნვაზე?!**

— ქანობი, რა თქმა უნდა, ზღუდავს მატარებლების წონას, სისწრაფეს, მაგრამ, თუ დავიცავთ უსაფრთხოების მოთხოვნებს, რომლებიც ინსტრუქციით არის გათვალისწინებული, მაშინ ტვირთების დაცვა სრულად იქნება უზრუნველყოფილი.

ამასთან, მონაკვეთი, რომელზეც ეს წინააღმდეგობა არსებობს, ძალიან მოკლეა: სანამ მშრალ პორტში ვაგონს ჩავიყვანთ, გადავტვირთავთ ავტოტრანსპორტზე, ამ დროში რკინიგზით ტვირთს საზღვრამდე მივიტანთ და გადავიყვანთ კიდეც. ასე რომ, ქანობზე შემადგენლობის მოძრაობის შენელება არ არის განმსაზღვრელი ფაქტორი. სირთულე, რა თქმა უნდა, არის, პროფილი რთულია, მაგრამ დამაბრკოლებელი არ არის, თუ დავიცავთ მომსახურების არსებულ წესებს.

**— პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იყო კარწახის ობიექტზე. ეს ამ ხელისუფლების პირობებში პირველი შემთხვევაა, მგონი.**

— დიახ, პირველი შემთხვევაა. პრემიერმინისტრს იქ დავხვდი, მოვამზადეთ სტენდი ჩვენი პროექტის რუკით; მოკლედ ავუხსენი ყველაფერი, ძირითადი ასპექტები, უპირველეს ყოვლისა, რადგან კოკისპირულად წვიმდა და ვრცელი საუბრის არავითარი საშუალება არ გვქონდა. მომისმინა და კმაყოფილი ვარ, რომ ისე გაიგო, როგორც ვუთხარი. მგონი, თვითონაც კმაყოფილი დარჩა.

**— გელბურახის ხიდი თუ დაათვალიერა?**

— ვერა. იქამდე ვერ მივედით, რადგან, როგორც გითხარით, ძალიან ცუდი ამინდი იყო.

**— ბატონო ოლეგ, როგორც ვიცი, თქვენ პრაქტიკულად თავზე ადგახართ მშენებლებს...**

— გეტყვით, როგორია ჩვენი სამუშაო გრაფიკი: ჩვენს სპეციალისტებთან ერთად, კვირაში ორჯერ გავდივართ მაგისტრალზე, ვხვდებით კონტრაქტორი ფირმების ხელმძღვანელებს, უშუალოდ მშენებლებს. ერთ-ერთი გასვლა, კერძოდ, პარასკევობით გვირაბის მშენებლობაზეა, რადგან იგი, როგორც იცით, რჩება მალიმიტირებელ ფაქტორად; მეორე გასვლა სამშაბათობით წალკის სადგურში ეწყობა, სადაც ფუნდამენტურად განვიხილავთ შესასრულებელი სამუშაოების მიმდინარეობას, ხელშემშლელ პირობებს და ვსახავთ მათი სასწრაფოდ გამოსწორებისა და ახალი მიჯნების უპირობოდ შესრულების გზებსა და საშუალებებს.

ადგილზე მისვლით, უშუალო კონტაქტის პირობებში ბევრი საკითხი დადებითად წყდება.

წალკიდან მოყოლებული ჩამოვდივართ ქვევით, ვამოწმებთ, როგორ სრულდება ჩვენს ობიექტებზე მშენებლობის პროგრამა, რომელიც, უნდა გითხრათ, მრავალპლანიანია და რთული.

ასეთია ჩვენი მუშაობის ტექნოლოგია.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



**P.S. ბატონ ოლეგ ბიჭიაშვილთან შევთანხმდით, რომ მომდევნო პარასკევს გვირაბის მშენებლობაზე მიახლებენ და, ღმერთი თუ ინებებს, ჩვენს მკითხველებს მიწის სიღრმიდან მოგაწვდით რეპორტაჟს.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი კი, რის გამოც დიდხანს გარუჯვას უნდა მოვერიდოთ, არის ის, რომ მზის სხივები სერიოზულ ცვლილებებს იწვევს კანში. შესაძლოა, ამან კანის სიმსივნეც კი გამოიწვიოს.**



# ყველაფერი გარუჯვის შესახებ

**გარუჯვა არის კანის ფერის გამუქება ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით მის, ფენებში სპეციალური პიგმენტის — მელანინის დაგროვების შედეგად. ძველად მიიჩნევდნენ, რომ კანის მუქი ფერი გარეგნობას უხეშს ხდიდა, ამიტომ გარუჯვა მამაკაცურობის სიმბოლოდ ითვლებოდა. ძველი ეგვიპტის ხელოვნებაში, პომპეის ფრესკებსა და ევროპელი მხატვრების შემოქმედებაში მამაკაცები, როგორც წესი, გარუჯულნი არიან, ქალებს კი ქათქათა კანი აქვთ. XX საუკუნემდე არისტოკრატია გაურბოდა გარუჯვას, რადგან მუქი კანი მუდმივად მინდვრებში მომუშავე გლეხების მახასიათებელი იყო. მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში ფინანსურად უზრუნველყოფილმა ხალხმა დაიწყო ზღვისპირა კურორტებზე სიარული, საიდანაც გარუჯულები ჩამოდიოდნენ.**



ბევრი მითქმა-მოთქმა არის გარუჯვის გარშემო, თუმცა საბოლოო და ერთიან გადაწყვეტილებამდე მეცნიერები ჯერაც ვერ მივიდნენ. მზის სხივებს გარკვეული ზიანი მოაქვს ადამიანის კანისთვის და მთლიანად ორგანიზმისთვის, თუმცა ჩრდილოეთ ქვეყნებში, სადაც მზეს ხალხი ნაკლებად ეფიცხება, თვითმკვლელობების რაოდენობა გაცილებით მეტია. მზის სხივები ორგანიზმში მოხვედრისას ენდორფინების — ბედნიერების ჰორმონის გამოყოფას იწვევს, ამიტომაც გაზაფხულსა და ზაფხულში ლოგინიდან ადრე ადგომა ბევრად იოლია, ვიდრე მაშინ, როდესაც მზე ნაკლებად ანათებს. მაგრამ გადამეტებული არაფერი ვარგა და სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ უმჯობესია, თავი შეიკავოთ გარუჯვისგან, რადგან იგი ნაადრევ ნაოჭებს და სიმსივნეს იწვევს.

გარუჯვას იწვევს კანის გარე შრეში (ეპიდერმისში) მელანინის დიდი რაოდენობით დაგროვება. ეს პროცესი მზიდან ან სინათლის ხელოვნური წყაროდან გამოტყორცნილი ულტრაიისფერი სხივების კანზე ზემოქმედებით მიმდინარეობს. როგორც წესი, გარუჯვა მეტყველებს იმაზე, რომ ულტრაიისფერი სხივები დადებით ზემოქმედებას ახდენენ ჩვენს ორგანიზმზე; მათი მოქმედების შედეგად, ორგანიზმში წარმოიქმნება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც ასტიმულირებენ, ნერვული და ენდოკრინული სისტემების ფუნქციონირებას, ნივთიერებათა ცვლას, იმუნურ გამძლეობას ინფექციური და სხვა სახის დაავადებების მიმართ. ბევრისთვის საინტერესო იქნება ის ფაქტიც, რომ ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით ჩვენს ორგანიზმში წარმოიქმნება D ვიტამინი, რაც ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ კალციუმის შეწოვას, კალციუმი კი ძალზე მნიშვნელოვანია ძვლოვანი სისტემისთვის.

გარუჯვა ორგანიზმის ერთი დამცავი რეაქციაა. საქმე ისაა, რომ ამ დროს სქელდება კანის რქოვანი ფენა; მელანინი კი შთანთქავს სხივებს და გვიცავს გრძელტალღოვანი ულტრაიისფერი სხივებისგან, რომლებიც, ხანგრძლივი ზემოქმედების შემთხვევაში კლავენ უჯრედებს. მელანინი ასევე გვიცავს ინფრაწითელი სხივებისგანაც, რომლებიც იწვევს ორგანიზმის გადახურებას და ე. წ. მზის დარტყმას. მზის ზემოქმედების დადებით მხარესთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს ის საფრთხეც, რომელსაც გვიქადის მზის გულზე დიდხანს ყოფნა. ულტრაიისფერი სხივების ხანგრძლივი ზემოქმედება კანისთვის საკმაოდ საშიშია.

მხოლოდ მუქი ფერის კანის მქონე ადამიანებს ახასიათებთ მელანინის დიდი დოზით გამოყოფა, რაც მათ ამ საშიშროებისგან იცავს. **საფრთხე, რომელიც შეიძლება ჩვენს კანს დაემუქროს, მზის ქვეშ ყოფნის პირდაპირპროპორციულია. მაგალითად, თუ მზეზე 10 წუთს გავჩერდებით, მზე მხოლოდ გაალიზიანებს კანს და გამოიწვევს მკრთალ სიწითლეს.** დიდხანს ყოფნისას კი იწყება კანის ანთებითი პროცესი და მისი შეშუპება, რასაც, შესაძლოა, მოჰყვეს კანის დამწვრობა. დამწვრობის შედეგად ჩნდება ბუშტები და დროთა განმავლობაში იწყება მისი დაწყლულება. მზეზე დიდხანს ყოფნის შემთხვევაში, კანს, ფაქტობრივად, აღარ შეუძლია დამცავი ფუნქციის შესრულება. მძიმე დამწვრობისას წყდება თერმორეგულაცია, რაც მზის დაკვრის უშუალო წინაპირობაა. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ კანი განიცდის დეჰიდრატაციას, კარგავს ელასტიურობას, სიგლუვეს და ნაოჭებით იფარება.

**ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი კი, რის გამოც დიდხანს გარუჯვას უნდა მოვერიდოთ, არის ის, რომ მზის სხივები სერიოზულ ცვლილებებს იწვევს კანში. შესაძლოა, ამან კანის სიმსივნეც კი გამოიწვიოს.** ქვეყნებში, სადაც წლის მანძილზე მზიანი დღეები ჭარბობს, ეს საფრთხე განსაკუთრებით თეთრკანიან ადამიანებს ემუქრება. მზის სხივების ხანგრძლივ ზემოქმედებას უნდა ერიდონ ის ადამიანები, რომელთაც მელანინის გამომუშავების პრობლემა აქვთ და ისინიც, რომელთა კანი მელანინს დიდ რაოდენობით გამოიმუშავებს. პირველ შემთხვევაში კანი სწრაფად იწვება, მეორე შემთხვევაში კი ლაქები მუქდება და უფრო შესამჩნევი ხდება. მზეს უნდა ვერიდოთ მაშინაც, თუ დერმატიტების პრობლემა გვაქვს, რადგან ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო შრება კანი და მისი საერთო მდგომარეობა უარესდება.

მზეზე დიდხანს ყოფნა განსაკუთრებით სარისკოა: ხანდაზმულებისთვის, 2 წლამდე ასაკის ბავშვებისა და იმ ადამიანებისთვის, რომელთაც აწუხებს ფილტვების, გულსისხლძარღვთა, ნერვული და სხვა სახის დაავადებები. მზეზე ყოფნის ვადა და რეჟიმი მათ აუცილებლად ექიმთან უნდა შეათანხმონ.

სამწუხაროდ, იმის მიუხედავად, რომ ბევრმა კარგად იცის, თუ რამდენად სარისკოა მზე კანისთვის, მაინც მიაჩნიათ, რომ გარუჯვა მათ უფრო მომხიბვლელს გახდის.

თანამედროვე მსოფლიოში გარუჯული სხეული იმდენად პოპულარულია, რომ ადამიანები ათასგვარ საშუალებას იგონებენ, რათა ზამთარშიც, მზის სხივების გარეშეც, გაიმუქონ კანი. ზაფხულში ხომ მზის სხივების ცდუნებას თითქმის ვერავინ უძლებს.

**სანამ მზის აბაზანებში გადაეშვებოდეთ, უნდა განსაზღვროთ კანის ტიპი, მისი და მთელი ორგანიზმის ჯანმრთელობის მდგომარეობა. სანაპიროზე წასვლის წინ საცურაო კოსტიუმის, პირსახოცის, ქუდის და სათვალის გარდა აუცილებელია სპეციალური კოსმეტიკა, რომელიც განკუთვნილია გარუჯვისთვის. ამასთან, აუცილებელია სწორი კვება და გარუჯვის ინსტრუქციის დაცვაც.**

იმისთვის, რომ იდეალურად გაირუჯოთ, უმჯობესია, წინასწარ პილინგის კურსი ჩაიტაროთ, მაგრამ აუცილებელი არ არის, გადაიხადოთ გაცილებით მეტი იმაში, რომ ვილაცამ თქვენს მაგივრად აურია ერთმანეთში თაფლი და მარილი? იგივე თავადაც შეგიძლიათ გააკეთოთ სახლში.

გარუჯვის პროცედურა ყოველდღე უნდა ჩაიტაროთ. პირველ დღეს, მზეზე მხოლოდ 10-15 წუთს უნდა გავჩერდეთ. სამხრეთ რაიონებში, სადაც ზომიერი კლიმატია, ჩრდილოეთის ქვეყნების მცხოვრებლებმა პირველ დღეებში ქოლგა უნდა გამოიყენონ. მომდევნო დღეებში მზეზე ყოფნის დრო თანდათან უნდა გავზარდოთ 10-15 წუთით. კარგად გარუჯული ადამიანისთვის მზეზე ყოფნის მაქსიმალური დრო 1-1,5 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

**მზის აბაზანების მიღებისთვის საუკეთესო დროა დილის 11-12 საათი. თავზე აუცილებლად მზის ქუდი უნდა გეხუროთ. ასევე აუცილებელია მუქი სათვალის გაკეთება.** შესაძლოა, მზის სხივების თვალებზე ზემოქმედებამ დააზიანიოს მისი ლორწოვანი გარსი. სასურველია გარუჯვა საუზმის შემდეგ. ძალზე სარისკოა მზის გულზე დაძინება. სწრაფად გარუჯვის სურვილს ბევრი ადამიანი ძალზე უარყოფით შედეგებამდე მიჰყავს. ამან, შესაძლოა, კანის დამწვრობა და მზის დარტყმა გამოიწვიოს.

დღეს მრავალი კოსმეტიკური სინთეზური საშუალება არსებობს, რომლებიც მზის უარყოფით მოქმედებას ან გამოწვეულ დისკომფორტს ამცირებს, ხელს უწყობს კომფორტს მზის აბაზანების მიღებისას.

მზის კოსმეტიკა გამოდის კრემის, გელის, ლოსიონის, ემულსიის, სპრეის და რძის სახით. დანიშნულების შესაბამისად, ეს საშუალებები იყოფა მზისგან დამცავ, გარუჯვამდე და მის შემდგომ გამოსაყენებელ საშუალებებად.

**სახელწოდება „მზისგან დამცავი საშუალება“ არ ნიშნავს, რომ ეს პროდუქტები გარუჯვის საწინააღმდეგოა. ისინი ეხმარება ორგანიზმს ულტრაიისფერი გამოსხივების საწინააღმდეგოდ ბუნებრივი დაცვის გამომუშავებაში.** მათ არჩევენ დამცავი ფაქტორის სიდიდით (SPF), რომელიც ანიშნებს, თუ რამდენად შემცირდება დასხივება მისი გამოყენების შემდეგ. რაც უფრო ღიაა კანი, მით მაღალი უნდა იყოს დაცვის ფაქტორი. ხშირად მათ შემადგენლობაში შედის ვიტამინები, რომლებიც კვებავს და ატენიანებს კანს, ებრძვის ნაადრევ დაბერებას.

მცდარია შეხედულება, რომ დამცავი საშუალების წასმის შემდეგ ზიანის გარეშე შეგიძლიათ მთელი დღე „დაიბრაწოთ“ მზის ქვეშ.

მართალია, გარუჯვა ძირითადად ზღვასთან ასოცირდება, მაგრამ, როგორც ცნობილია, გარუჯვა მთაშიც შეიძლება. მთაში ყოფნისას ისეთი შეგრძნება გვეუფლება, თითქოს მზე ჩვენთან ძალიან ახ-

**სანამ მზის აბაზანებში გადაეშვებოდეთ, უნდა განსაზღვროთ კანის ტიპი, მისი და მთელი ორგანიზმის ჯანმრთელობის მდგომარეობა. სანაპიროზე წასვლის წინ საცურაო კოსტიუმის, პირსახოცის, ქუდის და სათვალის გარდა აუცილებელია სპეციალური კოსმეტიკა, რომელიც განკუთვნილია გარუჯვისთვის. ამასთან, აუცილებელია სწორი კვება და გარუჯვის ინსტრუქციის დაცვაც**





## ბერი იატაკზე ნაკვალევს ტოვებს

**ჩინელი ბერი ჰუაჩი ბოლო 20 წლის განმავლობაში ყოველდღე ლოცულობს. შედეგად, ხის იატაკზე, სადაც დღეში უამრავჯერ დგება, მისი ფეხის ანაბეჭდი გაჩნდა.** ბერის ნაკვალევი ქალაქ ტუნჟენის მონასტერშია. ის ბოლო 20 წლის განმავლობაში ტაძარში ყოველდღე, მზის ამოსვლამდე მიდის. ახალგაზრდობაში დღეში 2000-3000-ჯერ ლოცულობდა. **„ახლა უკვე მოვხუცდი და დღეში მხოლოდ 1000-ჯერ ვლოცულობ; ზოგჯერ ზამთარში 500-ჯერაც“,** — ამბობს იგი.

ჰუაჩის წყალობით, მონასტერში ბევრი ახალგაზრდა მიდის. როგორც ისინი ამბობენ, ჰუაჩი მათთვის მისაბაძი მაგალითია.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლოსაა. რაც უფრო ახლოს ვიმყოფებით მზესთან, მით მეტია მზის დარტყმისა და დამწვრობის რისკი. მთისთვის დამახასიათებელი ცივი კლიმატი არ ამცირებს მზის აქტივობას.

**მზის გარეშე გარუჯვის ერთ-ერთი მეთოდია ეგრეთ წოდებული ჰოლივუდური გარუჯვა, რომლის დროსაც სპეციალურ ხსნარს იყენებენ. ხსნარის შემადგენელია ჩვეულებრივი შაქრის სპეციფიკური მოლეკულები, რომლებიც რეაქციაში შედის კანის ამინომჟავებთან და 4-6 საათში კანი ოქროსფერ-მოყავისფრო ხდება, ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების გარეშე.**

მომენტალურ გარუჯვას, უკვე დიდიხანია, იყენებენ ჰოლივუდის ვარსკლავები და ამიტომ მიიღო მან წოდება ჰოლივუდური.

**მომენატალური გარუჯვა შენარჩუნდება 2 კვირამდე თუ მოხდება კანის დატენიანება დღეში არანაკლებ 2-ჯერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის ეპიდერმული შრიდან ყოველდღიურად ხდება მკვდარი უჯრედების აშრევება და მასთან ერთად ყოველდღიურად ფერის გადასვლა.**

მათთვის, ვინც მოკლებულია შესაძლებლობას, რეგულარულად დაისვენოს სამხრეთის ქვეყნებში, საშველი, კარგა ხანია, გამოიგონეს — სოლარიუმი.

პირველი სოლარიუმები მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში გაჩნდა. მაშინვე დაიწყო კამათი იმის თაობაზე, მავნეა თუ არა სოლარიუმის ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმისთვის და კამათი დღემდე გრძელდება.

**სოლარიუმში ულტრაიისფერი გამოსხივება მიზანმიმართულად მოქმედებს და ამიტომ კანზე მისი ზემოქმედება გაცილებით ძლიერია, ვიდრე მზეზე გარუჯვის დროს. სოლარიუმის ჭარბი გამოყენება ვნებს კანის სტრუქტურას, აშრობს და ადუნებს მას, აჩქარებს დაბერებას და მისგან მიღებული მთელი სარგებელი უკვალოდ ქრება.**

გარდა იმისა, რომ სოლარიუმის ხშირმა სტუმრობამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ჯანმრთელობას, არსებობენ ადამიანები, რომლებისთვისაც სოლარიუმში გარუჯვა საერთოდ არ შეიძლება. სოლარიუმი რეკომენდებული არ არის მათთვის, ვისაც კანის I ან II ფოტოტიპი აქვთ. ასეთი კანი ღია ფერისაა, ძნელად ირუჯება და ადვილად იწვება; მათთვის, ვისაც სხეულზე აქვს ბევრი ხალი და პიგმენტური ლაქა — ინსოლაცია ხალის გადაგვარების პირველი სტიმულატორია. იგი ზრდის მელანომის განვითარების რისკს; ქრონიკული დაავადებების გამწვავების დროს; მაღალი არტერიული წნევის დროს; გულის დაავადებათა არსებობის შემთხვევაში; ასთმის დროს; ნებისმიერი ონკოლოგიური დაავადების არსებობისას; მცირე ხნის წინ გადატანილი პლასტიკური ოპერაციის შემდეგ; სეზონური მწვავე ან გამწვავებული გაციებით გამოწვეული დაავადებების დროს; ნებისმიერი ენდოკრინული დაავადების, განსაკუთრებით — ფარისებრი ჯირკვლის დაავადების, დროს.

როგორც ცნობილია, არსებობს ძვირად ღირებული და შედარებით იაფი სოლარიუმები, როგორც წესი, განსხვავებას აპარატურის ღირებულება იწვევს. სოლარიუმში გამოყენებული ნათურების ხარისხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**ხარისხიანი ლამფები გაცილებით ძვირია, სამაგიეროდ, ბევრად უფრო უვნებელია. გარუჯვისთვის განკუთვნილი ნათურების ექსპლუატაციის ვადა 500-600 საათს არ აღემატება. სამწუხაროდ, მათ ვერ შევამოწმებთ, ამიტომ პერსონალის კეთილსინდისიერების იმედად უნდა დავრჩეთ. აუცილებლად იკითხეთ, რამდენად ხშირად ტარდება სოლარიუმის დეზინფექცია და რა საშუალებებით, თორემ შესაძლოა, კანის ინფექციაც მიიღოთ.**

და ბოლოს, ადამიანის ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ულტრაიისფერ სხივებზე დაავადებაა და მას ტანორექსია ჰქვია. „Cancer Center“-მა შეისწავლა ეს საკითხი და აღმოაჩინა, რომ გარუჯვის სურვილით შეპყრობილთა 25%-ს, ჰქონდა ალკოჰოლიზმით დაავადებულთა და ნარკომან ინდივიდთა მსგავსი სიმპტომები დამოკიდებულებასთან მიმართებაში. კვლევის შედეგების მიხედვით, მონაწილეთა 27% კლასიფიცირდა როგორც დამოკიდებული, 40% სოლარიუმით სარგებლობდა 17 წლამდე. სხვა მონაცემებით, ამერიკაში დაახლოებით 30 მილიონი ადამიანი და მათგან 2.3 მილიონი თინეიჯერი სარგებლობს სოლარიუმით. რაც დრო გადის, პრობლემა უფრო აქტუალური ხდება იქიდან გამომდინარე, რომ იმატებს სოლარიუმების რაოდენობაც, რომელსაც პროპაგანდას უწევენ შესაბამისი ცენტრები.



# ლოცვის სასწაული



**მორწმუნე ადამიანისთვის ლოცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დავა, რომ რწმენის წყალობით ავადმყოფი განიკურნება, წლების განმავლობაში განხილვის საგანი იყო.**

ინგლისელი ექთანი ფლორენს ნაითინგეილი, რომელიც მორწმუნე ადამიანი იყო, წერდა, რომ „ხშირად, როდესაც პაციენტი უგონო მდგომარეობაში ყოფილა, ესმოდა ადამიანის ხმა, რომელიც მისთვის ლოცულობდა“.

1959 წელს გამოვიდა ფრანკლინ ლოერის წიგნი, სახელწოდებით „ლოცვის ძალა მცენარეებზე“. წიგნში დეტალურად იყო აღწერილი ექსპერიმენტი. ექსპერიმენტში ჩართული იყო 150 ადამიანი, 27 000 თესლი და ნერგი. კვლევაში მცენარეები ორ ჯგუფად დაყვეს. როგორც ფრანკლინი ამბობს, მცენარეებმა, რომლებისთვისაც მომვლელები სისტემატურად ლოცულობდნენ, გადარჩენისა და ზრდის უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე იმ კატეგორიამ, რომლისთვისაც არავინ ლოცულობდა.

1988 წელს ამერიკელმა ექიმმა რანდოლფ ბაირდმა რამდენიმე მორწმუნე ქრისტიანი შეკრიბა, რათა სან-ფრანცისკოს კორონალური თრომბოზის სამკურნალო დაწესებულების გარეთ 400 პაციენტისთვის ელოცათ.

**„შედეგი ცხადყოფს, რომ შუამავალ მლოცველს სასარგებლო თერაპიული ეფექტის მოხდენა შეუძლია პაციენტზე, რომელსაც გულის ინტენსიური მკურნალობა სჭირდება“,** — განაცხადა ექიმმა სამედიცინო ჟურნალ Southern Medical Journal-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

2007 წელს არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებმა გადაწყვიტეს, სისტემურად მიმოეხილათ ყველა ლიტერატურა, რომელიც ლოცვის ეფექტზე იყო აგებული. კვლევა, რომელიც 17 გამოქვეყნებულ ნაშრომზეა დაფუძნებული, ადასტურებს, რომ პაციენტებს, რომელთა ჯანმრთელობისთვისაც ადამიანები ლოცულობდნენ, მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაეტყოთ.

# ყველაზე დიდი ქაღალდის თვითმფრინავი



**ბავშვობაში ქაღალდის თვითმფრინავი ყველას გაუკეთებია, თუმცა არსებობენ ენთუზიასტები, რომელთაც ამ გზით მსოფლიო რეკორდების დამყარება გადაწყვიტეს. 2012-ში აშშ-ის ერთ-ერთი საავიაციო მუზეუმის პატრონაჟით ენთუზიასტთა ჯგუფმა მსოფლიოში ყველაზე დიდი ქაღალდის თვითმფრინავი შექმნა, მაგრამ სუსტი კონსტრუქციის გამო, პირველი და ერთადერთი გაფრენის შემდეგ ის დაკუჭული მაკულატურის გროვას დაემსგავსა.**

წელს ენთუზიასტებმა ძალების მოსინჯვა კიდევ ერთხელ გადაწყვიტეს. ახალი თვითმფრინავი, სახელად Arturo Desert Eagle, სიგრძეში 13,7 მ-ია; მაქსიმალური სიჩქარე, რომელიც ქაღალდის გიგანტმა განავითარა, 157,7 კმ/სთ-ია.

თვითმფრინავი გოფრირებული მუყაოსგანაა დამზადებული. ზუსტად ასეთივე მასალისგან მზადდება შესაფუთი ყუთები და კოლოფები. თვითმფრინავის კონსტრუქციის შემუშავებაში მონაწილე ენთუზიასტთა ჯგუფს ინჟინერი არტ ტომპსონი ხელმძღვანელობს, რომელიც თავის დროზე სტრატეგიული ბომბდამშენის — B-2-ის პროექტირებაში მონაწილეობდა.

# პლანეტის ყველაზე მსუქანი ადამიანი გარდაიცვალა

**მექსიკაში პლანეტის ყველაზე მსუქანი ადამიანი — მანუელ ურიბე 48 წლის ასაკში გარდაიცვალა. ექიმების თქმით, გარდაცვალების მიზეზი ღვიძლის უკმარისობა გახდა.**



მაისის დასაწყისში ურიბე ცუდად გახდა და ის საავადმყოფოში სპეციალური ტექნიკის დახმარებით გადაიყვანეს.

მანუელმა წონაში მომატება 20 წლიდან დაიწყო. ის 1987 წელს აშშ-ში არალეგალურად ჩავიდა და კომპიუტერების შემკეთებლად მუშაობდა. „სამსახურში მანქანით მივდიოდი და უკანაც ასე ვბრუნდებოდი. მთელი დღე ვჭამდი და ამასთან, არ ვიყავი დაკავებული სპორტით“, — განაცხადა მანუელმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

2001 წლის შემდეგ, ანუ როდესაც მისმა წონამ 587 კგ-ს მიაღწია, ის ლოგინიდან ველარ დგებოდა. 2006 წელს წონა 590 კგ-ზე მეტი იყო, რის გამოც მანუელი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

მას ქირურგიულ ჩარევას ურჩევდნენ, თუმცა მანუელმა ოპერაციის გაკეთება ვერ გადაწყვიტა. ის ცილოვან დიეტას იცავდა და შედეგად 2008 წელს 381 კგ-ზე ჩამოვიდა. ამ დროს მამაკაცმა შეძლო დიდი ხნის შემდეგ საკუთარი ფეხით გამოსულიყო ქუჩაში.

2006 წელს მანუელმა კლაუდია გაიცნო, რომელიც მას თმების შესაჭრელად სტუმრობდა ხოლმე. კლაუდიას და მანუელის მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და 2008 წელს მამაკაცმა კლაუდიას ხელი სთხოვა. მიუხედავად კლაუდიას ოჯახის წინააღმდეგობისა, ქალი დათანხმდა და მათ იქორწინეს. ამ დროს მანუელი 330 კგ იყო, ხოლო კლაუდია 67.

დიეტისა და ვარჯიშის წყალობით მანუელმა შეძლო და 2011 წელს მისი წონა 187 კგ-ზე ჩამოვიდა, თუმცა გარდაცვალების მომენტში იგი კვლავ 394 კგ-ს იწონიდა.

ამჟამად მსოფლიოში ყველაზე მსუქან ადამიანად საუდის არაბეთში მცხოვრები ჰალიდ ბინ მოჰსენ შაარი ითვლება. იგი 610 კგ-ს იწონის.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე მეტი ჯილდო

**არგენტინელი რეჟისორისა და სცენარისტის — სანტიაგო გრასოს მოკლემეტრაჟიანი ფილმი მოგვითხრობს ერთ ადამიანზე, რომელიც დილით ადრე, ჩვეულებისამებრ, დგება და მიდის სამსახურში, თუმცა მისი სამყარო არ არის ჩვეულებრივი.** მას ხვდებიან ადამიანები, რომლებიც სკამის, ტანსაცმლის ჩამოსაკიდის, გადაადგილების საშუალებისა და სხვა აუცილებელი ნივთების მაგივრობას უწევენ. საბოლოოდ კი თავად ამ პერსონაჟის სამსახური მდგომარეობს იმაში, რომ ის კარის ჩვარია.

**ფილმმა 100-ზე მეტი ჯილდო მიიღო.**

# მსოფლიოს ყველაზე მაღალი ქალბატონები

**ამბობენ, გადაჭარბებული არაფერი ვარგაო, თუმცა გენებსა და ბუნებას წინ ვერაფერი აღუდგება. მსოფლიოს ყველაზე მაღალი ქალბატონების სიმაღლე 2 მეტრს აღემატება.**



**ამაზონ ივი** ყველაზე მაღალი მოდელის სტატუსით გინესის რეკორდსმენია, ქერა მოდელის სიმაღლე 2 მეტრი და 3 სანტიმეტრია.



**ელსან და კრუზ სილვა** ბრაზილიაში 1995 წელს დაიბადა. ელსანი ჩვეულებრივი და ჯანმრთელი ბავშვი იყო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 11 წლიდან სწრაფად იწყო ზრდა და 14 წლისა უკვე 2 მეტრი და 5 სანტიმეტრი იყო. 19 წლის ელსანს ჰყავს 24 წლის რჩეული და ცხოვრობენ ერთად ბრაზილიის ქალაქ სალინოპოლისში.



**კაროლინ ვილსის** სიმაღლე 2 მეტრი და 6 სანტიმეტრია.



**ულიანა სემიონოვა** დაიბადა 1952 წლის 9 მარტს, ახალშობილი 51 სმ და 3 კგ იყო, თუმცა 11 წლის ასაკში უკვე 180 სმ-ს მიაღწია. მამამისი 1,76 და დედა კი 1,64 მეტრი სიმაღლისანი იყვნენ, იულიანა ამჟამად 2,13 მეტრი სიმაღლისაა. იგი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია და ახლა ლატვიის ოლიმპიური სოციალური ფონდის მმართველია.



2,10 მეტრი სიმაღლის ტაილანდელი 19 წლის **მალი დუანგდი** გინესების რეკორდსმენია. 9 წლის ასაკში მედიკოსებმა აღმოუჩინეს ტვინის სიმსივნე, რომელსაც მიაწერეს მისი ზრდის ფუნქციის მოშლა.



29 წლის პაკისტანელი **ზეინაბ ბიბი** სიმაღლით 2,13 მეტრს აღწევს და გინესის რეკორდებშია შესული. გოგონას ყოველდღიურ რაციონს 8 პური, 2 ქათამი, 2 ლიტრი რძე და 6 ლიტრი წყალი წარმოადგენს.



პოლონეთის ეროვნული კალათბურთის ქალთა ასოციაციის გუნდის პროფესიონალი კალათბურთელი **მარგო დუდეკი** 2,18 მეტრია.



2,11 მეტრი სიმაღლის **გიტიკასრივასტავი** ინდოეთის ეროვნული კალათბურთის ნაკრების ქალთა გუნდის წევრია. მამამისიც ასევე კალათბურთელი იყო.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## რატომ იკლავენ თავს ჩინელები?

**ჩინეთის პროვინცია ანხოიში ახალი კანონი მოქმედებს, რომელიც დამარხვის აკრძალვას გულისხმობს. 1 ივნისამდე დამარხვა ნებადართულია, 1 ივნისის შემდეგ კი ყველა სასაფლაოს დახურავენ. სასოწარკვეთილი მოხუცები, რომლებიც კრემაციის მომხრენი არ არიან, თავს იკლავენ — მათ სურთ, სიკვდილი 1 ივნისამდე დაფიქსირდეს, რათა დაიმარხონ.** როგორც ამბობენ, 1 ივნისის შემდეგ ყველა გარდაცვლილს კრემაცია ჩაუტარდება, რადგანაც, ხელისუფლების აზრით, სასაფლაოები ზედმეტად დიდ ადგილს იკავებს. ოფიციალური პირები უკვე იმყოფებოდნენ დამკრძალავ სალონებში — მათ კუბოების განადგურება დაევალათ. ქვეყნის დიდ ქალაქებში კრემაციას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამენ, მაგრამ სოფლებში მცხოვრები ბევრი ადამიანისთვის, განსაკუთრებით კი ხანდაზმულებისთვის, კრემაცია მიუღებელია.



1955 წელს ინდიანოპოლში დაბადებული **სენდი ალენი** მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ქალად ითვლება 2,33 მეტრი სიმაღლის გამო. 1974 წელს სენდიმ რეკორდების სააგენტოს მისწერა წერილი, რომ მარტოობით დაიღალა და იქნებ მისთვის სიმაღლით შესაფერისი მამაკაცი მოენახათ. წყაროდან უცნობია, აასრულა თუ არა სააგენტომ ცხოვრებით დაღლილი მარტოსული ადამიანის თხოვნა, თუმცა არსებობს ფოტო, რომელზეც სენდი საქორწილო კაბაშია. სენდი 2008 წლის 13 აგვისტოს გარდაიცვალა 53 წლის ასაკში.



ყველაზე მაღალი ბრიტანელი **ჯეინი ბანფორდი** 2,41 მეტრი იყო. იგი 1895 წლის 26 ივლისს დაიბადა და 1922 წლის 1 აპრილს გარდაიცვალა 27 წლის ასაკში, რაც მისმა დაავადებამ განაპირობა.



**ზენ ზულანი** 1964 წლის 26 ივნისს ხუანის პროვინციაში დაიბადა. საშინელი სქოლიოზის გამო, რამაც განაპირობა მისი ზრდა, 1982 წელს 18 წლის ასაკში გარდაიცვალა და მისი სიმაღლის სრული ჩამოყალიბება ვერ მოესწრო. თუმცალა იგი 2,48 მეტრი იყო და მაინც მსოფლიოს ყველაზე მაღალ ქალად მოიხსენიება.



2,34 მეტრი სიმაღლის ჩინელი **იაო დეფანი** ასევე გინესების რეკორდებშია შესული. იგი 200 კგ-ს იწონის და მისი სიმაღლე და წონა ნორმაზე გაცილებით მეტი ჰიპოფიზის სიმსივნის გამო გახდა. იგი 40 წლის ასაკში, 2012 წლის 13 ნოემბერს გარდაიცვალა.



## ყველაზე სუფთა ჰიპოპოტამი



**განსაკუთრებული პირადი ჰიგიენა არამხოლოდ ადამიანებს, არამედ ცხოველებსაც სჭირდებათ.**

მაგალითად, შანხაის ზოოპარკის ბეჰემოთს კვირაში 3-ჯერ უსუფთავებენ კბილებს სპეციალური ჯაგრისით. როგორც ჩანს, მას ეს პროცედურა მოსწონს.

ზოოპარკის თანამშრომლები იყენებენ ძვირად ღირებულ კბილის პასტას, რომელიც შეიცავს კალციუმის კარბონატს, მეთილპარაბენს და მაგნიუმის ალუმოსილიკატს, ხოლო კვირაში ერთხელ ისინი მიმართავენ კბილების წმენდის გავრცელებულ საშუალებას — ხის ნახშირის ფხვნილს.



## ყველაზე დიდი ბუნებრივი მკერდი

**მსოფლიოში ყველაზე დიდი მკერდის მფლობელი ახალგაზრდა ჩინელი გოგონაა სოფელ ჩანგადან. 14 წლის ტინგ ხიაფენიას თინეიჯერობის ასაკში ბუნებრივად აქვს მსოფლიოში ყველაზე დიდი მკერდი.**

თავად ტინგ ხიაფენისთვის ასეთი დიდი ზომის მკერდი მხოლოდ უხერხულობის მომტანია და მას მხოლოდ გვერდზე ან ზურგზე დაძინება შეუძლია, რომ აღარაფერი ვთქვათ სპეციალურად შეკერილ ბიუსტჰალტერებზე.

ეგზოტიკურ მოცეკვავეს, მოდელსა და პორნოვარსკვლავს ჩელსი ჩარმსაც მსოფლიოში ყველაზე დიდი მკერდი აქვს. მისი მკერდის ზომაა 164XXX, ხოლო მკერდის წონა დაახლოებით 14 კგ-ია.

ჩელსიმ მკერდის ზრდის შესაჩერებლად ქირურგიული ოპერაცია სამჯერ გაიკეთა, თუმცა მისმა მცდელობამ არც ერთხელ არ გაამართლა და, სამწუხაროდ, მკერდის ზრდა არ შეჩერებულა. ამერიკელი მედიკოსები აღნიშნავენ, რომ ჩელსის ძალიან გაუმართლა, რადგან მისი მკერდი შედარებით პროპორციულად იზრდება. ჩელსი თავისი მკერდით ამაყობს, მაგრამ ასეთი მკერდის ტარება იოლი არ ყოფილა. ჟურნალისტთან ინტერვიუში მან განაცხადა: „იძულებული ვარ, მუდმივად ზურგზე მეძინოს და დიდი ძალისხმევა მჭირდება, თვითმფრინავის საპირფარეშოში ჩემი მკერდი შევატიო. გარდა ამისა, ის ძალიან მძიმეა – თითქმის 14 კგ-ს იწონის“.



# «ნაციონალური მოძრაობის» დასაფინანსებლად შექმნილი დანაშაულებრივი სქემა

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური „ნაციონალური მოძრაობის“ დასაფინანსებლად შექმნილ დანაშაულებრივ სქემაზე საუბრობს. უწყების ინფორმაციით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაკავებულია მოქალაქე გიორგი ღონიაშვილი. საქმეში თავდაცვის ყოფილი მინისტრის — დავით კეზერაშვილის გვარი ფიგურირებს. გთავაზობთ საგამოძიებო სამსახურის განცხადებას:**




„გიორგი ღონიაშვილისათვის ცნობილი იყო რა, რომ შპს „გუდაური სქი რესორტის“ მფლობელს (ამ კომპანიაზე ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი) ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული ჰქონდა კომპანია „BROOKTRADE“, შესთავაზა მას წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დახმარება, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხმდა. დახმარება გამოიხატებოდა იმაში, რომ დ. კეზერაშვილის ერთ-ერთი ოფშორული კომპანიიდან თანხები ვითომდა საკონსულტაციო მომსახურების სანაცვლოდ გადაირიცხებოდა კომპანია „BROOKTRADE“-ში, საიდანაც უკვე, ასევე ფიქტიური ხელშეკრულების საფუძველზე, ჩამოირიცხებოდა საქართველოში, შემდგომში პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად.

შეთანხმებისამებრ, გადმორიცხული თანხების ნამდვილი დანიშნულების შენიღბვისა და მისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, ოფშორულ ზონაში ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ დავით კეზერაშვილის კომპანიას „EXIMUS HOLDING“-სა და ოფშორულ კომპანია „BROOKTRADE“-ს შორის გაფორმდა ფიქტიური ხელშეკრულება, რომლითაც თითქოს ამ უკანასკნელს უნდა გაეწია საკონსულტაციო მომსახურება „EXIMUS HOLDING“-სთვის კასპიის ზღვის ქვეყნებში ენერგომატარებლების ვაჭრობასთან დაკავშირებით. ხსენებული ყალბი ხელშეკრულებით საკონსულტაციო მომსახურების ღირებულება განისაზღვრა ჯამში 1 500 000 აშშ დოლარით. აქვე აღსანიშნავია, რომ ოფშორული კომპანიის დირექტორია ალექსანდრე გოგოხია, რომელიც წარსულში შპს „საქართველოს ლატარიის“ კომპანიას ხელმძღვანელობდა“.

სწორედ აღნიშნული ყალბი ხელშეკრულების საფუძველზე, ვითომდა საკონსულტაციო მომსახურების სანაცვლოდ კომპანია „EXIMUS HOLDING“-იდან კომპანია „BROOKTRADE“-ის ანგარიშზე გადაირიცხა, საერთო ჯამში, 760 000 აშშ დოლარი, რომელიც შემდგომში საქართველოში რეგისტრირებული კომპანიის გამოყენებით ჩამოირიცხა საქართველოში და კონვერტაციის შემდგომ გადაეცა გიორგი ღონიაშვილს, პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად. გადმორიცხული თანხიდან, მხოლოდ ერთჯერადად, 2014 წლის 14 მაისს გ.ღონიაშვილის მითითებით, ხსენებული თანხის ნაწილი 85 000 აშშ დოლარი გადაირიცხა ქ. ლონდონში, თბილისის მერის ყოფილი მოადგილის — დავით ალავიძის შვილის ანგარიშზე.

საგამოძიებო სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოვლენილი იქნა ხსენებული დანაშაულებრივი სქემა და მორიგი თანხის ჩამორიცხვისა და კონვერტაციის დასრულების შემდეგ, დაკავებული იქნა გ.ღონიაშვილი, რომლისგანაც პირადი ჩხრეკისას ამოღებული იქნა 160 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ლარებში.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ 2011 წლის 12 ივლისს ქ.თბილისის მერიასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კომპანიას სიმბოლურ ფასად — 1 (ერთი) ლარად გადაეცა ე.წ. „თბილისის ზღვის“ მიმდებარედ არსებული 200 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. მასვე საპრივატიზაციო პირობად განესაზღვრა 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება 5 (ხუთი) წლის ვადაში. იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს მიერ ნაკისრი საინვესტიციო ვალდებულებები ვერ შესრულდა, თბილისის მერიამ შპს „გუდაური სქი რესორტს“ დააკისრა ჯარიმა პირგასამტეხლოს სახით 193 500 (ასოთხმოცდაცამეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით.

მას შემდეგ, რაც გიორგი ღონიაშვილმა შეიტყო აღნიშნული ფაქტის შესახებ, „გუდაური სქაი რესორტის“ ერთ-ერთ მფლობელს შესთავაზა, რომ 50 000 ლარის სანაცვლოდ, მისი ქვისლის, თბილისის ყოფილი მერის გიორგი უგულავას დახმარებით მერიას გააუქმებინებდა მის მიერვე გამოტანილ დადგენილებას საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო საწარმოს 193 000 ათასი დოლარით დაჯარიმების შესახებ.

თბილისის მერის მოადგილის — ირაკლი აბესაძის ხელმოწერილი თბილისის მთავრობის 2014 წლის 25 აპრილის დადგენილებით, შპს „გუდაური სქი რესორტი“ 193 000 ათასი დოლარის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან მართლაც განთავისუფლდა, რის სანაცვლოდაც, შეთანხმებისამებრ, გ. ღონიაშვილმა კომპანიის ხელმძღვანელისგან აიღო შეპირებული თანხა — 50 000 ლარის ოდენობით.

გამოძიება მიმდინარეობს.

აქვე საზოგადოებას გვინდა ვაცნობოთ, რომ გამოძიება ინტენსიურად გრძელდება ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების დადგენა-იდენტიფიცირების მიზნით“, — აცხადებენ უწყებაში.



# ჯორჯ სოროსმა ევროკავშირის კრახი იწინასწარმეტყველა

ამერიკელმა ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა თავის ახალ წიგნში „ევროპის კავშირის ტრაგედია“ამ გაერთიანებაში შექმნილი ვითარება გააანალიზა. სოროსის აზრით, ამჟამად ევროკავშირში მძლავრობს დიდი ეკონომიკურ-ფინანსური დისბალანსი, რომლის გამოც ევროკავშირს კრახი ემუქრება.

**„ევროზონისა და ევროკავშირის ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ევროკავშირის კრედიტორ ქვეყნებსა და მოვალე სახელმწიფოებს შორის უფსკრული ღრმავდება.**

**ევროკავშირი სტაგნაციისკენ მიდის, რომელიც დისბალანსს გააძლიერებს. სამწუხაროდ, შესაძლოა ევროკავშირმა ამ კრიზისულ ზეწოლას ვერ გაუძლოს“,** — წერს ფინანსისტი და დასძენს, რომ არსებული სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი ევროკავშირიდან გერმანიის გამოყოფა იქნებოდა, თუმცა, ამ ნაბიჯის გადადგმა უკვე დაგვიანებულია.

## მკურნალი საუკეთესო შედეგებით

ნანა პაიჭაძე სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრისა და მენჯ ბარძაყის ართროზს, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს და ყველა იმ დაავადებას, რომლებიც ძვალ-სახსარს უკავშირდება.

გიორგი გოგიჩაიშვილი, ტელეწამყვანი: მაწუხებდა კისრის მალების ოსტეოქონდროზი, მიჭირდა მოძრაობა, ქალბატონ ნანას მალამოს წყალობით შვება პირველივე კვირაში ვიგრძენი, მეორე კურსის მერე კი ტკივილები საერთოდ გამიქრა.

ჯემალ ღაღანიძე, მსახიობი: ქალბატონ ნანასთან მივედი ნერვის მწვავე ანთებით, რომელიც ოსტეოქონდროზმა და ლორდოზმა გამოიწვია. ქალბატონი ნანას მალამომ სასწაული შედეგი მომცა უმოკლეს დროში. მადლობა მას ამისთვის.

**ტელ. 599-54-64-81, 593-000-826**

## სიმაღლის მომატება — სწრაფად და ეფექტიანად

3-5სმ-ით მომატება კურსით 3-25 წლამდე. ძვლის მკვებავი ვიტამინების, მინერალების ნაკრებით, ვარჯიშებითა და მასაჟით, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება 5-15კგ-მდე თვეში ჯანმრთელობისთვის უვნებლად, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით; მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება.

მკურნალობა — მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით.

**218-46-08, 558-15-63-33**
**ექიმი ნინო**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

# UNICEF — უკრაინის აღმოსავლეთით ბრძოლებში შვიდი ბავშვი დაშავდა

**უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე ბრძოლებში, 9 მაისიდან დღემდე, შვიდი ბავშვი დაშავდა.**

მათ შორის ყველაზე უფროსი 15 წლისაა, რომელიც აქამდე მძიმე მდგომარეობაშია, ყველაზე უმცროსი კი — 4 წლის, რომელიც ქუჩაში ბებიასთან სეირნობისას დაიჭრა.

UNICEF შეშფოთებას გამოთქვამს, რომ უკრაინაში ბოლოდროინდელი ძალადობის ესკალაცია ბავშვებზე აისახება. „ყველა მხარეს მოვუწოდებთ, ძალადობის დაუყოვნებელი შეწყვეტისა და ბავშვთა დაცვისკენ“, — ნათქვამია გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია მწუხარებით თანაუგრძნობს გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარ რედაქტორ ტატო ლასხიშვილს დედის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, პროფესორ**

**თამილა ლასხიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**



# პლასტმასის ბოთლებით დაფარული სიონის ტბა

**თიანეთის მუნიციპალიტეტში დაბა სიონსა და სოფელ ლელოვანს შორის მდებარე სიონის წყალსაცავზე მისულთ საშინელი სანახაობა დახვდებათ — ტბის ნაპირები, ფაქტობრივად, არ ჩანს, რადგან პლასტმასის ბოთლებითაა დაფარული.**

ნაგავი, სავარაუდოდ, რამდენიმე თვის დაგროვილია. სხვადასხვა ფორმის, ზომისა და ფერის ასობით ბოთლი ნაპირებთან ტივტივებს, ალაგ-ალაგ ფეხსაცმელსაც წააწყდებით. მაგრამ დაბინძურებული სანაპირო არ აფრთხობს მეთევზეებს...

ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894